

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ადექსანდრა გვახარია

სპარსული ხელსუწყო დასთანების  
ქართული ვერსიები

ბახთიარ-ნამე



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1968

„ბახთიარ-ნამე“ შუასაუკუნეების სპარსული ნო-  
ველების კრებელია. ერთ-ერთი ვერსია არაბულ  
„1001 ღამეშია“ შესული. არსებობს „ბახთიარ-ნამეს“  
სპარსული პროზაული (ლიტერატურული და ხალხუ-  
რი) და პოეტური ვერსიები. იგი უთარგმნიათ მრავალ  
ენაზე. ქართულად ეს ძეგლი ორჯერ ითარგმნა—XVII  
და XIX საუკუნეებში. წიგნში განხილულია ყველა  
ეს ვერსია და ქართული თარგმანები. გამოკვლევას  
ერთივე ორივე ქართული თარგმანის ტექსტი (მათგან  
ერთი პირველად ქვეყნდება) და ლექსიკონი.

ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას სპარსული  
ხალხური დასთანების ქართული ვერსიების მონო-  
გრაფიულად შესწავლისა.

## წინასიტყვაობა

სპარსული ხალხური დასთანები<sup>1</sup> სპარსულ-ტაჯიკური კლასიკური ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად დიდი გავრცელებისა და პოპულარობისა უძველესი დროიდან დღემდე ეს „ადაბიათე ამიანე“ („მდაბიური ლიტერატურა“) ან „ნასრე რევაიათი“ („საზღაპრო პროზა“) კარგა ხანს კანონგარეშედ ითვლებოდა ოფიციალური ლიტერატურათმცოდნეობისათვის. თითქმის არაფერს ამბობდნენ მის შესახებ შუასაუკუნეებში შექმნილი „თეზქერები“. მაგრამ ხალხი სათუთად ინახავდა ამ ყანრიის თხზულებებს, თაობიდან თაობას გადასცემდა მათ თითქმის უცვლელად. პროფესიონალი-მთქმელები („ყისა-ხანები“) ხშირად საგანგებო კრებულებში აგროვებდნენ სარეპერტუარო მასალას, რომლის გადაწერის დროს მხოლოდ ვარიანტული სხვაობა თუ შექქონდათ. ბუნებრივია, იცვლებოდა და მარტივდებოდა სტილი. თხრობა ლაკონიურ და ეკონომიურ იერს იღებდა. მიუხედავად ამისა, სულ ახლახან გამოცემულ იაფფასიან ლითოგრაფიებში (ე. წ. „ლუბოკებში“) მაინც იგრძნობა კლასიკურ ხანაში შექმნილი პირველწყაროს კვალი.

ადრინდელი დასთანები XI—XII საუკუნით თარიღდება (მაგ., ვრცელი და უალრესად საინტერესო „დასთანე სამაქე აიარ“). მათა უმრავლესობა ანონიმურია, მაგრამ ზოგჯერ თვით დასთანებსა თუ სხვა წყაროებს შემოუნახავთ ცალკეული სახელები (მაგ., აბუ თაჰერ იბნ ჰუსეინ იბნ ალი იბნ მუსა ატ-ტარსუსი ან ატ-ტარტუსი, რომელსაც მიეწერება დასთანების მთელი სერია: „აბუ მუსლიმ-ნამე“, „ყაჰრამან-ნამე“, „დარაბ-ნამე“, „ჰუშანგ-ნამე“ და სხვ.). განსაკუთრებული ინტენსიობით ვრცელდება დასთანები XVI—XIX საუკუნეებში ჭერ ხელნაწერების, შემდეგ კი ლითოგრაფიული გამოცემების წყალობით.

---

<sup>1</sup> დასთანი (داستان-استان) ნიშნავს ზოგადად ამბავს, თქმულებას. ხალხური დასთანი გულისხმობს საზღაპრო პროზას, ხალხურ რომანს, ნოველათა კრებულებს. უპირატესად ანონიმურია, ზოგჯერ მიეწერება კონკრეტულ პიროვნებას.

უკანასკნელ ხანს საკრძობლად გაიზარდა ინტერესი ამ ტიპის ნაწარმოებთა შესწავლისადმი. პირველ რიგში ამ ინტერესის პიონერია ე. ბერტელსი უნდა მოვიხსენიოთ. ოცდაათიოდე წლის წინ გასოაქვეყნა მან მცირე, ამჟამად მივიწეებელი წერილი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს სპარსული ხალხური დასთარების სერიოზული მეცნიერული შესწავლის პირველ ცდად<sup>2</sup>. ე. ბერტელსმა მოკლე დახასიათება და კლასიფიკაცია ამ ჟანრის თხზულებებისა. ესენია უმთავრესად რომანები (მაგ., „ნუშაფარინი“, „დივზადი“ და სხვ.), რომლებშიც გმირის სამიჯნურო-სარაინდო თავგადასავალია აღწერილი დაახლოებით ამგვარი თარგის მიხედვით: ვაჟს უნახავად შეუყვარდება შორეული ასული რუმის, ჩინის თუ სარანდების ქვეყნისა. იგი მიეშურება მის საძებნელად, გზად გადალახავს ათას რეალურ და ფანტასტიკურ სიძნელეს და ბოლოს მაინც მიაღწევს საშადელს. «Не требуется особого труда, чтобы в этой схеме узнать обычную схему персидского романтического эпоса, намеченную еще в «Шах-наме» (Бижан и Маниже), продолжавшую существовать на протяжении всей истории персидской литературы»<sup>3</sup>. რომანებთან ერთად ვხვდებით დიდაქტიკურ კრებულებს („თუთი-ნამე“, „ბახთიარ-ნამე“ და სხვ.).

მაგრამ მხოლოდ სქემის მსგავსება არაა გადამწყვეტი. ამ ხალხურ დამუშავებათა უმრავლესობას მოეპოვება სავსებით კონკრეტული ლიტერატურული პროტოტიპი, რომლისგანაც იგი უნდა მომდინარეობდეს. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხალხურ ვერსიას არ გააჩნია ლიტერატურული შესატყვისი, ე. ბერტელსის აზრით, იგი უნდა ვივარაუდოთ. ერთი სიტყვით, სავსებით მართებულად ასკვნის ე. ბერტელსი, სპარსული ხალხური ლიტერატურის დაცილება კლასიკურისაგან შეუძლებელიაო.

ეს იყო მხოლოდ პრობლემის წამოჭრა. კარგა ხანს დარჩა იგი „ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“. ამ ბოლო დროს, როგორც ითქვა, გამოქვეყნდა რამდენიმე სპეციალური ნაშრომი, მიძღვნილი ამ პრობლემის კონკრეტული მხარეებისადმი<sup>4</sup>. მათგან განსაკუთრე-

<sup>2</sup> Е. Э. Бертельс, Персидская „лубочная“ литература (сб. „С. Ф. Ольденбург“, Л., 1934). მანამდე გაკერო შეეხებ ამ ჟანრის თხზულებებს ჰ. ეთე (G. Ph. II), ა. კრიშსკი (История Персии, ее литературы и древне-иранской теософии) და სხვ.

<sup>3</sup> ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

<sup>4</sup> Ю. Е. Борщевский, Персидская народная литература (сб. „Плутовка из Багдада“, М., 1963); მისივე, Дастаны и народная культура средневекового Ирана, тезисы докладов, Л., 1965, стр. 27; Ю. Салимов, Становление жанра сказочной прозы в персидско-таджикской литературе

ბით აღსანიშნავია ლენინგრადელი ირანისტის ი. ბორშჩევსკისა და ირანელი მკვლევრის მ. მაჰკუბის წერილების სერია. მათ ფაქტიურად პირველად სცადეს მთელი ამ უზარმაზარი მასალის ენარულ-კლასიფიკაცია, წარმოშობისა და განვითარების პირობების შესწავლა, ზოგადი მხატვრული ანალიზი და ლიტერატურული მნიშვნელობის დადგენა. ამ საკითხების საბოლოოდ გადაჭრამდე ჯერ კიდევ შორი და ძნელი გზა გადასალახი. უმთავრეს სირთულეს, მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, წარმოადგენს დასთანების სრული შეუსწავლელობა. გამოცემაზე რომ არაფერი ვთქვათ, მათი უპირველესობა აღნუსხულიც კი არ არის<sup>5</sup>. შემთხვევითი არაა, რომ ი. მაჰკუბი თავისი წერილების დიდზე დიდ ნაწილს უთმობს დასთანების აღნუსხვასა და მათი შინაარსის გადმოცემას („აბუ მუსლიმ-ნამე“, „აჰსან-ულ-ყისას“. „ისქანდერ-ნამე“, „სამაჟე აიარი“, „აფსანეიე გოლრიზ“, „ამირ არსლანი“, „ამირ ჰამზა“, „ამირ ჰუშანგი“, „აჟუბე და მაჰკუბე“, „ბაჰრამი და გოლანდამი“, „თუთი-ნამე“ და სხვ. აქვე შევნიშნავთ, რომ „ბახთიარ-ნამეს“ განხილვა მას ცალ-წიგნად აქვს განზრახული).

ჯერ კიდევ ღიად რჩება დასთანების ენარულ თავისებურებათა საკითხი. ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა ა. ბოლდირევის აზრი. რომელიც მას გამოუთქვამს ი. სალიმოვის სწორედ ამ საკითხისადმი მიძღვნილი საკანდიდატო დისერტაციის ოპონირებისას: „По-моему, народная книга есть продукт коллективного, устного и безымянного народного творчества, в отличие от фольклора познаваемый нами не непосредственно (т. е. через адекватную запись современного исследователя), а через посредство записи («остановки»), произведенной самими же носителями его

(автореферат), М., 1964; Х. Г. Короглы. Дастаны, КЛЭ, II; მისივე. Об иранских элементах в народном творчестве туркмен. „Народы Азии и Африки“, № 3, 1962; محمد جعفر محبوب، داستانیهای عامیانه فارسی، «سخن»؛ پرویز نائل خانلری، داستان پرداز ۱۳۴۰-۱۳۳۹ (12-4) №№ (1960-1961)؛ اشخاس داستانی، مجله «سخن» ۱۳۲۲ (1) № 1 (1965)؛ سیروس یرهام، سیمای قربان در داستانیهای عامیانه، مجله «صدف» (4) № 4 (1958) და სხვ.

<sup>5</sup> უკანასკნელ წლებში ირანში გამოიცა რამდენიმე დასთანის („დარაბ-ნამე“, „ისქანდერ-ნამე“ და სხვ.).

(исполнителями и ценителями) для своих профессиональных нужд»<sup>6</sup>.

ამრიგად, დასთანები ანუ „სახალხო ლიტერატურა ხალხში შექმნილი ან მომდინარე მაღალი სოციალური წრეებიდან და ისევ ხალხში ფართოდ გავრცელებული“<sup>7</sup> ისეთი თხზულებებია, რომელიც კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის მიჯნაზე დგანან. მათ ბევრი აქვთ ნასესხები ერთისგან და მეორისგან, მაგრამ არანაკლებია განმასხვავებელი ნიშნები.

ასევე კითხვის ნიშანი შეიძლება დაესვას ჯერ კიდევ ე. ბერტელსის მიერ გადაჭრით გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს ყველა ეს ხალხური ძეგლი ლიტერატურულიდან მომდინარეობდეს. ასეთთა რიცხვი დიდია, მაგრამ „დაღმავალი ხაზის“ საპირისპირო ვითარებაც არ შეიძლება გამოირიცხოს. მთელ რიგ დასთანს ატყვია უქველესი და დამოუკიდებელი წარმოშობის კვალი და ადვილი შესაძლებელია „აღმავალი ხაზით“, ხალხური თხზულებიდან ლიტერატურული ძეგლის მიღებაც ვივარაუდოთ. მაგალითად, ადრევე იყო შენიშნული, რომ ცნობილი ისტორიული დასთანის „აბუ მუსლიმ-ნამეს“ ავტორი ისე აღწერს გეოგრაფიულ პუნქტებს, როგორადაც ისინი არსებობდნენ მხოლოდ მონღოლთა შემოსევამდე<sup>8</sup>. ძალზე საინტერესო მოსაზრება აქვს გაკვრით გამოთქმული ა. კრიმსკის „თუთი-ნამეს“ ხალხური გადამუშავების შესახებ, რომელიც ტრადიციულად ნახშაბის (XIV ს.) ლიტერატურულ ვერსიას უკავშირდება: «У меня, впрочем, есть личные подозрения (которого я никакими историческими указаниями подтвердить не могу), что лубочно-персидская «Чехель-Тути» = «Сорок (рассказов) попугая...» восходит к до-Нехшебневской редакции «Книга попугая»<sup>9</sup>.

<sup>6</sup> ციტირებულია ი. სალიმოვის მიერ მოხსენების თეზისებში (იხ. Ю. Салимов, К характеристике жанровых особенностей сказочной прозы персидско-таджикской литературы, тезисы докладов, Душанба, 1966, стр. 114).

<sup>7</sup> Ю. Е. Борщевский, Персидская народная литература, стр. 23.

<sup>8</sup> В. В. Бартольд, К истории Мерва, Сочинения, IV, М., 1966, стр. 191 (აქვე მკვლევარ მოკლედაა ეხება „აბუ მუსლიმ-ნამეს“ სხვადასხვა ვერსიებს). მ. შაჰრუბის აზრით კი ეს დასთანა არ შეიძლება თემურლანგთან ეპოქაზე ადრე შექმნილიყო (პნ 5 سخن).

<sup>9</sup> А. Крымский, История Персии, ее литературы и дервишской теософии, т. III, № 1, 1914—1915, стр. 86.

ანალოგიურად გამოსაკვლევი საკითხები ზემოაღნიშნულ მკვლევრებს პირდაპირ პუნქტებად აქვთ ჩამოყალიბებული. მათგან ორი იპყრობს ამჯერად ჩვენს ყურადღებას. ერთია ცალკეული დასთანების მონოგრაფიულად შესწავლის საჭიროება, მეორე — სპარსული ხალხური დასთანების სხვა ენებზე არსებული ვერსიების გათვალისწინების აუცილებლობა. მართლაც, გასაოცარია ეს პოპულარობა და გავრცელების არე, რომელიც მოიპოვეს სპარსულმა ხალხურმა დასთანებმა მათი ზეობის ხანაში (XVI—XIX სს.). ამ დროს ვხვდებით ჩვენ მათს თარგმანებსა თუ მიბაძვებს თურქულ, აზერბაიჯანულ, შუა აზიის ხალხთა, ავღანურ ლიტერატურაში. ახლო და შუა აღმოსავლეთზე რომ არაფერი ვთქვათ, შორეულ ინდონეზიას გადაწვდა მათი გავლენის კვალი. თავის უაღრესად ცოცხლად დაწერილ წიგნში რიჩარდ ვინსტედტი ჩამოთვლის სპარსულ ხალხური დასთანების რამდენიმე მაღალიურ ვერსიას („რომანი ალექსანდრე მაკედონელზე“, „ამირ-ჰამზას ისტორია“, „თუთიყუმის წიგნი“, „ქალილა და დამინა“, „ბახთიარ-ნამეს“ მთელი ციკლი და სხვ.)<sup>10</sup>.

ცხადია, ამ დიდ რეზონანსს გააჩნდა თავისი როგორც ლიტერატურული (მსგავსი ინტერესები და ტენდენციები), ისე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური (საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება) მიზეზები, რასაც თავის მხრივ საგანგებო კვლევა ესაჭიროება.

ამავე თვალსაზრისით პირველ რიგში გასათვალისწინებელია ძველი ქართული მწერლობა. ცნობილია, რა დიდი გზა უდევს სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას. „სპარსთა ტკბილი ენის მუსიკობას“ ხმლების ჩახაჩუხიც კი ვერ ახშობდა ავბედი საუკუნეების ყამთა სრბოლაში. სპარსულ-ტაჯიკური კლასიკური ლიტერატურის არაერთი ძეგლია ქართულად თარგმნილი თუ გადმოკეთებული, მრავალი მათგანი სათანადოდ და შესწავლილი ქართველ მკვლევართა მიერ. მიუხედავად ამისა, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ცნობილმა მკვლევარმა დავით კობიძემ თავისი მონოგრაფიის დასასრულს შესაძლებლად სცნო ვთქვა: „ჭერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი სპარსულიდან მომდინარე ნაწარმოებთა წყაროების ძიებისა და მათი ლიტერატურული ბუნების შესწავლის თვალსაზრისით. მაგრამ ღრმა კვლევა-ძიებისათვის საჭიროა

---

<sup>10</sup> Ричард Винстедт, Путешествие через полмиллиона страниц (История малайской классической литературы), перевод с английского под редакцией, с предисловием и примечаниями Б. Б. Парникеля, М., 1966.

გვინდეს ამ თხზულებათა ტექსტების მეცნიერული გამოცემანი. სიწარტლე რომ ვთქვათ, ამ ძეგლების ღრმა, ფილოლოგიური ანალიზი ჯერ დაწყებულიც არ არის. ის, რაც გაკეთებულა, ან რაც დღეს კეთდება. მომავალი დიდი მუშაობის მოსამზადებელ საფეხერს წარმოადგენს<sup>11</sup>.

განსაკუთრებით ითქმის ეს სპარსული ხალხური დასთანების მრავალრიცხოვანი ქართული თარგმანების შესახებ, რადგან შედარებით უკეთ გამოკვლეული კლასიკური ლიტერატურული ძეგლების („ვიზრამიანი“, „შაჰ-ნამე“), პარალელურად ქართველები არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი სპარსული ხალხური ლიტერატურით. ამ ინტერესის კვალი იგრძნობა უკვე „ამირან-დარეჯანიანსა“ და თვით „ვეფხისტყაოსანსა“<sup>12</sup>. მაგრამ, შეიძლება ითქვას, მთელი მოზღვავება ამ ქანრის თხზულებათა სწორედ XVI—XIX საუკუნეებში. ითარგმნება „ბახთიარ-ნამე“, „ბარამგულანდამიანი“, „ყარამანიანი“, „მირიანი“, „ყისაი-ჰამზა“ და მრავალი სხვა, რომელთაგან ზოგი ჭე/ აღნუსხულიც არ არის. დამახასიათებელია დასთანების ქართული კოებულების შედგენა<sup>13</sup>.

დიდია ამ თხზულებათა შესწავლის მნიშვნელობა როგორც სპარსული, ისე საკუთრივ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. ქართულ ვერსიებს შემოუნახავთ ცნობები სპარსული ორიგინალების შესახებ, ხშირად ნათარგმნი არიან უფრო სანდო ნუსხებიდან და გამოსადგენი ტექსტის კრიტიკისათვის. მრავალი ძეგლი ჭერჭერობით მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული. თუცა მისი სპარსული წარმომავლობა ნათელია (მაგ., „სეილანიანი“, „ფირმალიანი“, „ვარშაყიანი“ და სხვ.). საჭიროა მხოლოდ დაუცხრომელი ძიება (მაგალითად, სულ ახლახან მოხერხდა „მირიანის“ წყაროს დადგენა)<sup>14</sup>; ამავე დროს ქართული თარგმანები პირველ-

11 დავით კობიძე, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, 1959, გვ. 155.

12 მ. თოდემ მიუთითა ერთ საინტერესო სიუჟეტურ პარალელზე „ვეფხისტყაოსანსა“ და სპარსულ ხალხურ „ჩაჰარ დარეისს“ („ჩარდაერიშიანი“) შორის (მაგალითოდ თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, 1967, გვ. 2.). მართლაც, ხალხური დასთანები ამ მხრივ Terra incognita-ს წარმოადგენს და უფოლ სხვა საერთო დეტალებიც აღმოაჩნდება მათთან შოთას პოემას.

13 მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ნ. ჩაჩიკაშვილის „შეხვეტილანი“ (A 860). აგრეთვე საქ. ცენტრ. არქივის ხელნაწერი № 202, რომელშიც „მირიანი“ და „ბარამგულანდამიანი“ გარდა შედის ორი უცნობი დასთანის („ამბაი ბალდაღის ქელწიფისა“ და „ამბაი რაზმაჰისა“) და სხვ.

14 ის. ა. გვახარია, „მირიანი“ და მისი წინამორბედები, გვ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 14.



ხარისხოვან, ბუნებრივ ხალხურ ენობრავ საგანძურს წარმოადგენენ. უდიდესი იყო სულ ბოლო დრომდე მათი პოპულარობა საქართველოში. მათი მიბაძვით იქმნებოდა ორიგინალური ძეგლები (მაგ., „რუსუდანიანი“, შეიძლება „ბარამგულიჯანიანი“).

ასეთია მეტისმეტად ესკიზური შტრიხებით მოხაზული სურათი სპარსული ხალხური დასთანებისა და მათი ქართული თარგმანების ისტორიისა. აქაც უფრო ზოგადი და სრული დასკვნები მომავლეს საქმეა, ხოლო გზა ამ მომავლისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ სპარსული ხალხური დასთანების რიგ ქართულ თარგმანს მიეძღვნა საგულისხმო წერილები და გამოკვლევები<sup>15</sup>, მაინც ცალკეული ძეგლების მონოგრაფიულ შესწავლაზე გადის. კიდევ უფრო რთულია ქართული ტექსტების გამოცემის საქმე. ხელნაწერთა სიუხვემ და სიჭრელემ, XIX საუკუნის იაფფასიან გამოცემათა უვარგისობამ სავალალო მდგომარეობა შექმნა ამ მხრივ<sup>16</sup>.

ყოველივე თქმული სრულად უდგება „ბახთიარ-ნამეს“ როგორც სპარსულ, ისე ქართულ ვერსიებს.

---

15 კ. ევკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924—1959; დ. კობიძე, ყისსაჟ ჩაპარ დარვიშის ქართული ვერსიის სპარსულთან დამოკიდებულების საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოაზ. 1944, V, № 10; მისივე ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოაზბე, 1945, VI, № 3; ალ. ბარამიძე, ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის, ლიტ. ძეგანი, IV, 1948; მისივე, ამირანდარჯანიანის გარშემო, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, IV, 1964; გ. იმედაშვილი, სელიანიანი და რაინდული რომანის ზოგიერთი საკითხი, ლიტ. ძეგანი, X, 1956; ა. გეახარია, ბარამგულანჯანიანი, თსუ შრომები, ტ. 12, 1967; მისივე, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი თეიმურაზის შემდეგ (წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966) და სხვ.

16 „ბარამგულანჯანიანი“- გამოცემა (ი. კალატოზოვისა და პ. ფერაძისა, 1880), ე. თაყაიშვილმა ასე დააზუსტა: „В высшей степени безграмотно“ (Описание, I, 1902—1904). იგივე შეიძლება ითქვას სხვა ძეგლთა გამოცემების შესახებ.

## შესავალი

„ბახთიარ-ნამე“ კლასიკური სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ერთ-ერთი საყურადღებო და ნაკლებშესწავლილი ძეგლია. თავისი ხასიათითა და ლიტერატურული ბიოგრაფიით იგი უკავშირდება ორნამენტული პროზის ისეთ შედეგებს. როგორცაა „ქილილა და დამანა“, „სინდბად-ნამე“, „მარზბან-ნამე“ და სხვ.

„ბახთიარ-ნამეს“ წყარო დიდაქტიკური ჟანრის თხზულებებით მდიდარ ფალაურ ლიტერატურაშია საძიებელი. ძველი ინდური პროზიდან მემკვიდრეობით მიღებული და ძალზე პოპულარული ზერხი მასალის განლაგებისა — ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული ნოველებისა თუ იგავების კრებული — აგრეთვე დამახასიათებელია სასანიანთა ეპოქის ძეგლებისათვის, კერძოდ, „ბახთიარ-ნამესათვის“. მაგრამ სხვა ანალოგიურ კრებულთაგან განსხვავებით, „ბახთიარ-ნამეს“ როგორც ჩარჩო, ისე შიგნითული ნოველები საკუთრივ ირანულ წარმოშობისად ჩანს.

ანონიმურ ისტორიულ ქრონიკაში „თარიხე სისტან“ (XI ს.) დაცულია მეტად საგულისხმო ცნობა, რომ ხოსროვ ფარვიზ ბენ ჰორმოზ ბენ ანუშირვანის დროს ცხოვრობდა ცნობილი ფაქლავანა ბახთიარი, როსტომის შთამომავალი, და მასზე შეთხზეს წიგნი (ყის-სა) „ბახთიარ-ნამე“<sup>1</sup>.

ფალაურ პროტოტიპს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ თავისი არსებობა მას არ შეუწყვეტია. უპირველესი დამსახურება ამაში არაბულ თარგმანებს მიუძღვით. აქ ისევ და ისევ „ქილილა და დამანას“ და მისთანათა ბედი განმეორდა. შემორჩენილია და გამოქვეყნებული ორი არაბული ვერსია. ერთ-ერთი ვერსიის ნუსხა X საუკუნით თარიღდება. იმავე X საუკუნის ბოლოსა თუ XI საუკუნის დასაწყისში, ალბათ იმ არაბულ ვერსიათა შემწეობით, რომელთაც

تاریخ سیستان بتصحیح ملک الشعرا بهار [۱۳۱۴]: ... بروزگار  
خسرو پرویز بن هرمز بن اوشروان الملک که بختیار جان پهلوان بود از  
فرزندان رستم و به بختیار نامه قصه او باز خوانند (8).

...ათვეზირიანის“ სახით თავი იჩინეს „1001 ლამეშიც“, გაჩნდა ახალ სპარსული ვერსია დარი-ენაზე, რომელსაც უნდა გულისხმობდეს „თარიხე სისთანის“ ცნობა.

ახალსპარსული ვერსიის არსებობას მოწმობს აგრეთვე მუჰამად ოუფი (XIII ს.), რომლის მიხედვით ამ მარტივ, სადა „ბახთიარ-ნამეს“ მჭერმეტყველების ელვარე სამოსი ჩააცვა მისმა თანამედროვემ, ბრძენმა და ქადაგმა (ვაეზმა) შამს ედ-დინ მუჰამად დაყაიყი შარეზში (მერველმა)? ამასვე იმეორებს დაყაიყი თავისი თხზულების წინასიტყვაობაში, რომელსაც მან საერთო სტილის შესაბამისად ამაღლებული სათაური უწოდა: „რაჰათ ულ-არვაჰ ფი სურური-ლ-მიფრაჰ“ („სავანე სულთა მხიარულთა კმაყოფილებაში“)<sup>2</sup>.

დაყაიყის ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ ეს უაღრესად საინტერესო ტექსტი ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართათვის. ჩვენს ნაშრომი დაწერილი იყო, როდესაც ქაშალ აინის მეშვეობით გვეცანით ამ გამოცემას. შეძლებისდაგვარად მოხერხდა ნაშრომში ზ. საფას დაკვირვებათა და ტექსტის მონაცემთა გათვალისწინება. აქვე უნდა ითქვას, რომ ზ. საფა თავის წინასიტყვაობაში რატომღაც არ ასახელებს დაყაიყის ვერსიის ლეიდენისეულ ნუსხას (1296 წ.), არ უთითებს მთელ რიგ მნიშვნელოვან გამოკვლევებს (მათ შორის, Nöldeke-სა და ე. ბერტელსის ნაშრომებს; ის იცნობს მხოლოდ ე. ბერტელსის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს). პიუხედავად ამისა, ზ. საფას წინასიტყვაობა მაინც მნიშვნელოვანი ეტაპია „ბახთიარ-ნამეს“ ვერსიების კვლევის საქმეში. აქ წარმოდგენილია ცნობები არაბული ვერსიების შესახებ, „ბახთიარ-ნამესა“ და „სინდბად-ნამეს“ ურთიერთობის შესახებ, პოეტური ვერსიების მოკლე მიმოხილვა, დაყაიყის ბიოგრაფია და ა. შ.

დაყაიყის ბრწყინვალედ შეუსრულებია თავისი მისია. მაღალფარდოვანი, შინაგანი რიტმითა და რითმებით გაწყობილი ტექსტი გასებულა სპარსული თუ არაბული შიგნართული ლექსებით. ამ მხრივაც ეხმაურება იგი „ქილილასა“ და „სინდბადს“. მაგრამ ისევე, როგორც მათ, მასაც გაუვიდა ყველი. შეიცვალა მკითხველი საზოგადოება, მისი მოთხოვნები. დაყაიყის „ბახთიარ-ნამეს“, ოსკარ უაილ-

<sup>2</sup> 189, ۱۳۳۵, باب الالباب تهران

<sup>3</sup> ტექსტი 1265 წელს გადაწერილი ნუსხის მიხედვით (დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში) გამოსცა, წინასიტყვაობა და ტექსტოლოგიური დაკვირვებანი დაურთო ცნობილმა ირანელმა მკვლევარმა ზაბიჰულა საფამ:

راحة الارواح في سرور المفراح «بختيار نامه» تحرير شمس الدين محمد  
دقايقى مروزی باهتمام و تصحيح ذبيح الله صفا تهران، ۱۳۴۵

დის უფლისწულივით. ჩამოსცილდა ენამზებობის ოქრო და სამკაუ-  
ლი. მხოლოდ სიუჟეტი დაედო საფუძვლად უპირველ ხალხურ დამუ-  
შავებებს (XVI—XVIII სს.), რომელთაც პირველ ნიშნად კვლავ  
სისადავე და უბრალოება დაიბრუნეს. ქარგა, ისევე, როგორც არ-  
კები, თითქმის უცვლელი დარჩა (შეიცვალა მხოლოდ მათი რიგი და  
ცალკეული დეტალები). ამიტომ არის, რომ ხალხურ გადამუშავება-  
თაგან მომდინარე გვიანდელ ლითოგრაფიებს (XIX ს.) შემორჩათ  
ასეთი დამახასიათებელი სათაური: „ბახთიარ-ნამე“ — სასანიანოა  
ეპოქის ლიტერატურული ძეგლი, თარგმნილი ოსტატ დაყაიყი მარ-  
ვაზის მიერ ფალაურიდან სპარსულად<sup>4</sup>.

დაყაიყისა და ხალხურ დამუშავებათა შორის კიდევ ერთი  
სპარსული ვერსიაა სავარაუდო. ყოველ შემთხვევაში მას უნდა გუ-  
ლისხმობდეს ნაკლებად ცნობილი პოეტი ფანაჰი (XV ს.), რომელსაც  
გაულექსავს იგი<sup>5</sup>. როგორც ვნახავთ, არაკთა განლაგებითა და გან-  
საკუთრებით სიუჟეტური დეტალებით ფანაჰის პოემა და, მაშასადა-  
მე, მისი პროზაული წყარო საკმაოდ განსხვავდება დაყაიყისგან  
მომდინარე ხალხური ვერსიებისაგან, რომელნიც ადრითგანვე იჩე-  
ნენ თავს. ჭერ-ჭერობით ცნობილ ნუსხათაგან ყველაზე ძველია ტაჰ-  
კენტში ჩვენს მიერ მიკვლეული ხელნაწერი (997 წ. ჰ. — 1588/89 წ.  
ჩვ. წ. ა.)<sup>6</sup>. ყურადღებას იქცევს ამ რედაქციაში ჩართული ლექსების  
სიუჟეტი და სივრცე, რაც შემდეგ და შემდეგ (განსაკუთრებით, ლი-  
თოგრაფიებში) სულ უფრო მცირდება და მოკლდება. ამავე დროს  
ზოგი ჩართული ლექსითი ნაწყვეტი მთელ ამბავს შეიცავს და ისეთა

بختيار نامه: ادگار ادبی عصر ساسان و ترجمه دقیقی مروزی  
از بهلولی بیارسی، طهران، ۱۳۳۲.

<sup>5</sup> ამ მხრივ უნიკალური ცნობა დაუცავს სპარსულ ხალხურ დასთან „ისქან-  
დერ-ნამე“ (დაიწერა XII—XV საუკუნეებს შორის, როგორც ვარაუდობს ტექსტის  
გამომცემელი ი რ ა ჯ ა ფ შ ა რ ი): ერთ ლამეს გულგათანაველი ისქანდერი გასარ-  
თობ ამბავს ისურვებს. ეგვიპტის მმართველი უყვება მას „ბახთიარ-ნამეს“. დას-  
თანში წარმოდგენილია ჩარჩოს სქემა, სამწუხაროდ, არაკების დასახელების გა-  
რეშე. ამბის ფინალი (ბახთიარის მიერ ეგვიპტისა შენდობა) ემთხვევა ფანაჰისეულ  
ვერსიის დასასრულს და ამდენად შეიძლება ვიფიქროთ, ხომ არ იგულისხმება აქ  
მისი პროზაული წყარო. აღსანიშნავია დასთანის ავტორის შენიშვნა. რომ ეს ამ-  
ბავი ლექსადაც არის და პროზადაც

(اسکندر نامه بکوشش ایرج افشار، تهران، ۱۳۳۳، 198—199).

<sup>6</sup> უნბ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმც. ინსტ. ხელნ. № 5526.

შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს იგი რომელიღაც სხვა, დღეს უცნობი ლექსითი ვერსიიდანაა აღებული<sup>7</sup>.

კიდევ ერთი პოეტური ვერსია (XVII ს.) მითითებული აქვს თავის წინასიტყვაობაში ზ. საფას<sup>8</sup>. არსებობს აზერბაიჯანული პოეტური ვერსია. გვიანდელი. სპარსულიდან გაღმოკეთებული ფედაის მიერ. იგი ერთადერთი ნუსხის მიხედვით გამოცა გ. მენჯელიმ<sup>9</sup>. ძალზე საყურადღებოა უიღურულა ვერსია. რომელსაც ერთ-ერთი უძველესი სპარსული რედაქცია ლაჟცავს<sup>10</sup>.

ბახთიარმა საასპარეზოდ მახლობელი აღმოსავლეთი როდი იქმარა. ზემოხსენებული რ. ვინსტედი ასახელებს ორ მაღალიერ ვერსიას (XVI—XVII სს.), რომელიც აგრეთვე სპარსულ წყაროებში უკავშირდება. «Следует думать, что вариант «Бахтияр-наме», содержащийся в малайской редакции «Истории о Калиле и Дамине», или непосредственно произошел от позднейшей персидской переработки, или пришел в малайский мир из Персии через вторые руки вариант же, содержащийся в «Повести о Голаме» и изобилующий арабскими цитатами, ведет начало от более старой персидской версии, но, прежде чем появиться на малайском языке персидский текст претерпел две арабские переработки. Habent Sua fata libelli»<sup>11</sup>.

ვეშმარიტად! ამით არ დასრულებულა „ბახთიარ-ნამეს“ ბედო. ორი ქართული ვერსიის საბით ზაქმე გვაქვს ისევ და ისევ სპარსული ხალხური პროზაული დასთანისა და ფანაჰის პოემის თარგმან-

---

7 მაგ.: شہ دید جمال آن دل آرام صبر از دل وی برفت و آرام (იხ. აგრეთვე დასვენა).

8 ზ. საფას, დასახ. ნაშრ., გვ. 021.

9 (Фадан, Бахтиярنامه, Бзкы, 1957 (ფანაჰი აქ რატომღაც XIII ს.-ში ვადატანილი). იხ. აგრეთვე: Н. Араслы, XVII—XVIII эср Азербайджан эдебийаты тарихи, Бзкы, 1956.

10 XV ს. ნუსხიდან ერთი არაჰი („დადინის შესახებ“) გამოქვეყნებულია:

بختيار نامه مستسخی مصطفی رحمی است: ۱۳۳۹

წიგნი მოგვაწოდა სერგი ჩიქიან, თარგმნაში დაგვეხმარა ცისანა აბულაძე.

11 რ. ვინსტედი. დასახ. ნაშრ., გვ. 159 („წიგნებსაც გააჩნიათ თავისი ბედი“).

თან. ცხადია, მათი შესწავლისათვის პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს სპარსულ პროზაულ და პოეტურ ვერსიებს. თავის მხრივ, ქართული თარგმანების კვლევა დიდ დახმარებას გაგვიწევს სპარსული ორიგინალის ბუნდოვანი საკითხების გაშუქებაში. ამ მიზნით ვცადეთ „ბახთიარ-ნამეს“ სპარსული და ქართული ვერსიების ძირითადი მომენტების განხილვა. გამოკვლევას ერთვის ორივე ქართული ვერსიის ტექსტი (მცირე ლექსიკონითურთ).

ნაშრომი შესრულებულია 1961 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ვლადიმერ ფუთურაძის ხელმძღვანელობით<sup>12</sup>.

---

<sup>12</sup> შეძლებისდაგვარად მოხერხდა მომდევნო წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინება. ამან გამოიწვია სქოლიოში ჩატანილ მსჯელობათა სიუხვე. ტექნიკური მიზეზების გამო ამოვიღეთ კრიტიკულად დადგენილი სპარსული ტექსტი.

## „ბახთიარ-ნამეჲ“ სპარსული პროზაული მერსიები

სპარსული კლასიკური პროზა გაცილებით ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე პოეზია. თავისი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით კი იგი არც თუ ისე ჩამორჩება ამ უკანასკნელს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სელჩუკიანთა პერიოდი (XI—XIII სს.). როდესაც ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება ისტორიული და მხატვრული, ნათარგმნი თუ ორიგინალური პროზაული თხზულებები: „ჩაპარ მაყალე“, „ქილილა და დამანა“, „სინდბად-ნამე“, „თუთი-ნამე“, „ბახთიარ-ნამე“, „მარზბან-ნამე“, „ჩაპარ დარვიშ“ და სხვ.<sup>1</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად მინიშნებულია იმ სიუჟეტების წარმომავლობა, რომელნიც საფუძვლად დაედო ზემოხსენებულ ნაწარმოებთა უმრავლესობას. ფალაურმა ელემენტმა, არაბული გადამუშავების შემდეგ, ფრთა შეისხა ახალ სპარსულ (ფარსი-დარი) ენაზე. კიდევ უფრო ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იგრძნობა ზოგი მათგანის ინდური პირველწყარო. ეს, უპირველეს ყოვლისა, იგრძნობა ჩვენთვის საინტერესო ძეგლების („ათას ერთი ღამე“ იქნება ეს, „ქილილა და დამანა“ თუ „ჩაპარ დარვიში“) საერთო კომპოზიციურ აგებულებაში: ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული არაკების კრებული<sup>2</sup>. ამავე დროს ხშირია თვით არაკების თემატიკის შედარებითი სიძველე, თუმცა აქ უფრო იჩენს თავს სპარსული ფოლკლორის გავლენა და ავტორის ინდივიდუალობა.

როგორც ითქვა, ამ ტიპის კრებულებს განეკუთვნება „ბახთიარ-ნამე“. მისი ფალაური წყაროს შესახებ ვერაფერს ვიტყვით, კვალი კი არაბულ ვერსიებსა და „ათას ერთ ღამეშია“ საძიებელი.

ცნობილია და მეტ-ნაკლებად გარკვეული ის რთული გზა, რომელიც ზღაპრების ამ კრებულმა განვლო. ვარაუდობენ, რომ საფუძვლად მას IX—X სს. არსებული სპარსული ძეგლი „ბახარ აფსანე“

<sup>1</sup> I. Рупка, Иранские литературные истории, 1959, с. 235.

<sup>2</sup> П. А. Гринцер, Древнеиндийская проза (Обрамленная повесть). М., 1963.

(„ათასი ზღაპარი“) უნდა დასდებოდა. ყოველ შემთხვევაში, არაბულ „1001 ღამეში“ მოთავეებული ზოგი ციკლის სპარსული წარმომავლობა უდავოა. მათგან აღსანიშნავია „ამბავი მეფე ბახთზადისა, მისი ძისა და ათი ვეზირისა“. რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უნდა დასდებოდა „ბახთიარ-ნამეს“ შემდეგდროინდელ ვერსიებს<sup>3</sup>. გარკვეული ინტერესისა და მნიშვნელობის გამო მოკლედ განვიხილოთ „ათვეზირიანის“ სიუჟეტური ქარგა, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა შედარებისა:

...უძველეს დროში ცხოვრობდა მკლავრი და მორკმული მეფე ბახთზადი (სპ. აზადბახთი. აქ ხომ არ უნდა ვივარაუდოო რაიმე კავშირი უფლისწულის სახელთან „ბახთიარ“, რომელიც სპარსულ ლიტერატურულ ვერსიაში გვაქვს? „ათვეზირიანში“ უფლისწული უსახელოა), ჰყავდა მას ათი ვეზირი, რომელიც მართავდა ვრცელ სამეფოს, და აურაცხელი ლაშქარი. ერთხელ ნადირობისას მეფე წააწყდა ქარავანს. რომელსაც მოჰქონდა ოქროთი მოკაზმული ტახტრევანი. აღმოჩნდა, რომ მისი ერთ ერთი ვეზირი ისფაჰანდი ათხოვებს თავის ქალიშვილს მეფე ზადშაჰზე. უეცრად ქალიშვილმა გამოიხედა ტახტრევიდან, მეფე მოხიბლა მისმა სილამაზემ და შეუყვარდა უზომოდ. ბახთზადმა ასული თავის სასახლეში მიიყვანა.

შეურაცხყოფილმა ვეზირმა თავი მოაჩვენა, თითქოს კმაყოფილა დარჩა ამით. მადლობის წერილიც კი მისწერა მეფეს. მაგრამ ფარულად შეთქმულებას მზადებას შეუდგა. მან მიიმხრო სხვა დიდებულნი და ლაშქარი და მოულოდნელად თავს დაესხა ბახთზადს. ეს უკანასკნელი მეუღლესთან ერთად გაქცევით უშველის თავს. გზაში დედოფალს შეეძინება ვაჟი, რომელსაც წყაროსთან დატოვებენ, თვითონ კი ხოსრო ანუშირვანს შეეკედლებიან (შდრ. გვიანდელი დეტალი ქირმანის შაჰთან შეფარვისა). პუბლიკურად ორთულ ბავშვს წააწყდება ავაზაკთა რაზმი, მისი უფროსი იშვილებს ვაჟს და ძიძისა და ცოლის დახმარებით გაზრდის კარგ ვაჟაკად.

<sup>3</sup> გიორგი წერეთელი, „ათას ერთი ღამის“ გამო (წიგნში ათას ერთი ღამე, არაბულიდან თარგმან და კომენტარები დაურთო ნანა ფურცელაძემ, ტ. I, 1967); М. А. Сапьяе, Забытые страницы „1001 ночи“ (ср. „Халиф на час“. М., 1961). არაბულ ვერსიას ვიყენებ შ. სალიუს ამ თარგმანის მიხედვით (-Рассказ о царе Бахтзаде, его сыне и десяти везирах“, стр. 321—395), რის უფლებასაც ვაძლევს ისეთი დოკუმენტის სპეციალისტი, როგორც ი. ვ. კრაჩკოვსკი: „Последние (ლოტმანი და სალიე) дают не только книгу, которую можно читать, но и авторитетный текст, основываясь на котором исследователь может работать над „1001 ночью“ с достаточной уверенностью“ (И. Ю. Крачковский, Датский перевод „Тысячи и одной ночи“, Избранные сочинения, т. II, 1956, стр. 444).



ამასობაში ანუშირვანის შემწეობით ბახთზადი დაიბრუნებს ტახტს, მოკლავს თავის მტრებს, ხოლო მეგობრებს კი უხვად დასახუქრებს (აქვეა ჩართული ანუშირვანის გამაჯნურება ბახთზადის მეუღლესთან).

ერთხელ ავაზაკები, მათ შორის უფლისწული. ჩაუვარდებიან ტყვედ ქარაუნის მცველებს. მექარავენებს მოეწონებათ იგი და თან წაიყვანენ ბახთზად მეფის კარზე. ეს უკანაქანელი, აგრეთვე მოხიბლული მისი მშვენებით, დაიტოვებს და დაიახლოვებს თავისსავე ვაჟს, თუმცა ამ ვითარების შესახებ მან არაფერი იცის. ერთხელ მთვრალ ჭაბუკს შემთხვევით დედოფლის ოთახში დაეძინება. აქ მას მოუხსნობს მეფე და განრისხებული ბრძანებს მის შეპყრობასა და დასჯას. ამით ისარგებლებენ ვეზირები (არსად ჩანს, რომ მათ მოაკლდათ მეამბოხე თანამზრახველი, რომელიც შემდეგ ბრძოლაში დაიღუპა), გადმოიბირებენ დედოფალსაც და ცდილობენ მეფესთან ზედმეტად დაახლოვებული ჭაბუკის დაღუპვას. თავის დასახსნელად და სიკვდილის თავიდან ასარიდებლად იგი ყველა არაკებს (საინტერესოა, რომ თვით ბახთზადისა და მისი ვაჟის ისტორია, ე. ი. საკუთრივ ქარგა არ შედის არაკების რიცხვში, მისგან დამოუკიდებლად გვაქვს თერთმეტი არაკი), რომელნიც საყურადღებოა როგორც თავისი შედგენილობით, ისე განლაგებით, რიგით<sup>4</sup>.

(სათაურები ჩვენ მიერაა პირობით შერქმეული შინაარსის გათვალისწინებით):

I—უბედური დიდვაქარი.

II—ვაჭარი და მისი შვილები.

III—აბუ-საბირი.

IV—სულწასული უფლისწული.

V—მეფე დადბინის ამბავი.

VI—მეფე ბახთზადის ამბავი.

VII—ყურწარკვეთილი მეფის ამბავი.

VIII—აბუ-თამამი.

IX—ქაში გაზრდილი უფლისწული.

X—დედოფალი და მისი ვაჟი პირველი ქმრისაგან.

XI—სასწაულებრივი გადარჩენა.

არაკების ასეთი სიუხვე გვაფიქრებინებს, ხომ არ იყო თავდაპირველად მათი რიცხვი დამოუკიდებელი ვეზირების რაოდენობისაგან? იქნებ ასეთი დაკავშირება უფრო გვიან მოხდა. ასეა თუ ისე,

<sup>4</sup> არაკების განლაგების ცხრილი სხვადასხვა ვერსიების მიხედვით მოცემულია ე. ბერტელსის წერილში: Невья ирсия Бахтиар-намэ, Известия АН СССР, VII серия, № 4, 1929 (იხ. აქვე, დასვენა).

შეპლევდროინდელ ვერსიებში ეს რაოდენობა მხოლოდ კლებულობს (ათო. ცხრა). იცვლება აგრეთვე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მათი რა- გი. მაგრამ თვისობრივ შენაცვლებას ადგილი არა აქვს, ოპერირება ხანებულ მასალას ხარჯზე ხდება.

უკანასკნელი არაკის შემდეგ, როცა მეფეს მაინც სურს ქაბუ- კის სიკვდილით დასჯა, გამოჩნდება ავაზაკთა უფროსი, ყველაფერი გამოირკვევა. უდანაშაულო გადარჩება, დამნაშავენი დაისჯებიან...

ჩანს. ეს „ათევიზირიანი“ ან მისი უშუალო წყარო სხვა არაბუ- ლი ვერსიების სახით დაედო საფუძვლად „ბახთიარ-ნამეს“ იმ ად- რინდელ სპარსულ ვერსიას, რომელიც XIII საუკუნეში გადააკეთა შამსედდინ მუჰამად დაყაიყიმ. იმ ძუნწ ცნობებს შორის, რომელ- თაც ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლის შესახებ, სა- ყურადღებოა მტკიცება, თითქოს „ბახთიარ-ნამეს“ წყაროს, მისაბამ ობიექტს წარმოადგენდა „სინდბად-ნამე“<sup>5</sup>. ვფიქრობთ, ამ კატეგო- რიულ მოსაზრებას დასაბუთება ესაჭიროება.

„სინდბად-ნამეს“ რამდენიმე ვერსიაა ცნობილი: ვრცელი და მოკლე. პროზაული და პოეტური<sup>6</sup>. ყველაზე უფრო პოპულარულია ზაჰირი სამარყანდელის (XII ს.) სახელით ცნობილი ვერსია. აღსა- ნიშნავია, რომ „ბახთიარ-ნამე“ ძირითადი ბირჟვივით „სინდბად- ნამე“ შევიდა „ათაჲ ერთ დამეში“ „შეიდვეზირიანის“ სახით. ამ ორ თხზულებას ერთმანეთთან აახლოვებს არა მარტო მსგავსი კომპო- ზიცა (ჩარჩოსებრი), არამედ ისიც, რომ ორივეგან მოქმედ პირე- ბად ბოროტი ვეზირები გვევლინებიან. მაგრამ სწორედ აქვეა, ამ მომენტშიც, დიდი განსხვავება: „სინდბად-ნამეში“ არაკებს ყველა არა მარტო სინდბადი, არამედ ვეზირებიც, ცბიერი მოახლეცა და უფლისწულიც. არაკებას უმრავლესობას, ისევე როგორც მთლიანად ნაწარმოებს, აქვს აშკარად ქალის მზაკვრული ბუნების მამხილებე- ლი ხასიათი. „ბახთიარ-ნამეში“ ყველა არაკს ყველა ბახთიარი. ქალის მზაკვრულ ხასიათს ეძღვნება მხოლოდ ერთი არაკი, დანარჩენთა, ისევე როგორც მთელი კრებულის მიზანს წარმოადგენს აუჩქარებ- ლობისა და სამართლიანობის დასაბუთება. კიდევ უფრო განსხვავე-

<sup>5</sup> A. Arberry, Persian Literature, 1958. აქ პირდაპირაა ნათქვამი, თითქოს დაყაიყი მარვაზიმ იხელმძღვანელა „სინდბად-ნამეთა“. უფრო თავშეკავებულია ჰ. ეთესა და ი. რიჰას მოსაზრება, რომლის მიხედვით „ბახთიარ-ნამე“ „სინდბად-ნამეს“ ანა- ლოგიური მუსლიმანური დამუშავებაა ძველი სიუჟეტისა (GIPH, II, 323; J. Рурка, თასახ. ნაშრ., გვ. 505). ამასვე იმეორებს ე. ქეკელიძე, (ქართული ლიტ- ისტორია, II, გვ. 471).

<sup>6</sup> იხ. Синдбад-наме, пер. М. - Н. Османова, М., 1960; სპეციალური ნაშრომი უძღვნა მათ თ. გორელიშვილმა: Персидские и грузинские версии „Синдбад-наме“, автореферат, Тб., 1965.

ბულია მათი ჩარჩო, სიუჟეტური ქარგა. შესაძლებელია, ამ ორი თხზულების ერთმანეთთან დაკავშირებას ხელი შეუწყო ზემოხსენებულმა საინტერესო ცნობამ, რომელიც დაცულია მ. ოუფის (XII ს.) თეზქერეში „ლობაბ-ულ-ალბაბ“: დაყაიყიმ „სპარსულ პროზაში ყურადღება მიაქცია გართიმულ პროზას და ბახთიარ-ნამე და სინდბადი ნასესხებ (ნახმარ) ტანისამოსში გაძოაწყო“<sup>7</sup>. აქ საგულისხმოა ორი მომენტი: ჯერ ერთი, ხსენებულ თხზულებათა ნასესხობა უა მეორე, ორივე მათგანის ერთი ავტორისათვის, კერძოდ, დაყაიყისათვის მიკუთვნება.

ასეა თუ ისე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ბახთიარ-ნამე“ მხოლოდ გარეგნული ნიშნებით ემსგავსება სხვა ამ ტიპის კრებულებზე უფრო მეტად „სინდბად-ნამეს“, მაგრამ ამ უკანასკნელს მის წყაროდ მაინც ვერ მივიჩნევთ. როგორც აღინიშნა, მისი პირველსაფუძველი არანაღებ ძველია და ორიგინალურა<sup>8</sup>.

ლიტერატურული ვერსია „ბახთიარ-ნამესი“ ხასიათდება მისი თანადროული ეპოქისათვის შემუშავებული სტილისტური ნორმებით. ზაჰირი სამარყანდელი „სინდბად-ნამეს“ შესავალში ხაზგასმით საგანგებოდ მოგვითხრობს. თუ როგორ შეამკო მან სიტყვათა სამოსლით მკერპეტყველების სამკაულს მოკლებული აზრა<sup>9</sup>. ასევე გამოიჩინა წინა საუკუნეების მარტივი პროზისაგან თავისი სიტყვაკაზმულობით „ბახთიარ-ნამეს“ ეს ვერსია. იგი სპეციალურად განიხილა Nöldeke-მ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სპარსული ავტორი უმთავრესად ცდილობს გამოავლინოს თავისი მკერპეტყველურა უნარი, რის განთავსებაც ხშირად იკარგება თხრობის ლოგიკური თანმიმდევრობა<sup>10</sup>. ხშირია ამ ვერსიაში ისეთი მოტივების გამოტოვება, რო-

در نشر پارسی رعایت جانب سجع کرده و بختيار نامه و سندباد را لباس عاریت پوشانیده است... (الباب الالباب) بختيار نامه بقلم آقای

تبریزی، بختيار نامه، طهران، ۱۳۳۲

<sup>8</sup> „ბახთიარ-ნამესა“ და „სინდბად-ნამეს“ ურთიერთობაზე საგანგებოდ მსჯელობს ზ. საფა (გვ. 17—19). მისი აზრითაც ეს ორი დამოუკიდებელი ხასიათის ძეგლია და საერთოდ სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის. ზ. საფას აღნიშნული აქვს რამდენიმე საერთო ლექსითი ციტატი.

<sup>9</sup> سندباد. نامه نگارش محمد بن علی بن محمد الظهیری السمرقندی باهتمام و تصحیح و حواشی احمد آتش استانبول (1948)  
ანალოგიური მოტივი დაედო საფუძვლად ნახზებისეულ „თუთი-ნამეს“. როგორც ითქვა შესავალში, ასეთივე ვითარება გვაქვს „ბახთიარ-ნამეში“ (იხ. ზ. საფას წინასიტყვაობა, გვ. 16).

<sup>10</sup> Th. Nöldeke, Ueber die Texte des Buches von den zehn Meviren..., ZDMG, 45, 1891, 99.

მელთა გარეშე ამავე ბუნდოვნად ან სრულიად გაუგებრად წარმოვიდგება.

სანიმუშოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს „ბახთიარ-ნამეს“ ლიტერატურული დამუშავების სტილისტურ თავისებურებათა ნათელსაყოფად: მეფე დაჰბინს აუწერეს ნის- ვეზირის ასულის სილამაზა: მეფეს შეუყვარდა იგი... ეს უკანასკნელი მომენტია ასეა წარმოდგენილი ტექსტში: „...მეფემ ვამეყის (შეყვარებულის) გულივით ბიჭი სიყვარულისკენ დაჰრა და განთიადივით წმინდა სუნთქვა (ამოუშვა). ჯული ვნების მძევლად იქცა და სული ტკივილის ტყვედ. სიყვარულის არწივმა ნისკარტი სულსა და გულში ჩაჰკრა და... ვარდის ჰკრეფავს ნდომის ზარები შეარხევიან და სურვილის მოედანზე მოხერხების კამათლები გააგორებინა“<sup>11</sup>, მრავალსიტყვაობის გარდა აქ ყურადღებას იპყრობს გართმულა პროზის (საჯის) ელემენტები: „ფადეშაჰ ჩუნ დელე ვამეყ ყადამ დარ ეშყ ნეჰადან გერეფთ ვა ჩუნ სობჰე სადეყ ნათასე სედყ ზადან დელ რაჰინე თამანანა მოლ“...

პროზაული ტექსტი საკმაოდ უხვადაა შემკული ჩართული ბეიტებით. ამასთან ხშირად ამ უკანასკნელთ მკიდრო კავშირი აქვთ მოქმედების განვითარებასთან (იქნება ეს გმირის პასუხი ლექსად თუ სხვ.).

„ბახთიარ-ნამეს“ ქარგა საკმაოდ რთულია: სისტემას მეფეს აზღაბახტს ჰყავდა ათი ვეზირი და ერთი სპასალარი. ერთხელ ნადირობისა<sup>12</sup> აზღაბახტი შემთხვევით იხილავს სპასალარის ულაშაზეს ასულს, რომელიც ტახტრევენით მამის სანახავად მიეშურებოდა<sup>2</sup>.

<sup>11</sup> ვსარგებლობთ Nöldeke-ს დასახელებულ ნაშრომში მოთავსებულ ტექსტით (ივეე, 115) და თეირანის გამოცემით:

پادشاه چون دل و املق قدم در عشق نهادن گرفت و چون صبح صادق نفس صدق زدن دل رهين تمنا شد و جان اسير سودا عشقا عشق منقار در جان و دل زد و عس هزار (شاه) اتفاق سپهر برات و گل حاوی را جرس هوس بجنابانید و مقام مراد کمبتين استعداد بغلطا نید...

ახალი გამოცემა იძლევა ვარიანტულ წაკითხვას:

پادشاه چن و املق قدم عشق نهادن گرفت و چن صبح صادق نفس سرد زدن. دل رهين تمناشد و جان اسير سودا عشق منقار در دل و جان زد و قفس مهر از اتفاق سپهر نهاد، حادی عشق جرس هوس جنابانیدن گرفت و مقام مراد کمبتين گردانیدن (189)

<sup>12</sup> აქ ყურადღებას იპყრობს ქარის მიერ ელზოს ფარდის ახლის დეტალი, რომელიც საკმაოდ ძველი ჩანს (შდრ. „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“).

შეყვარებული მეფე, სპასალარის ნებართვის გარეშე. დაუყოვნებლივ ცოლად შეირთავს მის ასულს. მამა იძულებულია დაემორჩილოს, მაგრამ ხელსაყრელ ჟამს იხელთებს და მეფეს ტახტ-დან ჩამოაგდებს. აზადბახთი მეუღლესთან ერთად თავს აფარებს ქირმანის შაჰს. გზაში დედოფალს შეეძინება ვაჟი, რომელსაც მშობლები უდაბნოში მიატოვებენ...

ქირმანის მეფეს დახმარებით აზადბახთი დაიბრუნებს ტახტს...

ამასობაში ავაზაკთა რაზმი წააწყდება უმწეო უფლისწულს. რაზმის უფროსმა ფაროხსავარმა იშვილა იგი და ხოდადადი (ლეთის ბოძებულთ) უწოდა, შემდეგ ძიძას მიაბარა აღსაზრდელად. ხოდადადი თან დაჰყვებოდა მამობილს ქარავანთა საძარცველად. ერთხელ ისინი ტყვედ ჩაუვარდნენ ერთ-ერთი ქარავნის მცველებს. მექარავნეებმა ისინი აზადბახთს მიჰგვარეს. მეფეს მეტად მოეწონება ხოდადადი და თავისთან დაიტოვებს, სახელად ამჭერად ბახთიარს (პედნიერს) შეარქმევენ. ბახთიარი დაუახლოვდება აზადბახთს. რაც ვეზირებში შურის გრძნობას აღძრავს. ერთხელ მთვრალ ბახთიარს ძეგის ოთახში ჩაეძინება. მას მოუსწრებს მეფე და ვეზირთა შესძენის შედეგად კიდევ უფრო დარწმუნებული ღალატში. გადაწყვეტს ბახთიარის სიკვდილით დასჯას. ვეზირები მოიძხრობენ დედოფალსაც. ან სწორედ აქ არის ჩართული ის არაკები. რომელთაც ყოველ დღე, დროის გაყვანის მიზნით, ჰყვება ბახთიარი<sup>13</sup>.

ამრიგად, ვეზირები მხოლოდ მოქმედების განვითარების ბიძკს იძლევიან, როდესაც სათითაოდ მოდიან მეფესთან და თხოვენ ბახთიარის დასჯას. აზადბახთიც ბრძანებს მის გამოყვანას საპატარმროდან და მოკვლას, მაგრამ ბახთიარი მორიგი არაკის მეშვეობით ახერხებს თავის დასხნას<sup>14</sup>. ასე გრძელდება ათი დღე. მოსალოდნელი იყო (და როგორც ზემოთ ვნახეთ. ზოგ ვერსიაში ეს ასეც არის) ათი არაკის არსებობა. მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს ცხრა არაკი. არაკების რიგი არ ექთხვევა თავების რიგს, რადგან პირველი ჩარის (یا شیخوای არაკის) მაგიერობას ასრულებს საკუთრივ ქარავა. ბახთიარისა და აზადბახთის ისტორია. არაკები შემდეგნაირად ნაწილდება ლიტერატურულ ვერსიაში (სათაურები ტექსტისმიერნია):

13 ამ მხრივ იგი თანხვდება „თუთი-ნამეს“, სადაც სწორედ ამავე მიზნით ყვება არაკებს თუთიყუში.

14 ეს მიმენტი არაზუსტად აქვს გადმოცემული ვ. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ხ.: „რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ მას დასწამა ღალატი და სიკვდილი მოუსაჯა, მაგრამ სასჯელი სისრულეში არ მოჰყავდა, ათი ვეზირის საქმეში ჩარევისა და მათი არაკების გამო“ (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 471). სინამდვილეში მეფეს სასჯელი სისრულეში არ მოჰყავდა ბახთიარის არაკების გამო, ვეზირები, პირიქით, აჩქარებდნენ ამ სასჯელს.

I—უბედური დიდვაჭარი.

II—მარგალიტებით მოვაჭრე და მისი შვილები.

III—ბუ-საბირის ამბავი.

IV—ბუ-თამამის ამბავი.

V—ჰალაბის უფლისწულის ამბავი.

VI—მეფე ბეჰარდის ამბავი.

VII—ქალის მზაკვრობა.

VIII—მეფე დადბინის ამბავი.

IX—ჰეჯაზის მეფის ამბავი.

ბოლოს, ფაროსხავარის მეკადინეობით გაირკვევა სიმართლე, მეფე-ღეღოფალი იცნობს საკუთარ შვილს, ბახთიარი გადაჩრება სიკვდილს. აღზევდება, სამეფო გვარგვინს დაიდგამს თავზე...

ასეთია დაყაიყის „ბახთიარ-ნამეს“ მოკლე შინაარსი<sup>15</sup>. მაგრამ აღსანიშნავია და ხაზგასასმელი, რომ შემდგომ საუკუნეებში გავრცელება და პოპულარობა მოიპოვა არა ამ პროზაულმა ვერსიამ. არამედ მისმა ხალხურმა გადამუშავებამ. ამ შემთხვევაში „ბახთიარ-ნამე“, როგორც იტყვა, არ წარმოადგენდა რაიმე გამოჩვეულებას. ეს საკითხი თითქმის შეუწავლელია, ანაღნად ვეცდებით ორიოდ სიტყვით მარცხ შევჩერდეთ მასზე.

„ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსია პირველად ლითოგრაფიული წესით გამოაქვეყნა უილიამ ოუზლიმ 1800 წელს ლონდონში<sup>16</sup>. ხუთი

<sup>15</sup> შესადარებლად მოგვაქვს „ისქანდერ-ნამეში“ დაცული „ბახთიარ-ნამეს“ სიმე:

رئيس حكایت بختيار انشا كرد و آن كه اورا بر سر چشمه بزداند و هم آنجا بگذاشتند و دزدان بدان جایگاه رسیدند و مہتر دزدان اورا برگرفت و پسرورد و خداداد نام نهاد و پس از آن اورا بدزدی بگرفتند و پیش پدرش بردند و پدرش را بروی رحم آمد و اورا بخدمت خویش راه داد و آن کہ وزیران اورا متهم کردند برزن شاه و آن کہ شاه اورا هر روز سیاست خواست فرمود و او حکایتی بگفتی تاروز دهم خلاص یافت و شامرا معلوم گشت کہ بختيار فرزندوی است و اورا باز شناخت. وزیران را بہ دستوی باز داد کہ قصد خون او کرده بودند و او جمله را عفو فرمود و این داستان خورد مفرد کتابی است چه، بہ نظم و چه، بہ نثر و عبارت و بر خاطرہا تداولت اینجا مجعلا نموده شد و همانا کہ این داستان بعد از اسکندر بوده است (198)

<sup>16</sup> این کتاب بختيار نامه بدار الملک لندن درسنه المسيح ۱۸۰۰. (თარბიათს ზემო-დასახელებულ წიგნში მითითებული სქეს 1801 წ.).

წლის შემდეგ (1805 წ.) პარიზში გამოდის მისი ფრანგული თარგმანი, შესრულებული ლესკალიეს მიერ. XIX საუკუნის ფარგლებში ქვეყნდება რამდენიმე ლითოგრაფიული გამოცემა „ბახთიარ-ნამესი“ (მაგ., 1839 წელს ბ. კაზიმირსკისა<sup>17</sup>. გამოცემები უმეტესად იმეორებენ ერთმანეთს მკირეოდენი სტილისტური სხვაობით).

1926 წელს ლენინგრადში ე. ბერტელსმა ბეჭდურად გამოსცა „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსია, დაურთო მას ლექსიკონი და წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნა: «В основу для издания текста мною была положена литография 1294 г. х. (1877), напечатанная в Персии без указания места издания. Текст ее не везде представлялся безукоризненным и требовал исправлений, каковые мною были сделаны по рукописи Азиатского музея А. Н. № 280а, дающей текст этой повести в редакции, очень близкой к упомянутой литографии»<sup>18</sup>. ამრიგად, ბერტელსისეული ტექსტა ერთგვარად კრიტიკული დადგენის ცდას წარმოადგენს (მასში გასწორებულია ლითოგრაფიული გამოცემების რიგი აშკარა ლაფსუსი). მაგრამ არ იქნებოდა სწორი მტკიცება, თითქოს ამ ტექსტით გაიცნო პირველად სამეცნიერო და მკითხველმა საზოგადოებამ „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსია. მან მხოლოდ გააღვივა და გამოაცოცხლა მისადმი ინტერესი. ამის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 1932 წელს ვაჰიდ დასთვერდიმ უცვლელად გადმობეჭდა იგი<sup>19</sup>.

ე. ბერტელსის მიერ გამოცემული ტექსტი წარმოადგენს „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსიის ტიპურ ნიმუშს. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხელნაწერ მასალასთან შედარებით ზოგი დეტალი მასში გამოტოვებულია, ზოგიც შეცვლილია ან შეკვეცილი. მაინც ძირითადად აქ წარმოდგენილია ხალხური დამუშავება იმ სახით.

<sup>17</sup> «اختیار نامه» [Text persian edited by A. de Biberstein Kazimirski]. ტექსტი ძირითადადში მისდევს ოუზლის გამოცემას, მაგრამ გასწორებულია რიგი კორექტურული თუ აზრობლავ-სტილისტური შეცდომები (მაგ. *ملا دود* → *ملا دود* — „მოიტაცა ჩემი გული“; *ملا دود* → *ملا دود* — „მეორე არაქში“). უბედურე დიდვაქარა“ ოუზლისთან უმართებულოდაა ნახმარი მრავლობითი ფორმა *ملا دود* → *ملا دود* „ვაქარმა სიფელს მიიღწიეს“, იგი გაჩნდა მექანიკურად, რადგან ზემოთ ხუთი ვაქრის გადარჩენაზე იყო საუბარი. თავისთავად ეს ხუთი ვაქრის დეტალიც გაუფებარია, ამგვარად კი აღვნიშნავთ, რომ კაზიმირსკისთან გვექვს მხოლოდითი ფორმით *ملا دود* — „მიიღწია“.

<sup>18</sup> Е. Э. Бертельс, Бахтияр-наме, персидский текст и словарь, Л., 1926, предисловие.

<sup>19</sup> ۱۹۳۲ «اختیار نامه...» (არშაღანის“ გამოცემა).

როგორც მან საყოველთაო გავრცელება და პოპულარობა მოიპოვა.

ვიმეორებთ, ის ფაქტი, რომ სხვადასხვაგვარი გამოცემები (ე. წ. „ლუბოკის“ ტაბისა თუ სხვ.) საკმაოდ გვიან, XIX საუკუნიდან ჩნდება, ცხადია, არაფერს ნიშნავს. მათი შესატყვისია ხელნაწერი მასალა გაცრელებით უფრო აღრინდელია (XVI—XVIII სს.). თუმცა არც ეს დაათარილებდა ხალხური ვერსიის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი საკმაოდ ხანდაზმულად გვეჩვენება როგორც დროის, ისე მიმდინარეობის თვალსაზრისით. ამას მეტყველებს შინაარსობლივი მოქმედებები, რომლებშიც საკმაოდ ძველი ელემენტებია შენარჩუნებული.

ხალხური გადამუშავება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ენობრივ-სტილისტურ გამარტივებას. მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ვრცელი პასაჟის ნაცვლად, რომლითაც ლიტერატურულ ვერსიაში აღწერილია მეფე დადბინის სამიჯნურო განცდები, ხალხურ ვერსიაში გვაქვს: „მეფეს შეუყვარდა“<sup>20</sup>. მაგრამ ზოგჯერ მაინც თავს იჩენს ლიტერატურული პროტოტიპისეული მჭერმეტყველება.

სიუჟეტური ქარგა აქ იგივეა, რაც ზემოაღწერილი ლიტერატურული ვერსიისა. ამდენად ჩვენ მას აღარ განვიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რიგი დეტალები ხალხური გადამუშავების სიძველეს მოწმობენ (მაგ., მეფე აზადბახთი წააწყდება ოქრომკედით მორთულ ტახტრევანს — შდრ. „1001 ღამის“ „ათევიზირიანი“; ავაზაკთა რაზმის უფროსის მიერ ბახთიარის გაძიძავება და ა. შ.). გარკვეული ცვლილება განიცადეს ზოგ მოქმედ პირთა სახელებმა (მაგ., ლიტერატურული ვერსიით გვაქვს არაკი მეფე და დ ბ ი ნ ის შესახებ: ე. ბერტელსისეულ ხალხურ დამუშავებაში მას მეფე და დ გ ა რ ი ეწოდება, მაგრამ ზოგი ხელნაწერი თუ ლითოგრაფია კვლავ დადბინს იხსენიებს<sup>21</sup>). ასევე, ზოგი ტექსტი ხალხური ვერსიისა აზადბახთს სისტანის მეფედ იხსენიებს (ოუზლის გამოც.), ზოგი კი — აჯამისა (ლიტერატურული, ბერტელსის გამოც.). ამ განსხვავებებს, როგორც ითქვა, ქვემოთ შევხებით, ამჯერად კი შევიჩერდეთ შიგნართული არაკების თავისებურ განლაგებაზე, რომელიც ახასიათებს ხალხურ ვერსიას (სათაურები ტექსტისმიერნია):

<sup>20</sup> شاه عاشق شد — Бахтиар-нама, стр. 27. (აქაც და ქვემოთ ხალხური ვერსიის ტექსტი ციტირებულია ე. ბერტელსის გამოცემის მიხედვით. მისგან განსხვავებული დეტალების შემკველი ლითოგრაფიები თუ ხელნაწერები ცალკე იქნება მითითებული. პარალელურად ზოგჯერ მივიტანთ დაყიყის ტექსტსაც, რათა უფრო თანადავად გამოჩნდეს სვავსება-განსხვავება ლიტერატურულ და ხალხურ ვერსიებს შორის).

<sup>21</sup> ანის ხალხთა ინსტ-ის ლენინგრადის განყ. ხელნ. P 100/1, C 1839 და სხვ.



- I—უბედური ვაჟრის არაკი.
- II—ჰალაბის ქვეყნის მეფის არაკი.
- III—აბუ საბირის არაკი.
- IV—იემენის მეფის არაკი.
- V—მეფე დაღვარის არაკი.
- VI—ერაყის მეფისა და ჰაბაშის შაჰის არაკი.
- VII—მარგალიტებით მოვაჟრის არაკი.
- VIII—აბუ თამამის არაკი.
- IX—ჰეჯაზის მეფის არაკი.

თუ ამ თანმიმდევრობას შევედარებთ ზემომოტანილ ლიტერატურულ ვერსიაში წარმოდგენილ არაკთა რიგს, მნიშვნელოვან სხვაობას მივიღებთ: არ იცვალეს ადგილი მხოლოდ მეორე (უბედური დიდვაჟარი), მეოთხე (აბუ-საბირი) და მეათე (ჰაში გაზრდილი უფლისწული) არაკებმა, დანარჩენები განსხვავებულადაა განლაგებული. სამაგიეროდ უცვლელია როგორც არაკების რაოდენობა (ორივეგან ცხრა: მეათე, უფრო სწორად. პირველი არაკის როლს აქაც ბახთიარის თავგადასავალი ასრულებს). ისე შედგენილობა (სათურებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს: ჰალაბის ქვეყნის მეფის ამბავი იგივე სულწასული უფლისწულის არაკია, იემენის მეფის არაკი იგივე ყურწარკვეთილი მეფის ამბავია და ა. შ.). განსხვავება არაკებს შორის არ სცილდება ცალკეული დეტალების უარგლებს.

აი ამ „ბახთიარ-ნამეს“ ხალხურ ვერსიას უკავშირდება ქართული „ბახთიარ-ნამეს“ პირველი, ე. წ. ვახტანგისდროინდელი თარგმანი.

## „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური პროზაული ვერსიის ქართული თარგმანი

„ბახთიარ-ნამეს“ პირველი ქართული თარგმანის ტექსტი და-  
ცულია უნიკუმ ხელნაწერში. რომელიც კრებულს წარმოადგენს<sup>1</sup>.  
იგი გამოცემულია ალ. ბარამიძის მიერ, მასვე ეკუთვნის შესავალი  
წერილი „ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის“, რომელშიც გან-  
ხილულია სპარსულ-ქართული ტექსტების ურთიერთობის ძირითადი  
საკითხები<sup>2</sup>. ქართული თარგმანის წყაროს თაობაზე მკვლევარი ას-  
კვნის: „რამდენადაც შინაარსის გათვალისწინებით შეიძლება  
ჩვენ ჩერ კიდევ 1927 წელს გამოვთქვით აზრი, რომ ქართული „ბახ-  
თიარ-ნამეს“ ბერთელსის მიერ გამოცემული სპარსული ხალხური  
ვერსიის თარგმანს უნდა წარმოადგენდესო (რუსულდანიანის ლიტე-  
რატურული წყაროები. თბილ. უნივერს. მოამბე, VIII, გვ. 317; ნარ-  
კვევები ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, 1940, გვ. 102). რო-  
დესაც ხელნაწერი თბილისში გადმოვიდა და უშუალოდ გავეცანი  
თვითონ ტექსტს, ადრევე გამოთქმული მოსაზრება საბოლოოდ და-  
დასტურდა. ახლა დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ „ბახთიარ-  
ნამეს“ ვახტანგისეული ქართული ვერსია წარმოადგენს იმ ხალხუ-  
რი რედაქციულ ტიპის თარგმანს, რომელიც გამოსცა ბერთელსმა“<sup>3</sup>.  
რაც შეეხება თარგმანის ხასიათს, „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ტექ-  
სტი ზედმიწევნით სისრულით მიჰყვება თავის სპარსულ ორიგი-  
ნალს. ზოგჯერ ეს ზედმიწევნითი სისრულე სიტყვასიტყვით თარგმა-  
ნის სიზუსტეს აღწევს“<sup>4</sup>. მაგრამ ამასთან ერთად მკვლევარს არ გა-

1 ხელნაწერი თავდაპირველად დაცული იყო ლენინგრადის საჯარო ბიბლიო-  
თეკაში (Собрание царевича Иоанна № 27), ამჟამად ინახება საქ. მეცნ. აკად.  
ხელნაწერთა ინსტ-ში (A 1787). მისი აღწერილობა იხ. ალ. ბარამიძის ნაშ-  
რონში: „ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსიისათვის“, ლიტ. ძიებანი, I, 1943,  
გვ. 59—61.

2 ლიტ. ძიებანი, IV, 1947, გვ. 129—173.

3 იქვე, გვ. 130.

4 იქვე, გვ. 132.

მორჩენია მხედველობიდან ის გარემოება. რომ რაც შემთხვევაში ქართული თარგმანი გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს ბერტელსისეულ ტექსტთან მიმართებაში. ეს თავისებურება ზოგჯერ ცალკეულ დეტალებს გულისხმობს, ზოგჯერ კი მთელ ეპიზოდებს (მაგ. ფაროხზადას ეპიზოდი). მათრ საფუძველი, მკვლევრის აზრით, სპარსული რედაქციების ნაირსახეობებშია საძიებელი<sup>5</sup>.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა დ. კობიძე: „ქართული ტექსტი, მართალია, ძლიერ ახლო დგას ე. ბერტელსის მიერ გამოცემულ ტექსტთან, ხშირია ცალკეული ადგილების სიტყვა-სიტყვითი დამთხვევებიც, მაგრამ ქართულის ზოგიერთი გადახვევა (თუნდაც ვეზირის ასულის სილამაზის მხატვრული და შედარებით ვრცელი აღწერა, რასაც სპარსულში ვერ ვხვდებით. და სხვა მისთანანი), რაც უეჭველია, მთარგმნელის თვითნებობით არაა გამოწვეული, იმას გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ტექსტს საფუძველად უდევს აღნიშნული გამოცემისაგან მცარედად განსხვავებული ტექსტი“<sup>6</sup>. ეს შედეგები ფიქსირებულია კ. კეკელიძის წიგნში<sup>7</sup>.

აღნიშნული დასკვნები და ვარაუდები საკვებით დადასტურდნენ, როდესაც ჩვენ ქართული თარგმანი შევეუდარეთ არა მარტო ე. ბერტელსის მიერ გამოცემულ ტექსტს, არამედ ხალხური დამუშავების სხვა რედაქციებს, წარმოდგენილებს ამა თუ იმ ლითოგრაფიებისა და ხელნაწერების სახით. დავიწყეთ თავიდან:

1) „ბახთიარ-ნამეს“ ბერტელსისეული ტექსტი იწყება უწუალოდ, ყოველგვარი შესავლის გარეშე: „გადმოგვცემენ. რომ იყო ერთი მეფე აჟამის სამეფოში, მფლობელი გვირგვინისა, ტახტისა და ალამისა, სახელად აზადბახთი“...<sup>8</sup>.

ქართულ თარგმანში სათაურის შემდეგ გვაქვს ერთგვარი წინასიტყვა და სარჩევი: „ესე წიგნი პირველად მეფეთა ანბავი ბრძენთა ამისთვის უთქვამთ ესე ათნი არაკნი და ფილოსოფოსნიც ემოწმებიან მათგან თქმულის ყურის მიპყრობასა, და ამას იტყვიან: თუცა კაცსა ამო საუბარი უყვარს, ავისა და კარგისა მეცნიერი შეიქნების. საქმესა არ აუჩქარდების, გულსა დასაუბ. და ჰინჯვასა დაუწყებს, შავი არ წაეკიდების.

<sup>5</sup> აღ. ბარამიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 136.

<sup>6</sup> დ. კობიძე, „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, გვ. 235.

<sup>7</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 472 (ოლონდ განსხვავებად ე. ბერტელსის ტექსტთან შედარებით აქ მიჩნეულია არაკთა რიგის სხვაგვარობა, მაშინ როცა არაკების რიგი ქართულ თარგმანში იდენტურია მისი).

<sup>8</sup> آورده اند که ملکی بود در ملک عجم خداوند تاج و تخت و علم نام او آزادبخت بود (1)

ქ. კარი პირველი ბახთიარისა, თუ რა წაეკიდა.

მეორე. არაკი ბედ-გარდაბრუნებულის ვაჰრისა, თუ რა გარდახდა.

არაკი მესამე, ჰალაბის კელმწიფის შვილის აჩქარებით საქმის მოხდენა.

არაკი აბუსპორის, მეოთხე.

მეხუთე, არაკი იამანეთის კელმწიფისა.

მეექვსე, არაკი ქამუგარის ქალს თავს გარდამხდარი.

არაკი მეშვიდე, ქალის განხრწნა.

მერვე, არაკი თვალის გამსყიდველისა.

მეცხრე, არაკი აბუთამამის თავს-გარდასავალი.

მეათე, არაკი ჰეჯაზ კელმწიფისა საქმის მოხდენისა<sup>9</sup>.

მხოლოდ ამის მერე იწყება საკუთრივ ამბავი: „აჯამისა ქვეყანასა იყო კელმწიფე აზადბაბთ<sup>10</sup>, ტახტისა და გვირგვინისა პატრონი და კელმწიფობისა შესაფერი“.

აღნიშნული შესავლის დაკვირვებული შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი მთარგმნელის თავისებურებად ვერ ჩაითვლება. ჯერ ერთი, აქ წარმოდგენილი სარჩევი საგრძნობლად განსხვავდება თვით ტექსტში მოთავსებული არაკების სათაურებისაგან (მაგ., სარჩევშია: „არაკი ბედ-გარდაბრუნებულის ვაჰრისა, თუ რა გარდახდა“, ხოლო ტექსტშია: „უბედურის ვაჰრის თავს გარდასული“. სარჩევშია: „არაკი აბუსპორის, მეოთხე“, ტექსტშია: „აბუსფარის ფიქრის მოხდენისა“ და ა. შ.). ჩანს, ეს განსხვავება ორიგინალისმიერია. მეორე, ზოგან აშკარად შეიმჩნევა სპარსიზმის კვალი (მაგ., ბედ-გარდაბრუნებული, კალკია სპარსული გამოთქმისა „ბარ თაფთე ბახთ“ — ბედ-შებრუნებული, შეტრიალებული ანუ უბედური).

მართლაც, ერთ-ერთ სპარსულ ნუსხაში, რომელსაც დაუცადეს „ბახთიარ ნამეს“ ხალხური ვერსიის ოდნავ განსხვავებული რედაქცია, აღმოჩნდა როგორც მცირე წინასიტყვა, ისე მთელი სარჩევი: „ხოლო შემდგომად იცოდე, რომ ეს წიგნი შეუდგენიათ ათ კარად, რათა გონიერებმა ამ ათ კარში სიბრძნე ჰპოვონ. კარი პირველი — ამბავი ბახთიარისა და მიზეზი უბედურებისა: კარი მეორე — ამბავი ბედ-უკუღმართი ვაჰრისა: კარი მესამე — ჰალაბის მეფის ამბავი:

<sup>9</sup> აქაც და ქვემოთ ქართული თარგმანის ტექსტი მოგვყავს ჩვენი გამოცემის მიხედვით (იხ. ქვ.).

<sup>10</sup> გამოცემაში, ისევე, როგორც ხელნაწერში, იკითხება აზ და ბახთი, რაც გადამწერის ლაფსუსი უნდა იყოს. აქვე გვხვდება ეს სახელი ფორმით აზადა ბახთი, რაც ა-შეტობის შედეგს წარმოადგენს. ჩვენ აღვადგინეთ სწორი ფორმა — აზადბახთი (იხ. ქვემოთ, ტექსტისათვის).

კარი მეოთხე — აბუ-საბირის ამბავი: კარი მეხუთე — იემენის მეფის ამბავი: კარი მეექვსე — ქამგარის ასულის ამბავი: კარი მეშვიდე — ქალთა ცბიერების ამბავი: კარი მერვე — მარგალიტებით მოვაჭრის ამბავი: კარი მეცხრე — აბუ თამამისა და მისი თავგადასავლის ამბავი: კარი მეათე — ჰეჯაზის მეფისა და მისი თავგადასავლის ამბავი<sup>11</sup>.

შედარება ცხადყოფს ქართული თარგმანის ამ „თავისებურების“ (ე. ბერტელსის ტექსტთან შედარებით) საღაურობას. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ არაკების დასათაურების მხრივაც ხელნაწერი გაცილებით უფრო ახლოს დგას ქართულ თარგმანთან. ასე მაგალითად, მეხუთე არაკი თარგმანში იწოდება — „არაკი ქამუგარის ქალის თავს გარდამხდარი“. ქამუგარი, უფრო სწორად, ქამგარი ვეზირის სახელია<sup>12</sup>. ასევე იწოდება ეს არაკი ხელნაწერშიც — „ქამგარის ასულის ამბავი“, მაშინ როცა ბერტელსისეულ ტექსტში გვაქვს — „მეფე დადგარის ამბავი“ (შდრ. ლატერატურული ვერსიისა „მეფე დადბინის ამბავი“). ანდა, მეშვიდე არაკის სათაურია ე. ბერტელსის ტექსტის მიხედვით — „ერაყის მეფისა და ჰაბაშის შაჰის არაკი“. ქართულ თარგმანშია „არაკი ქალის განხრწნისა“, რასაც შეესატყვისება ხელნაწერის — „ქალთა ცბიერების ამბავი“.

2) ქართული თარგმანის მიხედვით, მეფე აზადბახთს „ჰყევა ვეზირი კარგი და ჰაბუჯობისა სახელისა მძებნელი და მის თემთა შინა

<sup>11</sup> ლენინგრ. აზიის ხალხთა ინსტ. ხელნ. C 1839:

اما بعدداتکه این کتاب را تصنیف کرده اند بر ده باب تا عاقلانرا درین ده باب حکمتها حاصل شود باب اول در داستان بختیار و سبب نزول باب دوم در داستان بازرگان بر گشته بخت باب سیم در داستان پادشاه حلب باب چهارم در داستان ابوصابر باب پنجم در داستان ملک یمن باب ششم در داستان دختر کامکار باب هفتم در داستان مکر زنان باب هشتم در داستان جوهر فروش و احوالات او باب نهم در داستان ابوتمام و احوال او باب دهم در داستان پادشاه حجاز و احوال او...

ეს უთუოდ ნაშთია დაყაიყის ვერსიაში არსებული ვრცელი შესავლისა და სარჩევისა (გვ. 312).

<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ საკუთრივ არაკში ვეზირი იხსენიება ქაღარად. მაშინ როცა სპარსულში (ხალხურ ვერსიაში) ქამგარია. საიდან გაჩნდა ქაღარი? მთარგმნელისა თუ გადამწერის ლაფსუსია? ან იქნებ არსებობდა რომელიმე სპარსულ რედაქციაში. საინტერესოა, რომ ოუზლის ლითოგრაფიაში ერთგან შეცდომით ქარდარის ნაცვლად ქაღარი იკითხება (იხ. დ. კობიძე, დასახ. ნაშრ., 240), უღურულში კი — ქურდარი (კორდარი).

კამოჩენილი, რომე ესრედ იტყვიან, მისისა ჯლმისა შიშითა მზეც ალარ გამოჩნდის, თუ იგ გასწყრისო. ჰყვა და უყვარდა ჯელმწიფესა და დიდთა და მცირეთა ზედან უფროსად დადგინებული და ჰქონდა სპასალარობა და სახელად ერქვა მოაბარ. ჰყვა მას ასული ერთი. ქება არვისგან ითქმის ამისგან კიდე. თუც დღე იყვის. ამას იტყოდო. ცასა მზე ალარ აკრავს, ეს არს მუნით გარდმოქრალიო. და თუ ღამე იყვის, ეგრევე მთვარის ცილება ქონდას. როგორადაცა ორნი მნათობი ერთი მეორესა დაუპირდაპირდეს და ერთმან მეორესა ნათელი დაუკარგოს, აგრევე ესე ვეზირისა ასული, რომელსაცა დაუპირდაპირის, აჰანაცა წაულის ნათელი მზესა თუ მთოვარესა, და შუქან მოფენასა ვედარ იკადრებდენ<sup>13</sup>. აქ რამდენიმე მომენცია საყურადღებო: ჯერ ერთი, ვეზირი და სპასალარი ერთი პირია, მიჩქმალულია ათი ვეზირის დეტალი, რომელნიც შემდეგ გამოჩნდებიან; მეორე. მოცემულია სახელი ვეზირ-სპასალარისა — მოაბარ; მესამე, გვაქვს ვეზირის ასულას აღწერა<sup>13</sup>. ვერცერთ მათგანს ვერ ვხვდებით ებერტელსის რედაქციაში: „და ჰყავდა ათი ვეზირი და ერთი სპასალარი და მას ერთი ასული ჰყავდა სილამაზის პატრონი“<sup>14</sup>. ესაა და ეს. მაგრამ ქართულ თარგმანში დაცული დეტალების წყაროს „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსიის სხვა რედაქციები არკვევენ, თუმცა ქართულის ზუსტი შესატყვისის დაძებნა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ზემოაღნიშნულ ხელნაწერში იკითხება: „ერთი ვეზირი ჰყავდა გონური და სპასალარი შეუდარებელი. სპასალარის ხმლის შიშით ზღვაში ნიანგი დამფრთხალიყო. და მას ერთი ასული ჰყავდა ისეთი ლამაზი, რომ ბრწყინვალე მზეს უპირდაპირდებოდა (უსწორდებოდა)...“<sup>15</sup>. აქ თუმცა ძნელია ითქვას, ერთ პირად იგულისხმება ვეზირი და სპასალარი, თუ არა, მაგრამ, ყოველშემთხვევაში, არსად ჩანს ათი ვეზირის არსებობა (ისინი შემდეგ ჩნდებიან): ქართულ თარგ.

<sup>13</sup> ამ მესამე დეტალს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყურადღება მიიქცია დ. კობიძემ (დასახ. ნაშრ., გვ. 235).

<sup>14</sup> *وده وزیر داشت و یک سپهسالار و اورا دختری بود صاحب جمال... (1)*

ასევე ათ ვეზირსა და ერთ სპასალარს ასახელებს დაყაიყი, ოღონდ ვრცლად ახასიათებს მათ (გვ. 15).

<sup>15</sup> *وزیری داشت با تدبیر و سپهسالاری بی نظیر از بیم تیغ سپهسالار نهنگرا در دریا بیم بوده و اورا دختری بود با جمال که با افتاب تابان برابری نمودی... (C 1839)*

მანს ეხმაურება სპასალარის ხმლის სიძლიერე და ასულის მზესთან თანასწორობის მომენტი. კიდევ უფრო მეტს იძლევა ამ მხრივ ერთ-ერთი ლითოგრაფიულად გამოცემული რედაქცია:<sup>16</sup> „ამ მეფეს ერთი სპასალარი ჰყავდა, მეტად მამაცი, მისი ვეზირი იყო და ხანჯლის მატარებელი ლომებზე ნადირობისას: მისი ხმლის შიშით მთვარე ღრუბელს ეფარებოდა. და ამ სპასალარს ერთი ასული ჰყავდა, სიშვენიერითა და სილამაზით ისეთი, რომ მისი სახე ნათელ მზეს ექიშპებოდა და მისი მუშქის ზილფი ბნელ ღამეზე უშავესი იყო“<sup>17</sup>. ვეფქრობთ, ნათელია, როგორ ესიტყვებიან ერთმანეთს „მისისა ჳლმისა შიშითა მზეც აღარ გამოჩნდის, თუ იგ გასწყურისო“. და „მისი ხმლის შიშით მთვარე ღრუბელს ეფარებოდა“ ან: — „ესე ვეზირისა ასული, რომელსაცა დაუპირდაპირის, ამანაცა წაუღის ნათელი მზესა თუ მთოვარესა“ და „ისი სახე ნათელ მზეს ექიშპებოდა“<sup>18</sup>.

3) ზოგჯერ ქართული თარგმანი უფრო ლაკონიურია ე. ბერტელსის ტექსტთან შედარებით. მაგრამ ვერც ამ დეტალების შემცირებას ავსხსნით მთარგმნელის თავისებურებით. მაგალითად. მეორე კარის პირველ არაკვი აღწერილია უბედური დიდვაჭრის იმედის გაცრუება პურის გაძვირებასთან დაკავშირებით. მან შეისყრდა დიდ.

<sup>16</sup> ო. უ. ლის „ლითოგრაფიით „მეფეს ერთი ვეზირი ჰყავდა სახელად სპასალარი“ (پادشاهرا وزیرى بود نام آن سپسالار).

<sup>17</sup> 1847: لیتوگრა. بهختيار ناه.

این پادشاهرا سپه سالاری بود بغایت شجاع و زبردست و خنجرگذار شیر شکارگه از بیم تیغ او ماه در بیخ رفتی و این سپه سالار را دختری بود با حسن و جمال چنانچه رخساره او رشک آفتاب تابان بود و زلف مشکینش سیاه تر از ظلمت شب...  
از بریق تیغ او ماه در میع شدی (14).

18 საყურადღებოა ამ მხრივ ტაშვენტური ნუსხის (N 5526):  
سپه سالاری بود مبارز معرکه میدان پادشاه آزاده بخت از سپه سالار ابای بیحد مینمود و از هیبت تیغ آن سپه سالار همیشه چون برگ بید لرزان و هراسان میبوده اما آن سپه سالار را دختری بود در پس پرده عصمت صاحب جمال که آفتاب از خجالت حسن آن دختر در غلاف متواری نا پدید میگشت شهره آفاق بخوبی طاق و دریکانه آفاق خورشید روی سنبل سوی غالیه بوی شمشاد قدی بوده...

ქალის სილამაზის აღწერის გარდა სინტერესოა, ხომ არ შეიძლება ქართულ ევრსიაში შემორჩენილი სახელი „მოაბარ“ ამ „მობარებს“ დაუკავშირდეს? (ეს „მობარები“ დაეაიყის ტექსტიდან მოდის).

ზოგჯერ პურის მარცვლისა და საწყობებში გადაინახა. მაგრამ ვადაპყიდევლს ბიძმა არ გაუმართლა: „ბედად იმ წელს დიდი წვიმა მოვიდა და ამბარში წყალი ჩავიდა. მარცვალი დასველდა და დაჰიანდა. ცუდი სუნი აუვიდა და ხალხი მისმა სუნმა შეაწუხა: ვაჰარს წარმოჰადვენელი მიუგზავნეს, რათა ამბარი გაწმინდა, გარეთ გამოჰყარეს...“<sup>19</sup> ქართულ ტექსტში არა გვაქვს არც მარცვლის დაღობა. არც მისი სუნით ხალხის შეწუხება და ამბრის დაცლა. აქ უზრალოდ ნათქვამია: „იმ ზამთარ ავი ზამთარი მოვიდა, ბელელო წყალი ჩაუვიდა. დაექვა და სულ წაუხდა...“ ზუსტად ასევეა გამოცემული ეს დეტალი ზემოაღნიშნულ ლითოგრაფიაში: „როდესაც ზამთარი მოვიდა, დიდად გაწვიმდა და წყალი ამბარში ჩავიდა და ხორბალი სულ გაუფუჭდა“<sup>20</sup>. ყურადღებას იქცევს ისეთი ნათესური თანხვედრა, როგორცაა „წელიწადის“ ნაცვლად „ზამთარი“ ორივეგან.

4) ანალოგიურია შემდეგი მაგალითი ამავე არაკიდან: უბედურ ვაჰარს მყვინთავეებმა ექვსი მარგალიტი აჩუქეს: „წავიდა ვაჰარი მხიარულად, გულთა შინა თქვა: ნუთუ მეკობრენი დამხვდენ და წამიღონ. სამიოდენ ტანსაცმელში დამალა და სამი პირთა შინა შეინახა“. ე. ბერტელსის მიერ გამოცემული ტექსტი აშკარად დეჟექტურია, აკლია შინაარსისთვის აუცილებელი მომენტი ტანისამოსში მარგალიტების დამალვისა. იქ ნათქვამია მხოლოდ: „ვაჰარმა შიშით სამი მარცვალი მარგალიტი პირში დამალა“. მაგრამ როგორც ზოგ ლითოგრაფიაში, ისე ხელნაწერებში იგი ადგილზეა: „თავის თავს უთხრა: „ამ სამი მარცვალ მარგალიტს პირში დავმალავ და მეორე სამს — ტანსაცმელში“<sup>21</sup>.

5) აბუ-საბირის (ქართულ თარგმანში აბუსთარი) არაკში გვხვდება ასეთი ეპიზოდი: მამას მეკობრე ორ შვილს მოსტაცებს და გაყიდის მონებად. ძმებმა ვაჰარს არ ემორჩილებიან. ვაჰარი მათ მე-

19 قضا را آن سال باران بسیار بارید و در آنبار آب در آمده غله تر شد و کرم در او افتاد و بوی بد پیدا کرد و مردم از بوی او نفرت میکردند بازارگاران باز داشتند تا انبار را پاک نموده بیرون ریختند (9)  
چون زمستان در آمد باران بسیار بارید و آب در آنبار رفت و تمام غله خسارت شده بود (ლითოგრა., 1847).

20 با خود گفت این سه دانه مروارید را در دهان نهان و سه دیگر را در جامه پنهان کنم (P 100/1).

დაკავშირებულ ეს დეტალი ოდნავ განსხვავებულია: იქ ჯერ ექვსივე მარგალიტი პირში ჩაიდო, შემდეგ ორი გამოიღო და ჭიბეში შეინახა (გვ. 113).



ფესთან მიიყვანს და შესჩივლებს. მეფე (ეს თვით აბუ საბირია) გა-  
 ესაუბრება მათ. ე. ბერტელსის ტექსტში ორი სიტყვითაა წარმოღ-  
 გნილი ეს დიალოგი: „ჰკითხა: — თქვენ რას იტყვით. ვაჟებმა ტი-  
 რალი დაიწყეს. ჰკითხა: — რა გქვიათ. უპასუხეს: — მავანი ძე მავა-  
 ნისა“<sup>22</sup>. ქართულ თარგმანში დიალოგი გაცილებით ვრცელია: „...მათ  
 უბძანა: — ყმაწვილნო, ამას რასთჳის უბნობთ, რომენ აზატნი  
 ვართ, კაცს ჩვენთან კელი არა აქს? მან რათ უძმათ ეგრე მოახ-  
 სენეს: მამაჩვენი და დედაჩვენი მისისა ლაქვიდროსა მამულსა ვედარ  
 დადგენენ, ჩვენ ორნივე ძმანი თან გვიახლეს და სხვასა ალაგსა მწი-  
 რობად წავედით და ესე მეკობრე დაგვხვდა. სხვა ქონება არა გვაქ-  
 და რა და ჩვენ ორნივე ძმანი წაგვასხეს და გაგვყიდეს. ჳელმწიფემან  
 სახელი ჰკითხა. მათ მათი სახელი მოახსენეს“. მთლიან ვრცელი  
 დიალოგი ანალოგიურადაა წარმოდგენილი ზემოხსენებულ ხელნა-  
 წერში, ამასთან დამთხვევა გვაქვს ლექსიკურიც კი: „აბუ საბირმა  
 ჰკითხა: — თქვენ რატომ ამბობთ, რომ ჩვენ აზატნი ვართ და მო-  
 ნები არა ვართ. მათ უპასუხეს: — ჩვენ ერთხელ დედ-მამასთან ერ-  
 თად ჩვენი ქვეყნიდან წამოვედით: ამ კაცებმა მშობლებს მოგვტა-  
 ცეს. გზას გაგვიყენეს“...<sup>23</sup>.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ თარგმანს დაუცავს ამ არაქის  
 ქვესათაურები (ქ. აბუსთარისაგან შვილების პოვნა: ქ. აბუსთარისა-  
 გან ცოლის პოვნა), რაც არ იცის არა თუ ბერტელსისეულმა ტექს-  
 ტმა, არამედ არ გვხვდება სხვა ჩვენს ხელთ არსებულ რედაქციებში.  
 მაგრამ იგი უდაოდ ორიგინალისმიერა ჩანს.

6) როგორც ვნახეთ, ქართულ თარგმანში არსებული ზედმეტი  
 დეტალები ე. ბერტელსის ტექსტთან შედარებით დასტურდება „ბახ-  
 თიარ-ნამეს“ ხალხური ვერსიის სხვა რედაქციებში. ზოგჯერ იგივე  
 ითქმის არა დეტალების, არამედ მთელი ეპიზოდების შესახებ. ასე-  
 თია, მაგალათად, ფაროხზადას ეპიზოდი<sup>24</sup>.

მეშვიდე კარში მოთხრობილია ჰაბაშთა ხელმწიფის მიერ ერა-  
 ყის მეფის ასულის სიყვარულისა და ცოლად შერთვის ამბავი: „მაგ-

გفت شما چه ميگوئيد پسران گريان شدند گفت نامهاي شما  
 چيست گفتند فلان بن فلان (21).

ابو صابر گفت شما چرا ميگوئيد كه ما آزاديم و غلام نيستيم  
 ايشان گفتند كه ما وقتي همراه پدر و مادر خود از ولايت خود بدر  
 آمديم اين دو شخص مارا از مادر و پدر بستانند و بدر بردند (C 1839)  
 დაყაიყისთან ეს დიალოგი სულ არა გვაქვს (გვ. 111).

<sup>24</sup> იგი საგანგებოდ აქვთ გამოყოფილი ე. ბერტელსის (დასახ. ნაშრ., გვ. 259) და ალ. ბარამიძის (დასახ. ნაშრომი, გვ. 134).

რამ მასზე უფრო ადრე ქალი სხვა ქმარზე იყო გათხოვილი და მაი- შორის საქმე დასრულებულიყო და ქალს იმ ქმრისგან ერთი ვაჟი ჰყავდა. შექთხვევით ეს ამბავი შეიტყო ჰაბაშის შაჰმა, გული მოუ- ვიდა. ბრძანა. რათა ის ვაჟი მოეკლათ და მას შემდეგ ქალს ხმას არ სცემდა“<sup>25</sup>.

ამჟამად შემოკლებით გადმოცემული ამ რამდენიმე ფრაზის ნაცვლად ქართულ თარგმანში წარმოდგენილია ვრცელი ეპიზოდი. მოელი ისტორია ამ ვაჟისა: „თურე მას ქალსა სხვა ქმარიცა ყოლო- და. და მისგან ვაჟი დარჩომოდა. და ქმარი მოჰკდომოდა. რა არაყისა ჯელმწიფემან თავისი ქალი აბაშთა ჯელმწიფესა მისცა, მისდა ნაც- ვლად მის ვაჟს შემზეროდა და ქალის უნახაობას მისის ჭრეტით იქარვებდა. მას ქალსაც შვილის უნახაობით სიცოცხლე ემწარებოდა და ამას უბნობდა: რის მიზეზითა მოვახდინო იმისი აქ მოყვანაო? დღევ და ღამ საგონებლად ესე ჰქონდა.

ჯელმწიფე შევიდა. თამაშობა დაუწყო და უთხრა: თუცა ერთი ღლე კიდევ გამოსულიყო და მამაშენს შენი თავი ჩემთვის არ მოე- ცა, მის თემსა სრულად ავაოხრებდიო. ქალმან მოახსენა: მამაჩემს ერთი მონა ჰყავს, არას მეპატრონეს მისთანა არა ჰყოლია რა და არც ეყოლებისო, ყოვლის ზნითა სრული, მეომარი უებრო, მზესა ეგეთა კამკამება არა აქს და მთვარე მისგან ნათელს ითხოვს. ეგეთი ქება მოახსენა. ესე ათქმევინა: თვით მე წავალ და მას აქ მოვიყვან. კლავ უბძანა: ნუთუ გაყიდოს, ეგეთსა რას მეტყვი!?, რომენ არ მიუძღნა. ქალმან მოახსენა: მამაჩემი წამს უმისოდ ვერ გასძლებს და თუცა მისი ნახვა გწადიან, ერთი ვაჟი- რი გაგზავნე და მოტყუებით მოიყვანს.

ჯელმწიფეს მოეწონა და ერთი კარგად მცდელი კაცი გაგზავნა არაყისაჲც, მის მონისა ნიშანი და სახელი დაავედრეს. სა- ხელად ფაროხზად აჰქვიანო. კაცი იგი მივიდა, არაყისა ჯელმწი- ფე ნახა, ძღვენი შესძღნა. ჯელმწიფემ მოიკითხა. ფაროხზადან შე- ხედა, დავედრებული ნიშნები იცნა, დიდის ცდით ეცადა და ფარო- ხზადან მუსაიბობა დაუწყო. მუდამ აბაშეთის ქებას ეუბნებო- და. და მას საუბარში უთხრა: თუცა შენისთანა კაცი მუნ იყოს, აბაშნი მას იმეფებენ. ფაროხზადამ თქვა: აღრიდგანვე მასმია მუნე-

---

25 اما پیش از آن دختر را بشوهر دیگر داده بودند و عملی در میان ایشان واقع شده بود و دختر از آن شوهر پسری آورده بود از قضا شاه حبش از آن ماجرا خبر یافت بد دل شده فرمود تا آن پسرا بکشند و بعد از آن با دختر هم حرف نمیزد (33).

ბური ქებაო. ამა ჯელმწიფისა ქალი მუნ არის და თუ წავილოდე. დიდსა წყალობასა ვიშოვნო. მაგრამ ვინ იქნება ეგეთი კაცი, მე ჩემ წამიყვანოს? მან უთხრა: თუ შენც გნებავს, ასრე წაიყვან, სულიერ-მა ვერა სცნას. ფაროხზადამ უთხრა. შენ თუ ეგე მყოფი, ნუ ექ. სი-კეთისა პასუხი ვერ შემოგზლო. ესე პირი შეერეს.

რა ჯელმწიფემან დაიძინა, ფაროხზადა მას კაცთან მოვიდა. მან კაცმა ზ ა ნ დ უ კ შ ი ჩასვა. აქლემს აკურდა. მასვე წამს გაემართა.

მეორეს დღეს არაყისა ჯელმწიფემ ფაროხზადა ველარ ნახა. ყოვლგნით კაცი გაგზავნა და ვერა სცნა რა.

მან კაცმან ფაროხზადა თავისსა ჯელმწიფესა მიგვარა. ჯელმწიფემ ფაროხზადა ნახა. ქალის ქებასა მატობდა. მას ჯელმწიფესა შეილი არ ესვა. შეილად დაიპირა და საჯელმწიფოსა ტანსაცმელით შემოსა. ოქროს აკაზმულობით ცხენი მისცა და არამ-შოგან გაგზავნა. მან ქალმან თავისი შეილი ნახა. სიხარულით ტირო-და და ღმერთსა მადლსა აძღვედა და ესე ვერავის უთხრა თუ ფა-როხზადა ჩემი შეილი არისო.

ჯელმწიფე სანადიროდ გავრდა. არამში ხალვათობა შეიქნა. ქალ-მან შუალი მარტო დაიხელა, სურვილისაგან წინ აღარ დაიხედა, შეილს მოეხვია. თავსა და პირსა ჰკოცნიდა. საკურსმან ვინმე დაი-ნახა. მუქარა დასთხოვა.

რა ჯელმწიფე მობძანდა, საკურსმან მოახსენა: დღესა ბანოვან-თა თავადი არაყიდან მოყვანილს მონასთან იჯდა და ჰკოცნიდა. ჯელ-მწიფე შეწუხდა და თქვა: თურე მუნვე ჰყვარებია და მისთვის მი-ქებდაო. ჯელმწიფემ ფაროხზადას უბძანა: ნუთუ არ ირცხვნიდე, ჩე-მსა არამში ავის ქცევითა იარები?! ფაროხზადამ არა თქვა რა: ეგების დედაჩემმან მოახსენოს, ჩემი შეილი არისო. და მას უკანით ქალს უბძანა. ეს რად მიყაო. არცა რა მან ქალმან უპასუხა. თვალთა ცრემ-ლი მოერიო. მეხლმეს უბძანა: მონა ესე გაიყვანეთ ქალაქს გარე და თავი მოჰკვეთეთო.

მეხლმემ მას მონას ჯელი სტაცა და გამოიყვანა. სწადდა თავი მოეკვეთა, შეებრალა და თქვა: ცოდვა არ იქნების, ესეთი ჰაბუჯი დიაცისა გულისათვის წახდეს. მონასა უთხრა: ნუ იშოშვი, არას გავ-ნებ. ფაროხზადამ ჯელს აკოცა და უთხრა: რასაც ჩემთვის გააგებ, მაგიერსა ღმერთი შემოგზლავს. აწე თუ დავრჩი. ღმრთით დიდებას მივხდები და კეთილისა ნაცლად კეთილი შენცა დაგხდების სადმე-მე ბევრსა ვერას გეტყვი.

მან იასაულმა იგი მონა თავისსა წაიყვანა და თვით ჯელმწიფეს-თან მივიდა, მოკლა მოახსენა. ჯელმწიფეს ეწყინა. დედოფალს ა რ ა ს ე ტ ყ ო დ ი ს და ა რ ც - პ ი რ ს უ ჩ ვ ე ნ ე ბ დ ი ს ..

შედარებიდან ჩანს, რომ ბერტელსისეულ ტექსტში ორი სიტყვითაა დაცული ამ ეპიზოდის ძირითადი მარცვლი. ბოლო ფრაზებზე დაპოხვევა მოწმობს მათს ურთიერთკავშირს, იმას, რომ ქართულ თარგმანს დაუცავს ეს ეპიზოდი თავისი პარვანდელი სისრულით. სავსებით სავარაუდოა, რომ ასევე ალ. ბარამიძე: „ეჭვი არაა, რომ ქართულ „ბახთიარ-ნამეს“ შემონახული აქვს ამ თხზულების სპარსული ორიგინალის საყურადღებო ნაწყვეტი. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ბერტელსის გამოცემა არ იცნობს უფლისწულის სახელს (ფაროხზადას)“<sup>26</sup>. ეს მოსაზრება სავსებით დაადასტურა შემოთ არაერთგზის ციტირებულმა სპარსულმა ხელნაწერმა, რომელსაც, ჩანს, გაცლებით უფრო ადრინდელი რედაქცია დაუცავს ხალხური „ბახთიარ-ნამესი“, ვიდრე ე. ბერტელსის ტექსტს. აქ ვკითხულობთ მთელს ამ ეპიზოდს აღნიშნული დეტალებითა და საკუთარი სახელით. მოვიტანთ მის დასაწყისს:

„...ერთი სიტყვით, ერთ დღეა ჰაბაშთა მეფე ასულთან ერთად განისვენებდა. ქალმა უთხრა: — ჰე მეფეო. მე ერთი მონა მყავს... მისა მსგავსი არ შექმნილა არავინ..., ულამაზესი. მეფემ უპასუხა: — თუ მამაშენი მაგ მონას გაყიდის, რა ფასიც უნდა, გაუვგზავნიო. ქალმა მიუგო: — იგი მეტად უყვარს და არ გაყიდის: ერთ საათსაც ვერ გაძლებს უმისოდ, მოკვდება. იქნებ ვინმე ვაჭარი მიგუგზავნოთ და ქურდულად მოიტაცოსო. მეფე ამას დათანხმდა. აბაშთა ხელმწიფეს ერთი საქმის მცოდნე ნადირი (დაახლოებული კარისკაცი) ჰყავდა, ის მოიძია და აუხსნა ვითარება: უბრალოა, თუ იმ მონას ნომგვრი, ქვეყნად უმდიდრეს კაცად შექმნიო. ერთი სიტყვით, ნადირმა მონის სახელი იკითხა... იმ ვაჟს სახელად ფაროხზადი ერქვა... ვაჭრულის იერით ერაყისკენ გაეშურა. როცა იმ ქვეყანას მიაღწია, ერაყის მეფე ვერ იხილა, ცოტა ხანს იმ ქალში დაჰყო და მონას დაუმეგობრდა (სიტყვასიტყვით: „მუსაიბათი ჰქონდა“)“...“ ვაჭრად მიგზავნილი დაარწმუნებს ფაროხზადს. ჰაბაშის მეფის კარზე აღზევდებიო, ამასთან, აქედან ისე წაგყვან, ვერავითარი სულიერი ვერ შეიტყობსო. მართლაც, იგი მიჰგვრის ჰაბაშსა და მის ცოლს. ერთხელ დედოფალს შეუსწრებენ, შვილს რომ ეხვეოდა და ა. შ. მთელი ეპიზოდი ქართული თარგმანის იდენტურია, რასაც ხაზგასმული სიტყვა-სიტყვითი დამთხვევებიც ადასტურებენ<sup>27</sup>.

<sup>26</sup> ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

<sup>27</sup> القصة روزی ملک حبشه با دختر نشسته بود دختر گفت ای پادشاه نماز یک غلامی است که... مثل وی نیا فرید... و صاحب جمالت

7) მოვიტანთ ამავე ტიპის კიდევ ერთ მკაფიო მაგალითს: მეექვსე კარში მოთხრობილია ქამგარის (resp. ქადარის) ასულის ავბავი. ერთგან ბოროტი ვეზირი ქარდარი აღუწერს მეფეს მის სილამაზეს. ეს დეტალი ამგვარადაა წარმოდგენილი ქართულ თარგმანში: „ველმწიფემან ვეზირს უბძანა: მე რომ ნადირობას გაველ, მოქალაქენი რას შვრებოდენ უჩემოთ და ანუ შენ რა ნახე? ქარდარ ვეზირმან მოახსენა: — ერთი ქალი ვნახე, მისი ქება ჩემის ენასაგან ძნე-

پادشاه گفت اگر پدر تو غلام را میفروشد هر قدر مال که خواهد بفرستم دختر گفت اورا بسیار دوست دارد و نمی فروشد اگر یک ساعت اورا نبیند هلاک می شود شاید که بازرگانی را بفرستیم که ان غلام را دزدیده بیارد پس پادشاه قبول نمود و شاه حبشی را ندیمی بود کاردان اورا طلب کرد و این سخن با او بگفت و فرمود که اگر آن غلام را بیاری ترا از مال دنیا توانگر کردام انقصه ندیم نام غلام را پرسید... و این پسر را فرخ زاد نام بود و برسم تجارت روی بعراق نهاد چون بان ولایت رسید پادشاه عراق را ندید مدتی در آن شهر بود و با غلام طرح مصاحبت انداخت... (C 1839).

ვრცლადაა წარმოდგენილი ეს ეპიზოდი დაყაიყის ევრსიაში (ოლონდ არსად ჩანს სახელი ფაროხზადი). აქ ვხვდებით ისეთ დეტალებსაც, რომელნიც არ ჩანან უმრავლეს ხალხურ ევრსიებში. მაგრამ ასახელან ქართულ თარგმანში. მაგალითად, ევკრის მიერ ფაროხზადს ეპოპარება: *بازارگان صندوقی ساخت و*

*تاخت و تاراج می نمودند در آنجا* ჩანს, აქ ლექსს აქვია, მასვე წამს გაეშარათა. ზეჯერ სერხუება ქართულის ბუნდოვანი ადგილებისათვის პარალელის დაქებნა და ნით ვაკება გაადეულება. მაგალითად, ქართულში დედაბერი ეუბნება მეფეს: „მე ერთი წივი მაქვს, ინანურის ხელით ნაწერი და ხორიანურის ენით მოუბნარი“ (165). ე. ბურტელის ტექსტში შესაბამისად იკითხება: *من حرزی دارم از حرزهای سلیمان پیغمبر بخط یونانی نوشته (34)*. ეხადია, „ინანურის ხელით ნაწერი“ შესატყვისება „ბეხათე იენანის“ („ბერძნული ხელით“). მაგრამ რაღა ეს „ხორიანური“? დაყაიყის ტექსტში ვაკვს:

*من تعویذی دارم از حرزهای سلیمانی بخط سریانی بقلم حسان بر بیاض*  
پرنیان نبشته (29, 179).

საფიქრებელია, რომ „ხორიანური“ უკვეზირდება ამ „სორიანის“ („სირიელი“) და ქართულში ეს სიტყვა უნდა იკითხვიდეს როგორც „სორიანური“. აღსანიშნავია, რომ ქართულში დაწულია „რევე ტერმინი — ხალხურის „იუნანი“ და ლიტერატურულის „სორიანი“. ასე უნდა ყოფილიყო მისეულ წყაროში.

ასევე ვრცლადაა ეს ეპიზოდი გადმოცემული ხალხური ევრსიის უღარანდელს ნუსხაში (ტაშ. № 5526). დასაწყისში არც აქ ჩანს სახელი (გლამ: *غلام*) შემდეგ კი ჩნდება (فرخ زاد). აქვე გვაქვს ზანდუში ჩანის დეტალი.

ლად იოქნის. ნუთუ მკირე რამ ვთქვა! ჭელმწიფემ თქმა უბძანა. მან მოახსენა: ესე ვნახე — პირ მთვარე. ტანად შაქრის ლერწამი, ახალი ნორჩი. ფერად ვარდზანბახი ერთად არეული, კაკაბის უტურ ფესად მოარული, ანგელოზთა უნათლესა, ცისა მნათისათვალი საგან უფრო თვალგაუმართავო, ლაშნი ვარდის ფურცლის უწმინდესი, თვალგიშერ, საფეთქელმწყაზარი. წარბმწვილდისებრ მოხრილი, თმა საგდებლად შეგრეხილი. კაცსა ერთის შეხედვით სულსა წაუღებს“. მთელი ამ პასაჟის ნაცვლად ე. ბერტელსის ტექსტი ისევ და ისევ ფაქტის უბრალო კონსტატაციით იფარგლება: „შაჰმა ქალაქის ვითარება იკითხა. ქარდარმა უპასუხა: მეფის შემწეობით ყველგან სიმშვიდეა, მაგრამ მე ისეთი რამ ვნახე, რაც ჩვენს სიცოცხლეში არ მინახავს და არ ვსმინია. მეფემ უბრძანა, თქვი. რა ნახეო. ქარდარმა ქალის ქება მოახსენა“<sup>28</sup>. რაში მდგომარეობდა ეს ქება თუ აღწერა, აქ მინიშნებულის კი არაა. მაგრამ ქართულ თარგმანს აშკარად აზის ორიგინალის დაღი. მართლაც, ერთ-ერთ შემოხსენებულ ხელნაწერში აღმოჩნდა თითქმის იდენტური აღწერა ქალის სილამაზისა, ოღონდ ლექსნარევი:

„როდესაც შაჰი ნადირობიდან დაბრუნდა, ქვეყნის ვითარება იკითხა. უპასუხა: მთელი ხალხი მეფის საყეთილდღეოდ ლოცულობს, მაგრამ მე ისეთი რამ ვნახე, რაც ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მეფემ კითხა: რა ნახე. ქარდარმა ქამგარის ქალის ამბავი მეფეს მოახსენა და თქვა ლექსი:

ენახე ტურთა, თითქოს მთვარე იყო ცახე,  
 ანკერ მზეზე უმეტესი.  
 ორთავ თვალი სიყეთით ვით ნარგისი მთვარალი,  
 ვინაც კი ნახა, ხელ-დან წაეიღა.  
 აწორ საროსავით ტანამართული,  
 კაცს არ უნახავს მასზე ლამაზი.  
 მისმა თათრულ მეშქნე უშავესმა ზილფმა  
 იას დაუყარგა თავისი ყადრი.  
 კაკაბივით ქველუცად მოგოგმანე  
 მისმა ვარეგნობამ მთვარე დაიმონა“<sup>29</sup>.

شاه احوال شهر پرسید کردار گفت باقبال شاه همه جا آرامست  
 اما چیزی دیدم که در همه عمر خود ندیده بودم و نشنیده پادشاه  
 گفت بگو چه دیدی تعریف دختر را نمود (27).

<sup>29</sup> ლენინგრ. განყ. ხელნ. P 100/1:

چون شاه از شکار باز آمد احوال ولایت را پرسید گفت جمله خلایق  
 بدعای دولت شاه زیستند اما من چیزی دیدم که در عمر خود ندیده

8) ე. ბერტელსის ტექსტში ყოველი კარი იწყება ჯერ ვეზირის მოსვლით. მეფესთან საუბრით, შემდეგ მოსდევს ამას ბახთიარის მოყვანა და მის მიერ არაკის მოყოლა<sup>30</sup>. ქართულ თარგმანში მთელი ეს ექსპოზიცია წინა კარის ბოლოშია მოთავსებული, მომდევნო კარი კი უშუალოდ არაკით იწყება. მაგალითად: „ქ. კ ა რ ი მ ე ო რ ე და ა რ ა კ ი პ ი რ ე ე ლ ი. უბედურის ვაჟრის თავს გარდასულა. ვითა იადონმა, ბახთიარ ენა აღძრა, ჭელმწიფე დალოცა და მოახსენა: ბასრისა ქალაქსა შინა იყო ვაჟარი ერთა მრავლისა ქონებ-სა პატრონი...“ ზუსტად ასეთივე სურათია დაყაიყისეულ ვერსიაში. აქაც ვეზირის, მეფისა და ბახთიარის გასაუბრება წინა კარის ბოლოშია, ახალი კარი კი უშუალოდ არაკით იწყება<sup>31</sup>. ცხადია, ქართულ თარგმანს მისი წყაროს სურათი შემოუნახავს (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფანაპის პოეტურ ვერსიაში ეს ნაწილები კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოიჯნული: თავდება არაკი და ცალკე ქვეთავებადაა ვეზირისა და ბახთიარის გასაუბრება).

მაგალითების გამრავლება. შეიძლებოდა, მაგრამ დასკვნისათვის მოტანილი მასალაც კმარა: სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ე. წ. ვახტანგისეული ქართული თარგმანი „ბახთიარ-ნამესი“ წარმოადგენს იმ ხალხური დამუშავების თარგმანს, რომლის ერთ-ერთი რედაქცია გამოსცა ე. ბერტელსმა. მაგრამ განსხვავება მათ შორის მაინც საკმარისად დიდია როგორც ჩანართი დეტალებისა თუ ეპიზოდების მხრავ. ისე შემოკლებათა ხაზით. ამავე დროს, ამ განსხვავებათა დიდი უმრავლესობა არ წარმო-

بودم شاه گفتم چه دیدم کاردار قصه دختر کامکار را سیره شاه عرض کرد و گفت نظم

صد بار ز آفتاب افزون  
هر کس که بدید رفت از دست  
زیباتر ازو کسی ندیدی  
برده ز بنفشه قدر مقدار  
زان شکل شده مهش غلامی

دیدم صنمی چو داه کردون  
دو چشم خوشش چو نر کس مت  
چون سرو سپی قندی کشیدی  
زلف سپش ز مشک تانار  
مانندم کبک خوش خرامی

აღსანიშნავია, რომ ეს დეტალები არა გვაქვს დაყაიყისთან, თუმცა იქაც პროზით საკმაოდ ვრცელადაა აღწერილი ქალის სილამაზე (გვ. 189).

داستان دویم حکایت بازارگان بر تافته بخت روز دیگر وزیر<sup>30</sup>  
دویم نزد شاه آمده زبان مبالغه و الحاح گشود که چرا این دزد بچه را در زندان نگه داشتند... (9).

باب دوم بختیار گفت بقا باد باد شاهرا آورده اند که... (51)<sup>31</sup>

აღგენს ქართველი მთარგმნელის თავისებურებას. როგორც ვნახეთ. ისინი მეტ-ნაკლებად დასტურდებიან სხვადასხვა ლითოგრაფიებსა თუ ხელნაწერებში. რომელთაც შემოუნახავთ ხალხური ვერსიის განსხვავებული რედაქციები. ამ უკანასკნელთ დაუცავთ უფრო არქაული სახე. ვიდრე ბერტელსისეულ ტექსტში გვაქვს, და ამით აიხსნება მათი შედარებითი სიახლოვე ქართულ თარგმანთან.

ამავე დროს. როგორც გაკვრით აღინიშნა, ქართულ თარგმანში ვხვდებით ისეთ დეტალებსა და ეპიზოდებს, რომელნიც დღეს ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ წყაროებში არ ჩანან, მაგრამ აშკარად დედნიდან მომდინარეობენ. აღვნიშნოთ უმთავრესი მათგანი, რადგან მათ შეუძლიათ დახმარების გაწევა ქართული თარგმანის უშუალო ორიგინალის ძიებასა და აგრეთვე სპარსული ხალხური ვერსიის აღრიხდელი ტიპის წარმოდგენაში:

1) თარგმანში ვეზირს უხუცესი გამდელის მეშვეობითა აქვს ურთიერთობა დედოფალთან, სპარსულ ტექსტებში კი უშუალოდ ხედებიან ერთმანეთს.

2) „ჰეჯაზ მეფის არაკში“ გვხვდება ასეთი დეტალი: „დედოფალი დაორსულდა. ხელმწიფეს ძილთა შინა ლომი ეზმანა და უთხრა“. სპარსულ ტექსტებში (მათ შორის ე. ბერტელსთანაც) მეფეს მოხუცი დაესიზმრება. ჩანს, იმ ხელნაწერში, რომელიც ქართველ მთარგმნელს ჰქონდა ხელთ, იკითხებოდა არა „ფირი“ (მოხუცი). არამედ — „შირი“ (ლომი)<sup>22</sup>.

3) ქართული თარგმანის ფინალი გამოირჩევა განსხვავებული დეტალებით: აზადბახთისა და მისი ცოლის მიერ „უალსა მთაში“ განდგომა. ბახთიარის მიერ ვეზირების დასჯა, თავისი მამობილის ფაროხოსროს აღზევება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგი ამ დეტალთაგანი წარმოდგენილია ცალკეულ რედაქციებში (მაგ., C 1839), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მთელი ამ ფინალის დედნისმიერობას.

ამდენად ქართულ ტექსტს დიდი მნაშვნელობა ენიჭება ხალხური ვერსიის სრული სახით აღდგენაში, რადგან ქართველი მთარგმნელის ხელთ არსებული ხელნაწერი ერთ-ერთი უძველესი იქნებოდა დღემდე მოღწეულ სპარსულ ნუსხებს შორის.

---

<sup>22</sup> قضا را کنیز کی از وی بار گرفت... شبی در خواب دید که پیری پیش او آمد و گفت (47).

შეიძლება, მთარგმნელი შეცდა, რადგან აზრის მიხედვით წაკითხვა „ფირ“ უმჯობესია. „შირი“ მერე ჩნდება. დაყაყისთან ეს დეტალი არა გვაქვს. იქ მუნიჩინი უმჯობესებენ (გვ. 207). ანეკდა ფანაჰისთან.



როდის და ვის მიერ არის თარგმნილი „ბახთარ-ნამეს“ ხალხური ვერსია? უნიკუმ ხელნაწერს სათაურად აქვს შემდეგი თავწერილობა: „ქ. კარი პირველი აჯამისა ჭელმწიფისა სპარსულისაგან ქართულად გარდმოთარგმნილი ბძანებითა საქართველოს გამგის ბატონიშვილის ვახტანგისათა. მრავალ კამიერ ყოს უფალნი ორსავე შინა ცხოვრებასა“. როგორც ალ. ბარამიძემ აღნიშნა, აქედან ირკვევა, რომ თარგმანი შესრულებულია ვახტანგ VI გამგებლობის დროს. ე. ი. 1703—1712 წლებს შორის<sup>33</sup>. საკუთრივ თარგმნელის ვინაობა უცნობია. თარგმანს მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ვახტანგისეული, რადგანაც მისი შექმნა გარკვეულად უკავშირდება ამ მეფის სახელს, ისე. როგორც XVIII საუკუნის დამდეგს შექმნილი რიგი თხზულებებისა ანალოგიური თავწერილობით. მაგრამ არ იქნებოდა სწორი ქართული თარგმანი ვახტანგის ნაშრომად მიგვეჩნია.

როგორც ითქვა, ქართული თარგმანი ზუსტია. ზოგან სიტყვა-სიტყვითი, მაგრამ ეს სიზუსტე არსად არ გადადის ბჭკარედულობაში. ცალკეული სპარსიზმები ვერ არღვევენ თარგმანის მაღალმხატვრულ ღირსებას. ჯერ ამ სპარსიზმების შესახებ.

უპირველესად მათი კვალი ლექსიკაში შეინიშნება. ალ. ბარამიძეს შენიშნული აქვს ზოგი მათგანი:<sup>34</sup> გადასახადების ამკრები მოხელე ერთგან უთარგმნელად იხსენიება როგორც ამ ე ლ ფ ა ლ შ ა<sup>35</sup>. ასევე თარგმანის „ხ რ ი დ ს ა ა ქ მოვიტან“ შეესატყვისება სპარსულ „ხარიდეს“ (ნასყიდს, ნაჯიქრს). ჩვენის მხრივ დაუშვებელია, რომ ამავე მაგალითში მეორე სიტყვაც სპარსიზმი უნდა იყოს, ოღონდ გადამწერის მიერ ვერგაგებული და დამახინჯებული. ხელნაწერშია: „იქ წავალ და ბ უ ნ ე ბ უ რ ს ა ხ რ ი დ ს ა ა ქ მ ო ვ ი ტ ა ნ“. გამოცემაში ეს სიტყვა გასწორდა — „მუნებურსა“. მაგრამ ორიგინალში მას შეესაბამება „მ უ ნ ა ს ი ბ ს ა“: „იქიდან შე ს ა ფ ე რ ნ ა ვ ა ქ რ საქონელს მოვიტან“<sup>36</sup>. ვფიქრობთ, ქართულ ტექსტში იმთავითვე უნდა გვქონოდ: „იქ წავალ და მუნასიბსა ხარიდსა აქ მოვიტან“.

ამათ გარდა, თარგმანში ვხვდებით: „ბებანთა“ (ან ბეიბანთა, ბეებანსა) — უდაბნო; „ყაფლა“ — ქარავანი; საკუთარ სახელადაა

<sup>33</sup> ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 130.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>35</sup> (გვ. 18) *رفت امانا وقتي عامل پادشاه بدان ده رفت* «ღლეა ერთსა ამელ ფაღმა მას სოფელში მივიდა...» ალ. ბარამიძის აზრით, „ისე გამოდის, თითქოს ამელი ფაღმა მას სახელი იყოს“. ვფიქრობთ, ტექსტში უბრალოდ უთარგმნელადაა დატოვებული იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისათვის ნაცნობი სოციალური ტერმინი.

<sup>36</sup> (გვ. 39) *از آنجا متاع مناسب خریدم بیاورم*

გაცემული სოციალური ტერმინი „დეჰყანი“ (მიწათმფლობელი) --- „მის სოფლისა პატრონი უხვი და დაღონებულთა მოწყალე იყო. დეჰყანი ერქვა“: ჯავარფრუში — მარგალიტით მოვარე. საყურადღებოა, რომ ზოგ სპარსიზმებს ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტებში არ ვაჩინაოთ შესატყვისი (მაგ., ხადუმი, ქაბინი, აზატი. თამაშა, ფაიქი, ქეჟაო, შილინგი, მოაბა), მაგრამ ძნელია ითქვას, ორიგინალისმიერნი არაან ისინი თუ დამოუკიდებლად იხმარებოდნენ მთარგმნელის თანადროულ ეპოქაში.

ამ ლექსიკური სპარსიზმების უმრავლესობას (თუმცა მათი რიცხვი არც ისე დიდია) ტერმინები წარმოადგენენ. იშვიათია ჩვეულებრივი თხრობისას სპარსული ლექსიკის გამოყენება. ამის გამო არა მარტო მცირდება მათი როლი, ისინი თითქმის არ შეიმჩნევა.

ასევე ზომიერაა ფრაზეოლოგიური სპარსიზმების გამოყენება. აქაც ძნელია ითქვას, მთარგმნელისეულია ისინი თუ წყაროსმიერნი. მართალია, უმრავლესობას არ მოეპოვებათ შესატყვისი ე. ბერტელსის ტექსტში, მაგრამ ზოგს ზემოხსენებულ ხელნაწერებსა თუ ლიტოგრაფიებში ვხვდებით, ზოგის წყარო კი სავარაუდებელია (ამას მიგვანიშნებს დაყაიყის ტექსტი):

1) „რა ცამან შაეი ფარდაგი დახია და მზე გუმბათზე ავალდა“. ამის ნაცვლად ბერტელსისეულ ტექსტში უბრალოდ ნათქვამია, რომ „მეფეს ერთი სული ჰქონდა, ვიდრე გათენდებოდა“<sup>57</sup>.

2) ანალოგიურია განთიადის აღწერა სხვა შემთხვევაშიც: „რადილა გათენდა და საწუთროს მაშვენებელმა მზემან ყირმიზი ვარდი მოჰფინა ქვეყანასა ზედან“<sup>58</sup>.

“باد شاه شب قرار نداشت تا صبح گرديد (ვ. 7)

“შდრ. დაყაიყისთან (ვ. 69):

يس روز ديگر كه صفحات جهات عالم از اصطناع نير اعظم سمن زاري  
شد و شرفات اماكن از خوشي و روشني مرغزاري كه شعاع جهان آراي  
گل زرد او [و] سوسن كهرا برگ ورد او...

ამასთან სავარაუდებელია არა მხოლოდ სპარსული, არამედ ქართული მთარგმნი თხზულებებიც. მაგალითად, ორივე აქ მოტანილი მაგალითი ერთად გვხვდება „რუსულანიაში“, ოღონდ ალექსანდრე ბარამიძის აზრით, მომდინარეობს „როსტომიანიდან“: „რადილა გათენდა, საწუთროს განმანათლებელმან მზემან თავი ამოყო, შაეი ფარდაგი დახია, წითელი ვარდი მოფინა“ (ალ. ბარამიძე, რუსულანაის ლიტერატურული წყაროები, თსუ მოამბე, V: II, 1928, გვ. 294). ჩანს, ეს სტერეოტიპული გამოთქმები გადადიოდნენ ერთი ძეგლიდან მეორეში.

3) „ბახთიარ პირთა შინა ბუღბული დაიბუდა, ენა შაქრით და-  
მარილა და თქვა არაკი“ ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპარსულ ტექს-  
ტებშია მხოლოდ „ბახთიარ თქვა“<sup>39</sup>.

4) „რა საწუთროსა მანათობელი თვისა ალაგს მივიდა და დღე-  
მან ნათელი პირი შავად შესცვალა, პირველსავე ღამესა ვაჭართან  
მივიდა“. ე. ბერტელსის ტექსტშია მხოლოდ ბოლო ნაწილი ფრაზისა:  
„იმვე ღამეს ვაჭართან მივიდა“<sup>40</sup>.

5) „მე ფიქრის შარბათი დამიღვეია“...<sup>41</sup>. საერთოდ, ამ ტიპის  
კონსტრუქციები იმდენად ორგანულად ერწყმიან თარგმანის ხასია-  
სს, იმდენად ძნელად გამოსაყოფნი არცა კონტექსტიდან, რომ დი-  
დი სიფრთხილეა საჭირო მათი სპარსიზმებზე მონათვლისათვის. ამას  
უწინარეს ვვაფიქრებინებს ანალოგიური ფრაზების ხმარება ისეთ  
ორიგინალურ თხზულებაში, როგორცაა სულხან-საბა ორბელიანის  
„სიბრძნე სიცრუისა“: „ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა  
ფარდაგი ცეცხლისა ალთა მსგავსისა მზისა შუქითა დაიხივა, მისნი  
ელვარე მოციქულნი ხმელეთა განფანა. წავიდა მეფესთანა  
ლეონ“<sup>42</sup>.

აქ მოკლედ უნდა შევეხოთ „ბახთიარ-ნამეს“ ქართული თარგმა-  
ნის მხატვრულ მხარეს, სტილისტურ თავისებურებას. ამ მხრივ მისი  
შესწავლა საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ქმნის, ვიდრე ეს წარ-  
მოდგენილია ალ. ბარამიძის ზემოაღნიშნულ საყურადღებო წერილ-  
ში: „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ტექსტის ენა ვულგარულია, შესრუ-  
ლებულია უბრალო სასაუბრო ენით და სტილებრივად მდარეა“<sup>43</sup>.  
მართალია, ნაწარმოების სტილისტიკა ძველსაზრისით შესწავლა-  
შეფასება ერთგვარად სუბიექტურ მომენტს შეიცავს, მაგრამ გარ-  
კვეთლად ობიექტივაციის შესაძლებლობა მაინც რჩება.

ერთგვარ საფუძველს ქართული თარგმანის უარყოფითი შეფა-  
სებისათვის ქმნის მისი ხასიათი (ზუსტი გადმოცემა ორიგინალისა)  
და აგრეთვე გადამწერის მრავალრიცხოვანი შეცდომები. რომლითაც  
აღსავსეა უნიკუმ ხელნაწერი და რომელნიც აღაზიანებენ, უარყო-  
ფითად განაწყობენ მკითხველს<sup>44</sup>.

<sup>39</sup> بختيار گفت

<sup>40</sup> در همان شب نزد بازارگان آمد

<sup>41</sup> ამას კი ზუსტი შესატყვისი დაეძებნება: من شربت صبر نوشیده ام

<sup>42</sup> ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თხზ., ტ. I. 1959, გვ. 23.

<sup>43</sup> ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომ., გვ. 130.

<sup>44</sup> ზოგი ეს დამახინჯება სწორდება სპარსული ტექსტის მეშვეობით (მაგ.,  
ბაქრისა — ბასრისა და სხვ. (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ, ტექსტისა-  
თვის).

მავრამ თარგმანის დაკვირვებული შესწავლა თანდათანობით ავლენს მის მალალმხატვრულობას და მთარგმნელის დიდოსტატობას. მიუხედავად სიზუსტისა არსად არ ირღვევა თხრობის ბუნებრივობა და სისადავე, სპარსული ამბავი გადმოცემულია ქართულად ისე, რომ შინაარსს მსხვერპლად არ ეწირება ენობრივ-მხატვრული მომენტი.

მართალია, ქართული ტექსტის ფრაზები უმეტესად მოკლე წინადადებისაგან შედგება სპარსულის შესაბამისად, თანაც „და“ კავშირით უერთდება ერთმანეთს<sup>45</sup>, მავრამ ეს კი არ არღვევს; პირიქით ეხმაურება თანადროული ეპოქის სტილს. ქართულ თარგმანს, ისევე როგორც ამ პერიოდის საუკეთესო თხზულებებს, ახასიათებს თხრობის ლაკონიურობა, რომლის ერთ-ერთი პირობაა სწორედ მოკლე წინადადებების ჩაჭვი:

1) „ჰეჯაზ მეფის არაკის“ ერთი ეპიზოდი ასეა წარმოდგენილი ბერტელსისეულ ტექსტში: „ბრძანა, ვაჟი ძიძასთან ჭაში მოეთავსებინათ. რაც მათ სჭირდებოდათ, მისცა. კვირაში ერთხელ შვილის სანახავად მდიოდა. მეშვიდე წელს ძიძამ უთხრა: ბავშვი გაიზარდა. ჩვენ ჭიდან ამოგვიყვანე, რათა ქვეყანა ვნახოთ. მე მეტის მოთქმენა აღარ შემიძლია. მეფემ ბრძანა, — დრო რომ მოვა, ჭიდან მაშინ გამოგიყვანთო“<sup>46</sup>. ქართულ თარგმანში არა თუ დაცულია ეს ლაკონიზმი, უფრო ხაზგასმულიც კია, ამასთან, არსად არ ირღვევა ქართული ენის ბუნება: „ერთსა კაცთა უალსა მთაში ჭურღმული გააკეთებინა. ძიძა გაატანა და შვილსა მუნ ზდა დაუწყო. ლომისა ეშინოდა. თვით ქელმწიფე კვირაში ერთგზით მივიდოდის და შვილსა ნახ-

45 ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

فرمود پسر را با دایه در چاه کردند آنچه لازم آنجا بود داد هفته<sup>46</sup>  
يكبار بدیدن پسر میرفت تا هفت سال دایه گفت پسر بزرگ شده مارا  
از چاه بیرون آر تا جهان به بینیم مرا بیش صبر نماند شاه میگفت وقت  
در آید شمارا از چاه بر آرم (47).

შესადარებლად მოვიტანთ მხოლოდ ნაწყვეტს დაყაიყის ტექსტიდან:

فرمود تا در کوهی چاهی فرو بردند و در قعر آن چاه خانه‌یی بکنند  
و آن کودک را با دایه آنجا فرستادند و هر روزی وظیفه‌یی می بردند.  
پادشاه هر هفته‌یی برفتی و ماه دو هفته خرد را بدلو عشق دل از قعر  
چاه بر کشیدی (21).

„ბრძანა, რათა ერთ მთაში ორმო (ჭა) ამოეთხარათ, და იმ ორმოს ფსკერში ერთი სახლი ჩაეთხარათ და ის ბავშვი ძიძასთან ერთად აქ გაეგზავნათ და ყოველდღე სარჩო მიეტანათ. მეფე ყოველ კვირა მიდიოდა და თავისი ორი კვირის მთავრე გულის ტრფობის სათლით ქის ფსკერიდან ამოჰქონდა“...

ვიდის. შვიდი წელი გასრულდა. ძიძამ მოახსენა: აწ ამისი ჯურღმულთა ჯღომისა ჟამი აღარ არის, გაიყვანეთო. ჭელმწიფემ ბძანა, დრაბე უკეთ ვიციო. და ჭელმწიფე წამოვიდა“.

2) „უბედური ვაჭრის არაკიდან“: „ღამე ესწრა. ერთსა ქალაქში შევიდა, დაფარულთა ალაგთა დაიძინა. დილა გათენდა და ბაზრები დააღეს. მან სიარული დაიწყო. ერთსა თვალის მსყიდველთან მივიდა. მარგალიტები აჩვენა“...

ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ ტექსტებში ეს ადგილი განსხვავებულადაა წარმოდგენილი (გვაქვს მხოლოდ № 5526-ში)<sup>47</sup>.

3) მეშვიდე კარში აღწერილია ბრძოლა აბაშთა მეფისა ერაცის მეფესთან მისი ასულის გამო. ლაკონიურობის კლასიკური ნიმუშია ვეზირის რჩევა: „თუ ამჯობინებთ, მოციქულნი გავგზავნოთ, ერთის ქალის გულისათვის ქვეყანასა ნუ ავსწყვედთ. შინ ქალის მოხუცებას რა ჭელი ეყრება? მაინც გასათხოელა. აბაშთა დედოფლად მივსცეთ. მას ჭელმწიფესთან ბოდიში მოითხოე“. ორიგინალში თხრობა გაცილებით უფრო გაბმულია: „ვეზირმა უთხრა: ქალის გულისათვის ამდენი სისხლის ღვრა კარგი არ არის და კაცს მეუღლას იქთ ვზა არა აქვს. სარგებლიანობას იმაში ვხედავთ, რათა მოციქულნი გზას გაუღგნენ და დავეზავოთ იმ პირობით, რომ ქალს მიეცემთ და ელჩებს უკან ქალსაც გავაყოლებთ, რადგან ისიც ქვეყნის ხელმწიფეა“<sup>48</sup>.

ასეა გაწყობილი მთელი თარგმანი. საკმარისია შევეუდაროთ იგი მის თანადროულ ორიგინალურ ქართულ თხზულებებს, თუნდაც ხსენებულ „სიბრძნე სიცრუეს“, რათა დავრწმუნდეთ ქართველი მთარგმნელის დიდოსტატობაში: „მოვადეგ ერთსა სახლსა. მარტო დიაცი იყო. კარი არ გამიღო, სახლად არ შემეყვანა. ღამე ესწრა. ღონე მომწყდა, კარზედ მივეყრდენს. დიაცმან ცეცხლიდამ ფუნთუშის პურები ამოიღო, კიდობანში ჩადვა. ცოტა ხანი გამოვიდა“... (გვ. 100).

<sup>47</sup> *سابات— در زیر آن سابات بخید* — გადახურული დერეფანი სახლებს შორის (ლაფაროვი). ამით განიმარტება ქართული თარგმანის „დაფარულთა (ე. ი. გადახურულთა) ალაგთა“. ე. ბერტელსის ტექსტში ვაჭარი არსად არ იძინებს, პირდაპირ მიდის იუველირთან.

<sup>48</sup> *وزیر گفت از بهر دختری چندین خون ریختن نیکو نیست و هیچکس را از جفتی چاره نه مصلحت آن می بینم که رسولان در راه شوند و صلح کنیم بشرط آنکه دختر را بدهیم و از پی ایلچیا دختر را بفرستیم که او هم پادشاه اقلیمیست* (32). (ბერტ., 32).

სულხან-საბასთან „ბახთიარ-ნამეს“ ქართულ თარგმანს სხვა მომენტებიც აკავშირებენ. ჯერ ისევ ლაკონიურობის შესახებ: „სულხან-საბა თბრობის ლაკონიურობას სხვა ხერხებთან ერთად აღწევს უარყოფითი ნაწილაკის, უკუთქმათი წინადადებების გამოყენებითაც. წინადადებების შეკვეცის მიზნით სულხან-საბა თავისებურად აწარმოებს სიტყვას. ახდენს წინადადების განტვირთვას დამხმარე. რიგ შემთხვევაში ზედმეტი წევრებისაგან“<sup>49</sup>. საილუსტრაციოდ მკვლევარს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: „ექვსთა ეაზირთა ფუცეს უ ს მ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ს გ ა ვ ს ი ს ა მ ი ს ი ს ა“ — რაც ნიშნავს: ექვსმა ვეზირმა შეჰფიცა, რომ არ სმენიათ მისი მსგავსი მეფე: ან და: „მან ფიცი სთხოვა მოუკვლელობისათვის“. ე. ი. რომ არ მოეკლა და ა. შ. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ხერხი არ წარმოადგენს მხოლოდ საბასთვის დამახასიათებელ რაიმე განსაკუთრებულ ხერხს. იგი გვხვდება „ბახთიარ-ნამეს“ ქართულ თარგმანშიც: „ქელმწიფე თურმე სანადიროდ გასულიყო და ბეჭროზა ეპოვნა. შვილად შეენახა უ შ ვ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს“. ე. ი. რადგან შვილი არ ჰყავდა, ბეჭროზა იწვილა. მაგრამ რაც მთავარია, ანალოგიური ხერხი გამოყენებულია გაცილებით ადრე „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში, რომლის გავლენა აშკარად ემჩნევა როგორც „სიბრძნე სიცრუესა“, ისე „ბახთიარ-ნამეს“. მაგალითად: „სიყვარული მისი და სურვილი გუალვისაგან გამჟმარსა ყანასა ჰგუანდა. ნაყოფისა არ მოსლვისათვის იმედგარდაწყვეტილსა“. ანდა: „სულისა დაღება ნიშანი იყო ძიძისა სიტყუისა დაჯერებისა და მიზებსა ეძებდა დაუჩენელობისას“<sup>50</sup>.

აქვე მოვიტანთ ისეთ მაგალითებსაც, რომელნიც ცხადყოფენ, რომ „ბახთიარ-ნამეს“ კავშირი „ვისრამიანთან“ შემთხვევითი არ არის. ჩანს, ქართველი მთარგმნელი კარგად იცნობდა წინაპართა მემკვიდრეობას: სპასალარმა „იხმა ერთი მისანდო კაცი და უბძანა: ე ს რ ე დ ფ ი ც ხ ა დ ი არე, ვითამცა ფ ა ი ქ ი, და ქ ა რ ი ს ა გ ა ნ უ მ ა ლ ე დ მიდი. და რა მუნ მიხვიდე, შავარდენთა ბოლო და მხარა გამოისხი, ე გ რ ე ს წ რ ა ფ ი თ მ ო მ გ ვ ა რ ე ასული ჩემი მზისა უნათლესი“<sup>51</sup> (139). შდრ. „მერმე ძმასა მისსა ზარდის ეგრე უბრძა-

<sup>49</sup> რ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ, ს.-ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 50.

<sup>50</sup> ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარია და მაგალითოდ უამ, 1962, გვ. 55.

<sup>51</sup> ეს დანაბარები არ ჩანს არც ლიტერატურულ (გვ. 16). არც ჩვენთვის ცნობილ ხალხურ რედაქციებში.

ნა: წაედ ციხესა და ქარისაგანცა უმაღლე მიდ-ორასის კაცითა და ორი ცხენი თან წაატანე და ვისი სწრაფით აქ მომგუარეო“<sup>52</sup>. ანდა: „რა რამინ ესე წიგნი გაასრულა, ოქროსა ბეჭდითა დაბეჭდა, ფაიქსა მისცა და ეგრე უბრძანა: ეს რეთ სწრაფით წაედ, რომე წამსაცა არსად დაიყოვნო და ვის-ს მიართვი ესე წიგნიო. შიკრიკმან გამოულო წიგნი და ქარისაგან უმაღლე იარა“...<sup>53</sup>.

ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს „ბახთიარ-ნამეს“ კავშირი „სიბრძნე სიცრუესთან“. საკპარისია ითქვას, რომ :ქ ვხვდებით საბასთვის დამახასიათებელსა და საყვარელ ხერხს ჩართვისა — „არაკად თქმული“: „ქარდარ მოახსენა: არაკად თქმულა: გველს უწინ შეილი მოუკალ და მერმე თვით მოკალო“. ე. ბერტელსის ტექსტში ეს აზრი გადმოცემულია არაკად გაფორმების გარეშე<sup>54</sup>.

„ბახთიარ-ნამეს“ მეორე არაკი (უბედური აკპრის თავს გარდასული) და „სიბრძნე სიცრუე“ ერთ-ერთი არაკი (უკუდური დიდ-ვაკარი) იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ მსგავსება ცილდება უბრალო ანალოგიას<sup>55</sup>. ქართული ენის უბადლო ოსტატის ფრაზები ხშირად უცვლელად ემთხვევა „ბახთიარ-ნამეს“ ქართული თარგმანის ტექსტს<sup>56</sup>.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ თუ ჩვენ მიერ განხილული თარგმანი ზოგ რამეში მაინც მხარს უსწორებს ქართული პროზის სახელგანთქმულ შედეგებს, იგი ვერ ჩაითვლება სტილებრივად მდარე ნაწარმოებად.

52 ვისრაშიანი, 1962, გვ. 163.

53 იქვე, გვ. 195.

54 چون مار را کشتی بچه او نیز بکش (გვ. 28 „გველს რომ მოკლა, შეილიც მოუკალ“). მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგ ხელნაწერს დაუცავს ქართულის შესატყვისად — كما گفته ا: („ბრძენთ უთქვამთ“). ჩანს, ქართული ტექსტი ამ ტიპის სპარსულ ნუსხას უკავშირდება. ერთგან ქართულში გვაქვს „მკურნალთაგან გამოიგონიო“, რაც აგრეთვე ამ სტერეოტიპული გამოთქმის თარგმანია. ოლონდ აქ „პაქიმ“ „ბრძენის“ ნაცულად მისი მეორე მნიშვნელობითაა („ეჭიმი, მკურნალი“) გადმოღებული. ხაზი უნდა გაესვას თვით სენტენციის თარგმანში განსხვავებულ ნიუანსს: ყველა სპარსული ვერსიის მიხედვით გველის მოკვლის შემდეგ არც მისი შეილი უნდა გადაურჩეს სიკვდილს. ქართულ თარგმანში ვითარება შებრუნებულია: გველს ჭერ შეილი უნდა მოუკლა და შემდეგ თვითონაც გამოასალმო სიცოცხლესო. ვფიქრობთ, ესეც სავარაუდო სპარსული წყაროთი თუ აიხსნება, თორემ მთარგმნელს იგი რაში დაჰკირდებოდა.

55 იხ. ალ. გვახარია, „სიბრძნე სიცრუის“ ერთი არაკის შესახებ, ოსტუტუდენტთა სამეცნიერო შრომები, ტ. VII, 1955.

56 იქვე, გვ. 117—125.

როგორც ითქვა, მიუხედავად ზუსტი თარგმანისა, მთარგმნელი კარვად ახერხებს მასალის ქართულად გარდათქმას. ზემოაღნიშნულ ხერხებს გარდა იგი უხვად იყენებს ბუნებრივ ქართულ კომპოზიტებს („ენა-ტკბილმან და ბაგე-ამოდ მოუბარმან ბახთიარ შოახსენა“; „ვაქარი ქელტალახიანი ნახა“; „ბახთიარ ვითაც ს-ტყვა-მარჯვე იყო, ეგრე ქება შეასხა და თქვა“; „ქელმწიფე მზე-გრძელობით ბრძანდებოდეს“ და სხვ.); ქართულ თქმებს („ინიმო მოლა და გაიკვეთა ქებინი“; „თვალი ვერ მოსხლიტა“; „ქელმწიფე გაღიმდა“; „უდიდძალი თვალი და მარგალიტი შეყარა“; „მისი ქონება მალვით გაზიდა და გარდიხვეწა“; „ლომი ქვას დაეძგერა და მას ჯურღმულში ჩავარდა“; „იგი ყრმა ლომისაგან გალახული არის“; „ვეზირთა თავზარი დაეცათ. და-ლონებულნი ღონეს რასმე ედებოდენ“ და ა. შ.). მხატვრულ სახეებს („აბაშეთის ქვეყანასა იყო ხელმწიფე ერთი მრავლის განძისა და სალაროს პატრონი, და ესრედ ქელმოჭირებული, რომენ ხელი ფეტვით სავსე ჰქონოდა, მარცვალი ქვევარ და აგდის, ყმათა მაუპატივებელი და მიუცემელი“; „ვითა ფუტკარი ყვავილთა ზედა, ეგრე ემზადებოდეს საომრად“; „ქელმწიფე ცეცხლისაგან უფრო ცეცხლი არას და წყლისაგან უმაღ მდენელი“ და სხვ.)<sup>57</sup>.

„ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსიის ე. წ. ვახტანგისეული ქართული თარგმანი აღორძინების ხანის საყურადღებო ძეგლია. სპარსულ ტექსტებთან შედარებამ ცხადყო, რომ ქართველი მთარგმნელი ზუსტად მისდევს ორიგინალს, მაგრამ იძლევა მის მხატვრულ და არა ბწკარედულ თარგმანს. ქართულ ტექსტს ზოგჯერ შემონახული აქვს ისეთი დეტალები თუ ეპიზოდები, რომელნიც არ ჩანან დღეს ჩვენ ხელთ არსებულ სპარსულ წყაროებში, მაგრამ რომელთა დედნისმიერობა უდავოა. ამდენად, ქართულ თარგმანს დიდი როლი ენიჭება ხალხური ვერსიის ტექსტოლოგიური შესწავლისას, რადგან ამ უკანასკნელის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობა შედარებით გვი-

57 ამათგან პირველ ორ მაგალითს ჩვენთვის ნაცნობ სპარსულ ტექსტებში ვერ ვხვდებით, შესამეს კი შეესატყვისება შემდეგი ანდაზა: „ბრძენთ უთქვამთ, რომ მეფის სამსახური სწრაფმდინარე წყალსა და ანთებულ ცეცხლს წააგავსო“.

حكما گفته اند که خدمت پادشاهان مانند آب تیز و آتش آفرود است (27).

შპრ. № 5526: چون آتش و آبست رضای سلطان با آتش و آب امر نتوان کردن



ანდელი ხანისაა (XVIII—XIX სს.), ლითოგრაფიები კი მეტად წარყვნილ ტექსტს იძლევა.

ანონიმი მთარგმნელი აგრძელებს ქართული კლასიკური პროზის საუკეთესო ტრადიციებს. „ბახთიარ-ნამეს“ განხილული ვერსია ბუნებრივად შემოდის იმ რკალში, რომელიც კრავს ერთის მხრივ „ვის-რამიანსა“ და „ამირან-დარეჯანიანს“, მეორე მხრივ — „სიბრძნე სიცრუის წიგნს“ და „რუსუდანიანს“.

## „ბახთიარ-ნამეს“ სპარსული პოეტური ვერსია

„ბახთიარ-ნამეს“ ფანაპისეული ვერსიის შესახებ პირველი ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოაქვეყნა ე. ბერტელსმა<sup>1</sup>. საგანგებო წერილში მან მოკლედ დაახასიათა ეს თხზულება, რომელიც აღმოჩნდა ყოფილი სააზიო მუზეუმის ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში და რომელიც, მისივე სიტყვით, „არც ერთ სხვა ხელნაწერთსაცავეებში არ არის წარმოდგენილი“<sup>2</sup>. ეს ხელნაწერი თავის დროზე აღუწერია ა. რომასკევიჩის სათაურით „გულთმისანი ბახთიარის წიგნი“. კრებული XVII საუკუნისაა, მასში „ბახთიარ-ნამეს“ გარდა მოთავსებულია ჰათეფის „ლეილი და მაჯნუნი“, სპარსული, არაბულ-ლექსები და სხვ.<sup>3</sup>.

„ბახთიარ-ნამეს“ აქ მოთავსებული პოეტური ვერსია დეფექტური აღმოჩნდა. მას აკლდა თავსა და შუაში რამდენიმე გვერდი. სამწუხაროდ, არ ჩანდა ისეთი მნიშვნელოვანი თავი, როგორცაა „მიზეზი წიგნის დაწერისა“. პოემის ავტორი რამდენჯონისმე იხსენიება ტექსტში:

„არა აქვს სხვა ჯილდო ფანაპის,

გარდა ალაპის წყალობის იმედისა“.

ფანაპი ბოლოში თვით იუწყება როგორც პოემის მოცულობას (2000 ბეითი), ისე დამთავრების თარიღს (851 წ. ჰიჯრით — 1447 წ.)<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Е. Э. Бертельс, Новая версия Бхтнар-намэ, Известия АН СССР, 1929.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 249.

<sup>3</sup> А. А. Ромаскевич, Персидские рукописи, поступившие в Азиатский музей РАН с Кавказского фронта, Известия РАН, 1918, стр. 394.

<sup>4</sup> აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყ. ხელნ. В 1277:

ندارد تحفة دیگر پناهی جز امیدى با لطاف الهی

<sup>5</sup> ხელნაწერში, როგორც ეს ე. ბერტელსმა გაარკვია, შეცდომით 651 წ. ქ. იკითხება:

ز هجرت ششصد و پنجاه و یک بود

ეს შეცდომა უკრიტიკოდ გამეორებულია გამოქვეყნებულ კატალოგში:

Персидские и таджикские рукописи ИНА АН СССР..., под ред. Н. Д. Миклухо-Маклая, часть I, 1964, стр. 432.

ფანაჰი არ ყოფილა საკუთარი პოეტური ნიჭით მოხაზულელი:

..ერთი ხეიბარი, უბირი ვინმე ვარ.

პოეტების ნასუფრალით ვიკვებება

რა ბედენაა, თუ კი ბალის კუთხიდან

თუთიუშებს ხმას შეუერთებს ყორანი-6.

გასაგებია, თუ რატომ არ იცნობენ მას, როგორც პოეტს, თეზ-ქერებში.

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა მიგვეგნო ფანაჰისეული „ბახთიარ-ნამეს“ კიდევ ორი ნუსხისათვის. ერთი მათგანი აღმოჩნდა ლენინგრადის სალტაკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ქურთულ ხელნაწერთა კოლექციაში. „ბახთიარ-ნამეს“ (უფრო სწორად, „ბახთიარის წიგნი“, როგორც მას აქ ეწოდება) გარდა აქ მოთავსებულია ქურთული პოემა „მამ ო ზინი“<sup>7</sup>.

სამწუხაროდ, ეს ნუსხაც დეფექტურია, მაგრამ შედარებით ნაკლებად. რაც მთავარია. მას შემორჩა ჩვენთვის საინტერესო თავის („მიზეზი წიგნის დაწერისა“) ნაწილი, რომელიც აქამდე უცნობი იყო. ამის შედეგად ნაწილობრივ შეივსო ცნობები ფანაჰის ბიოგრაფიიდან. მოვიტანთ ამ თვალსაზრისით საინტერესო ბეითებს<sup>8</sup>:

წიგნის შეთხზვის მიზეზი და ამბის დასაწყისი:

უეცრად რა ჰქმნა საწუთროს ბრუნვამ!

განშორების მახვილით მომკვეთა მე ბედნიერება...

ადგილი იყო ვეის-ყარანის ერთ კუთხეში,

რომელიც ჩემთვის სამშობლოს უმჯობესი იყო.

იქ დაეყავი ათი წელიწადი,

პრავალი ლალი წუთი გავატარე.

<sup>6</sup> B 1277:

فقیری بی سرو پایم چه دانم

یکی از خو شه چین شاعرانم

نباشد غم آگراز کنج باغی

رسد با طو طیان آواز ز باغی

<sup>7</sup> Курд. 12. იხ. М. Б. Руденко, Коллекция А. Д. Жаба, (Курдские рукописи), Труды Государст. публичной библиотеки..., Л., 1957, стр. 169. აქ შეცდ.-მით „ბახთიარის წიგნი“ (کتاب بختيار) მიჩნეული იყო ქურთულ თარგმანად. შემდგომ აღწერილობაში (М. Б. Руденко, Описание курдских рукописей ленинских собраний, 1961, стр. 45) უევე სწორადაა მითითებული ამ პოემის რაობაც და ავტორიც. ახლახან გამოქვეყნდა „მამ ო ზინის“ ტექსტი და თარგმანი: ამ საყურადღებო ნაშრომში მ. რუდენკომ მოგვცა როგორც ხელნაწერის სრული აღწერილობა, ისე მითითება ფანაჰის ტექსტზე (Ахмед Ханн, Мам и Зин, критический текст, перевод, предисловие и указатели М. Б. Руденко, М., 1962, стр. 13).

<sup>8</sup> დაწერილებით ამ ნუსხისა და შესავლის შესახებ იხ. А. А. Гвахария. О поэтической версии „Бахтиар-наме“, თსუ შრომები, ტ. 91, 1960.

ფანაპი იყო ტრფიალი ვეის-ყარანისა,  
 ისეთი გასაგიჟებელი მჭერმეტყველი იყო.  
 მეშხედის სურვილი გამოიჭდა თავში,  
 პირი ვიბრუნე ბალდადის გზისკენ;  
 მეგონა, გავხდებოდი სეიდი და შაპი,  
 განგებამ მისროლა ქალაშის სამეფოში.  
 ჩემმა გულმა გაიცნო რამდენიმე მეგობარი,  
 იქ დაემშვილდი მე რაოდენ...<sup>9</sup>.

აქ ტექსტი წყდება. შემდეგ გრძელდება აზადბახთის თავგადა-  
 სავალი იმ მომენტიდან. როდესაც მან ტახტი დაიბრუნა და ქირმანის  
 მეფეს სამადლობელოდ ოქრო გაუგზავნა.

თვით ამბის ტექსტი შეიცავს საინტერესო განსხვავებულ წა-  
 კითხვებს, დასათაურებას. უფრო სრულია დასაწყისი შედარებით  
 უკვე ცნობილ ნუსხასთან. ნათელია მისი მნიშვნელობა ფანაპის პო-  
 ეტური ვერსიის შესწავლისათვის.

„ბახთიარ-ნამეს“ პოეტური ვერსიის მესამე ნუსხა აღმოჩნდა  
 ბაქოში<sup>10</sup>. ეს ნუსხაც დეფექტურაა, მაგრამ საოცარია და მნიშვნე-  
 ლოვანი ის გარემოება, რომ მასში შემონახული შესავლის ტექსტის  
 ნაწილი თითქოს აგრძელებს Курд. 12-ს. კერძოდ, აქ წარმოდგენი-

9  
 سبب نظم آوردن کتاب و آغاز سخن  
 قضا را گردش گردون جها کرد  
 بتیغ هجرم از دولت جدا کرد...  
 سکون در گوشهٔ ویس قرن بود  
 که آن موضع مرا به از وطن بود  
 در آنجا مدتی ده ساله بودم  
 بسی حل دقائق می نمودم  
 پناهی عاشقی ویسی قرن بود  
 چنین شوریده شیرین سخن بود  
 هوای مشهدم اندر سر افتاد  
 نهادم روی را در راه بغداد  
 گمان بردم که سید و شاه باشم  
 قضا افکند در ملک کلاشم  
 دلم با چند یاران آشنا شد  
 در آن موضع مرا چندین صفا شد

<sup>10</sup> Описание рукописей республиканского рукописного фонда, I, Ба-  
 ку, 1963.

ლა ცნობები იმ მეგობრების შესახებ. რომელთა თხოვნით გაუღეკ-  
სავეს ფანაპის პროზაული ტექსტი. აგრეთვე ჩამოთვლილია არაქება  
და დატულია ამბის დასაწყისი:

პირველი (ამბავი) — სამეფო საქმეთა განგების შესახებ;

მეორე (ამბავი) — საქმეს განსჯა უნდა.

მესამე — საქმეში მომთმენი იყავი,

მეოთხე — მომთმენი იქნება კმაყოფილი.

მეხუთე — ცოდვათაგან განწმენდილი იყავი.

მექექსე — ქეშმარიტი სიმართლე ღვთისგანაა.

მეშვიდე — იქონიე მონანიების იმედი.

მერვე — სულს უნდა უშველო.

მეცხრე — ცბიერ კაცს განერიდე,

მეთათე — იცოდე, ბედისწერას ვერ გარდაუხვალ.

ყოველ თავში ერთი ტბილი ამბავი,

გადმოუციათ მოხუცებს ეს მოთხრობა.

რა იქნება, რომ შენ იგი გალექსო,

რათა დარჩეს ქვეყნად იადგარი.

ასე მეუბნებოდნენ ხეყნა-ვედრებით,

ჩვენი სახელებიც მასში ჩაურთე.

ვაცხადებ იმ სამი ძმის სახელს:

ქამალი, იოსები და ამუ-ქალანთარ.

ქაბუქმა, რომელსაც იოსები ეწოდებოდა,

ღვთის ათასი წყალობა იყოს მასზე,

გამობტკიცა ღვთის დახმარებით გადაწყვეტილება,

რომ ეს ამბავი ავაგო ლექსის რაფხე.

ასე გადმოგვეცემენ ძველი ბერები,

ღმერთი იყოს მათი კმაყოფილი!

რომ სისტანის ქალაქში იყო ერთი შაჰი,

სახელად აზადებახთი, სახით მთვარის მსგავსი...<sup>11</sup>.

შემდეგ მოდის ამბის თხრობა თავისი არაქებით. ამრიგად, დღეს-  
დღეობით გვაქვს ფანაპისეული ვერსიის სამი ნუსხა. სამივე. სამწუ-  
ხაროდ. დეფექტურია. მაგრამ ურთიერთმეჭერებით ხერხდება თით-

11 ხელ. M—12  
10545 II:

اول در کار دولت پیشه کردن  
دویم از کارها آید پیشه کردن  
سیم از کارها باید صبوری  
چهارم شد تشکیبای ضروری  
به پنجم پاک بودن از گناهان  
ششم صدق یقین باشد ز یزدان  
هفتم هم توکل توبه میدان  
چه هشتم هم بیاید بردن جان

ქმ-ს სრული სურათის აღდგენა. არსებობდა კიდევ სხვა ნუსხა. რომლის პოლიანი სურათი შემოგვინახა ქართულმა თარგმანმა და რომელიც დიდ დახმარებას ვაგვიწვევს ამ მხრივ<sup>12</sup>.

რამდენადაც ირკვევა, სიუჟეტური ქარგა თანაპისეული ვერსიისა დიდად არ განსხვავდება პროზაული ვერსიისაგან: აქაც სისტანის მეფეს აზადბახთს შეუყვარდება თავისი სეფეჰდარის ასული, შეირთავს მას მამის ნებართვის გარეშე. ეს უკანასკნელი შურს იძიებს და ტახტიდან ჩამოაგდებს მას. გაქცეულ მეფესა და მის მეუღლეს გზაში ვაჟი შეეძინებათ, ტოვებენ მას უღაბნოში და ქირმანის მეფეს შეაფარებენ თავს. შემდეგ კი მისივე დახმარებით დაიბრუნებენ სამეფოს. შემდეგ აღწერილია უფლისწულის ისტორია, რომელსაც ჯერ ავაზაყეთუროსი იშვილებს და ხოლადადს უწოდებს, შემდეგ კი აზადბახთი დაიახლოვებს და ბახთიარად მონათლავს:

„უთხრა მას მეფემ: რადგან გავაბედნიერე  
ამის შემდეგ სახელად ბახთიარს გიწოდებ“-13.

ბახთიარი შემთხვევით იძინებს მეფის საწოლში, სადაც მასა და თავის მეუღლეს მოუსწრებს აზადბახთი. ბოროტი ვეზირები აგულაანებენ მას:

دهم دان که قضارا نیت چاره  
رسیده از بزرگان این روایت  
که در عالم بماند یاد گاری  
که نام ما در آن جمله سازی  
کمال و یوسف و عمو کلان تر  
هزاران رحمت یزدان برو باد  
که این نکته کشم در رشته نظم  
ახალი გვერდიდან (40v):

بهم از مرد حيله کن کناره  
بهر فصلی یکی شیرین حکایت  
چه باشد کر تو اورا نظم آری  
مرا گفتند از روی نیازی  
بگویم نام آن هر سه برادر  
جوانرا آنکه یوسف نام بنهاد  
بتوفیق خدا شد عزم ما جزم

که ایزد باد از ایشان جمله راضی  
بنام آزاده بخت و چهره ماهی

چنین گفتند آن پیران ماضی  
که اندر شهر سیستان بود شاهی

<sup>12</sup> შართლაც, ზ. საფა იხსენიებს ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ფანანის პოემის ერთ მეტად დამახინჯებულ ნუსხას, რომელიც ასე იწყება

بنام پادشاه حی منان  
کزو شد انجم و افلاک گردان

საინტერესოა, რომ ამ ნუსხაში სწორადაა აღნიშნული პოემის დაწერის თარიღი: (راحة الارواح, 22) ز هجرت هشتصد و پنجاه و یک بود.

<sup>13</sup> ტუტუტ აქაც და ქვემოთ მოგვყავს B 1277-ის მიხედვით, მაგრამ ვიყენებთ Курд. 12-საც:

ازین پس بختیارت نام کردم      بگفتا شه ترا چون رام کردم

„მონა ჩვენს თავს ირჩიე, აღაზვეე,  
მადლოა ღმერთს, თვით ნახე საქმის ვითარება“<sup>11</sup>.

აზადბახთი ბრძანებს ბახთიარის სიკვდილით დასჯას. ბახთიარი ითხოვს სიტყვას, რომელსაც მოსდევს არაკი. ყოველ არაკს წინ უქ-  
ღვის ეს გასაუბრება (მუნაზარე) ბახთიარსა და მეფეს შორის. ასეა  
ჩართული ათი არაკი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაკების გან-  
ლაგების მხრივ ფანაპისეული ვერსია შედარებით ახლოს დგას არა-  
ბულ დამუშავებებთან, თუმცა განსხვავდება როგორც რაოდენო-  
ბით, ისე დეტალებით. ჩანს, ის პროზაული ვერსიაა, რომელიც გა-  
ლექსა ფანაპიმ, შეიცავდა ამ თხზულების საკმაოდ ადრინდელ რე-  
დაქციას.

ფანაპისეულ ვერსიაში გვაქვს შემდეგი არაკები:

- I — არაკი მდიდარი ვაჭრისა და მისი გაღარიბებისა  
(Курд. 12-ში: ბედუქულმართი ხოჯას ამბავს იტყვიან).
- II—არაკი დიდვაჭარ ხოჯა ჰოსეინისა  
(Курд. 12-ში: არაკი დიდვაჭრისა, რომელმაც თავისი შვი-  
ლები წყალში ჩაყარა).
- III—საბირის არაკი თუ მოთმინებით როგორ მიაღწია მეფობას  
(Курд. 12-ში: გონიერი საბირის არაკი).
- IV—ბეჭზადისა და მისი მოუთმენლობის ამბავი (Курд. 12-ში:  
არაკი მეფისა სახელად ბეჭზადი).
- V—არაკი დადბინისა და მის მიერ ვეზირის მოკვლისა ასულას  
გამო (Курд. 12-ში: მეფე დადბინის არაკი).
- VI—არაკი ბახთაზმასი და მისი სამართლიანობისა ((Курд. 12-  
ში: არაკი მეფისა სახელად ბახთაზმა).
- VII—არაკი ბეჭგარდ მეფისა და მის მიერ სიკეთის ქმნისა  
(Курд. 12-ში: არაკი მეფისა სახელად ბეჭგარდი).
- VIII—არაკი ილანშაჰისა და მისი ბოროტებისა და ბუ-თამამის  
უდანაშაულოდ მოკვლისა (Курд. 12-ში: არაკი მეფისა სა-  
ხელად ილანშაჰი).
- IX—არაკი იმ ქალისა, რომელმაც საკუთარი შვილი მოსაკლავად  
მისცა, რათა თვით გადარჩენილიყო (Курд. 12-ში: არაკი  
მეფისა სახელად ხოსროვი).

---

غلامی بر سر ما بر گزیدی بحمد الله که خود احوال دیدی<sup>11</sup>  
Курд. 12-ში მეორე ვიხსნა განსხვავებულია:  
بحمد الله بچشم خویش دیدی

X---არაკი ბორჰინ-შაჰისა (ქართ. თარგმანში: ფარვინ) და მისი პედ-ილბლიანი თავგადასავლისა (Kypd. 12: დეფექტურია)<sup>15</sup>.

ფინალიც მხოლოდ ცალკეული დეტალებით თუ გამოირჩევა: ავაზაკთა უხუცესი ჯალათს გამოჰგლეჯს ხელიდან ბახთიარს და მეფეს უამბობს ყოველივეს. ამასთან დასამტკიცებელ საბუთად წარმოადგენს არა მარტო იმ ტანისამოსს, რომელშიც უფლისწული იყო გახვეული, არამედ მიუთითებს მის ფიზიკურ ნაკლზე. ამით მამა შეიცნობს თავის შვილს, დედას კი მკერდიდან რძე წამოუვია. დედოფალი აღიარებს თავის დანაშაულს, ისევე, როგორც ვეზირები, რომელნიც აგულიანებდნენ მასა და მეფეს. საინტერესოა, რომ აქ ბახთიარი შეუღობს ვეზირებს:

-ვეზირნი ერთთავად ხელებს უკონიდნენ,  
ყველანი მის ფერხთა მტვერში ეყარნენ.  
უთხრა მამანი აზადბახთმა ვაჟიშვილს:  
ჩემი თვალთა სინათლე ხარ, ო, გონიერო!..

15 (რადგან ტექსტი გამოცემული არ არის, მოეიტანთ დასათარგმანს):

- I -- حکایت بازرگان پر مال و کم شدن مال وی  
(در بیان قصه خواجه بخت نگون گو یند)
- II -- حکایت خواجه حسین بازرگان  
(حکایت بازرگان که فرزندان خود در آب انداخت)
- III -- حکایت مرد صابر و از صبر پادشاهی رسیدن او  
(حکایت صابر خردمند)
- IV -- حکایت به زاد و بی صبری او  
(حکایت پادشاه بهزاد نام)
- V -- حکایت دادبین و کشتن وزیر از بهر دختر  
(حکایت پادشاه داد بین را)
- VI -- حکایت بخت آزما و صدق او  
(حکایت پادشاه بخت آزما نام)
- VII -- حکایت به گرد شاه و نیکوئی کردن او  
(حکایت پادشاه به گرد نام را)
- VIII -- حکایت ایلان شاه و گمراهی او و کشتن بو تمام بی گناه  
(حکایت پادشاه که نامش ایلان شاه)
- IX -- حکایت آن زن که فرزندش بکشتن داد از بهر خلاصه خود  
(حکایت پادشاه خسرو نام)
- X -- حکایت برهین شاه و احوال او باقضا و قدر



როგორც აღინიშნა, ფანაპისეული ვერსიას არაკები გამოირჩევა ზოგი საინტერესო დეტალითა თუ ნიუანსით. მაგალითად, გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი მეორე არაკიდან („უბედური დიდვაჭარი“). მყვინთავეები აჩუქებენ გაღარიბებულ ვაჭარს ათ მარგალიტს. იგი თანამგზავრი ქურდების შიშით ნაწილს პირში ჩაიდებს, ნაწილს — ჯიბეში. პროზაული ვერსიის მიხედვით ვაჭარი თვით დაილაპარაკებს და მარგალიტები გადმოუცვივდება<sup>17</sup>. ფანაპისეული ვერსიის მიხედვით მოქმედება უფრო ლოგიკურად ვითარდება:

„ამოიღო და რვა ცალი პირში ჩაიღო,  
ორი დანარჩენი ჯიბეში დაშალა.  
ცხვირის ცემინების სურვილმა წამოუარა,  
მარგალიტები პირიდან გადმოუცვივდა.  
როდესაც ქურდებმა ეს იხილეს, მივარდნენ,  
ყვირილით ხელები ყელში წაუჭირეს“<sup>18</sup>.

16

وزیران جمله دستش بوسه دادند  
همه در خاک پایش اوفتادند  
بگفتا آزاد بخت آندم بفرزند  
که نوری چشم مائی ای خردمند...  
بدو بخشید ناج و تخت سلطان  
بحکمتش ملک سیستان و خراسان

17 ზემოთ ითქვა, რომ „ბახთიარ-ნამეს“ ეს არაკი გვხვდება „სიბრძნე სიცი-რუეში“. მიუხედავად იმისა, რომ საბა ზოგჯერ ტექსტოლოგიურად ემთხვევა ვახტანგისეულ თარგმანს (ე. ი. პროზაულ ვერსიას), რიგი დეტალებით იგი ფანაპისეულ ვერსიას უკავშირდება (ამის შესახებ იხ. ჩვენი სპეციალური წერილი: „სიბრძნე-სიცირუსი“ ერთი არაკის შესახებ, თსუ სტუდენტთა შრომები, ტ. 7, 1955). აღნიშნული ეპიზოდი საბასთანაც განსხვავებულია: იქ ვაჭარს გაეცინება ქურდების ხუმრობაზე და მაშინ გადმოუცვივდება მარგალიტები.

18

برون آورد و هشتش در دهان کرد  
دوی دیگر بجیش در نهن کرد  
هوای عطسه اش اندر سر افتاد  
جواهرها از دهانی او در افتاد  
چو دزدان آن دیدند در فتادند  
بزاری دست بر حلقش نهادند

ზოგი ამ თავისებურებათაგან<sup>19</sup> საკმაოდ ალთიგიკურია (მაგ. მე-  
ცხრე არაკში დედის მიერ შვილის დასვენის იოსებზილიხანიანისე-  
პური დეტალი და სხვ.).

საკუთრივ პოემა მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებსაყურად-  
ღებოა. ლექსი მარტივია, ოღონდ ეს სიმარტივე ხშირად გადადის  
სიღარიბეში. მაგალითად, პოეტს უცდია გამოეყენებია ე. წ. ეპიკური  
პარალელიზმის ხერხი, როდესაც ერთი და იგივე ამბავი რამდენსამე  
ბეითში სხვადასხვაგვარადაა აღწერილი, მაგრამ უმეტესად უბრალო  
ტაქტოლოგია გამოსდის<sup>20</sup>. თვით ისეთი მომგებიანი დეტალი, რო-  
გორცაა განთიადის აღწერა, პოემაში მშრალი პროზაიზმითაა წარ-  
მოდგენილი:

-განთიადისას, როცა ამოვიდა მანათობელი მზე,  
სხვა ვეზირი მოადგა დივანს“<sup>21</sup>.

არაინვეიათად ლექსის გამართვას, რითმას ეწირება მხატვრულ  
სახე. თვით რითმაც საკმაოდ გაცვეთილია:

-შირვანის ქალაქში იყო მეფე,  
რომელსაც ჰყავდა ერთი შვილი მთვარის მსგავსი“<sup>22</sup>.

პოემა დაწერილია კლასიკური ჰე ზ ე ჯ ი თ, რომელსაც უფრო  
რომანტიკულ ეპოსში ვხვდებით (მაგ., „ვის ო რამინ“):

შა გარ დარ შამ რე შირ ვან ბუ დ შა ჰი

ქე უ რა ბუ დ ფერ ხან დი ჩო შა ჰი

(აქტორისა თუ გადამწერთა წყალობით ზომა ზოგან საკმაოდ  
მოიკოჭლებს).

19 ამ თავისებურებებს განეკუთვნება აგრეთვე ზოგიერთი ვეზირის საკუთარი  
სახელით მოხსენება: მესამე ვეზირს ერქვა آفرین, მეოთხეს — شهرروز,  
მეხუთეს — چهره და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ქართულ თარგმანში ეს სახე-  
ლები ზოგჯერ განსხვავებულია (მაგ., მეოთხე ვეზირს ფირუზი ჰქვია).

<sup>20</sup> მაგ.: جوان آن دم ز خواجه چون کرم دید  
بخود گفتا خطا کردم ز امید

چو از خواجه کرم دید اندر آن دم  
بخود گفتا غلط اندیشه کردم

<sup>21</sup> سحرگه چون شد خورشید تابان  
وزیری دیگر آمد پیش دیوان

<sup>22</sup> مگر در شهر شیروان بود شاهی  
که اورا بود فرزندی چو ماهی

ფანაჰისეული ვერსიის დეტალური შედარება „ბახთიარ-ნამეს“ სხვა ვერსიებთან უდაოდ უფრო მეტ თავისებურებას გამოავლენს<sup>23</sup>. ამჟენად ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პოემის სრული ტექსტის აღდგენასა და შესწავლას. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ „ბახთიარ-ნამეს“ მეორე ქართული თარგმანი, რომელიც სწორედ ფანაჰისეული ვერსიის თარგმანს წარმოადგენს.

---

<sup>23</sup> სპარსული ვერსიების გარდა გასათვალისწინებელია სხვა ენებზე არსებული ვერსიებიც (არაბული, უიღურული, აზერბაიჯანული, მალაიური). შესაძლოა გაირკვეს, რომ ფანაჰის სპარსული პროზაული წყარო დაუაიყის ვერსიაზე უფრო არქაული ყოფილა (შტრ. E. Э. Б е р т е л ь с, Новая версия..., стр. 258).

## „ბახტიარ-ნამეს“ სპარსული პოეტური პერსიის ქართული თარგმანი

პირველი ცნობა სულხანაშვილისეული ვერსიის შესახებ ეკუთვნის ალ. ბარამიძეს<sup>1</sup>. იგი შეეხო მას „რუსუდანიანის“ ლიტერატურულ წყაროებთან დაკავშირებით. კერძოდ, ნათელყო VI არაქის კავშირი აბუ-საბარის არაქთან სწორედ ფანაჰი — სულხანაშვილის რედაქციაში. მკვლევარი ვარაუდობს, რომ „რუსუდანიანის“ ავტორი უშუალოდ სპარსული წყაროთი ხელმძღვანელობდა. მართლაც, ძველქართული თარგმანის კვალი არ ჩანს, თუმცა, თუ საბას არაქთან მიმართებით ზემოთქმულს გავიხსენებთ, ფანაჰისეული ვერსიის ნაცნობობის რაღაც ტრადიცია უნდა არსებულებოდა ჩვენში. ალ. ბარამიძემ გამოიყენა ხელნაწერი, დაცული საქ. ცენტრალურ არქივში (№ 367).

სულხანაშვილისეული თარგმანის მეორე ნუსხას, რომელიც გადაუწერია სვიმონ ტაბიძეს 1840 წელს და დაცულია ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში (E 58), შედარებით ვრცლად შეეხო ტ. რუხაძე<sup>2</sup>. მან გამოთქვა სავესტით მართებული მოსაზრება, რომ არქივში დაცული ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს ა. სულხანაშვილის ორიგინალს. რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს № 367-ის „პირველი სამი თავი, მეტად უხეშად ნასწორებია ჩვენი დროის ხელით“<sup>3</sup>, იგი არ შეესაბამება სინამდვილეს. ფაქტით სწორებაც თვით სულხანაშვილს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან უკვე ს. ტაბიძის მიერ გადაღებულ პირში პირველი თავი სწორედ ამ ნასწორებში სახითაა წარმოდგენილი (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით).

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები, თბილ., უნივ. მოამბე, VIII, 1928, გვ. 317.

<sup>2</sup> ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1932, გვ. 217. მიუხედავად ამისა, კ. კეკელიძის ნაშრომში მხოლოდ ერთი არქივის (N 367) ნუსხაა მითითებული (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 372).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 222.

ვრცლად შეეხო სულხანაშვილისეულ თარგმანს დ. კობიძე<sup>4</sup>. შეკლევარმა უმთავრესად გაამახვილა ყურადღება ქართული ტექსტის მნიშვნელობაზე სპარსული დედნის შესწავლისათვის, რაც გამოიხატებოდა უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ზუსტი ქართული თარგმანი მომდინარეობს სრული, უნაკლო, სპარსული ტექსტიდან. ეს უკანასკნელი კი დღეს-დღეობით, მიუხედავად კიდევ ორი ნუსხის აღმოჩენისა, როგორც ითქვა, მაინც არ ჩანს. ამრიგად, „აღმოსავლეთმცოდნეებისათვის ფანაჰის მიერ გალექსილი „ბახტიარ-ნამეს“ არსებობა ცნობილი გახდა ირანისტის ე. ე. ბერტელსის მიერ 1929 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევით, ე. ი. ასი წლის შემდეგ ფანაჰისეული ქართული ვერსიის გაჩენისა“<sup>5</sup>.

ქართველი მთარგმნელის ალექსანდრე სულხანაშვილის შესახებ ცნობა წარმოდგენილია ტ. რუხაძის დასახელებულ ნაშრომში. იგი დაბადებულა 1808 წელს (1825 წელს მან გადაწერა საბას „სამოთხის კარი“ და იქვე მიუთითა, 17 წლის ვარო). XIX საუკუნის ორმოციან წლებში ა. სულხანაშვილი პეტერბურგშია, სადაც დაბეჭდა ქართულ-ფრანციულ-რუსული ლექსიკონი<sup>6</sup>.

ფანაჰის პოემა ა. სულხანაშვილმა თარგმნა 1828 წელს. თარგმანის შესავალში იგი მოვეითხრობს, რა პირობებში მოუხდა მას ამ სამუშაოს შესრულება: „მიმოქცევამან სოფლისამან და ბუნებითა მოვალეობამან ჩემმან, აღძრა რა ჩემ შორის სურვილი, შემდგომად დასრულებისა როსსიულისა ენისათა, მესწავლამცა სპარსული და თათრული ენანი, სასარგებლოდ საქიროსა დროსა შინა მამულისა ჩემისა, და მითცა მომეპოვნა ღირსება ქონებად წინაშე თქუენსა რომლისამე მკირისა ადგილისა“. საინტერესოა, რა პასუხისმგებლობით ეკიდება ა. სულხანაშვილი საქმეს: „ამისთჳს აღსასრულებელად ესრეთისა ჩემისა მოვალეობისა და სურვილისა ვპოვე ჩემდა მოძღვრად მცხოვრები ქალაქსა შინა ტფილისსა ჩინოვნიკი მირზა სადგე თუშმალოვა. რომელმანცა კეთილსულოზისა და ერთგულობისამებრ თჳსისა, მიიღო რა თხოვაჲ ჩემი, არა იმუყრვა წარგებად რაოდენისამე დროისა ჯწავებისა თჳს ჩემისა, და მომდინარეობასა შინა ოთხიანა წლისი ჰმყო მე მეგობრად ზემო-ხსენებულთა სპარსულის და თათრულის ენებთა“. ჩანს, ა. სულხანაშვილი საქმაოდ კარგად მომზადე-

4 დ. კობიძე, „ბახტიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 3, 1945.

5 იქვე, გვ. 237.

6 ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 220; თვით „ბახტიარ-ნამეს“ თარგმანის შესავლიდანაც ირკვევა, რომ იგი ოცდაერთი წლის იყო („ოცდაერთ ხეზე მქდომი ნარგიზოსანი“), ფანაჰი რომ თარგმნა (1828 წ.).

ბულა მთარგმნელის მისიისათვის. თუმცა თავმდაბლურად იხდის ბოლიშს თავისი კანდიერებისათვის.

ძნელია ითქვას, რით ხელმძღვანელობდა მისი მასწავლებელი, როდესაც სათარგმნად შეარჩია ისეთი იშვიათი და ნაკლებპოპულარული თხზულება, როგორც იყო ფანაპის „ბახტიარ-ნამე“ (ანუ ფანაის ბახტიარ-ნამა, როგორც უწოდებს მას ა. სულხანაშვილი). ყოველ შემთხვევაში, მისმა ოცდამეერთე წელში გადამდგარმა მოწაფემ გაართვა თავი ამ ამოცანას:

„ვენერამ კალმისა აღმართნა რა დროშანი,  
ამლერდნენ ტურფად ვარდებულულ-შროშანი,  
ოცდაერთ ხეზე მჯდომი ნარგიზოსანი,  
სთარგმნიდა ესრეთ სპარსულით ქართლოსანი“.

ეს ნაწყვეტი იმ ლექსიდანაა, რომლითაც ა. სულხანაშვილი ამთავრებს თავის შესავალს. მის მიერვე შეგნებულმა საკუთარი პოეტური ნაკის სისუსტემ თუ სპარსული ტექსტის ზუსტად გადმოღების სურვილმა გადაადგმევინა ქართველ მთარგმნელს სწორი და გამართლებული ნაბიჯი, როდესაც მან ფანაპის პოემა პროზად თარგმნა<sup>7</sup>. როგორია თარგმანის ხასიათი?

ცოტა არ იყოს მკაცრი მსჯავრი დასდო მას ტ. რუხაძემ: „...მეგობრებსა და თანასწორთ არც თუ ისე დიდათ მოეწონებოდათ სულხანიშვილის თარგმანი, როგორც სიტყვა-სიტყვითი და მხატვრულ-იდეურ ინდივიდუალობას მოკლებული გადმოკეთება სპარსული ორიგინალისა. სხვა შემთხვევაში მთარგმნელს ქებას შეასხამდენ, ეხლა კი ცნობილ ოთარ ქობულოვს, როცა გადაუკითხავს სიმონ ტაბიძის მიერ გადანუსხული ალ. სულხანიშვილის ბახტიარ-ნამე, ზედვე მიუწერია:

აზატბახტის ისტორია ჩივიკთხე ნელა ნელად,  
ეპოვე ჰაზრი სიმატლისა, ბახტიერის გამოხსნელად.  
საღმრთო ქელი ვისცა ჭფარავს, იგი წახდეს, ვიტყვი, ძნელად.  
დიდება მას, ვინცა შეჰქმნა დღე ნათლად და ღამე ბნელად“<sup>8</sup>.

ვფიქრობთ, ოთარ ქობულაშვილის სიტყვებში არაფერია გასაკიცხი, არსად ჩანს თარგმანის უარყოფითი შეფასება. პირიქით, მას დიდის კმაყოფილებით (ნელა-ნელად) წაუკითხავს იგი და სასარგებლოც უნახავს სულისა თუ გონებისათვის.

7 ა. სულხანაშვილი არაფერს ამბობს, იცნობდა თუ არა ვახტანგისდროინდელ პროზაულ თარგმანს.

<sup>8</sup> ტრ. ო. ხ. ა. ე. დასახ. ნაშრ., 222; ლენინგრადის: აზიის ხალხთა ინსტ. ხელნ. E 58.

სიტყვა-სიტყვიან უწოდებს ამ თარგმანს დ. კობიძე, და ძირითადში, ეს განსაზღვრება სწორია<sup>9</sup>. მაგამ სიტყვა-სიტყვითი ანუ ზუსტი თარგმანი სხვადასხვაგვარი არსებობს. სიტყვა-სიტყვითი შეიძლება ბჭკარედულის მნიშვნელობით გავიგოთ: (მაგ., ვახტანგ VI მიერ თარგმნილი „ქილა და დამანა“) და მხატვრულისაც (მაგ., „ვისრამიანი“). ა. სულხანაშვილის თარგმანი, ჩვენს აზრით, სადღაც მათ შორის უნდა მოთავსდეს. მთარგმნელი არ გამოიჩინა მხატვრული დიდოსტატობით. მაგრამ ეს ნაწილობრივ ლექსის თავისებურებითაც აიხსნება. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: ზოგჯერ იგი უფრო ხატოვნად წარმოსახავს სურათს, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ორიგინალის რკალში რჩება. მაგ., განთიადის ტრაფარეტული აღწერა ფანაქრს პოემის ერთ-ერთი კარის დასაწყისში:

„განთიადისას რა ამოვიდა აღმოსავლეთის მზე,  
სამო ლამეს მოჰყვება თავი (ტანისავან)“<sup>10</sup>.

ასეა წარმოდგენილი თარგმანში: „ოდეს აღმოვიდა მზეჲ თვისსა სხივებითა თვისსა ღორიზონტსა ზედა და მოჰყვება თავი სიბნელესა, გარდათხმულსა პირსა ზედა ქუეყანასასა თვისს მნათობის ქმალთა (ესე იგი ოდეს განსთენდა და აღმოვიდა მზეჲ). მაშინ მოახსენა ბახტიარმა“. საყურადღებოა ფრჩხილებში ჩასმული მთარგმნელისეული გახსნა მეტაფორული სურათისა, რაც მოწმობს. რომ მთარგმნელს შეეძლო სხვაგვარი თარგმანიც, მაგრამ შეგნებულად იფარგლებოდა სპარსული ტექსტის ზუსტი გადმოცემით. განსაკუთრებით ნათლად მოწმობს ამ გარემოებას ის ჩაწერებანი, რომელ-

<sup>9</sup> დ. კობიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 239. აქვე ავტორი უთითებს რამდენიმე მაგალითს, როდესაც თარგმანი თითქოს სცილდება ორიგინალს: თარგმანში არ არის კვერცხების შეღებვისა და გაგზავნის საყურადღებო დეტალი, აგრეთვე „არ იკითხება (შეიძლება გამოჩნა ტექსტის გადამწერს), რომ დადბინს (ასეა P-ში) თავი მოკვეთეს“ (გვ. 240). პირველი დეტალის შესახებ უნდა ითქვას, რომ თე იგი ვვაქვს ე. ბერტელსისეულ ნუსხაში (B 1277), სამაგიეროდ არ გვხვდება Курд. 12-ში, რომელთანაც ბეითური შედგენილობის მხრივ ქართული ძალიან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს. რაც შეეხება დადბინის დასჯის გამოტოვებას, ძნელია მისი ახსნა გადამწერის მიზეზით. მართალია, ს. ტაბიძე (E 58) ხშირად ტოვებს სიტყვებსა თუ მთელ ფრაზებს, მაგრამ მეფისათვის თავის მოკვეთა არც ავტოგრაფში (N 367) იკითხება. იქნებ მთარგმნელმა იგი შეგნებულად გამოტოვა, დაკმაყოფილდა რა ვეზირის დასჯით? ან იქნებ აქაც მთარგმნელის ხელთ არსებული სპარსული ტექსტის თავისებურება ივარაუდება?

<sup>10</sup> B 1277:

سحر گه چون بر آمد شمس خاور      شبی شبرا جدا کرد از بدن سر

ნიც, როგორც ითქვა, თვით მთარგმნელს შეუტანია პირველი სამი თავის მანძილზე<sup>11</sup>. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

1) სპარსული ტექსტის ზუსტი თარგმანია შემდეგი ფრაზა: „ველმწიფე მსგავს არს მთისა და ჩვენ მის წინაშე ვართ ვითარცა ბზეი“<sup>12</sup>. ფრაზა თავისთავად გამართულია, მაგრამ მხატვრული გააზრებით სპარსიზმია (ქუპ — მთა და ქაპ — ბზე, მათი სიტყვათამაშია). ფანქრით გადაშლისა და გასწორების შედეგად ფრაზამ შემდეგი სახე მიიღო:

„ველმწიფე არს უფალი და ჩვენ — მონანი“.

2) „ესრეთ რომელ მივიდა რა მემცხედრე ველმწიფისა ხ ა ლ ვ ა თ ხ ა ნ ა ს ა შ ი ნ ა, იხილა იგი ბახტიარი მძინარე, რომელიცა ვერ იცნა და სთქვა, რომელ ესე არს უთუვოდ მძინარე ველმწიფე ამა ტახტსა ზედა“. ჩასწორებასა და გადაწლას თუ გავითვალისწინებთ, გვექნება: „ამ ღროს შევიდა ცოლი ველმწიფისა მის ო თ ა ხ შ ი და ნახა ბახტიარი მძინარე, ვერ იცნა იგი და ეგონა მძინარე ველმწიფე“. როგორც ვხედავთ, მარტივდება სტილი, ახალი ქართულს ყაიდაზე იმართება სინტაქსი, სპარსული ლექსიკა იცვლება ქართულით (ან უფრო გაქართულებულით).

სურათი ნათელია და ბუნებრივი: ა. სულხანაშვილისეული თარგმანი მისი მუშაობის პირველი ეტაპია. სამწუხაროდ, მას ბოლომდე აღარ გაუმართავს იგი, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სახითაც იგი არაა მოკლებული გარკვეულ ღირსებებს<sup>13</sup>. თუ პირველ პლანზე აქ ვერ წამოვწევთ მხატვრულ მომენტს (სამართალი თუა, უნდა ითქვას, ამით არც მისი ორიგინალი ბრწყინავს), სამაგიეროდ ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა ამ თარგმანისა უდაოა.

<sup>11</sup> ამას ვეაფიქრებინებს ხელის მსგავსება, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ტექსტი კალიგრაფიულად წერის ცდას წარმოადგენს, ფანქრით მინაწერები კი ძალზე გაკრული და ხშირად ძნელად გასარჩევია (იხ. ტექსტისათვის).

<sup>12</sup> که سلطان [همچو] کز و ما چون کاهم (Курд. 12 ანჭერად იღწევა განსხვავებულ და ბუნდოვან წაითხვას):

که سلطان جو ما کوه شاهم

<sup>13</sup> თავიდან სტილისტური არქაიზაცია ხელოვნურობის დაღს ასვამს თარგმანს და თოქოს აქნელებს ში ალქმას. მაგრამ თანდათან თვალი დეკორი ეჩვევა შა და გამახვილებული მზერა და სმენა ხშირად წააწყდება არც თუ ისე ურიგოდ გამართულ ადგილებს (მაგ., „ხოლო ცხენსა მას, რომელსაცა ზედა იგი მჭდომარე იყო, აქუნდა ფრჩხილნი ვრცელ, ოდენ ჯამისა, ყურები მისი მსგავსი იყო კალმისა, და აქუნდა ფაფარი და კუდი შავი, მსგავსად მელნისა. თვთ იყო მთა, სრბოდა ვითარცა ქარი და ჩანმულ იყო სრულებით ფოლადსა შინა“).



პირველყოვლასა, უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომელნიც აკლია დეფექტურ სპარსულ ნუსხებს და რომელნიც სრული სახით ჭერ-ჭერობით მხოლოდ ქართულ თარგმანშია დაცული. დ. კობიძემ თავის წერილში მოკლედ გადმოსცა იმ თავის შინაარსი, რომელიც ე. ბერტელსის მიერ მოკლულ ნუსხაში საერთოდ არ ჩანს, ჩვენ მიერ შესწავლილ ხელნაწერებს კი ნაწილობრივ შემოუნახავთ. რადგან ამ თავის („მიზეზი წიგნის დაწერისა“) გარკვეული ნაწილის სპარსული ტექსტი ხელთა გვაქვს და გვეძლევა შესაძლებლობა ა. სულხანაშვილთან წარმოდგენილი ცნობების სიზუსტის შემოწმებისა, მოვიტანთ შესაბამისი თავის შინაარსს სრულად ქართული თარგმანის მიხედვით:

„მოწყალენო კელმწიფენო! ესე ხსენებული ფანაჯ პირველად თვისა მამულსა შინა ყოფილა მოწაფედ ერთის ფრიად ზდილის და მეცნიერისა, რომლისა სახელი მაჰმადი, და ყოველთს მისთს უმსახურნია და მის საფარველს ქვეშე ყოფილა, და მიიღებდა ყოველდღე მისგან ცნობასა და მეცნიერებასა. გარნა შემდგომად მიმოქცევისა გამო დროჲსა და სიყმაწვილისა გამო თვისისა მისდამი ღვთისაგან მინიჭებულის დოვლათისაგან (ესე იგი მოძღვრისაგან თვისისა) და მამულისა განშორებულა და წარსულა პირველად ქალაქს ვეისის ყარანსა, სადაცა მოუპოებია ნხიარულებითი ცხოვრება და დამდგარა ერთსა წელსა. შემდგომად ამისსა მიუღია რა კვლად წადილი გამგზავრებისა თს მაჰმადის ქალაქს. მოსულა ქალაქს ბადადს მისთს, რომელ რათა ბაღდადისა ხალიფისაგან მოეპოვნა უმეტესი პატივი და შექმნილ იყო იგი ქონებისა შექონედ. ვარნა ვინადგან მისგანცა ვერა რაჲმე მოუპოებიეს ესრეთი პატივი და კეთილობაჲ, მორსრულა ქალაშის<sup>14</sup> ქალაქს, სადაცა განუტარებია რაოდენიმეჲ დროჲ კეთილად და განცხრომით და მოუპოებამცა მუნ რაოდენიმე საყვარელნი მეგობარნი, და მათ რიცხვთაგან სამნი ძმანიცა, რომელნიცა მის ქალაქისა მშვენიერებანი ყოფილან და სახელები მათი: პირველისა — ქამალი, მეორისა — იოსებ და მესამესი — ამუქალანთარი, რომელთადმი ფრიადი მეგობრობაჲ და სიყუარული ჰქონია და უმეტესად იოსებისადმი ფრიად მშვენიერისა, რომელიცა თითქმის მშვენიერებითა და კეთილქცეულობითა თსითა წოდებულა მეორე იოსებად მის ქალაქისა. და მას უთქვამს მის ხსენებულის ფანაჯსათს, რომელ მაქუს რა წიგნი ერთი, რომელიცა არს ათი თავი, და თუთო თავი იპყრობს თს შორის თვთოსა დარჩევასა მოთხრობისა მსგავსად: პირველი თავი — ყოველი გამგე ქუეყნისა ჭერ არს რათა იყოს წინამხედველ; თავი მე-

<sup>14</sup> E 58; ქალაქის.

ორე — ყოველსა საქმესა შინა ჯერ არს ფიქრი; თავი მესამე — ყოველსა საქმესა შინა ჯერ არს მოთმინება; თავი მეოთხე — ყოველი ბოჰომინო მიიღებს მხიარულებასა; მეხუთე თავი — ჯერ არს კრძალულ ყოფად ცოდვათაგან; მეექუსე თავი — არა ჯერ არს ჰრწმუნებად საქმისა. ვიდრემდის არა ნახოს საკუთრითა თვალითა; თავი მევიდე — ჯერ არს მიტევებად ცოდვისა; თავი მერვე — ჯერ არს განშორებად სიშურისაგან; თავი მეცხრე — ჯერ არს განშორებად ეშმაკობისა და მანქანობისაგან; და თავი მეათე — ღვთისა წერასა ანუ გამგებლობასა არა აქუს ხსნა.

უთხოვნია მეგობრობისა გამო თვისისა მის ხსენებულის ფანაქსათჳს, რათა ესე წიგნი ბახტიარ ნამა ისტორიულად შეთხზული. მიელო შრომაჲ, შეეთხზა ლექსად სპარსულსა ენასა ზედა და მათი სახელები შესავალსა მის წიგნისაჲ ოჯოთ თვთოდ გაჰოცხადებინა. ამისათჳს ზემორე წარწერილს ფანაქსაც მიუღია რა მისი თხოვა და ვედრება. შეურაცხავს თჳსდა შრომაჲ თჳთი განსაყვენებლად სულისა და შეუთხზავს წიგნი იგი ლექსად და მათიცა სახელები განუცხადებია“.

ამ ნაწყვეტისა და სპარსულ ნუსხებში (Курд. 12 და ბაქოსი) შემონახული ტექსტების ურთიერთშედარებიდან რიგი საინტერესო საკითხი ჩნდება: ჯერ ერთი, ქართულ თარგმანში გადმოღებული რეალიების უმრავლესობა ზუსტად და სწორად შეესატყვისება ორიგინალს. გასარკვევია ზოგი საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელი. მაგალითად, თარგმანში იხსენიება ქალაქი „ვეისის ყარანი“<sup>15</sup>. სპარსულ ტექსტში მართლაც ერთ-ერთ ბეითში გვაქვს ადგილას სახელი ვეისე ყარან, მაგრამ ოღნავ ქვემოთ თითქოს უკვე პიროვნებაა „ვეისი ყარან ტკბილმოუბარი“. ვეის-ყარანი ეწოდებოდა ერთ სუფის, მუჰამადის თანამედროვეს<sup>16</sup>. შესაძლებელია აქ გეოგრაფიული პუნქტიც იგულისხმებოდეს და მისგან ნაწარმოები ნისბაც. ასევე, ქალაქის ქალაქი ზუსტად შეესაბამება ორიგინალის ქალაშს ან ქელაშს, ოღონდ სპარსულში იგი ქალაქის კი არა, სამეფოს (მოლქ) სახელწოდებაა. ასევე ზუსტად ემთხვევა ძმების სახელები ქართულ თარგმანსა და ბაქოს ნუსხაში (ქამალი, იოსებ და ამუ-ქალანთარი).

---

<sup>15</sup> დ. კობიძეს დასახ. ნაშრომში (გვ. 238) ეს სახელი მოაქვს ფორმით ვეირის ყარანი და სავარაუდოდ უკავშირებს მას სამხრეთ მაკედონიაში მდებარე ქალაქ Kara-veria-ს (ძველი ბერონა). ორივე ქართულ ნუსხაში, ისევე, როგორც Курд. 12-ში, ვეის (ანუ ვეისის) ყარანი გვაქვს.

<sup>16</sup> O. Mann (ქართული ტექსტები, ბერლინი, 1909, გვ. 33; ცნობა მოკვანოლა მ. რუდენკო მ).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მომენტი მთარგმნელს მცდარად გაუგია. სპარსულ ტექსტში აღწერილია ფანაჰის რელიგიური განწყობა, რომ ის ყურმოჭრილი მონა იყო მუჰამადისა, რომლის პარმშოა ყოველივე თევზიდან მთვარემდის, რომ მისი ქება არავის ძალუძს და ა. შ.<sup>17</sup>. ქართულ თარგმანში წინასწარმეტყველი მუჰამადი ქცეულა კონკრეტულ, ფრიად ზრდილ და მეცნიერ მასწავლებლად მაჰმადად, რომლის მოწაფეს ფანაჰის „ყოველთვის მისთვის უმსახურნია და მის საფარველს ქვეშე ყოფილა“. ტექსტის ამგვარ გაუგებრობას ძალზე იშვიათად ვხვდებით.

მეორე, და რაც მთავარია, ქართულ თარგმანში გვაქვს დახასიათება იმ პროზაული (ანუ ისტორიული, როგორც მთარგმნელი ხმარობს) ვერსიისა, რომელიც ფანაჰის გაულექსავს. საყურადღებოა დ. კობიძის მოსაზრება: „ქართულ ცნობაში, მართალია, გახაზულია ის გარემოება, რომ პოეტ ფანაჰის „ბახტიარის წიგნის“ „სპარსულსა ენასა ზედა“ გაულექსვა სთხოვეს, მაგრამ ეს („სპარსულსა ენასა ზედა“), ჩემი აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ფანაჰის სხვა ენაზედაც შესძლებია ლექსების წერა და არა იმას, რომ მისი წყარო სპარსულად არ იყო შეთხზული“<sup>18</sup>.

ყურადღებას იქცევს შესავალში თავების ანუ კარების დასათაურება. იგი გვხვდება ბაჰოს სპარსულ ტექსტში, აქაც მხოლოდ შესავალში. რაც მთავარია, ეს დასათაურება. არც ქართულ ტექსტში გვაქვს. ფანქრით სწორებისას უცდია მთარგმნელს მათი შეტანა. მაგრამ მხოლოდ პირველ თავშია გადაშლილი სათაური „დაწყება პირველისა თავისა ისტორიისა“ და წარწერილი: „თავი პირველი — ყოველი გამგე ქუეყნისა, ჭერ არს, რათა იყოს წინამხედველ“<sup>19</sup>.

17

محمد اسم آن مولای خاوش  
پناهی هست اورا حلقه در گوش...  
چه داند مدح او مسکین پناهی  
طفیل او ست از مه تا بماهی

18 დ. კობიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 241. აღსანიშნავია, რომ ორიგინალში არა გვაქვს ეს „სპარსულსა ენასა ზედა“, იქ მხოლოდ იმაზეა მსჯელობა, რომ პროზაული ამბავი („ნუქთა“, „რევიათი“) უნდა გაულექსა:

که این نکته در رشته نظم.

19 ვფიქრობთ, ზემომოტანილი დასათაურება კარებისა ეყუთენის იმ პროზაულ ვერსიას, რომელიც ფანაჰის გამოუყენებია. ამიტომაც აღარ გვხვდება იგი ფანაჰის ტექსტში. გავიხსენოთ, რომ პირველ ქართულ თარგმანშიც ვხვდებით ანალოგიურ ქვესათაურებს.

რაც შეეხება ტექსტში არაკების დასათაურებას, ძირითადადში თარგმანი მისდევს ჩვენთვის ცნობილ სპარსულ ხელნაწერებში წარმოდგენილ სათაურებს. ამასთან უფრო ახლოს დგას ახლად აღმოჩენილ ნუსხასთან (Kyp.1. 12):

I—მოთხრობა ერთსა ვაჟარსა ზედა ძვირად გამსყიდველისა.

II—მოთხრობა ერთსა დიდსა ვაჟარსა ზედა.

III—მოთხრობა საბირსა ზედა<sup>20</sup>.

IV—მოხსენება ბახტიარის მიერ ბეჰზადის მოთხრობის კელმწიფის აზატბახტისადმი.

V—მოთხრობა კელმწიფე დადაბინსა ზედა.

VI—მოთხრობა კელმწიფეს ბახტაზმას ზედა.

VII—მოთხრობა კელმწიფეს ბეგარდსა ზედა<sup>21</sup>.

VIII—მოთხრობა ილან კელმწიფესა ზედა.

IX—მოთხრობა კელმწიფეს ხოსროვსა ზედა.

X—მოთხრობა კელმწიფეს ფარვინსა ზედა.

ფანაჰის „ბახთიარ-ნამესა“ და მისი მეშვეობით წარმოსახულ უცნობ პროზაულ ვერსიას ისეთი თავისებურებანი გააჩნიათ, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად შეუწყობს ხელს „ბახთიარ-ნამეს“ სხვადასხვა ვერსიების შედარებით შესწავლას. „ფანაჰისეული ქართული ვერსია კი, ტოვებს რა სიტყვა-სიტყვით შესრულებული თარგმანის შთაბეჭდილებას, ჩემი აზრით, მომდინარეობს გაცილებით უფრო სანდო ტექსტიდან, ვიდრე ბერტელსის მიერ განხილული ხელნაწერია, რის გამოც იგი, გარდა იმისა, რომ, როგორც ვნახეთ, იძლევა თვით სპარსული ლექსათი ვერსიის ავტორის ფანაჰის შესახებ ისეთი ხასიათის ცნობებს, რომლებიც ხელმოუწვდომელია (სანამ უნაკლო სპარსული ტექსტი არ აღმოჩნდება) ქართულის არამცოდნე ირანისტებისათვის, შემცველია ზოგი მნიშვნელოვანი თავისებურებისა“<sup>22</sup>...

დ. კობიძის მოსაზრებას სავსებით უჭერს მხარს ფანაჰისეული ვერსიის ახალი ნუსხები. მათ აღმოაჩნდა რიგი ისეთი დეტალებისა, რომელთაც ვხვდებით ქართულ თარგმანში, მაგრამ არა გვაქვს ან განსხვავებულადაა მოცემული ე. ბერტელსის მიერ შესწავლილ ხელნაწერში. განვიხილოთ ზოგი მათგანი:

20 აქვს ქვესათური: „მოყუანა ავაზაკებთაგან ძეთა საბირისთა მის ქალაქსა შინა. სადაც საბირ იქდა კელმწიფედ“ (შდრ. პირველ ქართულ თარგმანს: „აბუს-ფარისაგან შვილების პოვნა“).

21 აქვს ქვესათური: „მოსვლა კელმწიფის ბეგარდისა ქალაქსა შინა ვაზირისასა“.

22 დ. კობიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 239.

1) მესამე არაქში („მოთხრობა საბირსა ზედა“) ავაზაკი, რომელიც საბირის მეუღლეს მოიტაცებს, წაიყვანს მას თავის სახლში. B 1277-ის მიხედვით ავაზაკს ჰყავს დედა. მთელი ეპიზოდია ამ მოტაცებული ქალისა და ავაზაკის დედის ურთიერთობისა:

„სახლში მიიყვანა ქალი ცბიერებით,  
ჰყავდა მას მოხუცი დედა“<sup>23</sup>...

ქართულ თარგმანში არაჯითარი დედა არ ჩანს. ასევე არ გვხვდება იგი Kypx. 12-ში:

„სახლში მიიყვანა და ფარდის იქით დამალა,  
ვიღაც კაცი დარაჯად მიუყენა“<sup>24</sup>...

იგი საერთოდ ზედმეტა ჩანს სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით.

2) B 1277-ის მიხედვით „დადბინის არაქის“ ერთ-ერთ მოქმედ პირს, დადბინ მეფის ვეზირს ეწოდება რ უ ზ ბ ა ხ თ ი:

„ერთერთს სახელად რ უ ზ ბ ა ხ თ ი ერქვა იმის გამო  
რომ მეორეს სახელი იყო ქარღანი“<sup>25</sup>.

ქართულ თარგმანში რუზბახთის ნაცვლად რ უ ზ ი გ ა რ ი გვაქვს, ასეთი სახელი კი უცნობი იყო სპარსული, როგორც ლიტერატურული, ისე ხალხური ვერსიებისათვის. დ. კობიძე, რომელიც გონებამახვილურად უკავშირებს ქართულ თარგმანში დაცულ ფორმას არაბული ვერსიების ზ უ რ ქ ა ნ ს ა თ ე ზ უ რ გ ა რ ს, ამავე დროს ვარაუდობს, „ი“ აქ ქართულში თუ გაჩნდაო, სპარსულში რუზგარ იქნებოდა<sup>26</sup>. მართლაც, Kypx. 12-ში მოთავსებული ფანაქისეული ვერსიის ახალი რედაქცია გვაძლევს ვეზირის სახელის სწორედ იმ ფორმას, რომელიც ქართულ თარგმანშია წარმოდგენილი:

<sup>23</sup> بخانه برد آن زنرا تزوير

ولیکن بود اورا مادری پیر...

<sup>24</sup> بخانه برد و در پرده نمان کرد

کسی را بر سری او پاسبان کرد

<sup>25</sup> یکی را روزبختش نام از آن بود

که نام دیگریرا کاردان بود

<sup>26</sup> დ. კობიძე, დანახ. ნაშრ., გვ. 240.

„ეროვნის სახელად რუზგარი ერქვა იმიტომ,  
რომ მეორეს სახელი იყო ქარდანი“<sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ. ქართულ თარგმანს, ისევე, როგორც Kypr. 12-ის რედაქციას. შემოუნახავს ფანაპისეული ვერსიის უფრო სანდო და ადრინდელი ტექსტი. აწავე დროს, ეს დეტალი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული თარგმანის სიზუსტეს, მის ვარგისიანობას სპარსული ტექსტის კვლევისას.

---

27

یکی را روزگار نامش آن بود  
که نام دیگرش را کردان بود

## დასკვნა

„ბახთიარ-ნამე“ ერთ-ერთი უძველესი სპარსული ხალხური დას-  
თანია. მისი თავდაპირველი ლიტერატურული გაფორმება ფალაურ  
დიდაქტიკურ კრებულებს შეიძლება დაუკავშირდეს<sup>1</sup>. მათი უმრავ-  
ლესობისაგან განსხვავებით იგი საკუთრივ ირანული წარმოშობისაა  
და არ უნდა იყოს ნათარგმნი ანალოგიური ჩარჩოიანი ინდური წყა-  
როდან. ფალაური პროტოტიპი აზარბუღად უთარგმნიათ, სხვა ძეგ-  
ლების მსგავსად, არაბთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ. მისი ერთ-  
ერთი რედაქცია შევიდა არაბული ზღაპრების სახელგანთქმულ კრე-  
ბულში „1001 ღამე“. ე. წ. გინცბურგისეული ხელნაწერიდან. რომე-  
ლიც საფუძვლიანად განსხვავდება „ეგვიპტური რეცენზიისაგან“. იგი  
რუსულად თარგმნა მ. სალიემ. წინასიტყვაობაში მან ხაზგასმით აღ-  
ნიშნა: „Наличие древнего прототипа больше всего ощущается  
в цикле рассказов о десяти везирах, несомненно опирающемся  
на давнюю традицию“<sup>2</sup>.

მართლაც, მთელი რიგი დეტალები მოწმობენ, რომ ეს არაბული  
ვერსია სპარსულადანაა ნათარგმნი (საკუთარი სახელები, სიუჟეტუ-  
რი დეტალები). ძნელია ითქვას, ახალსპარსული ვერსია უშუალოდ  
ფალაურიდან მომდინარეობს. თუ ამ არაბული ვერსიების ხელახალ  
თარგმანს წარმოადგენს (ეს უკანასკნელი უფროა სავარაუდო). მაგ-  
რამ ფაქტია, რომ „თარიხე სისტანი“ (XI ს.) უკვე იხსენიებს რეა-  
ლურად არსებულ ახალსპარსულ „ყისსეიე ბახთიარს“. „ბახთიარ-  
ნამეს“ სიუჟეტის შემდგომი გავრცელება შეიძლება დაახლოებით  
ასეთი სქემით გამოიხატოს:<sup>3</sup>

<sup>1</sup> პოთ შესახებ იხ. К. А. Иностранцев. Сасанидские этюды, СПб.,  
1909 (პირველი ნაწილი, სპარსული ლიტერატურული ტრადიციების შესახებ, ცალ-  
კვთ გამოქვეყნდა: Известия Имп. АН, т. VIII, № 13, 1909).

<sup>2</sup> М. А. Салые, Забытые страницы „1001 ночи“, стр. 17.


<sup>3</sup> ზღრ. ე. ბერტელსის სქემას (Новая версия..., стр. 258):

Оригинал (персидский?)

арабские

Папаян

персидские



ამრიგად, ხალხის წიაღში შექმნილმა უძველესი სპარსული არაკების ამ კრებულმა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ყოველმა საფეხურმა გარკვეული დალი დაასვა „ბახთიარ-ნამეს“. არაბული თარგმანის ქურაში წრთობაკავოვლილი (აბუ-თამამი, აბუ-საპირი) დაუბრუნდა იგი მშობლიურ სამყაროს ცოტა არ იყოს სამკაულშემოძარცული. ენამჭევერობის დობა-ატლასი შემოახვია დაყაიყიმ და ლიტერატურული ძეგლის მაღალ ტახტზე აიყვანა. მაგრამ სულ მალე ისევ ძირს დაეშვა „ბახთიარ-ნამე“, კვლავ ხალხის წიაღს დაუბრუნდა. გზადაგზა განძის დაფასების უნარის მქონე სხვა ერებზე სულიერი ხაზინაც გაამდიდრა ამ თხზულების თარგმანებმა.

ძირითადი საუყეტური ქარგა თითქმის ყველგან ერთია. სხვაობა უმთავრესად რედაქციული ხასიათისაა: არაბული ვერსიით მეფეს ბახთზადი ეწოდება (სპ. აზადბახთი ან აზადებახთი), ვეზირის ასულს — ბაპრაჯური, მის მამას — ისფაჰანდი (სპარსულში არც ერთი არ გვაქვს, საერთოდ უსახელონია ისინი, მხოლოდ ვახტანგისდროინდელმა ქართულმა თარგმანმა შემოგვინახა ვეზირ-სპასალარის სახელი — მოაბარ). აქ ზოგჯერ ვხვდებით მეორეხარისხოვან პერსონაჟთა სახელებს (ასული მამასთან კი არ მიღის, არამედ მეფე ზადშაჰს მიათხოვეს), სამაგიეროდ უსახელოა უფლისწული (სპ. ბახთიარი), მისი გამზრდელი ყაჩაღი (არც დაყაიყისთან გვაქვს მისი სახელი. „აიარად“ იხსენიება; ფანაპისთან ბოლოს ჩნდება ზიადი, ხალხურში კი მას ფაროხსაეარა // ქართ. ფაროხოსრო ეწოდება). ასევე ცვალებადია ათა ვეზირის სახელები (არაბულში შემოგვრჩა ბეჰრუნი / სპ. ბეჰრუზი, ზუ-შადი, ჯაჰრბავაზი და ბაჰმანი; ფანაის ბერტელსი-სეული ტექსტით — ბეჰრუზი, აფარინი, შაჰრუზი და ფურდანი, ხო-



ლო ქურთ. № 12 და ქართული თარგმანით — აფარინი. შაჰრუზი (ფირუზი), ჩაპრა; დაყაიყისთან ისინი უსახელონია, ხალხურ ვერსიათაგან მხოლოდ XVI ს. ნუსხაში ვხვდებით ათივე ვეზირის სახელს — მელიქშაჰი, ნავრუზშაჰი, ქარდუსშაჰი, მირანშაჰი, ნოუფალშაჰი, მუზრექშაჰი, ანბარშაჰი, ლაიურშაჰი, დოულათშაჰი, ზაქირშაჰი, — თუმცა ამას ადგილი აქვს მხოლოდ შესავალში, თვით მოქმედების გაშლისას ვეზირება აქაც ანონიმურად არიან წარმოდგენილი<sup>4</sup>.

ასევე უმნიშვნელოა სხვაობა ჩარჩოს სიუჟეტური დეტალების თვალსაზრისით: ჩვენთვის ცნობილი ყველა ვერსიის მიხედვით მეფე აზადბახთი ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი თ ნადირობს. არაბულს შემორჩა ისეთი საკმაოდ ძველი და დასთანებში ხშირადხმარებული დეტალი უცხო ნადირისა, რომლის უშედეგო დევნაში მეფეს გზა აებნევა და ასულის ტახტრევანს წააწყდება. მხოლოდ ერთ ფრაგმენტში, რომელიც ტაშკენტურ ნუსხას (№ 5526) უძღვას წინ, მეფე ვეზირის ასულს თავის ჰარამხანაში იხილავს. მაგრამ იქვე, ძირითადი ხელნაწერი სწორედ ნადირობით იწყება. იმავე ფრაგმენტში იხსენიება დედოფალი (მალიქე). როგორც აზადბახთის ადრინდელა მეუღლე. მსგავსია ვეზირ-სპასალარის რეაგირება, ამბობება, აზადბახთისა და ასულის გაქცევა ქირმანშაჰთან (არაბულში — კისრა ანუ ხოსრო ანუშირვანი, რომლის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს), ახალშობილის დატოვება ჰასთან თუ წყაროსთან. ყაჩაღების მიერ ბავშვის პოვნა და აღზრდა, ბახთიარის აღზევება აზადბახთის კარზე.

ფანაჰის პოემაში განსხვავებულადაა აღწერილი ბახთიარის შეყრობის მიზეზი. უფრო ზუსტად, მიზეზი ერთია ყველგან — ბახთიარის ძილი მეფის საწოლში, მაგრამ ფანაჰისთან ამ საბედისწერო დაძინების დეტალებშია სხვაობა, რასაც ყურადღება ჯერ კიდევ ე. ბერტელსმა მიაქცია: „В лубочных версиях Бахтиар попадает в опочивальню шаха пьяным. Эта черта при стремлении к иде-

<sup>4</sup> ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დღემდე იგი მხოლოდ ფანაჰის კუთვნილებად იყო მიჩნეული სპარსულ ვერსიებს შორის: „Интересно так-же отметить, что визиря, ни в одной персидской версии имен не имеюшие, здесь поименованы, причем имена их без исключения чисто иранские: Бихруз (III), Афариш (IV), Шахруз (V), Пурдан (VI)... Нельдеке предпологал, что имена визирей — новшество, введенное арабскими версиями. Появление имен в нашей поэме и притом имен, не совпадающих с арабскими версиями, как будто говорит за то, что имелась какая-то версия, послужившая общим источником как для арабских, так и для персидских версий и этой чертой обладавшая“ (ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., კვ. 258).

ალიზაციი Бахтиара резко контрастирует с общей тенденцией. В поэме Бахтиар случайно засыпает на шахском ложе от усталости. Далее вводится крайне существенная подробность, всеми персидскими версиями опущенная. Жена шаха, т. е. мать Бахтиара входит в опочивальню и, приняв в полумраке Бахтиара за шаха, ложится рядом с ним. Только тогда в комнату входит сам шах. Эта деталь делает понятным обвинение жены шаха в измене, которое во всех персидских версиях без этой детали звучит крайне неубедительно<sup>5</sup>.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბახთიარის სიმთვრალე არ წარმოადგენს მხოლოდ ხალხური ვერსიების კუთვნილებას. ასევეა არაბულ ვერსიაში, ასევეა დაყაიყისთანაც. თვით ეს ფაქტი, თუ გავიხსენებთ ღვინის კულტს ძველ ირანში<sup>6</sup>, ვფიქრობთ, მეტ ბუნებრიობას ანიჭებს თხრობას; ამით შეიძლება აიხსნას ბახთიარის მიერ გზისა და გონების დაკარგვა, რა შედეგადაც ის ჯერ მეფის თბილ საწოლში, შემდეგ კი ცივ ორბოში აღმოჩნდა. ფანაპისთან ეს მომენტი შეგნებულად შეცვლილი ჩანს. მაგრამ აუხსნელი რჩება, რა უნდოდა ფიზელ ბახთიარს მეფის ხალვათხანაში. რაც შეეხება დედოფლის შეცდომას, ეს მართლაც საყურადღებო დეტალია.

...ბახთიარი მიადწევს საწადელს. გამეღვენდება მისი ვინაობა, ბედნიერი მშობლები ტახტზე დასვამენ მას. ზოგი ვერსიით კეთილის მიერ ბოროტის ძლევა ამით არ სრულდება: ვეზირებს სიკვდილით სჯიან, მათ ადგილს კი ბახთიარის აღმზრდელი ყაჩალი იკავებს (არაბული). ასევე უნდა ყოფილიყო პროტოტიპში, რადგან მთელი წიგნი სიკეთის აპოლოგიას წარმოადგენს და შეუძლებელია ბოროტება დაუსჯელად დარჩენილიყო. მართალია, ეს დეტალი არ ჩანს დაყაიყისთან, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რადგან თხრობა ისეა წარმართული, რომ იგი აშკარად იგულისხმება (შვილის შეკითხვას, რას მერჩოდით, დედა პასუხობს: ვეზირთა რჩევით ემოქმედებდიო. აქ თითქოს ვეზირების ბედის გადაწყვეტას მოველით, მაგრამ თხრობა უცებ სწრაფად გადადის უკანასკნელ ფრაზაზე: რა მეფემ ჰპოვა ბახთიარი, სამეფო ტახტი მას დაულოცა და თავს გვირგვინი დაარქვაო<sup>7</sup>). ხალხური ვერსიები კარგ საბუთს გვაძლევენ ასეთი ცვლი-

<sup>5</sup> ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

<sup>6</sup> Ф. А. Розенберг, О вине и пиррах в персидской национальной эпосе, СПб, 1918 (отд. отт.).

<sup>7</sup> گفت ای مادر آن جرم چه بود که بر من نهادی و چندین بلا بر سر من فرستادی. مادر گفت تعلیم وزیران حسود و تلقین رای زنان حقوق

ლების სავარაუდებლად. ე. ბერტელსისეულ ტექსტშიც არაფერია თქმული ვეზირთა ბედის შესახებ<sup>8</sup>, თხრობა თითქმის დაყაიყისებულ-რია და შეიძლებოდა გვეფიქრა, ხალხური ვერსიები აქაც, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ლიტერატურულ წყაროს მისდევენ.

მაგრამ ქართული თარგმანი სხვას მიგვანიშნებს. არსებული ისეთი ხალხური ვერსია, რომელიც ამ საკითხში არაბულს ემხრობა: „მამისა ვეზირთა ათთავე თავი მოჰკვეთა. ვეზირობა ფარო-ხოსროვს მისცა“. მართლაც, საგანგებო ძაების შედეგად აღმოჩნდა ისეთი ხელნაწერები, სადაც ბახთიარის გამეფების შემდეგ გავეზირდნენ „უჩაღადაყოფილი ფაროხსავარი და მისი მეგობრები, ხოლო ვეზირებს ათასგვარი წამებით აღმოხდათ სული“.

ამ მხრივ თითქოს განცალკევებით დგას ფანაჰის პოემა. აქ ვეზირები ინანიებენ შეცდომას და ბახთიარიც შეუწოდებენ მათ. მაგრამ ხალხური ვერსიის ერთ-ერთ ხელნაწერშიც აღმოჩნდა ეს დეტალი (მეფე ბახთიარის თხოვნით შეიწყნარებს ვეზირებს და არ ხოცავს მათ)<sup>10</sup>; როგორც ითქვა, ანალოგიური ფანალი გააჩნია „ისქანდერ-ნამეში“ დაცულ „ბახთიარ-ნამეს“ ჩვენამდე არმოღწეულ პროზაულ ვერსიას.

აი ამგვარ სიუჟეტურ რკალშია ჩასმული ის არაკები, რომელთაც ბახთიარი უყვება აზადბახთს, რათა აიცდინოს ჯალათის ხმალი. სხვა ანალოგიურ თხზულებათა მსგავსად, ყველაზე დიდი ცვლილება აქ იყო მოსალოდნელი. ამჯერად ეს ცვლილება შემოიფარგლა ცალკეულ არაკთა გადასმით, თითო-ოროლას მოკლებით და საკუთრივ არაკთა სიუჟეტური დეტალების ვარააცეობით. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ Nöldeke-სა და ე. ბერტელსის მიხედვით<sup>11</sup>, ოღონდ ჩვენს ხელთ რეალურად არსებული მასალის საფუძველზე შედგენილ ცხრილს<sup>12</sup>:

بود. پاد شاه 'چن بختيار را باز يافت تخت ملک بدو داد و تاج پادشاه  
بر سر وی نهاد. (221).

بختیار ملکه را گفت چون من جرمی نداشتم چرا این تہمت بر من  
نهادی. دختر گفت مرا وزیر آہوخت. شاه گفت این ملک بختيار را  
بدم (50).

<sup>9</sup> وزیران را سیاست میکرد تاهر کدام بہزار بلا مرد ند (C 1839)

<sup>10</sup> P 100/1.

<sup>11</sup> Nöldeke, დასახ. ნაშრ., გვ. 12; ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 257.

<sup>12</sup> A—არაბული („1001 ღამეში“ შესული) ვერსია; D—დაყაიყისა; P—ფანაჰისეული; F—ფედაისა (აზერბაიჯანული); B—ე. ბერტელსისეული, ხალხური; G<sub>1</sub>—ვახტანგისდროინდელი ქართული თარგმანი, G<sub>2</sub>—ა. სულხანაშვილისეული.

ა რ ა კ ე ბ ი	A	D	P	F	B	G <sub>1</sub>	G <sub>2</sub>
უბედური დიდუკარი . . . . .	I	I	I	I	I	I	I
ვაკარი (იუველირი) და მისი დაკარგული ძენი . . . . .	II	II	II	II	VII	VII	II
აბუ-საბირის ამბავი . . . . .	III	III	III	III	III	III	III
სულწასული უფლისწული . . . . .	IV	V	IV	IV	II	II	IV
მეფე დადბინის ამბავი . . . . .	V	VIII	V	V	V	V	V
მეფე ბახთზამანის (ბახთაზმას) ამბავი	VI	—	VI	VI	—	—	VI
ყურწარკვეთალი მეფის ამბავი . . . . .	VII	VI	VII	VII	IV	IV	VII
აბუ-თაჰინის ამბავი . . . . .	VIII	IV	VIII	VIII	VIII	VIII	VIII
ჭაშო გაზრდილი უფლისწული . . . . .	IX	IX	X	X	IX	IX	X
დედოფალი და ჩისი ვაჟი პირველი ქმრისაგან . . . . .	X	VII	IX	IX	VI	VI	IX
სასწაულებრივი გადარჩენა . . . . .	XI	—	—	—	—	—	—

ჯერ არაკების რაოდენობის შესახებ. საფიქრებელია, თავდაპირველად კრებულში იყო ათი არაკი. მეთერთმეტე არაკი („სასწაულებრივი გადარჩენა“), რომელიც მხოლოდ არაბულ ვერსიაში გვაქვს. ჩამატებული ჩანს. მეათე არაკის წინ ათივე ვეზირი და სხვა დიდებულები ეახლნენ მეფეს და ჭაბუკის დასჯა მოსთხოვეს. ამას მოსდევს მეათე არაკი, რომლის შემდეგ ბახთიარა უნდა ჩამოახრჩონ. მაგრამ აქ კიდევ ერთხელ, უადგილოდ, ჩნდება ეს არაკი<sup>13</sup>. რაც შეეხება იმას, რომ უკვე დაყაიყის ჩვენამდე მოღწეულ ვერსიაში ცხრა არაკია, შესაძლებელია ეს მექანიკური შეცდომის ბრალი იყოს და აი რატომ. როგორც არაბულში, ისე დაყაიყისთან, ექვებშეპყრობილი და განრისხებული მეფე პირველად „უფროს ვეზირს“<sup>14</sup> იხმობს, მას-

<sup>13</sup> ამ მეტად მოკლე არაკის შინაარსი შემდეგია: ერთმა მეფემ გაიგონა შემოხვევით ციხეში დამწყვდეული მკვლელის ვედრება, ღმერთო მიშველეო. ბრძანა მისი დასჯა. როდესაც ის სხვებთან ერთად ქალაქგარეთ გაიყვანეს ჩამოსახრობად. მკვლელს ყაჩაღები დაეცნენ. პატიმარი გაიქცა. ლომმა სტაცა პირი, ხის ქვეშ მი-ათრია და ტოტებქვეშ დამალა. როდესაც კაცი მოსულიერდა, ადამიანის ძელები და უამრავი ოქრო ნახა. აიღო ფული და სასწრაფოდ გაცალა იქაურობას. ასე გადარჩა და გამდიდრდა ღვთის შემწეობით კაცის მკვლელი... არაკი თავისი იდეური გაანზრებოთაც ეწინააღმდეგება „ბახთიარ-ნამეს“ საერთო განწყობილებას.

<sup>14</sup> وزير بزرگتر; ხალხურ ვერსიაში იგი იწოდება وزير نخستين ქართულთარგმანში—„თავი ვეზირი“ ან „უბუცესი ვეზირი“.

თან თათბირს მოსდევს პირველი არაკი. მაგრამ რადგან ბახთიარის ისტორიის დასაწყისი პირველ თავს მოიცავს, ამდენად პირველი არაკი მეორე თავშია მოქცეული. მეორე თავის ბოლოს დართულ ქვეთავში<sup>15</sup> ჩნდება მეორე ვეზირი, რომლის საპასუხოდ ნათქვამი მეორე არაკი მესამე თავს ქმნის და ა. შ. მაგრამ ტექსტის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ამ რიგში გამორჩენილია მეოთხე ვეზირი. მესამე ვეზირის საპასუხოდ მოთხრობილ მესამე არაკს („კარი მეოთხე, არაკი ბუ საბირისა“) მოსდევს მეხუთე ვეზირის საპასუხოდ მონათხრობი მეოთხე არაკი („კარი მეხუთე, არაკი ბუ თამამისა“)<sup>16</sup>. უკანასკნელი, მეცხრე არაკი მოთხრობილია ათივე ვეზირის საპასუხოდ მეათე თავში და აქვეა დასთანის ბედნიერი ფინალი.

ხალხურმა ვერსიამ ოსტატურად აუარა გვერდი ამ შეუსაბამობას (ათი ვეზირია და ცხრა არაკი). აქ პირველი ვეზირი არაკთა სათვალავში არ შემოდის, პირველი არაკი („უბედური დიდვაქარი“) მოსდევს მეორე ვეზირის მოსვლას, ხოლო მეცხრე არაკი — მეათე ვეზირისას.

მაგრამ ფანაპის მაგალითიც ადასტურებს, რომ თავდაპირველად იყო ათი არაკი, ხოლო კარი ანუ თავი შესაძლებელია ყოფილიყო თორმეტი (თუ ცალკე გამოვყოფთ ჩარჩოს დასაწყისს, მაშინ ცალკე უნდა გამოაყოს დასასრულიც. მართლაც, იგი გამოყოფილია აიამართო ფანაპისთან, არამედ ამ გამოყოფის კვალი ჩანს ხალხურ ვერსიაშიც, როდესაც მეათე ვეზირის მოსვლისა და მეცხრე არაკის შემდეგ ცალკეა აღწერილი ათივე ვეზირის ერთობლივი მოთხოვნა ბახთიარის დასჯისა).

რაც შეეხება არაკების სიუჟეტურ დეტალთა ვარიაციებს, ყველაზე მეტი ხვედრითი წონა მათზე მოდის და ისინი ქმნიან საფუძველს სხვადასხვა რედაქციებისათვის, მერყეობენ რა ცალკეული ნიუანსებიდან მთელ ეპიზოდებამდე. ეს კარგად ჩანს „მეფე დაღბინის არაკის“ მაგალითზე, რომელიც შედარებითად განიხილეს Nö-Ideke-მ, ე. ბერტელსმა და დ. კობიძემ. ზოგი რამ აქაც შეიძლება შეივსოს ან დაზუსტდეს. ჯერ სახელების შესახებ. დ. კობიძის მართებული მოსაზრებით არაბული „ზავრაქან//ზურაქან“ მიღებულია

<sup>15</sup> فصل (თავი, კარი); ლიტერატურულ ვერსიაში ეს „ფასლი“ წინა კარს ერწყმის, ასე რომ ახალი თავი უშუალოდ არაკით იწყება. აღსანიშნავია, რომ ფანაპის წყაროში თავები ამ ტერმინით იწოდებოდა:

(بهر فصلی یکی شیرین حکایت.)

<sup>16</sup> (94) وزير سيوم مبارگاه پادشاه آمد و گفت (94) وزير پنجمين... حضرت پادشاه آمد (!16).

სპარსული „რუზგარისაგან“ (მით უმეტეს, რომ იგი აღმოჩნდა ფანაჰის პოემის ერთ-ერთ რედაქციაში)<sup>17</sup>. რაც შეეხება ფანაჰისეული „ქარდანის“ მიღებას ლიტერატურული „ქარდარისაგან“, შეიძლება აღინიშნოს, რომ ქარდან//ქარდან“ უკვე გვაქვს არაბულ ვერსიაში. რომელთანაც, როგორც ეს აღნიშნულია, ფანაჰი ძალზე ახლოს დგას (თუმცა ამ ორი სახელის დაკავშირებასაც აქვს თავისი გრაფიკული საფუძველი).

დაყაიყის „ხოსროვე ხოსროვან“ და ფანაჰის „ხოსროვ“ არაბულს „კისრა (ხოსრო) ანუშირვანის“ ექო შეიძლება იყოს. ასულის მონა-მზარეულის სახელი „ჰირ“ ე. ბერტელსის აზრით მის მიერ გამოცემულ ხალხურ ვერსიაში დამახინჯდა „ჰიზად“<sup>18</sup>. მაგრამ თუ დაყაიყის ლეიდენისეულ ნუსხაშია „ჰირ“, ზ. საფას გამოცემაში სწორედ „ჰიზ“ იკითხება, თანაც ისეთ კონტექსტში. რომ საეჭვოა საკუთარ სახელად ვცნოთ იგი<sup>19</sup>. და თუ მაინც სახელად მივიჩნევთ მას. ხომ არ გამოგვადგებოდა არაბულში მონის სახელად ხმარებული „აბუ-ლ-ხაირის“ მეორე ნაწილი („ხაირ“ ან „ხირ“, წერტილის გარეშე — „ჰირ“).

რაც შეეხება იმას, რომ ხალხური ვერსიის ქართულ თარგმანში იგი ყველასაგან განსხვავებულად „მეზღაპრედ“ იწოდება, ეს შეიძლება აიხსნას სპარსული ტექსტის სათანადო ადგილის არაზუსტი გაგებით: „ჰიზი“ ასულს წერილს, ამბავს (ყესსე) უგზავნიდა, სასახლეში ამოყვანეო<sup>20</sup>. აქ ხმარებული „ყესსე“ ნიშნავს სწორედ „ზღაპარს. არაკს“, რაც მთარგმნელს პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია.

სიუჟეტური დეტალების თვალსაზრისით კარგად ჩანს თანდათანობითი გამარტივება ლიტერატურული ვერსიიდან ხალხურისაკენ (განსაკუთრებით ეს ითქმის არაკის ფინალის შესახებ), თუმცა ზოგი დეტალი ხალხურში უფროა გამოკვეთილი (მაგ., სასწაულებრივი

17 დ. კობიძე, „ბახტიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ..., გვ. 241.

18 ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

19 در سرای پادشاه حیزی بود که آباها نیکو بختی و طعاما پاکیزه  
..(95) .سختی „მეფის სასახლეში «ჰიზი» იყო, რომელიც კარგ წენიანს ხარშავდა და მშვენიერ შევამადს ამზადებდა“. აგრეთვე ძნელია საკუთარი სახელის ცნობა ე. ბერტელსისეულ ტექსტში ნახმარი «ჰიზისა», თუმცა აქ მისი პროფესია მინიშნებული არაა. ტექსტის დართულ ლექსიკონში ე. ბერტელსი განმარტავს მას როგორც -паж. мальчик, прислужник“, სხვა ლექსიკონებში იგი ახსნილია „მამათაველად“. საინტერესოა, რომ ხალხური ვერსიის ტარსენტურ რედაქციაში (N 5526) იგი იწოდება خواجه سرای — „საჭურისი“.

20 مگر حیزی را راه نمیداد و او همیشه قصه مینوشت (27).

მომენტები ასულის უდაბნოში ყოფნისას. ერთ-ერთ ასეთად ე. ბერტელსი ვარაუდობს მეფის მწყემსის მიერ აქლემების პოვნას, რის კვალი უიღურულშიც გვხვდებაო სასწაულთა გარეშე. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი მომენტი ვვაქვს არა მარტო უიღურულში, არამედ ყველა ვერსიაში, პირველ რიგში, არაბულ<sup>21</sup> და ლიტერატურულში<sup>21</sup>).

სხვა არაქებიდან აღსანიშნავია „დედოფალი და მისი ვაჟი პირველი ქმრისაგან“, კერძოდ, ფაროხზადას ეპიზოდი. არაბულ ვერსიაში იგი მეტად ვრცელია (მეფე სულეიმან-შაჰს ჰყავს ორი ვაჟი, ბაჰლავანი და მელიქ-შაჰი, და ასული შაჰ-ხათუნი. შაჰ-ხათუნს მიათხოვებენ უმცროს ძმას<sup>22</sup>, შეეძინება ვაჟი. ეს იწვევს ბაჰლავანის შურს. იგი კლავს ძმას, ყელს გამოჭრის ძმისწულს, მაგრამ ეს უკანასკნელი გადარჩება, მხოლოდ კვალი რჩება ქრილობისა<sup>23</sup>. ამას მოსდევს შაჰ-ხათუნის მეორედ გათხოვება, მალულად შვილის ფერება, ქმრის ექვიანობა, თილისმად ოფოფის გულის შემოთავაზება დედაბრის მიერ და ა. შ.). გაცილებით გამარტივებულია ეს ეპიზოდი დაყაყისთან (აქ უბრალოდ აღნიშნულია, რომ ქალს ადრე ქმარი ჰყავდა, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა და მისგან შვილი დაჩა. შემდეგ მოტანილია შვილის აღერსით გამოწვეული ექვიანობის სცენა. ოღონდ თილისმად ნაწერი ავგაროზი გვევლინება). კიდევ უფრო გამარტივდა ეს ეპიზოდი ხალხურ ვერსიაში, რომლის ზოგ რედაქციაში (მაგ. ე. ბერტელსისეულ ტექსტში) ორად-ორი სიტყვაა შემორჩენილი (ქალს ჰყავდა პირველი ქმრისაგან შვილი, მეფე მას განუთრისხდა. რატომ? რისთვის? საიდან მოხვდა ან სად იყო მანამდე?)<sup>24</sup>. არაბული ვერსიის ანალოგიურად გადმოგვეცემს ამ ეპიზოდს ფანაჰის პოემა (ასულის მამის მიერ დაწუნებული სასიძო, შვილის გაჩენა; რაც განსაკუთრებით საინტერესოა, დედის მიერ შვილის გაწირვა: როდესაც მათ მოუსწრებენ, იგი ყველაფერს ვაჟს აბრალებს და თვით ითხოვს მის დასჯას. ამ შემადრწუნებელ დეტალს, რომელსაც იოსებ-ზილიხანიანის ელფერი დაჰკრავს, სხვა ვერსიები თითქოს არ იცნობენ. აქვე ვხვდებით ოფოფის ფრთას თილისმად).

<sup>21</sup> ساربان طعامی و ادامی که داشت بر لب چاه سار نهاد بساعتی  
اشتران طلب کرد (198).

<sup>22</sup> აქ ძველი ირანული წესის (და-მშის ქორწინება) გამოძახილს უნდა ჰქონდეს ადგილი (შდრ. ვისის და ვაროს ქორწინება „ვისრამიანში“).

<sup>23</sup> ამ ქრილობას დღი როლი ეკისრება ვაჟის ვინაობის დადგენისას (სხვაგან ეს დეტალი არ ჩანს).

<sup>24</sup> შდრ. ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 259 از قضا شاه حبشی از آن  
ماجرا خبر یافت بد دل شده ... (33).

ასევე გამორჩეული ყველა სხვა ვერსიისაგან განსხვავებული და ლიტერატურული იერის მქონეა „აბუ-თამაძის არაქის“ ფინალ ფანაჰის პოემაში (მეფის უმაღლრობით განარისხებულმა დედოფალმა მოწამლა მეუღლე. რომელმაც უდანაშაულოდ მოკლა ერთგული და პატიოსანი აბუ-თამაძი, შემდეგ კი შირინივით მის საფლავზე თავი მოიკლა).

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ნაკლებმნაშვნელოვანი დეტალების შესახებ, რომელთა საგულდაგულო გამოწვლილვა კიდევ უფრო არკვევს და ნათელს ჰფენს იმ შენაკადებს, რომლებსაც გაჰყვა და დ. იწრიტა საერთო წყარო.

ამრიგად, მიუხედავად რამდენამე ვერსიისა და მათი რედაქციული ნაირვარობის არსებობისა, შეიძლება ითქვას, რომ „ბახთიარ-ნამეს“ შეინარჩუნა როგორც სიუჟეტური ჩარჩოს, ისე შიგნითული არაკების ძირითადი სქემა. შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს აღვადგინოთ როგორც მისი პირვანდელი სახე, ისე ის რთული და ვრცელი გზა, რომელიც ამ ძეგლმა განვლო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე. ცალკეული ვერსიები თუ თარგმანები ნიშანსვეტებად ამშვენებენ ამ გზას. მათ შორის საპატიო ადგილი ეთმობა ქართულ თარგმანებს. „ბახთიარ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს აქვს თავისი ხმა: მათი მონაცემებისა თუ თავისებურებათა გათვალისწინება აუცილებელია „ბახთიარ-ნამეს“ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთათვის“<sup>25</sup>.

ამ ნაშრომით არ ამოიწურება არც საკუთრივ „ბახთიარ-ნამეს-თან“, არც მის ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ვფიქრობთ, რომ აქ წამოჭრილი პრობლემები და განსაკუთრებით, ხელმისაწვდომად წარმოდგენილი ტექსტები ინტერესს აღძრავენ მათი სრულყოფილად შესწავლისათვის. ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ არაერთი მონოგრაფია წიგნდგენბა სპარსული ხალხური დასთანების სხვა ქართულ ვერსიებსაც.

---

25 დ. კობიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 242.



## ქართული ტექსტისათვის

1. „ბახთიარ-ნამეს“ ვახტანგის დროინდელი თარგმანი. პირობით ასე ვუწოდებთ პირველ ქართულ თარგმანს. მისი ტექსტი გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ 1947 წელს „ლიტერატურული ძიებანის“ IV ტომში (გვ. 138—173). ტექსტი მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (A 1787)<sup>1</sup>. გადამწერის დაუდევრობის, აგრეთვე ან-მეტობის თუ ნაკლებობის წყალობით ხშირია სიტყვათა დამახინჯება, რამაც ნაწილობრივ თავი იჩინა ნაბეჭდშიც (მაგ., ქარავნი—გვ. 149; ნღირობას—გვ. 152 და სხვ.). ოუწყ გამომცემელმა დიდი, თავდაპირველი და შავი სამუშაო ჩაატარა ტექსტის გასამართავად. მაგრამ ხელნაწერთან ხელახალი შეჯერებისა და სპარსული ტექსტის გამოყენების შედეგად ზოგი რამ კვლავ ჩანსწორდა. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1) იყო: „თუც ღამე იყვის, ამას იტყოდი, ცასა მზე აღარ აკრავს. ეს არს მუნით გარდმოჰრილიო. და თუ ღამე იყვის, ეგრევე მთვარას ცილება ქონდის“ (138). ასევეა ხელნაწერში. ცხადია, პირველ შემთხვევაში „დღე“ უნდა იკითხებოდეს.

2) იყო: „ის ჩვენი კაის მდომი არის“ (140). გასწორდა: „ჩვენთვის“ (ხელნ.).

3) იყო: „ბრძანა ბახთიარის ხელ-ხუნდითა და ბორკილითა შენახვა“ (144). საიდან გაჩნდა აქ მოხდენილი „ხელ-ხუნდი“? ხელნაწერშია გადამწერის კალმისმიერი შეცდომა „ხულ ხუნდითა“. ჩანს, დაუწყია „ხუნდის“ წერა, შეცდა (ხულ). მიატოვა და არ წაშალა. ისე გააგრძელა (ხუნდითა). ეს რომ ასეა. ნოწპოპს იმავე 66-ზე მოთავსებული ანალოგიური მაგალითი — „სისის სისხლის“. გასწორდა: „ხუნდითა და ბორკილითა“.

4) იყო: „მასვე წამსა საგლეხო გასძარცვის და ჭელმწიფისა სამოსელი შემოსეს...“ (147). ხელნაწერშია „ს:გლხო“ გასწორდა:

<sup>1</sup> ხელნაწერი აღწერილი აქვს ალ. ბარამიძეს (ბოსროვ-შირინიანის ქართული ეპიგრაფიკისათვის, „ლიტ. ძიებანი“, 1, 1943, გვ. 59—61).

„ს ა ვ ლ ა ხ ო“, რადგან ოდნავ ზევით იკითხება: „გ ლ ა ხ ა დ მ ო ა რ ო უ ლ ი ვ ნ ა ხ ე თ“ (146) (შდრ. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტ. მოამბე, I, თბ., 1959).

5) იყო: „ხ ა ზ ი ნ ა დ ა რ ი ს სა ლ ა რ ო ს ნ ა ხ ვ ა მო უ ნ და“ (147). ხელნაწერშია „ხ ზ ი ნ დ რ ს“. გასწორდა შინაარსისა და სპარსული ტექსტის მიხედვით: „ხ ა ზ ი ნ ა დ ა რ ს სა ლ ა რ ო ს ნ ა ხ ვ ა მო უ ნ და“.

6) იყო: „ა მ ა ზ ე უ ა რ ე ს რ ა ს ი ქ მ ო და“ (157). გასწორდა: „ა მ ი ს“ (ხელნ.).

7) იყო: „ვ ი თ ა მ ც ჩ ე მ ი ს ჯ ე ლ ი თ თ ა ვ ი მ ო მ ი კ ლ ა ვ ს“ (157). გასწორდა: „მ ო მ ე კ ლ ა ს“ (ხელნ.).

8) იყო: „ქ ე ე ყ ნ ი ს ს ა უ ბ რ ი თ ა და ჩ ე ე ნ ი ს ა კ ი ლ ვ ი თ ა მ ე ტ რ ა ლ ა რ შ ე მ ი ძ ლ ი ა, მ ე რ ო მ ს ა ბ ა უ რ ი მ ე ს მ ი ს“ (161). ასეთი სიტყვა უცნობია ქართული ლექსიკონებისათვის. ვფიქრობთ, აქ ამავე ფრაზაში ნახბარი „საუბარია“ დამახინჯებული. გასწორდა: „მე რომ ს ა უ ბ ა რ ი მ ე ს მ ი ს“.

9) იყო: „.....რომენ ჯ ე ლ ა ფ ე ტ ვ ი თ ს ა ვ ს ე ჰ ქ ო ნ დ ა, მ ა რ ც ვ ა ლ ი ჯ ე ე რ დ ა ა გ დ ის“ (162). გასწორდა: „ჰ ქ ო ნ ო დ ა“ (ხელნ.).

10) იყო: „ქ ე ლ მ წ ი ფ ე ს ა ე ს ე ვ ე ზ ი რ ი ს ნ ა თ ა თ ბ ი რ ე ვ თ ა ქ ა ლ ი ა რ ე მ ე ტ ე ბ ო და...“ (163). გასწორდა: „ნ ა თ ა თ ბ ი რ ე ვ ი თ ა“ (ხელნ.).

11) იყო: „.....ერთი — შ ვ ი ლ ის თ ვ ის კ დ ე ბ ო დ ის“ (164). გასწორდა: „ს ი ვ დ ე ბ ო დ ის“ (სიტყვა ხელნაწერში ნაწვალებია).

12) იყო: „ე ტ უ დ ს ა ლ ო ნ ე ს ა ე გ ე, ი გ ი ც ა ქ ა რ ის...“ (172). გასწორდა: „ე ტ უ დ ს ა ლ ო ნ ე ს ა ე ძ ე ბ“... (ხელნ.).

ამგვარადვე ჩასწორდა სხვა ანალოგიური შემთხვევები: ე ნ ა გ ა მ ო ე ბ ა — გ ა მ ო ი ბ ა (148); ხ ა ნ ჯ ა ლ ს ჯ ე ლ ი გ ა ა კ რ ა — გ ა ი კ რ ა (170); ა მ ი ს ა ს ა უ ბ ა რ ს ა — ა მ ო ს ა (166); ბ ა ქ რ ის ა — ბ ა ს რ ის ა (145); ხ ო რ ი ა ნ უ რ ი — ს ო რ ი ა ნ უ რ ი (165), მ ი ზ ე ზ თ ა — მ ი ზ ე ზ ი თ ა (162) და სხვ.

ზოგჯერ ტექსტში მთელი სიტყვებია გამოტოვებული, ან ფრაზებია გაუმართავი. რიგ შემთხვევაში წინა გამოცემაში აღდგენილია სავარაუდო სიტყვა და მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. ჩვენ დავტოვეთ მხოლოდ რამდენიმე, აუცილებლად საჭირო შემთხვევა (გვ. 143, 144, 171). სხვაგან ამოვიღეთ და შეძლებისდაგვარად გავმართეთ თვით ხელნაწერისა და ორიგინალის მონაცემთა მიხედვით. ზოგან ახალი ფრჩხილების საჭიროებაც გაჩნდა:

1) იყო: „ა ლ დ გ ა ქ ა რ ი და ა ლ ძ რ ა ზ ღ ვ ა. ხ ო მ ა ლ დ ი და ე ქ ც ა. თ ვ ი თ ე რ თ ს ა ფ ი ც ა რ ს ა შ ე რ ჩ ა და ზ ღ ვ ის ა კ ი დ ე ს ა გ ა ა გ ო ლ“ (გვ. 145). ვინ? აქვე, მეოთხე არაკში ანალოგიური სურათია აღწერილი და იქ

ზღვამ „ნაპირს გააგდო“ (გვ. 155). „საბრძნე სიცრუის“ ერთი არაკი, როგორც ეს აღინიშნა, უკავშირდება „ბახთიარ-ნამეს“ მეორე არაკს. ეს ადგილი იქ ასეა: „თვითონ ერთს ფიცარზედ შერჩა და დაღომ ნაპირს გააგდო“ (თხზ., I, გვ. 14). სპარსულ ტექსტში გვაქვს „ქარი“ (ბანდ). ამის მიხედვით ქართულ ტექსტში ჩაემატა: „[ქარმა] ზღვისა კიდესა გააგდო“.

2) იყო: „ჯავარფრუშიცა და იგვ. ვაჭარიცა [იხმო]. ჯელმწიფემ დაუძახა თვალის მსყიდველს, გულმან [უგრძნა], უბძანა. შეშინდა და სიტყვა შემოაკლდა“ (146). გასწორდა: „ჯავარფრუშიცა და იგი ვაჭარიცა ჯელმწიფემ დაუძახა. თვალის მსყიდველს გულმან უგრძნა“. (ამ უკანასკნელის დამახინჯებით გაჩნდა ხელნაწერში „უბძანა“ იგი საესებოთ სწორად აღადგანა ალ. ბარამიძემ. ოღონდ ზედმეტია როგორც კვადრატული ფრჩხილები, ისე მის გვერდით მცდარი ფორმა „უბძანა“).

3) იყო: „ბძანა ჯელმწიფემა [ჯალათის] მოყვანა და მოკლა მისი. მოიყვანეს. ბახთიარ ატირდა და მოახსენა“ (162). აღდგენილი სიტყვა ზედმეტია. ლაპარაკია ბახთიარზე (შდრ. ორიგინალს: „შაჰმა ბძანა, რომ ბახთიარი მოყვანათ“<sup>2</sup>).

4) იყო: „ჯელმწიფეს ვაჟი მიეცა. ათხუტმეტისა მთვარის უშვენიარესი“ (გვ. 171). ჩაემატა: „ათხუტმეტისა [დღისა] მთვარის უშვენიარესი“.

5) იყო: „ჩამავლობისა არა ვიცი რა..., დედამამ ჩემან ჭურღმულში გამზარდა და [ძიძა] მეუბნებოდა: მამა შენ ჯელმწიფე არის“ (172). თუ გავითვალისწინებთ შინაარსს, მართალია, უფლისწული ძიძამ გამზარდა ორმოში. მაგრამ მან არათუ იცოდა თავიანი ვინაობის (ჩამავლობის) შესახებ. ძიძა იყო მისთვის დედა. ამდენად გასწორდა: „...ესოდენ ვიცი, დედამამ ჩემმან ჭურღმულში გამზარდა და მეუბნებოდა: მამა შენ ჯელმწიფე არის“ (შდრ. ორიგინალს: „მე მამა ჩემი არ ვიცი, ოდენ დედა მყავდა, რომელმაც ორმოში [ქაში, ჭურღმულში] გამზარდა და მეუბნებოდა: მამაშენი ფადიშაჰი არის“<sup>3</sup>). და სხვ.

თარგმანის ხასიათმა განაპირობა სტილის ლაკონიურობა, წერტილთა სიუხვე. ხელნაწერთან და ორიგინალთან შეჭერებამ ზოგი რამ დააზუსტა პუნქტუაციის თვალსაზრისითაც.

<sup>2</sup> شاه فرمود تا اختیار را آوردند (29)

<sup>3</sup> من پدر خود را نمیدانم اما مادری داشتم که مرا در چاه تربیت مینمود و میگفت پدر تو پادشاهست (49)

1) იყო: „მზე და მთვარე შეერთებულნი აქადგან აღმოჴდენ და ველარ ვსცანით, თუ რა იქნა ზედა. იქვე იხედვადენ...“ (139). გასწორდა: „...და ველარ ვსცანით, თუ რა იქნა. ზედა ქვე იხედვადენ...“.

2) იყო: „კაცი ვინმე თვალისა მსყიდველსა შეუსმენიან და ესე გვიკვირს, ჴელმწიფემან გაუკითხავად ვით შეიპყრა კაცი იგი დიდისა ყაფალისა პატრონი და მორქმა სიმდიდრისა მქონებელი, მისაგან დაეცა“ (146). გაიმართა: „...ესე გვიკვირს, ჴელმწიფემან გაუკითხავად ვით შეიპყრა? კაცი იგი დიდისა ყაფალისა პატრონი და მორქმას-მდიდრისა მქონებელი [იყო], მისაგან დაეცა“.

3) იყო: „ჰყვა შვილი ერთი, ბეჰზად ერქვა, ყოვლისა ზნეობითა სრული. ამისაგან კიდე გასინჯვა არ იუოდა, რასაც იტყოდის, რაგინდ ავი ყოფილაყო, უნდა ექნა, არ დაიშლიდა“ (148). გაიმართა: „ჰყვა შვილი ერთი, ბეჰზად ერქვა, ყოვლისა ზნეობითა სრული. ამისაგან კიდე. გასინჯვა არ იცოდა. რასაც იტყოდის...“.

4) იყო: „ჴელმწიფე დღეს იქით ნულარას შეიქირვებს. თუცაღა შენსა სამეფოსა შინა ავის ქნა გამრავლდეს. აწე შიში ყველას დაუქარგავს...“ (154). გაიმართა: „ჴელმწიფე დღეს იქით ნულარას შეიქირვებს, თუცაღა შენსა სამეფოსა შინა ავის ქნა გამრავლდეს. აწე შიში ყველას დაუქარგავს...“ და სხვ.

საკმაოდ დამახინჯებულად და თავისებურადაა წარმოდგენილი საკუთარი სახელები. გასწორდა მხოლოდ ის დამახინჯებული ფორმები, რომელთა გვერდით მართებულიც გვხვდება. ეს უქანასენელნი უნიფიცირებულნი არ არიან. მაგ.. აზღაბახთ, აზღაბახთ, აზღაბახთ ფორმების სპარსულთან შეპირისპირებამ გვიკარნახა სწორი აზღაბახთ (სპ. آذابخت). ასევე ჰლაბის და ალაბის ფორმებმა — ჰლაბი ან ალაბი (حلب), ჰჯაზის (მხოლოდ ამ ფორმითაა წარმოდგენილი) ნაცვლად ჰეჯაზი (حجاز), აბუსფარ, აბუსპორ (ابوسابر) და სხვ. დავტოვეთ პარალელური ბეზად, ბეზათ — ბეჰზად (بهرزاد), ნეგარან — ნიგარის (نگارین) ნაცვლად ნიგარისისა; ფაროვ-ზოსრო, ფარო-ზოზროვ (სპ. فرخوار ფაროხსაევარი). მხოლოდ სპარსულის მიხედვით გასწორდა ხელნაწერის მცდარი წაკითხვები: ბაქრისა — ბასრისა (بصره) და ხუდადს — ხუდადადს (სპ. خداداد — ნიშნავს „ღმერთმან მომცა“).

აღნიშვნის გარეშეა გახსნილი ერთადერთი ქარაგმა დ-ი.

როგორც ითქვა, „ბახთიარ-ნამე“ მოღწეულია ერთადერთი ნუსხით, რომელიც აღსავსეა ორთოგრაფიული შეცდომებით, ენობრივ

სიჭრელით, ლაფსუსებით (ტილი—ტირილის ნაცვლად, დაიჩოს -- დაიჩოქეს ნაცვლად, ველშფისა — ველშწიფისა ნაცვლად და ა. შ.). სრული სურათის წარმოდგენის მიზნით ყოველი მათგანი ჩავეტანეთ სქოლაოში. ტექსტში გასწორდა მხოლოდ აუცილებელი და აშკარა შეცდომა, აღვადგინეთ მხოლოდ აუცილებლად საჭირო ნაკლები ასოები (როგორც წესი, არ იხმარება ორი ერთნაირი ხმოვანი ან თანხმოვანი, თუმცა გვაქვს გამონაკლისი; ძალზე ხშირად ჩავეარდნილია „ვინი“. მაშინაც კი, როდესაც პირს აღნიშნავს). ყველა შესაძლებელ შემთხვევაში დავტოვეთ სიტყვა ისე, როგორც იყო ხელნაწერში. ამის გამო ხშირია პარალელური ფორმები (ხადუმი — ჯადუმი; იგ — იგი; სიკუღალი — სიკვილი — სიკილი: კულა — კულავ — კვლა — კლა; ბრძანა — ბძანა; თურე — თურმე; თუც — თუცა; ჩრდილი—ჩილი; ასწია—ასწივა; ესრეთ—ესრედ; გასძარცვეს — გაძარცვეს და ა. შ.). ჰალობითის -ენ დაბოლოების გვერდით გვხვდება -ნენ დაბოლოებაც. გვაქვს -ნ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის მხოლოდით რიცხვში ხმარების შემთხვევები (მუნებური კაცნი). საერთოდ, „ბახთიარ-ნამე“ საინტერესო ძეგლი ჩანს ენობრივად. ძველი ქართულსათვის დამახასიათებელი ფორმების გვერდით ხშირია სასაუბრო თუ დიალექტური ფორმები, რაც დამახასიათებელია ქართული ენის განვითარების ამ ეტაპისათვის (უანბო, მძღველი, ძოღანვე, შეამცნიეს, შაიარა, მხთულებრ, მიემგზავსა, სარკლმით და სხვ.<sup>4</sup>). საყურადღებოა „ბახთიარ-ნამეს“ ლექსიკაც (იხ. ლექსიკონი):

II. „ბ ა ხ თ ი ა რ - ნ ა მ ე ს“ ს უ ლ ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი. მეორე, ფანაპისეული ვერსიის ქართული თარგმანი ორი ნუსხითაა ჩვენამდე მოღწეული. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული ხელნაწერი (№ 367) ავტოგრაფს წარმოადგენს. იგი შედგება 97 ფურცლისაგან (22×17). ქაღალდი უბრალოა, ყდა -- მუყაოსი, ბოლონაკლებია<sup>5</sup>. ამბის დასაწყისი სამი თავი ფანქრითაა ნაწორები, როგორც ზემოთ ითქვა. უპირატესად თარგმანის ქართულად გამართვის მიზნით, თუმცა ზოგჯერ ორიგინალისეული დეტალების ჩამატებასაც აქვს ადგილი. საფიქრებელია, სწორება თვით

<sup>4</sup> შდრ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი; ა. კ ი ზ ი რ ი ა, საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954); ი. ვ. გ ი გ ი ნ ე - ი შ ვ ი ლ ი, „რუსულდანიანი“ (წიგნში: რუსულდანიანი, ილია აბულაძისა და ი. ვ. ანდრონიკიანი იშვილის რედაქციით, 1957); ი. ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ო ე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს., I, 1964.

<sup>5</sup> საქართველოს სახელმწიფო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1950.

პარკანელს ეკუთვნის, ოღონდ, რაღაც მიზეზით, მას იგი ბოლომდე არ გაუტარებია.

მეორე ნუსხა დაცულა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (E 58)<sup>6</sup>. მისი სრული სათაურია: „ბახტიარ-ნამეკ ალექსანდრე სულხანაშვილისაგან ნათარგმანი სპარსულის ენისაგან ქართულად, სვიმონ ტაბიძისაგან დაწერილი ნამდვილის გამო, 1840“. როგორც აქედან ჩანს, ეს არის პირი, გადაღებული პეტერბურგში მცხოვრები ქართველი კალიგრაფის სიმონ ტაბიძის მიერ<sup>7</sup>. ამ ორი ნუსხის შედარება ცხადყოფს, რომ ს. ტაბიძეს გადაუღია სწორედ ის ავტოგრაფული ნუსხა, რომელიც ამჟამად თბილისში ინახება.

მართლაც, პირველი თავის („დაწყება პირველისა თავისა ისტორიისა“) გადაწერისას ს. ტაბიძეს გაუთვალისწინებია ყველა, თვით უმნიშვნელო ჩასწორებაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩასწორებანი მეტად დაუდევარი გაკრული ხელითა და ცუდად წათლილი შავი ფანქრითაა შესრულებული, რაც საკმაოდ აძნელებს მათ ამოკითხვას. ხშირად ეს გადაწერა მექანიკური ხასიათისაა და კიდევ უფრო ნათლად უთითებს თავის წყაროს. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1) № 367-ში იყო „ეინ არს იგი საყვარელი?“ უკანასკნელი სიტყვა ჯერ გადაშლილია ფანქრით და კითხვის ნიშანი წინაა გადატანილი. შემდეგ კი აღდგენალია ქვეშ გასმული კლაკნილი ხაზით. E 58-ში იკითხება: „ეინ არს იგი? საყვარელი“.

2) № 367-ში იყო: „ერთი ეპისტოლე ანუ წერილი წარუგზავნა მას ჯელმწიფეს, რომელ მომხდარმა ვითარებამ მქმნა მე ფრიად მხიარულ“... E 58-ში შესაბამისად სრული უაზრობა იკითხება: „მან წარუგზავნა ჯელმწიფესა მას ეპისტოლე ანუ წერილი. მომხდარმა მქონებელი ვითარებამან ამა ჰაზრისა მქმნა მე ფრიად მხიარულ“. საქმე ისაა, რომ № 367-ში ფანქრით „მქონებელი ამა ჰაზრისა“ ისეა ჩამატებული სტრიქონებს შორის, რომ „მქონებელი“ „მომხდარმა“-ს აზრს თავზე, „ამა ჰაზრისა“ კი „ვითარებამან“-სა და „მქმნა“-ს შუა არის მოთავსებული. ამრიგად, ნასწორები ასე უნდა იკითხებოდეს: „მან წარუგზავნა ჯელმწიფესა მას ეპისტოლე ანუ წერილი, მქონებელი ამა ჰაზრისა: მომხდარმა ვითარებამან მქმნა მე ფრიად მხიარულ“...

<sup>6</sup> P. P. Орбели, Собрание грузинских рукописей ИВ АН СССР, Ученые Записки ИВ АН СССР, IX, 1954, стр. 57.

<sup>7</sup> იხ. თ. ენუქიძე, სიმონ ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, ტ. 11, 1960, გვ. 101—109.

3) № 367-ში იყო: „ამისთვის მოვედ და დაუტევოთ ესე ჩჩვილი აქა საფარველსა ლეთისასა. გარშამო შემოფენითა რაოდენისამე თეთრისათა“. E 58-ში გვაქვს: „დაუტევოთ ესე ჩჩვილი საფარველსა ქვეშე ლეთისასა, მახლობლად ამა..., გარშამო რაოდენიმე თეთრი“. გაუმართაობა გამოიწვია № 367-ის ჩასწორებათა ცუდმა ამოკითხვამ. გადამწერს ვერ გაურჩევია მართლაც ძალიან გაურკვეველად დაწერილი „წყაროსა“ და ადგილიც კი დაუტოვებია. ჩვენ უფრო შინაარსის გათვალისწინებამ მიგვახვედრა (მოქმედება წყაროს, ზოგი რედაქციით, ქის პირას ხდება). „შემოფენითა“ ფანქრით ისეა გადასწორებული „შემოუფინოთ“-ზე, წაშლილი გეგონებათ. ჩასწორების შემდეგ ეს ადგილი ასე უნდა იკითხებოდეს: „დაუტევოთ ესე ჩჩვილი საფარველსა ქვეშე ლეთისასა, მახლობლად ამა წყაროსა. გარშამო შემოუფინოთ რაოდენიმე თეთრი“.

სურათი ნათელია. ჩანს, ჩასწორებათა გათვალისწინებამ საკმაოდ გააწვალა ს. ტაბიძე. მეორე და მესამე თავის („მოსვლა ავაზაკებთა წყაროსა ზედა და ხილვა ბახტიარისა“ და „მოხსენება ბახტიარისა მიერ“) ჩასწორებანი მას მხედველობაში აღარ მუღლია და ტექსტი მისი პირვანდელი სახით გადაუწერია ისე, რომ ზოგჯერ აშკარა ლაფსუსიც კი ფანქრით გასწორებული. დაუტოვებ-ა (მაგ. „რე“-ს ფანქრით „ა“ უწერია, E 58-ში მაინც გვაქვს: „რე ესე მათ“. მექანიკური გადაწერით აიხსნება ისეთი ლაფსუსები, როგორიცაა ჯასუსი — პასუსი, ტრიალებდა — ტრფიალებდა და სხვ.).

E 58 წარმოადგენს საერთო რვეულს, აქვს გადამწერის პაგინაცია (127 გვერდი, რის შემდეგ სუფთა გვერდებს აღარ აღნიშნავს). სააზიო მუზეუმის პაგინაცია მთლიანად ფანქრითაა (69 ფურცელი). ჩასმულია მუყაოს ყდაში. შიდა მხარეს მიკრულა აქვს ნაბეჭდი იარლიყი: 60. (№ 147—21 × 17 cm 127 + 10 pag. 18 lin) — G ბახტიარნამეპ ალექსანდრე სულხანაშვილისაგან ნათარგმანი სპარსულის ენისაგან ქართულად: 1840 — Alex. Soukhhanof, traduction géorgienne du Bakhtiar-namé. Copie sur l'original, de la main de l'auteur, par Simon Tabidze, du Gouria.

გარდა „ბახთიარ-ნამეს“ ტექსტისა, ხელნაწერი E 58 შეიცავს სპარსულიდან ნათარგმნ ფრიად საინტერესო არაკებს: „შემოკლებოთი მოთხრობა ამოვებისა ზედა ამა სოფლისას, გარდმოლებულ არს სპარსულისა ენიდგან“; „სიბრძნე სიცრუისა წიგნი, შემოკლებულად ნაწერი, კვალად სპარსულითგან ნათარგმნი“, რომელშიც თავის მხრივ შედის თერთმეტი არაკი თუ სენტენცია და „თარგმანი სპარ-

სულთა ლექსთაგან სადილზედ მიმსწრების დაუპატიებლობა-ზელ<sup>8</sup>.

არაკები შემთხვევით არ უნდა მოხვედრილიყვნენ ამ კრებულში. ისინი საკმაოდ მკიდროდ ერწყმიან „ბახთიარ-ნამეს“ ქართულ თარგმანს (ეს უკანასკნელი იხსენიება პირველი არაკის შემდეგ მოთავსებულ მინაწერში: „დასრულდა ბახთიარ-ნამეჲ, შემინდენ ღმერთმან“). აქვეა ჩართული ოთარ ქობულაძის ზემომოტანილი ლექსი). ემსგავსებიან მას სტილით. საფიქრებელია, ისინიც ა. სულხანაშვილს ეთარგმნოს. თუმცა მათი ორიგინალი, № 367-ის დეფექტურობის გამო. არ ჩანს. რაც შეეხება სპარსულ წყაროებს, ზოგ მათგანს მივაჯვლიეთ ალი საფის (XVI ს.) ცნობილ კრებულში „ლათაიფ ათთავაიფ“ („გასართობი არაკები“)<sup>9</sup>. მათი პარალელები დაიძებნება სხვაგანაც<sup>10</sup>. ყოველივე ეს საგანგებო კვლევას მოითხოვს. ამდენად არაკების ტექსტის შესწავლა-გამოქვეყნება სხვა დროისა და ადგილისათვის გადავდეთ.

ფანაჰისეულა ვერსიის ქართული თარგმანის ტექსტი პირველად ქვეყნდება. ტექსტს საფუძვლად დაეუდეთ ავტოგრაფული ნუსხა (№ 367), ფანქრით ჩაწორებათა გათვალისწინების გარეშე. ეს ჩასწორებანი. რომელთა უმრავლესობა აისახა ლენინგრადის ნუსხაში (E 59), სქოლიოში ჩავიტანეთ ვარიანტების სახით. უკანასკნელი თავი, რომელიც ავტოგრაფს აკლია, მოგვაქვს მხოლოდ პარის მიხედვით<sup>11</sup>. პარალელური ფორმები უცვლელადაა დატოვებული (უ-ვ, ხ-ჭ, თ-დ, ი-ე. სეფედარი—სეფეჰდარი და მისთ.)<sup>12</sup>. ვარსკვლავით აღნიშნული სქოლიო მთარგმნელს ეკუთვნის.

<sup>8</sup> პირველი ცნობა მათ შესახებ გამოაქვეყნა ტ. რუხაძემ. იხ. ტ. რუხაძე. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, 1939, გვ. 222.

<sup>9</sup> لطائف الطوائف تأليف مولانا فخر الدين على صفى بسى و اهتمام احمد گلچين معانى، تهران، ۱۳۳۶.

<sup>10</sup> იხ. ალექსანდრე გვახარია, ალიშერ ნავოის უცნობი ქართული თარგმანი, „ცისკარი“, 1968, № 9.

<sup>11</sup> ვარიანტების ჩვენებისას ვისმართე ლატერები: A (N 367), B (E 58), A<sub>1</sub> (ფანქრით სწორებანი N 367-ში, რომელნიც არ მოხვდნენ E 58-ში).

<sup>12</sup> E 58 უფრო თანმიმდევრულია ჯ-სა, ჟ-სა და ე-ის, აგრეთვე ზოგი ფორმის (უეკრათ, მოსლვა და მისთ.) ხმარებაში. ჩვენ ავტოგრაფისეული ფორმები დავტოვეთ, პარის ეს თავისებურებანი ვარიანტებში არ ჩავიტანია.



## I. [ბახთიარ-ნამე]

### ჰ. კარი პირველი აჯამისა კელმწიფისა

სპარსულისაგან ქართულად გარდმო-  
თარგმნული ბძანებითა საქართველოს  
გამგის ბატონიშვილის ვახტანგისათა.  
მრავალ ქამიერ ყოს უფალმან ორსავე  
შინა ცხოვრებასა.

ესე წიგნი პირველად მეფეთა ანბავი ბრძენთა ამისთვის  
უთქვამთ ესე ათნი არაკნი და ფილოსოფოსნიც<sup>1</sup> ემოწმე-  
ბიან მათგან თქმულის ყურის მიპყრობასა, და ამას იტყ-  
ვიან: თუცა კაცსა ამო საუბარი უყვარს, ავისა და კარგისა  
მეცნიერი შიქიქნების, საქმესა არ აუჩქარდების, გულსა დას-  
დებს და სინჯვასა დაუწყებს, მას ავი არ წაეკიდების.

ქ. კარი პირველი ბახთიარისა, თუ რა წაეკიდა.

მეორე, არაკი ბედ-გარდაბრუნებულის ვაჭრისა, თუ რა  
გარდახდა.

არაკი მესამე, ჰალაბის<sup>2</sup> კელმწიფის შვილის აჩქარე-  
ბით საქმის მოხდენა.

არაკი აბუსპორის, მეოთხე.

მეხუთე, არაკი იამანეთის კელმწიფისა.

მეექვსე<sup>3</sup>, არაკი ქამუგარის ქალის თავს გარდამხდარი.

არაკი მეშვიდე, ქალის განხრწნა<sup>4</sup>.

მერვე, არაკი თვალის გამსყიდველისა<sup>5</sup>.

მეცხრე, არაკი აბუთამამის<sup>6</sup> თავს-გარდასაყალი.

მეთათე, არაკი ჰეჯაზ<sup>7</sup> კელმწიფისა საქმის მოხდენისა.

1 ფილოსოფოსნიც

2 ჰალაბის

3 მექსე

4 განხრწნა.

5 გასყიდველისა

6 აბუთამამის

7 ჰეჯაზ

აჯამისა ქვეყანასა იყო ჯელმწიფე აზადბასთ<sup>8</sup>, ტახ-  
ტისა და გვირგვინისა პატრონი და ჯელმწიფობისა შესაფე-  
რი. და ჰყვა ვეზირი კარგი და ჭაბუკობისა სახელისა<sup>9</sup> მძებ-  
ნელი და მის თემთა შინა გამოჩენილი, რომე ესრედ იტ-  
ყვიან, მისისა ჯლმისა შიშითა მზეც აღარ გამოჩნდის, თუ  
იგ გასწყურისო. ჰყვა და უყვარდა ჯელმწიფესა და დიდთა და  
მცირეთა ზედან უფროსად დადგინებული და ჰქონდა სპასა-  
ლარობა და სახელად ერქვა მოაბარ. ჰყვა მას ასული ერთი,  
ქება არვისგან ითქმის ამისგან კიდე. თუც დღე<sup>10</sup> იყვის, ამას  
იტყოდნი, ცასა მზე აღარ<sup>11</sup> აკრავს, ეს არს მუნით გარდმოჭ-  
რილიო. და თუ ღამე იყვის, ეგრევე მთვარის ცილება ქონ-  
დის. როგორადაცა ორნი მნათობი ერთი მეორესა დაუ-  
პირდაპირდეს და ერთმან მეორესა ნათელი დაუჰკარგოს,  
აგრევე ესე ვეზირისა ასული, რომელსაცა დაუპირდაპირის,  
ამანაცა წაშლის ნათელი მზესა თუ მთოვარესა, და შუქის  
მოუენასა ვედარ იკადრებდენ. მასთანა ჰყვა და უყვარდა  
მამასა, სულთა დგმასა იგი ერჩია. მისგან კიდე შვილი არ  
ესვა. დღესა ერთსა მოინდომა სპასალარმან მის ქვეყნისა  
მოვლა<sup>12</sup>, ვსცნა, გლახაკთა და დავრდომილთა<sup>13</sup> ძალა და  
უსამართლო თუ არვისგან სჭირთო. აემზადა და წავიდა.  
რაგვარადაც<sup>14</sup> წესი არის საქმისა მოქმედთა კაცთა, ეგრე  
სოფელმან გაირთო და ხანი დაუგვიანდა. ქალისა სიყვარუ-  
ლითა გული აივსო და უნახაობითა თვალთა ბინდი მო-  
ეკიდა და შევიწროებული ამას იგონებდა, თუცა ქალი, მამის  
სულისდგმა და ჩემი სიცოცხლე არა ვნახე, მე სულნი ამამ-  
ხდებიან და ამ ცრუს სოფელსა რას ვაქნევ, ყველა ჩემთვის  
მინებსო. გაგზავნო ერთი კაცი და მოვიყვანო ჩემი სივ-  
დის უკუმყრელი და ნახვითა მისითა<sup>15</sup> თვალთა სი-  
ნათლე მოვიმატო. იხმა ერთი მისანლო კაცი და უბძანა:  
ესრედ ფიცხად იარე, ვითამცა ფაიქი, და ქარისაგან უმალიდ  
მიდი. და რა მუნ მიხვიდე, შავარდენტა ბოლო და მხარი  
გამოისხი, ეგრე სწრაფით მომგვარე ასული ჩემი მზისა  
უნათლესი.

წავიდა კაცი იგი დღივ და ღამ დაუყოვნელად და მი-  
ვიდა სამყოფსა მის მზისასა და მიართვა წიგნი და ამბავი

8 აზადბასთ

9 სხელისა

10 ღამე

11 აღრ

12 მოსელა

13 დავარდომილთა

14 რაგვარდაც

15 მისითა + და მის თა

მამისა. რა ქალმან მამის ბძანება მოისმინა, მასცა გაეხარ-  
ნეს მამის ნახვა. მასვე წამსა აეზზადა წასასვლელად. მო-  
კაზმეს ქეჯაო უცხოთა მოკაზმულობით, ჩასვეს და ჩამო-  
ბურეს ინდოური ფარჩა და ბარგი და საჭურჭლე უთვალავ-  
ნი გამოჰყვეს, მხევალნი და საჭურისნი ამოდ დაკაზმულნი  
იახლნეს. და მასვე დღესა ჯელმწიფეცა თურე ნადირობას  
გამოვიდა, სონღულთა და თუღუნთა დიენება ენება. და  
გზასა მომავალთა მათ წინ შეეუარა. ჯელმწიფემან დაინახა  
და იკითხა: მურასად<sup>16</sup> მოკაზმული კუბო და ეგრე დიდებო-  
თა და ჯელმწიფურის ქცევითა ვინ არიან, შეიტყუევითო.  
მათ მოახსენეს: სპასალარს თავის ქალი დაუბარებია და იგი  
არისო. რა ჯელმწიფემან ვეზირისა ქალობა სცნა, აჩქარ-  
და, ნადირობა გაუშვა და წინ გარდაუდგა. რა ჯადუმთა  
ჯელმწიფე მათკენ მიმავალი ნახეს, იგინიცა წინ მოეგებნენ,  
ცხენისაგან გარდახდეს, პირი მიწასა დასდვეს და ეგრე სა-  
ლაში მოახსენეს, ზე ადგეს, ავქანდასა აკოცეს და ხელმოჭ-  
ლომით წინაში დადგეს. ჯელმწიფე კუბოს დასცქეროდა.  
ქარმან შეჰბერა, ქეჯაოს კალთა ასწივა. ჯელმწიფემ გაბრ-  
წყინებული მზე დაინახა კუბოთა შიგან პატიმარი. სიყუა-  
რულის ისარი თვალის უმაღლედ მოკუნესარსა გულსა ჰკრა  
და ცნობა დაიფანტა. ცნობა დაბნეული და გაკვირვებული  
ეგრევე მისკენ იხედვიდა და მუნა მყოფნი ყოველნი<sup>17</sup> ამას  
უბნობდენ: მზე და მთვარე შეერთებულნი<sup>18</sup> აქადგან აღ-  
მოჭდენ და ველარ ვსცანით, თუ რა იქნა. ზი და ქვე იხედ-  
ვიდენ და ჯელმწიფისა შიშითა ერთი მეორეს იღუმალც<sup>19</sup>  
ვერას<sup>20</sup> ეტყოდენ. რა მიორედაც ასწივა ქარმან კალთასა,  
ჯელმწიფემ ეგრევე დაინახა და იუივლა: ესე ამამავალი<sup>21</sup> მზე  
სად ყოფილა დამალული? ხადუმს აქლემის სადავე ჯელში  
გამოართვა, კუბოსა შესძასა, მიშველე, სულთაგან დავი-  
ცალიო, და დაბნდა.

მკირე ხანი გამოჭდა. ჯელმწიფე სულობას მოვიდა,  
თქვა: სჯობს, რომე ჩემს ვეზირსა კაცი გაუგზავნო და ჩე-  
მი მოყვრობა ვაცოდინო. საჭურისთა<sup>22</sup> უხუცესი წამოდგა,  
დალოცა: ჯელმწიფისმც წილნი მრავალ არიან და თვით  
უვნებელ, მზე-გრძელ და ეტლ-ჯელმწიფისა კეთილ-ბრუნ-

16 მურასად

17 ყველნი

18 შერთებულნი

19 იღუმელც

20 ვერს

21 ამამავალი

22 საჭურთა

ვით! ამა ჯელმწიფისა ბძანებასა ოცნებითაცა არა ღირსა სპასალარი, არათუ ეგრე სიმდაბლესა. თუცა ქალი ესე ამგვარად გზიდამ წაიყვანოთ, მტერნი ამას იტყვიან, ჯელმწიფე სპასალარზედან გაავგულებულა<sup>23</sup> და ქალი წყრომით წაუგვრია. ჩვენ, მიწა-მტვერნი, ამალღებულსა თქვენსა ტანტსა ვეხვეწებით, ჩვენ დასტური გვიბოძო, ქალი მამასა მივეგვაროთ, თქვენი ბძანება მას მოვახსენოთ და მერმე როგორადაც ჯელმწიფის შესაფერი იყოს, ეგრე ქალი ჯელმწიფეს აახლონ<sup>24</sup>. ჯელმწიფისა ხადუმთაგან ეგეთი საუბარი ეწყინა, გარისხდა და უთხრა: შენ ბედსა გაუწირვისნარ და სიცოცხლისა მოძულე შექნილხარ, თვარა ეგეთსა საუბარსა არ იტყვი. ნუთუ დღინი მოგძულებოდეს და გწადდეს თავის შენისა მოკვეთა?! და ბძანა მოკლა მისი. მცირესა ხანსა დაფიქრდა და გულთა შინა ბჭობა დაიწყო და თქვა, თუცა ესე საჭურისი მოვჰკლა<sup>25</sup>, ქალისა გულ-ნებიერ არის ღა არამცა გასწყურეს, და უფრო ავად მომივიდეს საქმე. და განუტყევა საჭურისი, და აქლემსა ხელი მოკიდა თავისასა სიახლოესა და სასახლესა<sup>26</sup> წაიყვანა. იხმო მოლა და გაიკვეთა ქიბინი.

რა ქორწილობა გარდასწყდა, მოუწოდა მწერალი და უბძანა სპასალართან წიგნის მიწერა. და მიუწერა წიგნი სასმენელად საამო<sup>27</sup> და დაავიდრა<sup>28</sup> ზეპირ ქართული. რა სპასალარსა ესე ქართული და შეთლილობა მიუიდა, თვალნი სისხლის ცრემლით აევისო და გულსა ცეცხლი მოეკიდა. ზეპირ არა თქვა რა, სიმხიარულე იჩემა, შილინგი აქნივინა. იხმო მანცა მდივანი და პასუხისა მოხსენება უბძანა, და არზა აახლო<sup>29</sup> და ესრეთ მისწერა გულითა მწყრომელითა და პირითა მხიარულითა<sup>30</sup>: ამა წყალობისა პასუხი რომლისა გულითა მოიგონება და მადლი რომლისა ენითა ითქმის? თუცა ენამა თქვას, კალამი წერას ვით შესძლებს? და კალამმაც<sup>31</sup> რომენ შესძლოს და ქვეყანა ქალაქად იქცეს, ვით დაიჭივრის წყალობა ჯელმწიფისა და სიხარული გულისა ჩემისა? ნუთუ ღმერთმან კარს ჯელმწიფისასა ხლებასა ღირს მყოს, მანამდისინ ესე მცირე ქარტა და პირდამხობიო

23 გავეგულებულა

24 ახლონ

25 მოკველა

26 სასახლესა

27 ს.ამო

28 დავედრა

29 ახლო

30 მხიარულთა

31 კალამც

ჯელმწიფისა ცხენისა ნალახთა კოცნა გაგვიბედავს. და ზე-  
 პირ წიგნი ესე მისწერა და გული ეშმაკისა სრიკითა აივსო.  
 რა ჯელმწიფემან სპასალარის წიგნი ნახა, ქალის სიყ-  
 ვარული უფრო მოუმატა. და სპასალარი დღევ და დამ ამას  
 იგონებდა, რის ეშმაკობითა და სრიკითა გავასრულო ჩემის  
 გულის ნებაო. მცირე ხანი გამოხდა. დღესა ერთსა იხმო  
 დიდებულნი და უთხრა: დიდი ხანი არის ჩემსა გულისა<sup>32</sup>  
 ერთი საქმე დანერგულა, და მრავალჯერ თქმა მამინდომე-  
 ბია, და დღეს აქანმდინ არ მითქვამს, და ახლა დამალვა არ  
 შემიძლია. თუ თქვენ ნებასა დამრთავთ<sup>33</sup>, რომე დიდებულ-  
 თა დაიფიცოთ და მეც საფიცარი გამამართვათ<sup>34</sup>, მოგახსე-  
 ნებ. მათ მოახსენეს: სპასალარი და თავი ვეზირი თქვენ  
 ბძანდებით, აგეთს რას ბძანებთ, ჩვენგან უარი მოგეხსე-  
 ნოს? რა ვეზირმა მათგან ესე საუბარი გაიგონა, ყოვლი  
 მისი სევდიანობა უანბო: ყოვლთა იცით, თუ ჩვენსა ხელ-  
 მწიფესა ჩემი სამსახური როგორ ცუდათ ჩაუტარებია,  
 შვილი წაუგვრია და ქვეყანაში მოუყივნებივარ. ამას ჩემა  
 გული ვერ დაიტევს. მუნ მსხდომარეთა ეგრე მოახსენეს:  
 ადრიდგანვე ჩვენ მისი გაძება გვითქვამს, თქვენთვის ვერ  
 გაგვიბედავს და აწე თქვენთვისცა ეგ უქნია, ყოვნება რაღა  
 სარგებელი არის?! ამა სიტყვასა ზედან მოაღებინა ვეზირ-  
 მან თავისი მონაგარი და გაუყო ყოველთა და შეიყარა  
 ლაშქარი უთჟალავნი და დაასკვნეს<sup>35</sup> ჯელმწიფისა ღალატი.  
 წამოვიდნენ მუნით და გაუვეს ოთხად, და ოთხთავე კიდე-  
 თა ქალაქისათა მოადგნენ. ჯელმწიფესა ესმა მათი ქნილო-  
 ბა, შევიდა, ცოლს უთხრა: ხედავ, მამაშენსა რა უქნია  
 ჩვენთვის? აწე ჩვენთვის გარდახვეწის მეტი ღონე არ არის.  
 გავეცალნეთ, ქირმანისა ჯელმწიფესთან მივიდეთ, ის ჩვენ-  
 თვის კაის მდომი არის. იგი ამ საქმეზედან მომეხმარების  
 და მუნით ვსძებნოთ ღონე ჩვენი.

სალაროში შევიდენ, თვითო ხელი იარაღი<sup>36</sup> ჩაიკვეს  
 და, რაცა ეზიდებოდათ, საქონელი წაიღეს და წავიდენ ქირ-  
 მანისკენ და ჩოლთა ადგილთა უგზოდ და უწყულოდ იარე-  
 ბოდეს. ქალი ორსულად იყო, თვე ერთიდა უკლდა. სამსა  
 დღესა ესრედ იარეს და ერთსა ორმოსა მიადგნენ<sup>37</sup>. მეტისა

32 ჩემისა გულისა

33 დამართავთ

34 გამამართვათ

35 დასკვნეს

36 იარღი

37 მიდგნენ

სიცხისა და წყურვილისაგან<sup>38</sup> სულთა დგმა აღარ<sup>39</sup> ჰქონდათ და დაეყარნენ. ცოლმან მოახსენა: ჩემო სიცოცხლე, ამის მეტი აღარ შემიძლია, შენ მაინც ეცადე, რომე ამ უდაბურთა ადგილთა მორჩე და ჩემი თავი და ათასი ჩემისთანა შენის ჭირის ნაცვალი ქნას. თვალცრემლიანმა ჯელმწიფემ ეგრე უთხრა: სულისგან უტკბოსო და სიცოცხლისა უამესო! ეგოდენი ქონება და ტახტი და გვირგვინი საჯელმწიფო შენთვის დამიგდია და მე დაკარგული ვეტარები<sup>40</sup> და შენ მაგას მეტყუი. არა მორჭმა და დიდება ნამუსსა არ შესადარებია. ვირემ ჯელმწიფე ამას გაათავებდა<sup>41</sup>, ქალსა ვაჟი ეყოლა ეგეთი, მისმან მშვენეარობამ ორმო განათლა<sup>42</sup>. მცირედ ბუბუ მოაწოვეს. ჯელმწიფემან<sup>43</sup> ცოლსა უთხრა: მამა შვილსა შობს და შვილი მამას ვერაო. თუ მისმენ, ერთსა სიტყუვასა მოგახსენებ. ეს ყმაწვილი ამ ორმოს პირს ღმერთს მივაბაროთ<sup>44</sup>. იგ მის დაბადებულს არ დაჰკარგავს და ჩვენ თავს უშველოთ, ნუთუ ჩვენ მაინც მოვრჩეთ ამ შეჭირვებასა. მანც ნება დართო. თავისასა კაბასა შინა წახვია ჯელმწიფემან. ერთი ობოლი მარგალიტი მკლავზედან შეაბეს. იგ გაუშვეს. თვით წავიდენ.

რა ქირმანს მიახლოვდენ, სცნა მუნებურმა ჯელმწიფემან<sup>45</sup>. ბძანა, ჩემი დიდი ლაშქარი და მცირენი ყოველნი წინ მიიგებენითო და დიდის პატივით შეიყვანეთო. შევიდა აზადბახთ<sup>46</sup> ჯელმწიფე. და ქირმან-შამ მასვე ღღესა ნადიმი ბძანა, და იგიცა მიიწვიეს<sup>47</sup>. დაჯდენ და მოიღეს ტურფა სასმელები, და გამართეს თავის სმელობა. რა აზადბახთს<sup>48</sup> თასი მიაართვეს, თვალსა ცრემლი მოერია. ქირმან-შამ უთხრა: ჯელმწიფევე, მხიარულად ღხინი მწადსო. მან მოახსენა: მე ღხინისთვის არა მცალს, ჩემი ტახტი და ქონება<sup>49</sup> მტერთა უჭირავს და მე ასე ვეტარები. მან ჰკითხა: რას უბნობ, მართალი მაცნობე შენი საქმეო. აზადბახთ<sup>50</sup> მოახსენა ყოველი ყოფილი. მას დიდად ეწყინა და სძანი<sup>51</sup> უთვალავინ<sup>52</sup> მოაწვია და მასვე წამსა გამოისტუმრა დიდისა.

38 წყურვილისაგან

39 აღარ

40 ვეცრები

41 გათავებდა

42 განათლა

43 ჯელმწიფემან

44 მივაბაროთ

45 ჯელმწიფემან

46 აზადბახთ

47 მიწვიეს

48 აზადბახთს

49 ქონებება

50 აზადბახთ

51 სძნი

52 უთვალავინი

ლაშქრითა და გამოემართა თავისასა მამულსა ზედან. რა სპასალარმა სცნა მისივე ჯელმწიფისა მიმავლობა<sup>53</sup>, ახოვნებისაგან უსუსურად გახდა და გარდინხვეწა. აზადბახთ<sup>54</sup> მის თემისა ლაშქარიც შემოიყარა და თავისა ტახტსა და გვირგვინსა დაეპატრონა, თავისა საჯდომზედან დაჯდა და სამართლობა<sup>55</sup> დაიწყო. და ქირმანისა ლაშქარი დიდის ჩუქებით გაისტუმრა. და სპასალარის ქალთან ლხინი მოინდომა. მათს გულში სევდა და ნადველი აღარ იყო ამის მეტი, შვილი ორმოს პირს გაუშვეს და ესე საგონებელი ჰქონდათ, აქამდის მქეცნი შესჭამდნო. და არა ჰგონებდენ, ღმრთისა შევედრებულსა ვერარა შეეხების<sup>56</sup>.

**მეკობრეთაგან ჯელმწიფის შვილის კოვანა და გასაზრდელად წაჰყვანა**

ასრეც იტყვიან: იმ ბებანთა ალაგთა მეკობრენი იარეზიანო და სადგური ორმოს პირს არისო. იყო მეკობრე ერთი და ფაროვ-ხოსრო ერთევა. მას დღეს იმ ორმოს პირს თურე მივიდა და ნახა ყმაწვილი გდებული. ცხენისაგან გარდახდა და ყმაწვილი ხელთ აიყვანა და თქვა: საბრალო და ღარიბი კაცი აქ ვერ მოვა, ეგების ჯელმწიფის შვილი ვინმე იყოს, რომე მტერთაგან მძლეული აქ ჩამოვარდა. რა ყმაწვილს მარგალიტი უნახეს, თქვეს: უთუოდ დიდებულთა შვილი არის. ფაროვ-ხოსროჲ უშვილო იყო და თავისად შვილად წაიყვანა, და ღმერთმან მამცა დაარქვა<sup>57</sup>. თვისსა ალაგს ძიძას მიაბარა და დაუწყო ზდა სიყვარულითა დიდითა და ზნეობითა სრულითა. რა თავს მოეწიფა, ათასსა<sup>58</sup> კაცსა მისი პირისა პირი არ შეეძლო<sup>59</sup>. დიდად უყვარდა თავისსა გამზრდელსა და სითაცა წავიდის, არ მოიცილვის<sup>60</sup> ერთსა წუთსაცა. მაგრამ იმა ყმაწვილსა მეკობრობა არ იამის და მათაც უშლიდის და ეტყოდის: რა არის ეგოდენი ღმრთის წყენა და ამდონთა უბრალოთა სისხლთა ქცევა. იგინი არ იშლიდენ და მასაც აქნევიებდენ. დღესა ერთსა შეეხვეწა<sup>61</sup>: თქვენ რომ წახვიდეთ, მე აქ და-

53 მიმვლობა  
54 აზადბახთ  
55 სამართლობა  
56 შეხების  
57 დარქვა

58 ათასა  
59 შეძლო  
60 მოიცილვისა  
61 შეხვეწა

ნაგდევით<sup>62</sup>, სხვას რაც გვებავთ, გავასრულებ. ფაროვ-ხოსროვ უთხრა: უშენოდ თვალთა ნათელი არ მიქნების და მკლავთა ძალი მომაკლდების. ესე მაინც ქენი, ცოტა რაბე გამოიარე, ერთსა მაღალსა<sup>63</sup> ქედსა დადეგ და მუნით ჩვენა თამაშა და ჭაბუკობა სცანო და მეცა შენის იმედითა ძალნი არ მომაკლდებიან. რა მისის გამზდელისაგან ესე მოისმინა, მანცა უარი ვეღარ უთხრა და გაპყვა.

ერთსა დიდსა ქარავანსა<sup>64</sup> შესვდენ და ქონების წაღება მოინდომეს. იგი ვაჭარნიცა თურე გაპოცდილნი იყვნენ და კარგა დახუდენ<sup>65</sup>. მეკობრენი დაიჭირეს და თვით ფარო-ხოსროვ შეიპყრეს და წაიყვანეს. იგ უმაწვილი შორით უყურებდა. რა ფარო-ხოსრო დაჭერილი ნახა, გულმან აღარ მოუჭირვა, მოშველობა მოინდომა. ცხენთა რბევასა შინა ცხენი წაექცა, შებნდა. მექარავენთა<sup>66</sup> იგიცა შეიპყრეს, ორთავ თავ-ფეხი გარდააცვეს<sup>67</sup> და ეგრე წაიყვანეს და აზადბახთ<sup>68</sup> ჭელმწიფესა მოგვარეს. ჭელმწიფემ ხუდალადს<sup>69</sup> შეხედა და სიყვარულითა გული აევსო. და თავისი შვილი მოაგონდა, და თქვა: თუცა ჩემი შვილი მყოლოდა, ამქამისა იქნებოდა. თვალთა ცრემლი გარდმოსცვივდა. მრავლის გზით ეცადა და თვალი ვერ მოსხლიტა. ახლოს დაუძახა და სახელი ჰკითხა. მან თავისი სახელი მოახსენა. მერმე უბძანა: ღმერთსა შენთვის ეგეთი სახისა და ხელ-ფეხისა წყალობა უქნია, რად არა გრცხვენის, ქურდობითა და სისხლის ღრით სცოცხლდები? იგ ატირდა და მოახსენა: ღმერთმან უწყის, ჩემი ნება არ ყოფილა. რა ჭელმწიფემან ეგრე გულჩვილად ნახა, სცნა უბრალობა მისი, ჩემთან იყავო<sup>70</sup>. იგი დაფარდა, მიწასა აკოცა და ჭელმწიფე დალოცა. ხელები გაუხსნეს და სხვა შესამოსლითა შემოსა, და უბძანა: ბახთიარ დამირქმევია შენი სახელიო და თავისისა თავლისა მილხრობა უბოძა და სხვათაც ჭელების გახსნა ბძანა, მეკობრობისა არა ქნისა პირი გამოართვა. ესე სხვათა სამსახურსა ზედან დააყენა<sup>71</sup> და თვითო-თვითოსა სამსახური უბძანა.

62 დამგდევით

63 მაღლსა

64 ქარავანსა

65 დახუდენ

66 მექარავენთა

67 გარდაცვეს

68 აზადბახთ

69 ხუდალს

70 იყო

71 დაყენა



ბასთიარ გაუყრელად ჯელმწიფესა ახლდა და დღითი დღე სიყვარული ემატებოდა. დღესა ერთსა უბძანა: წავიდეთ, თაჟლა ვნახოთო. გაუძღვა წინ და საჯინიბოში შევიდენ. ცხენები კარგად მოეწონა, მილხორს ხალათი უბოძა და მუნით გამოიყვანა და სალაროთა შიგან დააყენა<sup>72</sup>, მოლარეთ-ხუცობის წყალობა უყო. ბასთიარ მადლი გარდინადა<sup>73</sup> და ერთგულად<sup>74</sup> სამსახურსა ცდილობდა და გაუყრელად ჯელმწიფეს წინ უდგა. და ეგრე თავი შეაყვარა სამსახურითა, ჯელმწიფე მის უკითხავს არას<sup>75</sup> იქმოდა. რა ვეზირთა მისი ეგრე წინწადგომა შეიგნეს, მტერობითა მესისხლედ აღუდგეს და ერთმანერთსა ეუბნებოდეს: რის მიზეზით შევასმინოთ კაცთა ესე? ამის ჩხრეკა შექნეს. დღესა ერთსა ბასთიარ სალაროსა შინა ღვინოს სმიდა, დასთრა და ზანდუკებზედან თავი მისდვა და დაიძინა. სამიოდენ საათი<sup>76</sup> გამოვიდა. გაეღვიძა. ღვინოსაგან გარეტიებული იყო და თქვა: რასთვის ჩემსა სადგომსა არ წავალო? სადგომისკენ გაემართა. ღვინომ თავი აღარ<sup>77</sup> დაანება<sup>78</sup>. გზა დაკარგა და ჯელმწიფის საწოლში შევიდა. არას მეცნიერი იყო, თუ სით ვლის. შევიდა საწოლსა ერთსა ამოდ მოფენილ-მოფარდაგულსა, და ნახა ტახტი აბანოზისა ხისა და ზედან ლბილნი საგებელნი დიბისა და უცხოთა ნაქსოვნი ეშალნეს. და ღვინოსაგან<sup>79</sup> ცნობადაბნეული ბასთიარ ზედან დაწია. რა მცირე ხახი გამოვიდა, თვით ჯელმწიფე შევიდა და ნახა ბასთიარ ზედან მწოლე. შეუძახა: ვინ ჯარ მანდა? ბასთიარ წამოდგა, მჯიღვი სცა და ეგრევე მოსვენებად დაწვა. ჯელმწიფემან თავისი მონანი იხმნა, ბასთიარ დააჭერინა<sup>80</sup>. დააბეს<sup>81</sup>. და თვით არამში შევიდა, ჰკითხა: მართალი მითხარ, ბასთიარ აქ რას იქმოდა, კვლავ არ მინახავს ამ დროსა? [დედოფალი] გაშტერდა და ეგრე მოახსენა: აქ ვინ შემოვა შენგან კიდე, კაცთა ნასახი ვინ იქნების ბედგაწირული, შენს გარეთ აქ შემომსვლელი? ჯელმწიფე რას ბძანებს?! დილამდისინ მეცა დამაბით და დილას სცნობთ, ვისი ბრალა არის და მას გარდაახდევინეთ<sup>82</sup>. რა ჯელმწიფემ ესე მისგან

72 დაყენა

73 გარდინადა

74 ერთგულად

75 არს

76 საოი

77 აღრ

78 დანება

79 ღვინოსაგან

80 დაჭერინა

81 დაბეს

82 გარდაახდევინეთ

მოსმინა, იგიცა დააბეს<sup>83</sup> და ხელმწიფეს ჯავრით ძილი არ მოუილა.

[რა] ცამან შავი ფარდაგი დასია და მზე გუმბათზე ამაღლდა, ჯელმწიფე გამოვიდა, ტახტზედან დაჯდა და ვეზირნი იხმნა. და არაჯის რა უბძანა. გონებასა ებრჭობოდა. ვეზირთა ჩურჩული შექნეს: ხელმწიფე კვლავ ესრე ნაღწლიანათ არ გვინახავს, ვკითხოთ, რა არის მიზეზი? აღდგა<sup>84</sup> უხუცესი ვეზირი, თაყვანი სცა, დალოცა და მოახსენა: ჯელმწიფისამც ეტლი მშვიდობით ბრუნავს! ესოდენი წილნი არიან მე თქვენსა ჩდილსა ქვეშე ვიყოფები და ეგრე ფერმხდით არა ოდეს მინახავს პირი ჯელმწიფისა. ჯელმწიფეს რაც ენახა, ყველა უბძანა. რა ვეზირთა ესე ბძანება გაიგონეს, ბახთიარის საკვდად აღმასის დანა მოღესეს და ერთპირ ვეზირთ ხმა ყვეს: თუცა ბახთიარს ათასი თაენი ესხნეს, დღეს უნდა წარეკვეთოს, რომენ ერთიცა არ გარდურჩეს! და ჯელმწიფეს მოახსენეს: ერთი ბეიბანთა ნაშობი<sup>85</sup> და მტაცებლობასა შიგან გაზდილი კაცი მოიყვანე<sup>86</sup> და კარი შენი მას მიანებე, ეგრე იქმოდა. ჩვენ ძოლანეე ესკანით, თუ ბოლოს რა მოხდებოდა, და ვლამოდით მოხსენებასა და ვერ შეგეკადრენით. ჯელმწიფემან ბძანა: ავისა სიკუდილითა მოკუდეს, რომენ სხვამან<sup>87</sup> ვინცა სცნას, სმენაც<sup>88</sup> ეზარნეს, არა თუ ვინმე ჩნას! უბძანა მოყვანა, და მოიყვანეს. მიხედა ჯელმწიფემან და უთხრა მრისხანედ: ავ-გვარო და ავისა საქმითა ცხოვრებულო! შენ, სიკუდილისა ღირსი, შეგიწყალე და არა მოგაკუდინი, და ჩემთა საჭურჭლეთა კლიტენი ჯელში მოგეც და ჩემს წინაშე დგომასა ღირსგუაჲ. და შენ ეგრი ავი საქმე მოინდომე, სამოთხის უწმინდესსა ჩემს არამში შეხველ და შიშველისა ხლმითა ჩემსა საგებელსა დასწევ.

რა ბახთიარ ესე გაიგონა, ატირდა გულჩვილად და მოახსენა: ჩემგნით ნაქმარი არ არისა საქმე ესე, ჩემიმცა ბრალი აქვს ქვეყანასა ვაზისა ნაყოფისა გამოღებისათვის. მე ფკონებდი, ღვინოს ვსვამ და თურე სასიკუდინი წამალი შემცხევმს. რა ღვინის ვსმიდი, ცნობანი წამსლოდეს. სადგომისკენ წავსულვარ, ბაზრისა მცველთა შიშითა ხმალი

83 დაბეს

87 სხვამან

84 აღდა

88 სმენც

85 ნშობი

86 მოიყვანე

თურე ამომიღია, სელათა<sup>89</sup> შინა გზა დამიკარგავს, და მარტვილობამა<sup>90</sup> და ღვინომ ესრეთს სადგომში დამაძინა, რომენ ახლა [საუკუნო] საძილოდ მივალ. ამისგან კიდე არა ვიცი რა. ბძანება ხელმწიფისა სრულ იქნას! წამოდგა თავი ვეზირი და მოახსენა: თუ ჯელმწიფის ბძანება იქნება, შიგნით შევალ<sup>91</sup> და მუნ მართალსა ვსცნობ. უბძანა, შედი, შეიტიეო. ვეზირი შიგნით შევიდა და მოუწოდა უხუცესსა გამდელსა და უთხრა: წადი, ჩემაგიერ პირმზესა და ყოველთა დედაწულთა უთავადესა მოახსენე, დიდად მტკივან და სარცხვინელიცა არის ჯელმწიფისა შენი ეგეთისა ხმისა დაფარდნა. სულ თემთა შეუგნია და არის საუბარი შენ ზედა. მართალი მაცნობე<sup>92</sup>, თუ ვითარ ყოფილა? მან თავის მართლებსა შეუთვალა. ვეზირმა მეორედ შეუთვალა: მართალს ბძანებ, მეც ვიცი, ამისთანას აუგსა არ იკადრებდი. მაგრამ ჯელმწიფეს შენგნით გულს დაკლებია და მე ამას მოგახსენებ. ჯელმწიფესა მოახსენე: ერთი ქურდის<sup>93</sup> შვილა შემოიყვანე და ბახთიარ დაარქვი<sup>94</sup>. ყოვლი შენი მონაგები ჯელში ჩაუგდე ერთს უგვანს<sup>95</sup> კაცსა. მე ვერა მოგახსენე რა, თვარა მრავალჯერ კაცი მომიგზავნა<sup>96</sup> და მითვლიდის, თუცა ნებით არ დამორჩილდები, შემოვალ, ძალით დაგიჭერ, ნებას აღვისრულებ, ჯელმწიფეს თავს მოვჰკვეთ<sup>97</sup> და ტახტზედან მე დაფუდები. ჩემგნით მოხსენება ეს არის. ბახთიარს მოჰკვლენ და შენ გადარჩები.

რა ჯელმწიფის ცოლს ეს შეთლილობა მიუვიდა. ატირდა და ეგრე თქვა: რა ვქნა ბედშავემა, ტყუეილი უნდა მოვიგონო და უბრალო სისხლი დავეღვარო! ვეზირმა მოახსენა: ეგრე ავის კაცის სისხლის დაღვრა მაღლი არის, არა თუ ცოდვა. მისის სისხლის მძღვილი მე ვიყო, შენ ეგრე მოახსენე. ქალი მოატყუვა, თქმის პირი გამოართვა და თვით ჯელმწიფის წინაშე მოვიდა. ჯელმწიფემან ჰკითხა: რა გაიგონე? ვეზირმან მოახსენა: ჩემსა ენასა თქმა არ ძალუც. თქვენ იკითხეთ მისგან და მან მოგახსენოსთ<sup>98</sup>. ადგა ჯელმწიფე, ჰკითხა მას. რაც ვეზირისა<sup>99</sup> მოესმინა, მოახსენა

89 სელთა

90 მარტვილობა

91 შეილ

92 მცნობე

93 ქურთის

94 დარქვი

95 უგვანს

96 მომიგზავნა

97 ჰკვეთ

98 მოგახსენებოსთ

99 ვეზირისა

ნა. ჯელმწიფემან ბძანა: ბრალი მე მაქვს, მე აქამდის ის ვაცოცხლე და იმისთანა სირცხვილი მაჭამა. ბძანა ბახთიარის ხუნდითა და ბორკილითა შენახვა. ნუთუ დილა გამითენდეს, მეც პასუხი მივაგო და ეგრე მოვაკვდინო, სხვამან გულსა შინაც აღარ გაიტაროს ეგეთი საქმე!

რა ვეზირთა მას დღეს მისი შენახვა სცნეს, რჩევა დაიწყეს<sup>100</sup>: თუცა დღეს იგი კაცი მორჩეს, ჯელმწიფე მოწყალე არის, არამც გული მოუღბეს და მოურჩეს. აღრე სიკუდილსა ლამოდის და მის განქარვებასა ცდილობდენ. მეორესა დღესა მოვიდა მეორე ვეზირი, ჯელმწიფესა თაყვანა სცა და მოახსენა: ეს მიკვირს, თუ რად ინახავს ჯელმწიფე იმ ავს კაცს? დასტური ეს არის, ჯელმწიფის ხმალი მისის სისხლით შეიღებოს! ბძანა ხელმწიფემ ბახთიარის მოყვანა და მოიყვანეს. უბძანა, ძელზედან დაჰკიდეთ! ბახთიარ ჯელმწიფე დალოცა და მოახსენა: ჩემი დღენი გათავდა, სიცოცხლეს ვშორდები და სიკუდილს უმეგობრდები, მაგრამ მოსამართლისაგან ეგრე მასმია<sup>101</sup>, თუცა კაცმან უბრალო კაცი მოკლას, თავის თვისისა მკულელი შეიქნების. ცამანკ იცის და ქვეყანამანცა, მე უბრალო ვარ, მაგრამ ჩემი საქმე უბედურის ვაჭრის საქმეს ემგზავსა<sup>102</sup>, რომელ ბედი უკუღმა დაუბრუნდა, და რასაცა კარგს ცდილობდა, ეგრევე ავი მოუხდა. ჯელმწიფემან<sup>103</sup> ჰკითხა: როგორ ყოფილა, მიანბეო.

### 3. პარი მეორე და არაპი<sup>104</sup> პირველი. უბედურის ვაჭრის თავს გარდასული<sup>105</sup>

ვითა იადონმა, ბახთიარ ენა აღძრა, ჯელმწიფე დალოცა და მოახსენა: ბასრისა<sup>106</sup> ქალაქსა შინა იყო ვაჭარი ერთი მრავლისა ქონებისა პატრონი. ბედი უკუღმა დაუბრუნდა და მონაგებისა მისისა ოთხი წილი განქარდა. და სყიდვასა და გასყიდვასა შინა უდიდური ზიანი ქნა. წელსა ერთსა პური დაძვირდა. მან ვაჭარმან თქვა: აღებმიცემით ზიანი დამემართა, აწე პურს ვიყიდი და მეორეს წელს ძვირად გაყიდი, ნუთუ ეგრე შევიძინო<sup>107</sup>, რაცა დაეჭარგე. იყიდა პური მრავალი და მეორესა წელსა უფროსი მოვიდა. რასლა აქნევდა<sup>108</sup>, იგიცა გაყიდა, და კიდევ იყიდა და ააჯ-

100 დაიწყეს

101 მსმია

102 ემგზავსა

103 ჯელმწიფემან

104 არკი

105 გარდასული

106 ბასრისა

107 შევიძინო

108 აქნ ვდა

სო<sup>109</sup> ბელლები. იმ ზამთარ ავი ზამთარი მოვიდა, ბელელი წყალი ჩაუვიდა, დაექცა და სულ წაუხდა, დარჩა დაღონებული, სიმდიდრის მომლოდნე დაგლასავებული<sup>110</sup>.

მის ქალაქით ყაფლა გადგა. მან ვაჭარმან<sup>111</sup> თავის ცოლს სამკაული გამოუღო და თან გაჰყვა, ნუთუ სარგებელი ვქნაო. ზღვასა შინა ჩაჯდა. აღდგა ქარი და აღძრა ზღვა. სომალდი დაექცა. თვით ერთსა ფიცარსა შერჩა და [ქარმა] ზღვისა კიდესა გააგდო<sup>112</sup>. იარებოდა უკაცურთა აღვილთა შიმშილისაგან შევიწრებული. ხუთი დღე ეგრეთ იარა. ერთსა სოფელში შევიდა. ამო და მდიდარი სოფელი დახედა: მის სოფლისა პატრონი უხვი და დაღონებულთა მოწყალე იყო. დიაჟან ერქვა. შეხედა მან კეთილმან კაცმან, იცნა, რომენ სიმდიდრისაგან დაცემულიყო. აწვია, დიდად პატივი სცა, სადილი დაუმზადა. შექცენენ<sup>113</sup> და საუბარსა შეჰყვენენ. მასპინძელმან ჰკითხა: აწი შენი ამბავი<sup>114</sup> მიახბე, გხედავ, რომენ სიმდიდრის მქონებელი ყოფილხარ. მან თავისი ანბავი მთლად უახბო. შეგბრალნეს<sup>115</sup> მასპინძელსა, თავით ფეხამდინ<sup>116</sup> შემოსა და უთხრა: ნუ შეიჭირვებ<sup>117</sup>, აქ იყავ, ღმრთით შენ აქ ზიანს არა ნახავ. თავისა მოსაჯალზედან დააყენა<sup>118</sup>, ათეული მისცა. რა მოსაჯალმან მოდენა დაიწყო, ვაჭარმან<sup>119</sup> თავისი ათის თავი აიღო; ცალკე შეინახა, არამც არ მამცესო. დიაჟან თავის მოსაჯალსა რიცხვი ქნა და ათეულს მეტი მისცა. მან კაცმან<sup>120</sup> მოახსენა: ჩემი წესი ძოდანვე ავიღე, წავიდეთ, მასაც გაჰქენებო. წარვიდენ და სადაც შეენახა<sup>121</sup>, იქ აღარ<sup>122</sup> იყო. თურე მპარავთ წაიღნეს. მას კაცს ვაჭრის ის ქნილობა ეწყინა და მისგან<sup>123</sup> მიცემული ისრევე გამოუღო და გააძო<sup>124</sup>.

წავიდა ვაჭარი დაღონებული. ზღვისა კიდესა მივიდა. მუნ თავისნი მცნურნი მარგალიტთა მეძიებელნი დახვდენ, უსალამნეს და სადა ეგრე უბადოდ სღვა ჰკითხეს. მან თავისა ყოფილი უახბო. მათ ერთმანერთსა უთხრეს: მოდი, ამისსა

109 ავსო

110 დაგლსკებული

111 ვაჭარმან

112 გაგდო

113 შექცენენ

114 ამბავი

115 შეგბრალნეს

116 ფეხმდინ

117 შეჭირვებ

118 დაყენა

119 ვაჭარმან

120 კაცმან

121 შენახა

122 აღარ

123 მისგან

124 გაძო

ბედნიდან ჩავიდეთ, ნუთუ ღმერთსა ამისი ბედი არ დაეკარგოს და, რაცა ვჰპოვოთ, მივსცეთ. ექვსნი ჩავიდენ, თვითომა და თვითომ თვითო მართალი მარგალიტი ამოიღეს ესეთი, ფასი ვერც მათ და ვერც ვაჭარმან ვერ<sup>125</sup> დასდვა. მისცეს და განუტევეს. წავიდა ვაჭარი მსიარულად. გულთა შინა თქვა: ნუთუ მეკობრენი დამხვდენ და წამილონ. სამიოდენ ტანსაცმელში დამალა და სამი პირთა შინა შეინახა. მცირე რამ გაიარა, მეკობრენი დასდენ და ერთად<sup>126</sup> სლა შექნეს. ვაჭარმა საუბარი დაიწყო. მათ მარგალიტი შეამცნიეს პირთა შინა, შეიპყრეს, ეგოდენი სცეს, მეტი აღარ ხამდა. მარგალიტი გამოუღეს და იგ ცოცხალ<sup>127</sup> მკუდარი გააგდეს<sup>128</sup>, და წავიდნენ. რა ვაჭარი სულობას მოვიდა, დაინახა<sup>129</sup>, სამი ისევე დარჩომოდა. ცოტად ძალა და ღონე მოიკვა, ზე აღდა და წაჰიდა.

ღამე ესწრა. ერთსა ქალაქში შევიდა, დაფარულთა ალაგთა<sup>130</sup> დაიძინა. დილა გათენდა და ბაზრები დააღეს. მან სიარული დაიწყო. ერთსა თვალის მსუიდეველთან მივიდა. მარგალიტები აჩვენა. რა ვაჭარმა მარგალიტი ნახა, მას საბრალოს კაცს დაეცქირა და თქვა: ნუთუ ნაპარკვი იყოს, თვარა ვინ მისცა ესეთი მარგალიტი ღარიბსა. საყულონი შესტაცა: ესე მარგალიტი ჩემი არის, სხვა რაღა უყავი, მომეცო! ამა ამბავსა და ძახილზედან ბაზრის კაცნი იქ შეიყარნენ. შეიპყრეს და ჯელმწიფესთან მიიყვანეს<sup>131</sup>. ჯელმწიფეს მოახსენეს: ეს კაცი ქურდი არის, ამას წინ ზანდუკი გამიჭერეს<sup>132</sup>, მრავალი უცხო თვალნი და ესეთი მარგალიტი წაიღეს. ჯელმწიფემ უბძანა: შინ რას უბნობ. ქურდობას გეწამებთან. საბრალო<sup>133</sup> ვაჭარმან მოახსენა: არა დიცი რა და არც ჩემთა დღეთა შინა ამა ქალაქსა და ქვეყანასა ეყოთილვარ. მაგრამ ბედმან მიყო და რა მერგების. მარგალიტი წაართვის<sup>134</sup>, ჯაიარფრუმს მისცავს და თვით საპყრობილესა შეაყინის, ჯინჯილებითა მაგრად შეკრული.

გამოხდა ხანი. იმ მარგალიტის მიძიებელნი ქალაქში შემოვიდნენ. თქვეს: მოდამდღეთ სიღრმისა ზღვისასა ილითა და დღითი-დღე დარჩობას ველით. წარვიდეთ საპყრობი-

125 ვე

126 ერთათ

127 ცოცხლ

128 გაგდეს

129 ინახა

130 ალაგთა

131 მიყვანეს

132 გმიჭერეს

133 საბრლო

134 წართვის

ლესა და თვითო ჩვენი ნამუშავევი მივცეთ, ნუთუ ღმერთსა შეგვედრონ. ნება დართეს ერთმა მეორესა. შევიდენ საპყრობილესა შინა, სამლოცველოს ურიგებდენ. ვაჭარი იცნეს, საკრულითა მძიმითა შეკრული. ჰკითხეს: რა დამართია? მან მისი და ჯავარფრუშის ანბავი უანბო. მათ უთხრეს: ნუ შეიჭირვებ, ღმერთი დიდი არის. მუნით გამოვიდენ, ჯელმწიფესა წინ წადგნენ. ჯელმწიფემ ზღვის ანბავი ჰკითხა. მათ მათი ნახული მოახსენეს, მერმე თაყვანი სცეს: ჯელმწიფეს წინ ვექენებით სიტყვისა ერთისა თქმასა. უბძანა: თქვითო. მოახსენეს: კაცი ვინმე თვალისა მსუიდეულსა შეუსმენია და ესე გვიკვირს, ჯელმწიფემან გაუკითხავად ვით შეიპყრა. კაცი იგი დიდისა ყაფალისა პატრონი და მორჭმა-სიმდიდრისა მქონებელი [იყო]. მისაგან დაეცა. წადმა დაცარული ბედი უკულმა დაეკრისა. გლახად მორული ვნახეთ და იგი მარგალიტი ჩვენ მივეცით, თავმა ჯელმწიფისამა. ჯავარფრუშიცა და იგი ვაჭარიცა ჯელმწიფემ დაუძასა. თვალის მსუიდეულს გულმან უგრძნა<sup>135</sup>, შეშინდა და სიტყვა შემოაკლდა. ჯელმწიფემ უბძანა ჯავარფრუშს: ეგრე ღარიბს და დაცემულს ძალა და ცილის წამება რისთვის შეამთხვიე. შენთვის ღმერთს ბიერი ებოძა და მისთვის, რაც ქონდა, იგიცა წაერთმივა. ეგრე ხამდა, შენ შეგწყალებოდა და შენ მიგრცა. და მისი ნათხოვნოც შეიშურდე და წაართვი<sup>136</sup>. იგიც მას<sup>137</sup> კაცსაჲით<sup>138</sup> დაცალის და მისი სიმდიდრე მას ვაჭარს მისცეს, ამისი შენ გინდოდა და შენიც ამას მისცა ღმერთმან. და იგი დაარჩიეს<sup>139</sup>. ჯელმწიფემ კაცი დააძახა<sup>140</sup>: ვინც საბრალოსა და ღარიბს ძალა უყოს, მასცა ასე დაემართოს. მარგალიტის<sup>141</sup> მეძიებელთა მოახსენეს: ეგრე კაცი დიდად გამოცდილი და ჯელმწიფისა სამსახურისა შემძლები არის. მასჲე წამსა საგლახო<sup>142</sup> გასპარცვის და ჯელმწიფისა სამოსილი შემოსის, და მიულოცეს მიჭურჭლეთხუცობა. დაუწყო ამო სამსახური.

სალაროს კედლის<sup>143</sup> იქით პირს ჯელმწიფის ქალის სახსლე იყო. და წვის იყო ჯელმწიფისა. ექს<sup>144</sup> თვიში ერთხელ ქალს ნახევდის. მას ქალსა ბალი ჰქონდა და შიგან სა-

135 გულმან უბძანა

136 წართვი

137 მს

138 კაცსაჲით

139 დაარჩიეს

140 დაძახა

141 მარგალიტი

142 საგლხო

143 კედის

144 ექს

სახლე ედგა. მუნ თურქი წასუღიყო. მამას არ შეეცყო. იქ იყოფებოდა<sup>145</sup> და ლხინობდა. ხაზინადარს<sup>146</sup> სალაროს ნახვა მოუნდა და შევიდა. სალარო ავად მიყრილი-მოყრილი დახვდა<sup>147</sup>. აილო ერთი სოლი, კედელს ჰკრა — რაგინდარას დაეჰკიდებო. რა სოლი ჰკრა, ცალ-პირი აგური თურქი იყო, ჩამოიქცა, ქალის სამყოფი გამოჩნდა. თავის წელით ტალახი<sup>148</sup> შეზილა. შენება დაუწყო. ვეზირმან შაიარა, ნახა მისგან კედლის შენება. შევიდა, ჯელმწიფეს მოახსენა მისისხლობისა გულთა: შენი ხაზინადარი ვნახე, კედელი გაერღვია და შენსა ქალსა ელაპარაკებოდა და რა მე მნახა, ეგრევე შენება დაუწყო. ჯელმწიფეს გულს ცეცხლი მოეკიდა, აიჭრა<sup>149</sup> და გარისხებული სალაროში შევიდა. ვაჭარი ჯელტალახიანი ნახა, ბძანა, ჩემი ვეზირი თურქი მართალს უბნობდაო. შეიპყრა უბრალო და თვალნი დასწვა. მუნით გამოვიდა, ქალთან<sup>150</sup> შევიდა. ქალი იქ არ დახვდა. იკითხა: სად არის? მოახსენეს: ერთი თვე არის, ბაღში წავიდაო. ჩელმწიფე სალაროში მიბრუნდა, გულდადებით გასინჯა, შეიტყო — ვეზირს სიქიშპით შერსმინა<sup>151</sup>. მრავალი იტირა: უბრალო კაცი წავახდინეო, და ნაღველიცა დიდი ჩაუარდა. ვეზირი გააძო<sup>152</sup>. ვაჭართან<sup>153</sup> ბოღში მოიხადა, მაგრამ თვალევი კი ველარ აუხილა. ბოღში რას სინათლეს მოუმატებდა?

აწი თუ ჯელმწიფე არ აჩქარებულყო, ან მოკითხული ექნა, უბრალოს სისხლში არ გაირიოდა. მისი არ იყოს, ჯელმწიფევე, ჩემს სიკუდილს ნუ აშურებ, ჩემი სიმართლე და სიმტყუნე შეიტყევე! ჯელმწიფეს ბახთიარის სიტყვა იამა და შენახვა ბძანა მას დღეს.

რა დილა გათენდა და საწუთროს მაშვენებელმან მზემან ყირმიზი ვარდი მოჰჭინა ქვეყანასა ზედან, მესამისა დღესა მესამე ვეზირი მოვიდა. ჩელმწიფის ანბავი იკითხა. მესაწოლემან მარტო ყოფა უთხრა. შევიდა ვეზირი, თაყვანი სცა, დალოცა: საწუთროსა მჭირაქმან<sup>154</sup> შინი ტახტოსნობა ნუ მოშალთ, მაგრამ ზარი მღვეს შიშისა. ნუ თუ ბახთიარის ანბავი ყოვლსა ქვეყანასა გაისმას, ჯელმწი-

145 იყოფებოდა

146 ხზინდარს

147 დახდა

148 ტალხი

149 აიჭრა

150 ქალთნ

151 შესმინა

152 გაძო

153 ვაჭართნ

154 მჭირვმან



ფეთა და მეპატრონეთა შვიგნან, აუგი არის ჭელმწიფისა და დაგმობენ მისისა უპატიჟოდ მოუკლაობასა. ბძანა მოყვანა ბახთიარისა და მოიყვანეს, თავის მოკვეთას ლამოდეს-ატირდა ბახთიარ და მოახსენა: სამართლიანო ჭელმწიფეჲ, საპყრობილესა შინა კაცსა მისთვის შეინახეგენ, გაკითხვა ეღირსების. ერთსა მოსამართლესა უთქვამს: საპყრობილესა მყოფი მრავალგზისა უნდა გაკითხოსო. თუ ჭელმწიფის საპყრობილე აქვს, ფიქრი და განკითხვა<sup>155</sup> უნდა ჰქონდეს, და მტკივნებაც უნდა იცოდეს, თვარა გაუსინჯავს და აჩქარებულს ჰალაბის<sup>156</sup> ჭელმწიფის შვილსაგით დაემართება. როგორადაც<sup>157</sup> მას გაუსინჯაობით დაემართა. ჭელმწიფემ უბძანა: რა დაემართა, თქვიო. ბახთიარ მიწას აკოცა, ბულბულის ენა გამოიბა, აჭიგჭიკდა და მოახსენა.

### ჟ. პარი მესამე და არაპი მეორე ჰალაბის<sup>158</sup> ჭელმწიფის შვილისა

ჰალაბის<sup>159</sup> ქვეყანასა იყო ჭელმწიფე მოწყალე და მოსამართლე. მის დროთა შინა არას კაცს უსამართლო არ დამართებოდა. ჰყვა შვილი ერთი, ბეჰზად ერქვა, ყოვლისა ზნეობითა სრული, ამისგან კიდე, გასინჯვა არ იცოდა. რასაც იტყოდის, რაგინდ ავი ყოფილიყო, უნდა ექნა, არ დაამლიდა. დღესა ერთსა ჯდა და უცხოთა ანბავთა უბნობდენ. ერთმა კაცმა მოახსენა: რაცალა მქონდა, გავყიდე და ფარჩა ვიყიდე და სტანბოლს საგაჭროდ გაყემახდე. რა მივახლოვდი, მეკობრენი დამესხნეს და ჩემი ქონება წამიღეს. მე მოვრჩი. ღმრთისა მინდობილი დღიჲ და დამ ვიარებოდი. ერთსა დამესა კაცთა ხმა მესმა. შიშისაგან გზას გარდუქცივე. ხე დამხუდა, მაზიდან დავიმალე. მკირე ხანი გამოვიდა, ერთი სინათლე რამ გამოჩნდა. ვნახე სანთელი და მაშხალანი მომავალნი, და მოსდევდენ მას პირმთვარენი დასდასად დიდისა სიხარულითა. ახლოსა გაიარეს. და რა იგინი გამშორდეს, მონანი მოდიოდენ და აკმეკდენ მუშკთა და ანბართა. მათაც გაიარეს. ვნახე კუბო მომავალი<sup>160</sup> და მოკმაზული უცხოდ ფერად და კალთანი აზიულნი აქვენდა. წინ მხეველნი მოუძღვებოდენ და ქათურისა სანთლებსა

155 განკითხვე

156 ჰალაბის

157 როგორადარ

158 ჰალაბის

159 ჰალაბის

160 მომავალი

ანთებდნენ. რა მომეახლოვდენ, ქალი ჯდა კუბოსა შინა, ზე-  
 ცით მომავალს ნათელს ჰგვანდა<sup>161</sup> და იგი დამე სრულად  
 გაანათლა<sup>162</sup>. ეგრე სამთა მზესაცა არ ძალეღვა აღმოსლი-  
 თა შუქთა მოფენა. თვალის<sup>163</sup> შედგმად ვერ შევმართე,  
 ცნობანი დამეკარგნეს და თვალთა, ვითა ნაკადელნი წყალ-  
 თანი, ეგრე მჩქეთრად გარდმოიჭრნეს და ვერარა დავინა-  
 სე. რა თვალთაგან მონადენი წყალნი დაშრტენ, იგინი გამ-  
 შორებოდენ. ღამესა მოწყენილობა დაეკარგა და სიხარუ-  
 ლისა ღიმილით ბაგე გაეხსნა. და მე ეგრე ვგონებდი, ნუ-  
 თუ შუქნი მის მზისანი იყვნენ!<sup>164</sup> თვალთა ხელი მოვივლე,  
 იგი მნათობი<sup>165</sup> მიმფარებოდა და საწყუთროსა მაშვენებელი  
 აღმომხდარიყო. ხისაგან ჩამოველ. ქალაქი<sup>166</sup> ახლო თურე  
 იყო და მუნ მიველ. შუკათა<sup>167</sup> სლა დავიწყე. კაცსა ვისმე  
 ვჰკითხე: წუხელი ერთი ქალი ვნახე ამა ქალაქსა შემოსუ-  
 ლი. მან მითხრა: უაისარის ასული არის, ნიგარან ჰქვიან,  
 გარეგან<sup>168</sup> ქალაქსა კოშკი უდგს<sup>169</sup> და სანდაზმით თამაშად  
 შემოვალს.

რა მონამან მოხსენება გაათავა<sup>170</sup>, ბეჰზად მეტად გა-  
 მიჯნურდა. ადგა, ვეზირისას მივიდა, უბძანა: მიდი, მხთუ-  
 ლებრ მოწყალეს მამას ჩემს პირ-დაკრით ფეხს აკოცი და  
 მოახსენე, ჩემზიდან თვალი არა გაქვს და ჩემი არა გიურ-  
 ვის რა. თუცა მან როგორ ყოფა გკითხოს, შენ მოახსენე,  
 ქვეყანათა ზედან არა ნივთი არ არის, მას ჯუფთი არ ესვას,  
 და თუ ჩემი ურვა გქონდეს, მეც ჯუფთი მეყოლების.

ადდგა ვეზირი და ბეჰზადის შეთლილობა ჩილმწიფეს  
 მოახსენა. ჩელმწიფე მიჰდა, ბეჰზად მიჯნური შექნილა. ვე-  
 ზირს უბძანა: მიდი, ჩემს შვილს მოახსენე, ადრიდგან მეცა  
 უბნობდი, მაგრამ შენგან თქმას ვგონებდი. აწე შენ გიბძა-  
 ნებია და დია, ჩემს თავსა<sup>171</sup>, ვინ გნებავს. მოგგვარო. ვე-  
 ზირმა ჩელმწიფის თქმული ბეჰზადს მოართვა. მან უთხრა:  
 უაისარის ქალი ნიგარან მომგვაროს. რა ჩელმწიფემ შვი-  
 ლის თქმული შეიგნა, ვეზირს უთხრა: იგი ურუმელთა<sup>172</sup>  
 ნეფე არის და ჩვენსა მოყრობასა არ იკადრებს. ვეზირმა

161 ჰუნა  
 162 განათლა  
 163 თვლის  
 164 იყნენ  
 165 მნათობი  
 166 ქალაქ

167 შუკათა  
 168 გარეგან  
 169 უთგს  
 170 გაათავა  
 171 თავთსა  
 172 ურუმელთა

ბეჭზადს უანბო. მან თქვა: თუ მას ვერ ვიშოვნო, ჩემი და-  
კარგეაც მას შეუძლია. ჯელმწიფეს შვილის დაკარგვისათ-  
ვის გული დაეწვა. დაღონებულმან<sup>173</sup> ქალის მთხოველი გა-  
უგზავნა. მივიდა მოციქული. აწვია ყაისარ, შევიგნა, რა  
ანბავი<sup>174</sup> იცისო. მთხოველი ტახტის<sup>175</sup> პირს წადგა, თაყვა-  
ნი<sup>176</sup> სცა, წიგნი და შეთლილობა მიართვა. რა ყაისარ წიგ-  
ნი და შეთლილობა მოისმინა, გულს მჯიღვი იკრა და თქვა:  
ხედავთ, ალაბისა ბატონსა როგორ უძაბუნებებივარ და მჩა-  
ტედ აუღივარ, ჩემი პირმზე ასული უთხოვნია. დია, ჩემს  
თაყსა, ასი ათასი დინარი ჩემის ქალის საქორწილო მომი-  
ტანოს და მივსცემ. ესე თქვა და წამოხლტა, შიგნით შე-  
ვიდა.

მოციქული თავის<sup>177</sup> ბატონთან მოვიდა და მისგან  
თქმული მოახსენა. ჯელმწიფემ ვეზირს უბძანა: თურე ჯაუა  
მქონა, იგი ჩვენს ქალის მოცემას<sup>178</sup> არ იკადრებდა. ბეჭზად  
მამას მოახსენა: ასი ათასი დინარი გაუგზავნე! მამამ უთ-  
ხრა: მე ეგოდენი არც კი მასმია<sup>179</sup>, არათუ მქონდეს. იკო-  
და, შვილი არ მოეშვებოდა. თავისი მონაგები<sup>180</sup> თეთრად  
შესცვალა, ოცდაათი ათასი დინარი დააყენა<sup>181</sup>. ბეჭზად უთ-  
ხრა: მონანი და მხეველნი გაუიდე. მამამ იგიც უსმინა. ოც-  
დაათი ათასი მით შეიქნა. კულავ უთხრა: ქალაქთა<sup>182</sup> და  
ქვეყანათა<sup>183</sup> შეაწერე. მამამ შორს დაიჭირა<sup>184</sup>: ესე არა  
ოდეს არ დამართებია! ქვეყანა მოითხრების, მე ვალი და-  
მეაიდების და თვით შინგი მაგინებ. ბეჭზად თქვა: მე დავი-  
კარგები და შენ ქვეყანა<sup>185</sup> შეინახე. ჯელმწიფეს გულს ციც-  
ხლი მოეკიდა. შვილს უთხრა: ერთსა წილსა მოიკადე და  
შენს ნებას აღვასრულებ. მან მოახსენა: მე ამისგან უფრო  
ყოფნება არ შემიძლია. თვალნი ცრემლით აივსო და კარნი  
გამოვლნო. თვის სადგომს შევიდა, საღარიბო ჭანისამოსი  
შეიმოსა და ერთი ხელი იარალი აიღო, ორნი მონანი დაკა-

173 დაღონებულმან

174 ანბვი

175 ტხტის

176 თაყენი

177 თავისს

178 მოცემს

179 მსმია

180 მონგები

181 დაყენა

182 ქალქთა

183 ქვეყანათა

184 დაიჭრა

185 ქვეყა

ზმა და წაიყვანა<sup>186</sup>. და წავიდენ სამნი, ნუთუ ქარავანთა<sup>187</sup> შევხუდეთ და იგი დავსცარცოთ.

ერთი დღე იარეს. დიდი ქარავანი<sup>188</sup> დახუდათ, ურუ მელთა მიმავალნი. ქონება უფრო არ ეგებოდა და კაცნი უკეთესნი არ იქნებოდენ. იგი სამნი იყვნენ. დაესხნენ მიქარავნეთა. სამნივე შეიპყრეს, მაგრად შეაბორკილეს<sup>189</sup> და თან წაიყვანეს. ბეჰზადის<sup>190</sup> დიდის კაცის შვილობა სცნეს. ქარავანთ-უხუცესი მოვიდა, ბეჰზადს უთხრა: მე ვხედავ, შენ დიდი ვინმე ვარ და რა დიდებულთა წესი არის ეგრე უბადლოთა საქმეთა ტარება? იგი ატირდა და პასუხი<sup>191</sup> არა გასცა. ვაჭარმა უთხრა: მართალი მითხარ და გაგიშვიბ, თვარა ეგრე შეპყრობილს ყაისარს მიგვევრი და მას განუმზადებოეს<sup>192</sup> მეკობრეთა წესი. ბეჰზად თავისი ანბაფი უანბო. ვაჭარს შეიწყალა<sup>193</sup> და უთხრა: ნუ შეიჭირვებ, ღმრთილ მე ჯელს მოგიმართავ და ყაისართანც ვეცდები, ქალი მოგკეს. რაცა წესი არის, მე დავხარჯავ და ჯელის წირილი მომეც, როსაც შენს საქელმწიფოს ეპატრონო, ჩემი მამცემან ჩელწერილი მისცა. ვაჭარმან აუშვა და საქელმწიფოს სამოსელი შემოსა, მისნი მონანიც განუტივა და, რაცა ხამდა, თეთრი მისცა, და წაიყვანა.

ყაისარის კარზედ მივიდენ. ვაჭარი ჯელმწიფესთან<sup>194</sup> შევიდა და იგი გარეთ დააყენა<sup>195</sup>. თვით ყაისარს ეთაყენა<sup>196</sup>, ძღვენი უძღნა და მოახსენა: კაცსა ვისმე განწესებოლი აქეს და ხილვა ჯელმწიფისა ნებაეს. მან მიყვანება უბძანა. შევიდა ბეჰზად, თაყვანი<sup>197</sup> სცა და თეთრი წინაშე დადგა. ჯელმწიფემ ტახტზედ<sup>198</sup> დაისვა, ამოდ უალღრსა, გზაზედან გაურჯელობის ანბაფი ჰკითხა. ბეჰზად მდაბლად მადლი მოახსენა. ჯელმწიფემ კლა ჰკითხა: ა ის არის შენი სანდომელიო, რა არის<sup>199</sup>, იგი გაჟასრულო. ბეჰზად მოახსენა: სანდომილი ჩემი ეს იყო, შენი ბძანება გაჟასრულო და ნიგარანის<sup>200</sup> და ჩემი შეყრა თქვენზედ დარჩა. ყაისარ თქვა:

186 წაიყვანა

187 ქარავანთა

188 ქარავანი

189 შაბორკილეს

190 ბეჰზადის

191 პასხი

192 განუმზადებოეს

193 შეწყალა

194 ჯელმწიფესთან

195 დაყენა

196 ეთაყენა

197 თაყენი

198 დახტზედან

199 (ჩამატებულია. ფრაზა გაუმარ-

თავია)

200 ნიგარანის

ორიოდ დღე განისვენეო. მან დაყოვნების უარი მოახსენა. უაისარ ბეჰზადს ჯელი მოჰკიდა, ბალში შევიდენ. მუტრი-ბითა და მგოსანით ლხინის გამართა შექნეს, ღვინის სმა და ლხინთა მომატება. უაისარ თავის ქალის მოყვანა ბძანა. მოიყვანეს ნიგარან<sup>201</sup> და ბეჰზადს გვერთ დაუსვეს და სმას მოუმატეს.

ადგა ქალი და წამოვიდა. ბეჰზად დასთრა. ნიგარინის ანბავს კითხულობა დაიწყო. ადგა, ქალის სადგომისკენ წა-ვიდა, ნუთუ თვალი შეევჰკრა სადმეო. სარკლმით იმზირე-ბოდა. ნიგარან შეხედა, ნახა, კაცი ვინმე იყურების. მხევეალს უბძანა შანთის გახურება. ჰკრეს თვალსა ბეჰზადს და ორივე თვალნი წასცვივდეს. დაიძახა და იქივ დაეცა. სმაზედან გა-მოვიდენ. ნახეს, ბეჰზად იყო. ბევრი იტირეს, მაგრამ მას არა ერგო რა. უაისარს მოახსენეს ბეჰზადს თავისის სიჩქა-რით თვალნის წახდომა<sup>202</sup>. მან თავისსა ალაგს წაყვანა ბძანა და ალაბისა ბატონსა შეუთვალა: ვერას მხედველს მე სიძეს რას ჯელს ვყრიო. რა მამამან თავისი შვილი სინათ-ლისაგან გასული ნახა, თავს იცა და მისსა სამეფოს შავი შე-ნოსა. ბეჰზადისა მამამ ველარ გასძლო შვილის ეგრე ყუ-რება და საწუთრო დასცალა. და ბეჰზად აჩქარებით სოფ-ლისაგან ბედშავად დარჩომილი იყოფებოდა. მისთა დიდუ-ბულთა ჯელმწიფედ სხვა იპატრონეს და იგი გულ-მტკინ-ვიული გაუშვის გლახაკად.

რა. ეს ამბავი დაასრულა<sup>203</sup>, ბახთიარ მოახსენა: ჯელ-მწიფემ ამოდ გაიგონოს. თუცა ბეჰზადს საქმის სინჯვა ჰქონოდა<sup>204</sup> და აჩქარებით თვალნი არ წაეხდინა, მას ქალს არ მოშორდებოდა და მამისა თავისსა სამეფოსა არ დაჰ-კარგევდა, მეპატრონე თვით იქნებოდა და ეგოდენი სარჯე-ლი ცუდათ არ ჩაუვლიდა. აწე ბედ-სვიანი ჯელმწიფე აჩქა-რებით ნუ მომაკდინებს, ბოლოს ჟამს სინანული არ შეჰ-ქნათ<sup>205</sup>. მას დღესაც შენახვა ბძანა მისი ხელმწიფემა.

მეოთხესა დღესა მეოთხე ვენირი შემოვიდა, ჯელმწი-ფე დალოცა და ქება მოახსენა. და მასუკანით ესე ჰკადრა: ნუ ყოს<sup>206</sup> უფალმან<sup>207</sup>, რომენ ჯელმწიფემან ავი იკადროს, მაგრამ ვეზირთა ვალი აცსთ უმჯობესისა მოხსენებად.

201 ნიგარან

202 (გაუმართავია)

203 დასრულა

204 ჰქონდა

205 შეჰქათ

206 ყო

207 უფალმან

ჩვენგან სწავლება ვით იქნების, თუცა ესე სოფელი ძრას-  
ვისა არ იყოს. ნუთუ ქელმწიფემან<sup>208</sup> არა იცოდეს, თაფლი  
რა გვარ ტკბილი და საჭმელად სასიამოვნო არის, მაგრამ  
თუცა კაცმა ბევრი ჭამა, სენსა შეაქს და კიდევაც ემწარების.  
აწუ ბახთიარის საქმე თაფლს მიემგზავსა. მე ამად ვიშიშ-  
ვი<sup>209</sup>, ვაი თუ ქელმწიფის მამულში ავკაცობა გამრავლდეს,  
ჩემი საგონებელი ეს არის. ქელმწიფემან ბძანა მოუყანება  
ბახთიარისა და მტარვალი ქმალმოწდილი წინ დაიყენა. და  
ბახთიარც მოვიდა. მეხლმე თავის მოკვეთას ულამოდა. მან  
ნელად ხმა ამოიღო, ქელმწიფე დალოცა და მოახსენა:  
ჩემსა სიკუდილსა ნუ ეშურებით, სიჩქარეს ნაღველი სდევს,  
გასინჯვის ბოლო სიხარულის მომცემი არის, გამსინჯველი  
კაცი კეთილს შეეყრება<sup>210</sup>, როგორც აბუსფარ თვისის ფიქ-  
რით ქელმწიფობას მისდა. ქელმწიფემან უბძანა: როგორ  
ყოფილა და რის მიზეზით უშოვნია მას ქელმწი-  
ფობა, თქვიო. ბახთიარ ვითაც სიტყუა-მარჯვე იყო, ეგრე  
ქება შეასხა და თქვა.

### ჰ. კარი მართხა და არაპი მისამე აბუსფარის შიჰრის მოხდენისა

ერთსა სოფელსა კაცი ვინმე იყო ყოვლისა ნივთისა  
უპოვარი და დიდძალის დედაწულთ პატრონი. თავისსა საქ-  
მესა სინჯედის და იხარებდის. ესეთი მსინჯავი იყო, რო-  
მენ სხვანიცა მის რჩევაზედ იდგნენ. რასაც იგ ეტყოდის,  
მას იქმოდენ. დღესა ერთსა ამელ ფადშა მას სოფელში  
• მივიდა და მის სოფლის კაცნი დიდად შეაწუხსა, ობოლ-ქრი-  
ვი და გლახაკი არ გაიკითხა, მრავალი უწესო საქმე ქნა და  
ნამიტნაფსა შეჭირვებაში ჩაყარა, რომე მის მეტი აღარ შე-  
ეძლოთ<sup>211</sup>. გულმან აღარ გაუძლოთ, ათიოდ კაცნი შიიყარ-  
ნენ და იგი ამელ ფადშა მოკლეს და გარდისხეწნენ მუ-  
ნით. მას სოფელსა შინა ვინცაჲინ დაუნაშავებელნი კაცნა  
დარჩენ, შეიყარნენ და აბუსფართან მივიდენ და უთხრის:  
აწუ ჩვენი ისმინე და ქელმწიფისთან გამოგვეყვე<sup>212</sup>. შენ ერთი  
მართალი კაცი ხარ, ეგრების შენი ისმინოს და გაკითხვა გვა-  
ღირსოს, უბრალონი ბრალიანთან არ წავგახდინოს. აბუს-

208 ქელმწიფემან

209 ვიშიშვი

210 შეყრება

211 შეძლოთ

212 გამოგვეყვე

ფარ უთხრა: მე ფიქრისა შარბათი დამილევი, მაგვარს საქმესა შინა თქვენი ამხანაგი არ ვყოფილვარ და არც ვიქნებო. რა იგ ვერ აიყოლიეს, სხვათაც წასლა მოშალეს.

და ამასობაში ხანი გამოხდა. ჭელმწიფეს მოეხსენა. დიდად იწყინა. იგი სოფელი ააოხრა<sup>213</sup> და მუნებური კაცნი დაიჭირა და საპყრობილისა შეაყენა. რა ეს ანბავი გარდასწყდა, მასვე სოფელსა შინა ერთი ლომი გაჩნდა. რაც მას ჭელმწიფეს მორჩომოდა, მან ლომმან<sup>214</sup> მოიკლო, რომენ მის სოფლის პირუტყვი არ მოურჩა. ვინცაჲინ კაცნი დარჩომილიყვნენ, ასრე შეშინდნენ, სახლიდამ კარში თავს ვერ გამოჰყოფდნენ. მათის რჩენის ღონე აღარ იყო, ჭნასა და თესვას ვინდა გამოეკიდებოდა. კიდევ მოგროვდნენ მუნებურნი და აბუსფართან მოვიდნენ და უთხრეს: აგრე თავისა შენისა ნებაზედ რად ჯარ, აწი მაინც მოგვეხმარე, შევიყარნეთ, ესე ლომი ან მოვკლათ და ანუ გავაძოთო. მან ეგრე უპასუხა: მე ერთი ფიქრიანი კაცი ვარ, მაგვარს სიტყვას მე ნუ მეტყვით. მაზედაც ვერ აიყოლიეს.

მას უკანით მუნებური ჭელმწიფე მუნ მივიდა. ნადირობა ენება. სოფლის კაცნი შეიყარნენ და დაჩოქება გაბედეს და მოახსენეს: ჭელმწიფისა ბეგარის მძლეველნი ვართ და სხვარიგადაც მოსამსახურენი. როდესაც ამელ ფადშა აქ მობძანდა, ბევრი უსამართლო და უწყისო საქმი ქნა, მდიდარი<sup>215</sup> და გლახაკი ერთმანერთში არ გაარჩია<sup>216</sup>. ათოდენი მასავით უსამართლო კაცი შიყარნენ და ამელ ფადშა მოკლეს და გარდიხვეწნენ. ბედნიერს ჭელმწიფესაც მოეხსენებოდა და ჩვენ დაუნაშავებელნი აგვიკლეს და მით მოვითხარენით. ახლა კიდევ ლომი გაჩენილა ჩვენსა ალაგსა, სულიერსა არას უშვებს, მისის შიშით კარში ვერ გამოვსულვართ. მოაჯენი ვართ ჭელმწიფეს წინაშე! ჭელმწიფეს შეეწყალა<sup>217</sup> და უბძანა: აქნობამდინ რატომ არ მაცნობეთო თქვენი საჩივარიო, რომ უბრალონი არ წამეხდინეთო და ან<sup>218</sup> ლომისა რასთვის არ მამახსენეთო? მათ მოახსენეს: ერთი კაცი ჩვენად უფროსად დაგვიდგინებია, მას ვკითხევდით და იგი ღროს არ მოგვეცემდის<sup>219</sup>. ჭელმწიფე უბძანა: იგი კაცი გააძევით, აქ ნულარ ამყოფეთო.

213 აოხრა

214 ლომან

215 მდიდარ

216 გარჩია

217 შეწყალა

218 დან

219 მოგვემდის

მეორესა დღესა ნადირობას<sup>220</sup> გაბძანდა და იგი ლომი მოკლეს და აბუსთარ სახლეულით გააძქეს<sup>221</sup>. უწყლო, უპურო ერთსა ბაებანსა ალაგსა შინა იარებოდა. მიკობრენი შეეყარნენ<sup>222</sup>. მათ მეკობრეთა ერთმანერას უთხრეს: ამ კაცს საქონელი არა აქვს, შვილნი წავგვაროთო. შვილნი წავგვარეს და აბუსთარის ცოლი მწარედ ტიროდა. ქმარი ეუბნებოდა: დადუმდი, ფიქრი ქენიო. დღე და ღამ იარებოდენ უსმელ-უჭმელნი. დღესა ერთსა სოფლისა პირსა მივიდენ. აბუსთარ ცოლს უთხრა: აქ იყავ, მე წავალ ამა სოფელში, ეგების მცირე საზღო ვიშოვნო. აბუსთარ სოფელში შევიდა. მის ცოლს ერთი სხვა კაცი შეხდა. ნახა, ერთი ქალი ვინმე ზის. მივიდა და ჯელი მოჰკიდა: ადექ, წავიდეთო. მან ქალმან ტირილი<sup>223</sup> შექნა. იგი კაცი არ მოეშვა. ქალმან თითით ალაგზედან დაწერა: მე ქურდმან წამიყვანა<sup>224</sup> და ეგ საზღო<sup>225</sup> რომ იშოვნო, ვისაც გენებოს, მიუტანე. აბუსთარ მოვიდა, თავისი ცოლი მუნ აღარ დახვდა. იგი მიწაზე დაწერილი წაიკითხა. ქურდისაგან წაჟვანა შეიგნო. მცირეს ხანს იტირა და მერჲე თქვა: ღმერთო, შენიმც სახელი ქებულ-დიდებულ არის, ის ქალი გებრალებოდეს, მე კაცი ვარ და გასინჯვა მაქს, იმასაც გასინჯვა მიეცა და წაჟიდა.

ერთს ქალაქში მიჰიდა. მას ქალაქში ერთი ჯელმწიფე იჯდა უმღრთო და უსამართლო. ერთს კოშკს აგებდა. ვისაც კაცს ნახევდის, ძალად ამუშავებდა დღისით, და ღამე შეინახევდის და პურს არ აჭმევდის. რა აბუსთარ შევიდა, მასვე წამს დაიჭირეს და მუშაობა დააწყებინეს<sup>226</sup>. თქვა: მე ფიქრის მიჭი ღონე არა მაქვს.

დღესა ერთსა ჯელმწიფე ერთსა ალაგსა დაჯდა და თამაშას უჭრიტდა<sup>227</sup>. აბუსთარ ერთს კაცს ჰკითხა: როდას უნდა მოვრჩითო? მან კაცმა უთხრა: დიდი ხანი არის, მეც ამა სარჯელში ვარ და ჩემის ცოლისა და შვილისა არა ვიცი რა. რაგინდ რომ ბევრს ვიტირებ, ნუთუ გამიშვან<sup>228</sup>, ჩემი დედაწულნი გნახო, მაშინც არ გამიკითხვენ. აბუსთარ უთხრა: ფიქრი ქენი, ღმერთი მოწყალე არის, იქნების,

220 ნადირობას

221 გაძეს

222 შეეყარნენ

223 ტილი

224 წამიყვანა

225 საზღო

226 დაწყებინეს

227 უჭრელა

228 გამიშვენ



რომ მოგვარჩინოს. ჯელმწიფეს მათი საუბარი ესმოდა. ვირემ ერთი საათი გამოვიდა, აბუსფარს ღონე აღარ ჰქონდა, მაღლით გარდმოვარდა და ფეხი მოიტეხა. ჯელმწიფე ბძანა: ის კაცი აქ მოიყვანეთო<sup>229</sup>. რა მიიყვანეს<sup>230</sup>, უბძახა: 'შენი თავი განგებ გარდიგდეო, მას კაცს რომ ეუბნებოდი, ფიქრი ქენ და ღმერთი მოგვარჩენს. უბძანა: წაიყვანეთ, დააბითო<sup>231</sup>.

წაიყვანეს აბუსფარ და საპყრობილესა შეაყენეს. თავი მუხლზედან დაიდვა და ფიქრობდა. მას ღამეს ჯელმწიფე ავად გახდა და მასვე წამს სული ამოვიდა. შვილი არ დარჩა. მოქალაქენი შეიყარნენ და არჩევდნენ, ტახტზედ ვინ დაესვათო. ერთი მოხუცებული<sup>232</sup> კაცი იყო იმათში ჰკვიანნი და ბევრ-მონასული. მან თქვა: ასე შეყრილნი საპყრობილესა მივიდეთ და მუნ შეყენებულთა რომელმანც ქვეყნის სამგლობინარი ქართული თქვას, იგ ვიპატრონოთ. ნიპა დართეს. წავიდნენ და კითხვა დაუწყეს. და აბუსფარის ქართული<sup>233</sup> მოეწონათ ყოველთა და იგი გამოიყვანეს, აბანოს შიგან წაიყვანეს და საქელმწიფო ტანსაცმელი შემოსეს, და ცხენსა შესვეს. დიდებულნი იახლენ და სამსახური დაუწყეს. მისის ბძანების მორჩილნი შეიქნენ. და ეგრე ბატონობა დაიწყო, რომენ ხუთი საქელმწიფო ესრედ მოიმადლა, მისსა უარის ყოფასა გულთა შინა არ გაირონებდენ. ავის მოქმედი<sup>234</sup> გააძის<sup>235</sup> და კეთილისა მოქმედსა აპატიების და სხვასა მრავალს კაის შვრებოდის<sup>236</sup>.

### ჰ. აბუსფარისაგან შვილუგის აკვნა

რა აბუსფარისა ჯელმწიფობა ყოველსა ქვეყანასა გაისმა, ღღესა ერთსა ორნი კაცნი მასთან საჩივეულად მოვიდნენ. ერთი ვაჭარი იყო და მეორე იგი მეკობრე<sup>237</sup>, რომ აბუსფარისათვის შვილი მოეტაცა და გაეყიდა. აბუსფარ ჯელმწიფემან თავისი შვილისა წამგრელი<sup>238</sup> იცნა, მაგრამ არა თქვა რა. ვაჭარმან მოახსენა: ჯელმწიფისამც ღლე სვიანობით არის, ამა კაცმა ორნი მონა მომყიდა. იგი მონანი

229 მოიყვანეთო

230 მიყვანეს

231 დაბითო

232 მოხუცებული

233 ქართული

234 მოქმედი

235 გაძის

236 შვრებოდის

237 მეკობრე

238 წამგარელი

ამას უბნობენ: მაგას ჩვენზე ჯელი არა უცს, მოგვიპარა და აწე ვასუიდეა ჩვენი უნებსო. ჩვენ შენ არ გემონებითო. ჯელმწიფე მზეგრძელობით ბძანდებოდეს, ჩემი თეთრი აბო-მებინეთო. ჯელმწიფემან მას კაცს უბძანა, შენ არას უპასუხებო? მან მეკობრემან მოახსენა: იგი მონანი მოაუყვანიეთ და იგინი მოგახსენებენ. ვაჭარი წაჴიდა და ჯელმწიფეს წინ ორნიე მოიყვანა. მან ჯელმწიფემან თვისი შვილნი იცნა და არას უბნობდა. მათ უბძანა: ყმაწვილნო, ამას რასთვის უბნობთ, რომენ აზატი ვართ, კაცს ჩვენთან ჯელი არა აქს? მათ ორთაჲ ძმათ ეგრე მოახსენეს: მამაჩვენი და დედაჩვენი მისისა სამკვიდროსა მამულსა ველარ დადგენენ, ჩვენ ორნივე ძმანი თან გვიახლეს და სხვასა ალაგსა მწირობად წავედით და ესე მეკობრე<sup>239</sup> დაგვხვდა, სხვა ქონება არა გვაქდა რა და ჩვენ ორნივე ძმანი წაგვასხეს და გაგვყიდეს. ჯელმწიფემან სახელი ჰკითხა. მათ მათი სახელი მოახსენეს. შიგნით შეყვანა ბძანა და ვაჭარს თეთრი თავისის სალაროდამ უბოძა და იგი მეკობრე საპურობილესა დააბა.

### ჟ. აბუსფარისაგან ცოლის კოვნა

მეორესა დღესა ერთი კაცი და ერთი დედაკაცი მოვიდნენ. რა აბუსფართან დაიჩოქეს<sup>240</sup>, თავისი ცოლი იცნა და თქვა: ეს კაცი ის ქურდი იქნების, ცოლი რომ წამგვარაო. და დედაკაცი იგი მისი ცოლი იყო. მან კაცმა დაიჩოქა და მოახსენა: ეს დედაკაცი ერთი წელი არის, ჩემთან<sup>241</sup> იყოფება და ჩემს ნებასა ვერ მომიყვანია. ჯელმწიფემან უბძანა: ქალო, ქმარს რასათვის ეურჩებო? დედაკაცმან მოახსენა: ესე კაცი ქურდი არის, არათუ ჩემი ქმარიო. მე სხვა ქმარი მყვანდა, აბუსფარ ერქვა. იგი ჩემი ქმარი და ორნი ჩვენი ძენი სხვასა სოფელსა მიჴდიოდით, იგი ორნი ბენი მეკობრეთ დაგვტაცეს და მე და ჩემი ქმარი... მე მას სოფელისა კიდესა<sup>242</sup> დამიტევა და თვით საზღოსათვის<sup>243</sup> წაჴიდა. მე მარტოდ დავრჩი. ესე კაცი მოვიდა და ძალათ წამიყვანა. სხვის ცოლი სხვას არ ვერგებოდი და მისთვის მავის ნებას არ მოველ. სამართალი თქვენ გაბრჭყეით.

239 მეკობრე

240 დაიჩოქა

241 ჩემთან

242 კიდესა

243 საზღოსათვის

ჯელმწიფემ მის დედაკაცის არამში შეყვანება ბძანა და მისი სახელმწიფო, დიდი თუ მცირე, სრულ მუნ შეყარა და უბძანა: ესე პირველი კაცი იგი არის, როჰინ შვილნი წამგვარა. ესე ორნივე შვილნი ჩემი არიან. და მეორე ეგი კაცი ცოლისა ჩემისა წამყვანი არის. აწე ღმერთმან წყალობა მიყო და ისრეჲ მიბოძა. იგი ორნივე მპარაენი დახოცა და ჯელმწიფობა უხუცესსა შვილსა მისცა. იგი ალაგი მათი სამკვიდრო შეიქნა.

აწე, ჯელმწიფევე, ამგვარი ღმრთის წყალობა<sup>244</sup> აბუსთარს აუჩქარებლობისათვის მოუხდა, ჯელმწიფობას შეეყარა<sup>245</sup>. თუცა ჯელმწიფე არ აჩქარდების, ჩემსა ანბავსა შეიტყობს. ჯელმწიფემან მას დღესაც შენახვა ბძანა. ცოცხლებით წაიყვანეს.

მეხუთესა დღესა მეხუთე ვეზირი შემოვიდა, დალოცა და მოახსენა: ჯელმწიფე დღეს იქით ნულარას შეიჭირვებს, თუცა<sup>246</sup> შენსა სამეფოსა შინა ავის ქნა გამრავლდეს. აწე შიში ყველას დაუკარგავს და ამას უბნობენ, ბახთიარ ხმალმოწდილი ჯელმწიფისა საგებელში ნახეს, მას არა გარდახდა რა, ჩვენ რას გვიზმენო? აწე სანამ ქვეყანასა მოეფინებოდეს, წამალი უყავ, თვარა სინანულში ჩავარდები. ჯელმწიფემან უბძანა: ბახთიარ გამოიყვანეთ და სეზიდ დაჰკიდეთო. გამოეყვანეს. ბახთიარ ღმერთსა მადლი შესწირა, ჯელმწიფე დალოცა და მოახსენა: სადაც მზის ჩრდილი არის, ანუ თუ მისი შუქი მისწდების, მუნამც შენისა ჯლმისა შიში იქნების! ვითაც მზისა და მთვარისა სახელი არ დაიკარგება, აგრემცა შენი სახელი ნუ მოიშლიბის! ჩემსა სიკუდილსა ნუ ეშურები. თუმცა ჩემსა ანბავსა შეიტყობთ, სიხარულს გიძღვნის, როგორაც იამანეთის ჯელმწიფეჲ მოუხდა. ჯელმწიფემან უბძანა: რა მოუხდა იამანეთის ჯელმწიფისა, თქვიო! ბახთიარ პირთა შინა ბულბული დაიბუდა, ენა შაქრით დაიმარლია და თქვა არაკი.

### ჰ. კარი მახუთე და არაკი მართხა იამანეთის ჯელმწიფისა<sup>247</sup>

იამანთა ქვეყანასა ერთი ჯელმწიფე იყო, მეტად უსამართლო, რომენ დამნაშავე და დაუნაშავებელი არ იცოდა.

<sup>244</sup> წყალობაჲ

<sup>245</sup> შეყარა

<sup>246</sup> თუცა

<sup>247</sup> ჯელმწიფისა —

მას ერთი ვერცხლით ფრდილი მონა ჰყვანდა, აბარჩა ერ-  
ქვა სახელად. იგი მონა ზანგებრის კელმწიფის შვილი იყო  
და ვერ იტყოდა, თუ ვისი შვილი იყო ვერცხლით ფრდი-  
ლობისათვის. მან კელმწიფემან არ იცოდა, მაგრამ დიდად  
უყვარდა. საჭურველთა უხუცესი იყო. დღესა ერთსა კელ-  
მწიფე ერთსა ქურციკსა გაჰყვა<sup>248</sup>. იქით აბარჩა მოვიდა.  
ისარი ესროლა. იგი ისარი კელმწიფეს ყურსა მოხვდა და  
წარკვეთა. კელმწიფემან ბბანა, მას თაფი გააგდებინეთ<sup>249</sup>.  
აბარჩამ თქვა: ფათერაკად მომიხდა, ორგულობით არ მომ-  
სლია<sup>250</sup>. კელმწიფემ ღმერთსა შემადლოს და შეცოდება  
შემინდოს. კელმწიფემ ბბანა: მე ბევრი უბრალო სისხლი  
დამიღრია, ამისი შენდობა მადლი არის, დაეხსენითო. ნუ-  
თუ ღმერთმან მეცა შემინდოს ჩემი შეცოდება. გამობრუნ-  
და და ქალაქში შემოვიდა.

აწე ამასაც მოგასხენებენ, ზანგებრულს კელმწიფის  
რომ თავისი შვილი აბარჩა დაკარგოდა, მრავალი ძებნა  
გარდახდა და ვერ ეპოვნა. მას უკანით შეუტყევიან, რომენ  
იამანეთის კელმწიფესა ჰყავსო. წადგა ვეზირი და მოახსენ-  
ნა: თუცა იამანეთის კელმწიფემ შეიტყო, აბარჩა კელმწი-  
ფის შვილი არის, ვერას ღონით დავისხსნით. სჯობს, რომ  
ერთი დიდვაჯარი გავგზავნოთ. წავიდეს იამანეთის ქალაქ-  
თა შინა, ნუთუ მალვით წამოიყვანოს. ესე ვეზირისა რჩევა  
კელმწიფეს მოეწონა და ერთსა ვაჯარსა დიდძალი საქონე-  
ლი უბოძა და იამანეთისაჲენ გაისტუმრა.

წავიდა ვაჯარი და იამანეთს ვაჯრობა დაიწყო. დიდი  
ჭირით და მრავლის აღებ-მიცემით იგი იპოვნა. დიდვაჯარ-  
მან აბარჩა ნახა და მამის შეთლილობა უანბო. იამა. მან  
დიდვაჯარმან უთხრა: ამას ღამესა ჩემთან მოდი და ასრე  
წაგიყვანო, ვერვინ გიგრძნას. რა საწუთროსა მანათობელი  
თვისსა ალაგს მივიდა და დღემან ნათელი პირი შავად შეს-  
ცვალა, პირველსავე ღამესა ვაჯართან მივიდა. მასჲე წამს  
აეშხადა. დღე<sup>251</sup> და ღამ იარეს და მივიდნენ. ზანგებრელს  
კელმწიფეს მიისმა მათი მისჯლა. ზანგებრელთა უბბანა:  
დიდნი და მკირენი მოქალაქენი და მესოფლენი სრულად  
წინ მიიგებენით<sup>252</sup>. მიეგებნენ და შეიყვანეს. რა მამამ  
შვილი ნახა, ღმერთს მადლი მისცა და მას ვაჯარსა თვისი  
შესამოსელი და სხვა მრავალი განძი უბოძა.

248 გ. კევა

251 დაღე

249 გაგდებინეთო

252 მიეგებენითო

250 მოგსლია

მეორესა დღესა იამანეთის ქელმწიფემ აბარჩა ველარ ნახა. უბძანა, დაძებნეთო. ეძებეს, მაგრამ ვერსად პოვეს. ქელმწიფე დანადვლიანდა. შეიტყო, ფიქრი ვერას არგებდა. თავისსა სპათა უბძანა, ზღვისკენ სასმელად წავიდეთო. წავიდნენ. ხომალდში ჩასხდენ და დღე და ღამ ღზინობდენ.

ერთსა ღამესა ავი ქარი ასტყდა და ხომალდი ღამს-ხრია<sup>253</sup>. მისი სპანი სულ დაიბრუნენ და თვით ერთსა ფიქარსა შერჩა. ხუთსა დღესა და ღამესა ზღვა ზე და ქვე ახეთ-ქებდა, და მეხუთესა დღესა ნაპირს გააგლო<sup>254</sup>. მუნ ზღვისა მონადირენი იარებოდენ. მათ გამოიყვანეს. ხმის ამოდების ღონე აღარ ჰქონდა, რომ პასუხი მიეცა. ქარისაგან სასას სისველე არ შერჩომოდა და ზღვის წყალს ენა დაეყო. მათ კაცთა პირში ერბო ჩაუდგეს<sup>255</sup>. მას უჯანით ძლივას ენა დაძრა. მათ კაცთა ჰკითხა: ეს რა ალაგი არის? მას უთხრეს: აქეთაგან ზანგებრამდინ ხუთი ალაგი გზა არის. იამანეთის ქელმწიფემან ხელა-ნელა სლვა დაიწყო და, დიდვასშობა<sup>256</sup> ვითმე იყო, მუნ ქალაქში მივიდა. დუქნები დაჯრილი დახდა. იარებოდა და ერთი ალაგი ვერ ეშოვნა, რომ მოესვენა. მივიდა. ერთსა ალაგსა დაიძინა. თორე წყლის გზა იყო და იმის გზა ერთის დიდვაჭრის<sup>257</sup> სახლში შევიდოდა. მას ღამესა იმ დიდვაჭარს ქურდნი შეიპარნენ<sup>258</sup>. დიდვაჭარს თავი მოჰკვეთეს და სამი ტყევი და მრავალი ქონიბა წაიღოს. მას გზას სისხლი გამოეყა და იამანეთის ქელმწიფეს ტან-საცემილი შეუსჯარა და მან ვერ შეიტყო.

რა დილა გათენდა, მის დიდვაჭრის<sup>259</sup> დედაწულნი ტიროდენ. იგი სისხლში შესიარული ნახეს, მის ქურდების ამხანაგი ეკონათ და დაიჭირეს. და ეუბნებოდენ: დიდვაჭარი შენ მოგიკლავს. მრავალი სცვის და ზანგებრისა ქელმწიფესთან მიიყვანეს<sup>260</sup>. ქელმწიფემან უბძანა: რამოთონი ალაგი გივლია ჩემსა მამულში<sup>261</sup>. აწე ქურდობა ჰქენი და უბრალო სისხლი დაღვარე?! საქონილი რა უყავ, მართალი თქვიო! მან მოახსენა: აშოროს ღმერთმან! მეცა ერთი ვაჭარი კაცი ვარ. ჯომალდი წამიხდა. დიდვაჭარმული უდროდ მოველ და მუნ დავსწევ. ღამე მესწრა. სხვა ალაგი ვერ ვიხე-

253 დამსხრია

254 გაგლო

255 ჩუდვეს

256 ვასშობ

257 დიდვაჭრის

258 შეპარნენ

259 დიდვაჭრის

260 მიყვანეს

261 მამულში

ლთე. და რა დილა გათენდა, გაუკითხავათ დამიჭირეს. უბრალო ვარ. ჯელმწიფემან უბძანა: ტანსაცმელი სისხლით რამ შეგისვარა? მან არცოდნა მოახსენა. ჯელმწიფეს ეწყინა და თავის მოკვეთა ბძანა. მან მოახსენა: ჯელმწიფე, უბრალოდ ნუ მამკლავ, ამ მცირეს ხანში ჩემს დანაშაულს შეიტყობთ. ამ სიტყვას ზედან აღარ მოკლეს და საპყრობილეში დააბეს<sup>262</sup>. იამანეთის ჯელმწიფე მუნ ება.

მას საპყრობილესა მცირე ასპარეზი ჰქონდა და წყალი მოდიოდა. ყოვლის დღისათვის მუნ პყრობილთა გამოიყვანდიან, ხელპირს დაბანდიან, პურსა აჭმევდიან და მუნვე დააბიან<sup>263</sup>. ზანგებრელის ჯელმწიფის წესი იყო, კვირასი ერთხელ თვით ჯელმწიფეც მუნ გამობძანდებოდა, მას ასპარეზთა ზედა წყლისა პირს დაჯდის და სამართალს მუნ იქმოდის.

დღესა ერთსა ჩვეულებისაებრ ჯელმწიფე სასამართლოდ გამოვიდა და დაჯდა. და იგი პყრობილნიც გამოახსნეს. აბარჩა მუნ იღგა და თამაშას შრებოდა. და იამანეთის ჯელმწიფემ ვერ იცნა. განგებითა ერთი ყვავი მოვიდა და აქდელზე შეჯდა. იამანეთის ჯელმწიფემ ყვავი შემომგდარი დაინახა, წინ დაიხედა. ერთი ძვალი ეგდო, ძვალი აიღო და თქვა: თუ ამ ძვალთ ესე ყვავი მოვკალ, აქედამაც დავიხსნები, თუ არა და ფათერაკში ეაბივარ. შემოსტყუორცნა. აბარჩას მოხვდა და ყური მოჰკვეთა. აბარჩამ დაიძახა: ეს ვინ მცუო? ზანგებრისა ჯელმწიფემან ბძანა:<sup>264</sup> აწვი იპოვნეთო. ამის მქნელი ვინ არისო. იპოვნეს. იგი შეპყრობილი ჯელმწიფე დახდათ. მიიყვანეს<sup>265</sup> ჯელმწიფისთან, ეს არის თქვენი შვილის შემცოდყო. უბძანა: მაშინ ამისთვის არ მოკალ, ეგების ქურდი ეს არ იყოს და სხვა ვინმე გამოინდეს. გაშვება შენი მენება. აწვი ავკაცობისაგან ვერ მოისვენე, ეს საქმე ჰქენი, თურე მის ვაჭრისა<sup>266</sup> სისხლიც შენ გიქნია. ავის მოქმედი კაცი ყოფილხარ. შენი სიკუდილი მართებული არის. იამანეთის ჯელმწიფემან მოახსენა: ჯელმწიფე სვიანად ბძანდებოდეს! ბრძენთა უთქვამს, კაცმა რაც შეგკოდოს, შენც ეგოდენი უყაო. მეცა ყურისათვის ყური მამჭერიო. ჯელმწიფემ ბძანა: აგრე უყავით, მაგასაც ცალი ყური მოსჭერიო.

262 დაბეს

263 დაბიან

264 ბძა

265 მიყვანეს

266 ვაჭრისა

მტარვალმან ნახა, ცალის მეტი არ ება. ჭელმწიფეს მოახსენეს. ბბანა, აქ მოიყვანეთო. მიიყვანეს<sup>267</sup>. უბბანა: შენ კიდე ქურდობა გიქნია,, უური მისთვის გაქვს მოჭრილიო. მართალი თქვი და განგიტევებ. მან გულთა შინა თქვა, მართლის თქმა სჯობს ყველას, და მოახსენა: ჭელმწიფისამც დღე ერთი ათასად იქნების! მე იამანეთისა ქვეყანასა ჭელმწიფე ვიყავ. ერთი შავი უული მუჟანდა, აბარჩა ერქვა. დღესა ერთსა ნადირობას გავეღ, აბარჩა თან მახლდა. ორთავე ერთსა ქურციკზე ვიარეთ. მეც ვესროლე და აბარჩამაც და მისგან ნასროლი ისარი მამხდა და უური წარმკვეთა, როგორაც აწ მე მომიხდა ყვავის ძვალის სროლა. მინება, აბარჩასათვის თავი მომეკვეთა. შემომეხვეწა და მეცა ესცან, უნებურად მოუიდა და განუტევე. და მას უკანით დიდი ხანი გამოხდა<sup>268</sup> და იგიც დამეკარგა. მრავალი ვაძებინე და ვერა ვპოვე. მისი სევდა გულსა ჩამეჭრა. სევდისა მოსაქარვებლად ზღვისა კიდეცა წავეღ და ჳომალდში ჩაგჯექ. ზღვაში<sup>269</sup> ვიარებოდი და ვსვემდი. დამესა ერთსა ქარი ასტყდა, ხომალდი დაამსხვრია<sup>270</sup>. ჩემნი სპანი სრულად დანთქა და მე ერთს ფიცარსა შევრჩი. ხუთსა დღესა უკან ზღვისა კიდეცა გამაგდო. მონადირენი დამხდენ, სულობას მამეყვანეს და ამა ქალაქის გზა მასწავლეს. დამე მესწრა და შემოვეღ, ალაგი გერსად ვიშოვნე, გზაზედ დაგსწიე. რა დილა გათენდა, შემიპყრეს და აწე ამისთანა ფათერაკი წამეკიდა.

ზანგებრელმან ჭელმწიფემ მის ანბავს უური მიუპყრო, შვილი მოიხმო და უთხრა: კარგა გასინჯე, ამ კაცს იცნობ თუ არა? რა აბარჩამ შეხედა, მასვე წამს იცნა, წამოხლ: ჳა და ფეჯს აკოცა. მან პირს აკოცა. ზანგებრისა ჭელმწიფე ზე ადგა და მას ჭელმწიფეს მოეხვია და შეცოღებისა შენდობა ითხოვა. აბანოში გაისტუმრა. აბანეს და საჭელმწიფო ტანისამოსი შემოსა და ოქროს აკაზმულობით ცხენი მოართვის, მონანი აახლეს<sup>271</sup>. ორსა თვისა არ გაუშვა. სვიმდენ და ლხინობდენ. მის ვაჭრის ქურდნიც იპოვნეს. და იამანეთის ჭელმწიფე დიდის დიდებით და კაის ჯარით მის თემისაკენ გაისტუმრა. რა იამანელთ მათის ჭელმწიფის მისლა გა-

267 მიყვანეს  
 268 გამოხდა  
 269 ზღვაშ

270 დამსხვრია  
 271 ახლეს

იგონეს, ღმერთსა მაღლი მისცეს და წინ მოეგებნენ. მრავალი უცხო ძღვენი შესძლნეს. ზანგებრელნი დიადის ჩუქებით გამოისტუმრა და მათ ჯელმწიფესა ძღვენი გაუგზავნა.

აწუ ეს მოგახსენო, თუცა იამანეთის ჯელმწიფეს აბარჩასათვის თვისი შეცოდება არ შეენდო<sup>272</sup>, იამანეთს ცოცხალი ვით მივიდოდა? და ან თუ ზანგებრელს ჯელმწიფეს გასინჯვა არ ჰქონოდა, და იგი უბრალო კაცი მოეკლა, და მას უკანით ქურდნი ეპოვნა, ნაღველი მოერეოდა. თუ ჯელმწიფე არ აჩქარდება, ჩემს საქმეს მართალს შეიტყობს და უბრალოს სისხლში არ გაერევა. ჯელმწიფეს იამა ბახთიარის მოხსენება. შენახვა ბძანა, მართალი შევიტყოთო.

მეექვსესა<sup>273</sup> დღესა მეექვსე<sup>274</sup> ვეზირი შემოვიდა, ტახტის წინ თაყვანი სცა და მოახსენა: ჯელმწიფისა წესი არის, რა თვისსა შემცოდესა ნახავს, მასჟი წამს გარდაახდევინებს<sup>275</sup>, ამისთვის, რომ სხვამ ავის ქნა ველარ იკადროს. და ერთი ესეც სჯირდეს, მტერი დაჩაგვრით ჰყვანდეს, რომ არ გათამამდეს. და თუ მტერი გაუთამამდა, იგი მეორე ზიანს მიხდების. აწუ მტერი ამის უარეს რას იქმოდა, რომე ბახთიარ ქნა? მისი შენახვა ავი არ არის, მაგრამ ზოგი რამ ზიანც სდევს. ჯელმწიფემან ბძანა, ბახთიარ მოიყვანეთ და თან მეხლმეც მოატანეთო. მოიყვანეს ბახთიარ. რა ჯელმწიფე დაინახა. დაემხო და მიწას აკოცა, და თქვა: რამდენგზინდაც მოვინდომებ არა ვთქვა რა, გული არ მესხნების. ნიტარ თუმცა უტყუვი დავბადებუღიყავ! თუცა თავი არ ვიმართლო, ვითამც ჩემის ჯელით თავი მომეკლას, იგრე ვიქნები. აუჩქარებლობა ჯელმწიფის წესი არის, ჩემს სიკდილს რას აშურებთ? შესახვეწი ალაგი არსად მაქს, რომ შევეხვეწო და მით მოვრჩე, და არცა გასაქცევი ფიხი მაქს. რომ გარდვიხვეწო. ქარდარისა ქნილობით ქადარის სიკდილსა გავს ჩემი საქმი. ჯელმწიფემან უბძანა: იგიც თქვი, როგორ ყოფილა, მიანბეო. ენა-ტკბილმან და ბაგე-ამოდ მოუბნარმან ბახთიარ მოახსენა.

272 შენდო

273 მექსესა

274 მექსე

275 გარდაახდევინებს



იყო ერთი ჭელმწიფე და ორი ვეზირი ჰყუა, ერთსა ჭადარ ერქვა, მეორესა ჭარდარ. და ჭადარს ერთი ჭალი ჰყუანდა, მისი სილამაზე ახალსა გაზაფხულსა არა ჰქონდა. ჭელმწიფე სანადიროდ ბძანდებოდა და ჭადარ თან ახლდა. და ჭარდარ შინ იყო და სეირს იარებოდა. ნახა, ჭადარის წალკოტთა შინა მზისა მგზავსი ჭალი იარებოდა და რა იგ მნათობი ჭარდარ დაინახა, გამიჯნურდა. და ფიქრი დაიწყო და თქვა: მე ჭადარ ჭალს არ მამცემს და აწი ამასა ვიქ, ჭელმწიფეს უქებ, ნუთუ ჭელმწიფემ თავისთვის სთხოოს. მას უკანით ხრიკი მოვიხმარო, ჭელმწიფეს შევაძულო და მე მამცეს. თუ ვიშოვნო, — ამითა, თვარა სხვა ღონე არ ეგების. ამა საგონებელსა იგონებდა.

ჭელმწიფე მობძანდა, ჭარდარ ვეზირს დაუძახა. ხალვათობა შეიქნა. ჭელმწიფემან ვეზირს უბძანა: მე რომ ნადირობას გაველ, მოქალაქენი რას შერებოდენ უჩემოთ და ანუ შენ რა ნახე? ჭარდარ ვეზირმან მოახსენა: ერთი ჭალი ვნახე, მისი ქება ჩემის ენისაგან ძნელად ითქმის, ნუთუ მცირე რამ ვთქვა! ჭელმწიფემ თქმა უბძანა. მან მოახსენა: ესე ვნახე — პირ-მთვარე, ცანად შაქრის ლერწამი, ახალი ნორჩი, ფერად ვარდ-ზანბახი ერთად არეული, კაკაბის უჭურფესად მოარული, ანგელოზთა უნათლესი, კისა მნათის: თვალისაგან უფრო თვალ-გაუმართავი, ლაშნი ვარდის თურქლის უწმინდესი, თვალ-გიშერ, საფეთქელ-მწყაზარი, წარბ-მშვილდისებრ მოხრილი, თმა საგდობლად შეგრისილი. კაცსა ირთის შეხედვით სულსა წაუღებს. რა ესე მოისმინა ჭელმწიფემ, უნახავად მიჯნურობისა სახმილი ააგზნა<sup>277</sup> და შიგან დაჯდა და ვეზირსა უბძანა, წამალი შენვე ძიბნეო. ჭარდარ მოახსენა: ადვილი არის, თვითან ჭადარ მოიხმეო და უბძანით და უარს ვით გკადრებს. ესე მოხსენება იამა და უბძანა, შენვე მომკარეო.

ადგა ჭარდარ და ჭადარ მოიყვანა. ჭელმწიფემ ჭადარს უბძანა: გცან, შინ ასული გივის ჭელმწიფითა საკადრისი. აწი გესიძო და თემი ჩემი ჭელად შინად შეიქნა. ჭადარ მოახსენა: თუ ჭელმწიფე იკადრებს, ჩემთვის წყალობა იქნების და მას ჭალსაც ვკითხოთ, რომ ნება დაგრ-

თოს. ესე სჯობს და მას უკანით მის ანბაეს მოგახსენებ. ადგა ქაღარ და შინ წავიდა. თავისსა ასულსა უოველი უანბო. ქალმან უთხრა: მე რა კელმწიფის საკადრისი ვარ? კელმწიფე ცეცხლისაგან უფრო ცეცხლი არის და წყლისაგან უმალ მდენელი. მე მასთან რას გავაწყობ? მამამ უთხრა: კელმწიფეს ეგეთი სიტყვა არ მოეხსენების. ქალმან უთხრა: მცირეს ხანს მაცალეთ და მას უკანით, რომელიც<sup>278</sup> სჯობდეს, იგი ექნათ. ვეზირი კელმწიფესთან<sup>279</sup> მოვიდა და მოახსენა: ასული ჩემი დავიყოლიე და ათისა დღისა დასტურსა ითხოვს, თავისი ფიქრი ქნას. კელმწიფემ უბძანა: დაასწრაფეო<sup>280</sup>. ქადარ შინ მივიდა. რა დღე ღამესა მოშორდა, ორნივე მამა-შვილნი ცხენსა შესხდენ და წავიდენ, მუნ აღარ დადგენ.

მეორესა დღესა კელმწიფეს მოეხსენა: ქადარ ვეზირი გაპარულა და ქალი წაუყვანია. იწყინა კელმწიფემ და ორასი შეკაზმული კაცი გამოჰკიდა და ეგრე დაავედრა<sup>781</sup>: საცა იყოს, იპოეთ და მამგვარით! ქარდარ ვეზირმა მოახსენა: თუ ბძანებთ, მეც წავალო და ორთაჲ აქ მოვიყვან. კელმწიფემ უბძანა: აგრე ქენიო. წავიდნენ. ორი დღე იარეს და მოეწივნენ. ქადარ დაიჭირეს და კელმწიფის კელმწიფის ნოგვარეს. კელმწიფემ<sup>282</sup> შეხედა და გაიცინა, და უბძანა: ბედშაო, სად იყავ? თავისა ლახტი დაჰკრა და მუნვე მოკლა. ქალსა შეხედა, მოეწონა და არა უბძანა რა. არამში გაგზვნა. მამის ამისისა ქონება და მამული მასვე ქალს უბოძა.

და ერთი მეზღაპრე იყო, იგი არ მისცა. გლახად ქალაქში ეტარებოდა და ქალსა წიგნსა სწერდა და თავს აბრალებდა, და ესრედ უთლიდა: შენგნით ჩემი მოწყალეობა დაგავიწყდა და კელმწიფეს ჩემსას არას გაახსენებ, ნოთუ ჩემი თავიკა შენ გიბოძოს, უშენოდ სული ამომივა. ქალმან კელმწიფეს კარგ-სიტყვით მოახსენა და იგიც იმას უბოძა.

ქალი ლოცვას არ მოსცილდის. კელმწიფეს გული სიხარულით საგსე ჰქონდა და ქადარის ქალის მიჯნურობით მუდამისად ავად იყვის. კელმწიფეს მტკირნი აუჩნდინ და გაილაშქრა<sup>283</sup>. თავისი ქალაქი და ქვეყანა ქარდარ ვეზირს მიბარა.

278 რომელც

279 კელმწიფესთა

280 დასწრაფეო

281 დავედრა

282 კელმწიფემ

283 გაილაშქრა

ერთსა დღესა ქარდარ ვეზირი ბანთა ზედა ვლიდა. ქადარის ქალი მჯდომი დაინახა. გულსა სიხარული მიეცა. მცირე კენჭი ესროლა. ქალმან მიხედა და არა თქვა რა. ქარდარ სალამი მისცა და დაუძახა: აწე ერთი წელი გათავ-  
დება, შენის სურვილით ავად ვარ. შენმან სიყვარულმან მე ასე გამხადა და ყოველს წამსა ცეცხლში ვიწვი, თუ სთქვა, აგერ სულნი ამამხდებიან. შენმან დანახვამ იმედია-  
ნად გამხადა. ამისაგან უარ ნუ დამწვავ, პირ-მართლა<sup>284</sup> ერთგულად შეიქენ ჩემთვის და, თუცა გენებოს, წავიდეთ სითმე. ქონება ეგოდენი მაქს, შვილი-შვილთაც ეკმარვის. ნუთუ ეს არ გწადდეს, ჭელმწიფეს სასიკდინე წამალს ვას-  
ვამ და ტახტზე მე დავეჯდები. ქალმან უპასუხა: შენ ღმრთი-  
სა არა გცხვენნიან<sup>285</sup> და არცა გეშინის, რომენ ჭელმწიფისა ლალატს იგონებ? გძელსა საუკუნესა რას იტყვი? ვეზირ-  
მან უთხრა: მან უბრალო მამაშენი მოკლა. მისთვის შენ რად იურვი? ქალმან უთხრა: შენც იმისი ვეზირი ხარ და მისგან გამდიდრებული, და მისსა შეცოდებასა იღებ. ის ჭელმწიფე არის, მამისჩემის წილ იგ არ მოიკვლის<sup>286</sup>. ქარ-  
დარ უთხრა: შენც მამაშენსავით გიზამს და მაშინლა მო-  
გაგონდეს ჩემი სიტყვა. ქალმან უთხრა: რაც ღმერთსა სწადს, იგი იქნების. ადგა და შიგნით შევიდა.

ქარდარ ვეზირმა თვისი ნება ვერა ქნა. საგონებელი შეექნა<sup>287</sup> და თქვა: ვირემ ის ქალი ჭელმწიფეს შემაბეზღე-  
ბდეს, სჯობს, რომ ღონე ვსძებნო რამე და მე უმალ მოვახ-  
სენო რამ ჭელმწიფეს, და ქალს მტერობაში ჩამოართმევს და აღარ დაიჯერებს. ამა საგონებელსა შინა მყოფსა ჭელ-  
მწიფისა გამარჯვების მასარობელი მოუიდა. ვინცა მუნ დიდებულეზნი დარჩომილ იყნენ, შესხდენ ცხენსა და წინ მიეგებნენ. რა სიახლოვესა მოვიდა, თვით ვეზირი მიეგება და გამარჯვება მიულოცა. ჭელმწიფემ იგ მოიკითხა, ქარ-  
დარ მიიხმო<sup>288</sup> და ქალაქისა ანბავი ჰკითხა. ვეზირმან მო-  
ახსენა: მოქალაქენი ერთ-პირობით შენი მლოცველი არი-  
ან, მაგრამ ერთი საქმე რომ მე ვნახე, სათქმელად ძნელი არის. ჭელმწიფე დაჭმუნდა და უბძანა: მალე მითხარ, რა მოხდა მაგისტანა? ვეზირმან მოახსენა: ვეზირთაგან უწესო

284 პირ-მართლა

287 შექნა

285 გცხვენნიან

288 მიხმო

286 მოიკის

საქმე არ ითქმის ჯელმწიფეს წინაშე- მან უბძანა: მე შენს სიტყვას ვჯერვარ და არც შენგნით მოხსენება მეწყინების. ქარდარ მოახსენა: არაკად თქმულა, გველს უწინ შვილი მოუკალ და მერმე თვით მოკალო.

ერთსა დღესა სიცხე იყო. არმის კარზე ვიჯექ. საუბარი შემომესმა. ახლოს მივდექ. ორნი კაცნი ლაპარაკობდენ. შევხედე, ქადრის ქალი თავისსა მეზღაპრეს ეუბნებოდა: მე შენის გულისათვის რაერთს გავისარჯე, ჯელმწიფეს აქ შემოგაყუანინე<sup>289</sup>. შენ პირი არ გამითავე. წუხელ ჩემთან დაგიბარე. შენ ნაზობ და არას მეუბნები. შენის გულისათვის მამაჩემს მოვშორდი, შენთვის მამა მომიკლეს. შენ იმისთვის შემოგიყვანე, ჯელმწიფეს სასიკდინო<sup>290</sup> წამალი ასვა. იმან მამა მამიკლა და შენ მაგიერი ვერ უყავ. ამგვარსა რასმი უბნობდენ და ცეცხლი მომეკიდა. აწე მომიხსენებია და შენ იცი.

ჯელმწიფემან რა ეს მისგან მოისმინა, წყენისაგან უჭკოდ გახდა. ვირემ შინ მოვიდოდა, მრავალს საგონებელში იყო. რა შინ მივიდა, არამში<sup>291</sup> ქადრის ქალს მუქარა შეუვიდა<sup>292</sup>. რა წამს ნახა, უბძანა: შენ ჩემი შემცოდე ყოფილხარ და მე არას გულისქმას ვიყავ. მეზღაპრეს თავი მოჰკვიტოთა. ქალმან თქვა, უთუოდ ვეზირს შეუბებლდებივარ. უნდოდა თავი ემართლა. ჯელმწიფემ შესტუქსა და არა ათქმივინა რა. ორათ გაკვირა ბძანა. მუნა მყოფთა მოახსენეს: ღმერთსა დიდაკაცის სიკუდილი კაცთათვის არ უბძანებია. და თუ ჯელმწიფე არ დაიშლის და აღარც უნდა, აქლემზიდან დააკრან<sup>293</sup> და ველად გააგდონ<sup>294</sup>. სიცხემან მზისამან შიმშილ-წყურვილით მოკლას. ჯელმწიფემან ბძანა: აგრე ქენითო. დააკრეს<sup>295</sup> აქლემსა და გააგდეს<sup>296</sup>.

იარებოდა მარტო და ღმერთსა ეხვეწებოდა. მზისაგან დამწვარი და წყურვილით ენა-გამშრალი უფალსა ევედრებოდა და ამას იტყოდა: ღმერთო მართალო, შენც უწყი<sup>297</sup>, რომ მართალი ვარ. რადგან ამა ყოფითა გიბძანებიეს ჩემი სიკდილი, ესე წყალობა მამეც, ენა დაჯისველო და შენი სახელი ვადიდო. ამას ილოცვიდა. აქლემი დაწვა. თოკ-

289 შემოგაყუანინე

290 სასიკდინო

291 არამში

292 შევიდა

293 დაკრან

294 გაგდონ

295 დაკრეს

296 გაგდეს

297 უწყვი

ნი შესხნეს და წყარო გამოჩნდა. ქალი აქლემიდან გარდ-  
მობდა, წყალი დალია და ლოცვად დადგა. ვანგებითა აქ-  
ლემი დადგა და ჩრდილი დააყენა<sup>298</sup>.

იმა მთაზედან ჯელმწიფისა მიაქლემესა ერთი ყათარი  
აქლემი დაეკარგა და მას ეძებდა. მთა არ დარჩომოდა და  
ბარი, რომ სრულად არ დაეფლო და ვერსად ეპოვნა. ერთ-  
სა მაღალსა წვერსა ავიდა, ყოლგნით თვალსა ავლებდა.  
იგი აქლემი დაინახა, თავისი აქლემი ეგონა, გაეხარა, მია-  
შურა. ნახა, ერთი კარგი და გემრიელი წყარო ამოდის. მე-  
აქლემესა გაუკვირდა: აქ წყარო როდის იყო? მიხედა, ერ-  
თი ქალი ლოცვად დგას. მიაქლემე გაშტერდა. გულსა უთ-  
ხრა: ნუთუ წმინდა ვინმე იყოსო! მუნ მოიცადა. მან ქალ-  
მა ლოცვა რომ გაათავა<sup>299</sup>, მიაქლემე წინ წადგა და ეთაუ-  
ჯანა და მოასხენა: შვილო, რა აუგი იქნება, შენ შვილი იყო  
და მე მამა, ეგების შენის ლოცვით ღმერთმან მეც კეთილი  
დამმართოს. ქალმან უთხრა: აგრე, შენ მამა და მე შვი-  
ლიო.

მიაქლემეს პური და ქათამი ჰქონდა, ამოიღო და მი-  
ართვა, და მოახსენა: ესეოდენი დღე არის, ერთი ყათარი  
აქლემი დაუკარგე<sup>300</sup>. ჯელმწიფისა შიშითა შინ ვერ მივ-  
სულვარ. რაერთიცა ეძებნი, ვერ ვპოე. ილოცე, ნუთუ შე-  
ნის ლოცვით ვპოვო. ქალმან ილოცა და ღმერთსა შეს-  
ტირა: შენგან დიდი წყალობა მჭირსო. სანამ ქალი ლოცვას  
გაათავებდა<sup>301</sup>, მას კაცსა მისი აქლემები თავს წაადგნენ<sup>302</sup>.  
ვითაც მართებდა, ეგრე სიხარული შექნა და ღმერთსა მად-  
ლი მისცა. ქალსა მოახსენა: შვილო, აქა მრავალი მხიცნი  
არიან და არამც გაწყინონ რამე. ჩემთან წამოდი, შვილად  
გიყურებ და გმსახურებ. ქალმაც ნება დართო. აქლემზედ  
შესჯა და წამოიყვანა. შინ მივიდნენ. იგი ქალი არცა დღე  
და არცა ღამე ლოცვისაგან არ მოიცალის.

ერთსა დღესა მიაქლემე ჯელმწიფესთან მივიდა. ჯელ-  
მწიფემ მთისა და ბარის ანბაჟი ჰკითხა. მიაქლემე ქადარის  
ქალის ანბაჟს მოჰყვა. წყაროს გამოჩინა, აქლიმების და-  
კარგვა და მის ქალის ლოცვით პოვნა თვითო-თვითოდ  
უხანბო. და აწი ქალი ჩემს სახლში არისო. ჯელმწიფემ უბ-  
ძანა: წამოიყვანე, ის ქალი მაჩვენეო. მიაქლემე წინ წაუქ-

298 დაყენა

299 გათავა

300 დაუკარგე

301 გათავებდა

302 წაადგნენ

ღვა. მარტო კელმწიფე გაჰყვა. მივიდნენ. ნასეს, ის ქალი თვისსა საწოლში ლოცვად იღვა. მცირეს ხანს უყურეს. ქალმან ლოცვა გაათავა<sup>303</sup>. კელმწიფემ იცნა, ქადარის ქალი იყო. შევიდა, შეცოდებისა შენდობა სთხოვა: თუ რამ შენზედ შეცოდება მქონდეს, კელმწიფობას აპატივე. ქალმან მოახსენა: მაშინ მთხოვე შეცოდების შენდობა, შენ ამ სახლში დაიმალო და მე გამგზავნო, ქარდარ ვეზირი მოვიყვანო, მისი საუბარი შენ გასინჯო. კელმწიფემან ბძანა: რაც გენებოს, იგი ქენ, მე ფარდას ჩამოვიკიდებ და იმას უკან დაფჯდები. ქალმან შეაქლემესა<sup>304</sup> უთხრა: წადი, ქარდარ ვეზირსა მოახსენე, ქადარ ვეზირის ქალი ჩემს სახლში არის და შენ გიხმო.

შეაქლემე წავიდა. ქარდარს უანბო. დიდად გაეხარა. მასვე წამს ადგა და წავიდა. ქალი ნახა, მოიკითხა და მოახსენა: რით მორჩი კელმწიფისა რისხვასა? მრავალნი გაცხნი ვატარე შენად სამებრად და ვერვინ გპოვა. ჩემი მოხსენება არ მოგაგონდა, მაშინ რომ მოგახსენე, წამამყევ, წავიდი და ან კელმწიფე მოვკლათ. შენ რომ მიბძანე, კელმწიფისა შეცოდებაში ვერ გავერევიო, არ კი მოგახსენე, არც შენ დაგინდობს, მამაშენსავეთ გიზამს. შენ ამას ბძანებდი, ღმერთი არ მიზამს<sup>305</sup>. ნუთუ ჩემი მოხსენება მოგაგონდა? ქალმან არა პასუხი გასცა. ვეზირმან თქვა: აწე დრო არის მე და შენი ერთად შეყრისა. კოცნა ეწადა. კელმწიფემ ფარდას ასწია და გამოვიდა. ჳმალს ქელი გაიკრა, ვეზირს თაფი მოჰკვეთა მისის ეგრე ქნილობისათვის. ქალსა ქელი მოჰკიდა და წაიყვანა. არამში შევიდნენ. და ქადარის სიკვდილისათვის იურვოდა კელმწიფე და ქალისაგან ირცხნიდა.

რა ეს ანბავი დაასრულა<sup>306</sup> ბახთიარ, კელმწიფეს მოახსენა: თუ მას კელმწიფესა ქადარის სიკვდილისათვის არ აჩქარებულიყო, ბოლოს ქალის სირცხვილში არ ჩაგარდობოდა და არც იმისი სიკვდილი სინანულად შეიქნებოდა<sup>307</sup>. მასავით ბედნიერი კელმწიფე ნუ აჩქარდების. ამ სამსა დღესა უკან ჩემსა საქმესა მართალსა სცნობთ. როგორადაც ქადარის ქალის სიმართლე მან კელმწიფემ შეიტყო, აგრევე თქვენ ჩემსას სცნობთ.

303 გათავა

304 შეაქლემესა

305 გიზამს

306 დასრულა

307 შექნებოდა

ბახთიარ თავისი ანბავი დაასრულა<sup>308</sup>. ჯელმწიფე გა-  
ლიმდა, შენახვა ბძანა, ნუთუ მართალი რამ ვსცნათო.

მეშვიდესა დღესა მეშვიდე ვეზირი შემოვიდა, ტახტსა  
წინ მიწას აკოცა და ქება შეასხა, ჯელნი მოიჭლო და დად-  
გა. ჯელმწიფემ უბძანა: რა იცი, თქვიო. — ქვეყნისა საუბ-  
რითა და ჩვენისა კილვითა მეტი აღარ შემიძლია, მე რომ  
საუბარი<sup>309</sup> მესმის. სხვის თემისა კაცნი ჩვენზედ იცინიან,  
ქალაქთა და სოფელთა შინა ბახთიარის ქნილობას ყიფიან.  
ჯელმწიფესა ფერი ჰკრთა, დედაწულთუხუცესი მოიყვანა და  
ჰკითხა: შენ რას იტყვი ბახთიარის სიკუდილისასა? მან  
მოახსენა: სიკდილი უმჯობესია მისსა სიცოცხლესა. ბძანა  
ჯელმწიფემა მოყვანა და მოკლა მისც. მოიყვანეს. ბახთიარ  
ატირდა და მოახსენა: ცათა შესწორებულთ მალალო ჯელ-  
მწიფევე, ბრალი არა მაქს, ნუ მტანჯავ! ჯელმწიფემან უბძა-  
ნა: რით არა გაქს ბრალი, ჩემთა დედაწულთა შენი მოკლა  
დაწერეს და კალამი გატეხეს. ბახთიარ მოახსენა: დედაკა-  
ცი მიზეზითა<sup>310</sup> საქმის ბოლოს მოღებისათვის ბევრს რას-  
მე იტყვის, როგორადაც აბაშის ჯელმწიფემ არაყის ჯელ-  
მწიფეს ქალი სთხოვა, იშოვნა, შესძულდა და ამდენს ეცა-  
და, კიდევ თავი თავისი შეაყვარა ეშმაკობითა. ქალსა ბევ-  
რი ამგვარი საქმე უქნიათ, ქალწულებისათვის იციან. ჯელ-  
მწიფემან ბძანა: როგორ იციან, მიაშბეო. ბახთიარ მოახ-  
სენა: მალლისაგან უმალღესი ჯელმწიფე სვიანად და უფნი-  
ბელად ბძანდებოდეს, სანამ ცა და ქვეყანა არ მოიშალოს,  
მანამდიც შენი ჯელმწიფობა და სახელი ნუ მოიშლება!

### ჟ. კარი მუხვიდე და არაკი მემამხნე<sup>311</sup> კალის განჯრუნისა

აბაშეთის ქვეყანასა იყო ჯელმწიფე ერთი მრავალის  
განძისა და საღაროს პატრონი, და ესრედ ჯელმოჭირებუ-  
ლი, რომენ ჯელი ფეტივით საფეჟ ჰქონოდა, მარცვალი ქეჟ  
არ დაადის<sup>312</sup>. ყმათა მაუპატიფებელი და მიუცემელი. მში-  
ერნი და შიშველნი დასდევდენ. სხვა ღონე ვერა ჰპოვეს რა,  
ვეზირს მოახსენეს. მან იმედი უბძანა: ნუთუ მოფაგვარო-  
რამე, ჯელმწიფესა თქვენი თავი დასჭირდეს და მცირეც  
იყოს, მოგცესთ რამ. ვეზირი ამა საგონებელში ჩაჯარდა.

308 დასრულა

309 საბაურ

310 მიზეზთა

311 მექსე

312 დაგდის

ესე თათბირი გააკეთა: ჯელმწიფე ესე დიაცთა მოყვარული არის. არაყისა ჯელმწიფისა ქალის ქებას მოვახსენებ. ესე სთსოვს და იგ არ მოსცემს. ჯელმწიფის შვილი ნებიერა არის, ნუთუ გაჯავრდეს. ჯავრზედან მის ქალისა სიყვარული მოემატების, ჯარსა გაუსევს უთუოდ, სპათა ამა საქმით მისცემს რასმე. ესე თათბირი გააკეთა<sup>313</sup>. ადგა და ჯელმწიფისთან შევიდა. უცხოსა და უცხოს თემის ამბავს მოჰყვა. და არაყისა ჯელმწიფის ქალის ანბავი ჩამოუგდო. და ესეთი ქება მოახსენა, ჯელმწიფეს გულთა ცეცხლი მოედვა. ვეზირს უბძანა, მისის შოვნის ფიქრი მიყაო. ვეზირმან მოახსენა: კაცი გაუგზავნოთ და ვსცნათ, რას შემოსთლის და მას უკანით მისი ფიქრი ვქნათ. ჯელმწიფემ უბძანა: კარგა უბნობო. აწე ერთი საქმიანი კაცი მონახეო და გავგზავნოთო. მოიყვანეს ერთი დიდებულთაგანი და გაისტუმრეს<sup>314</sup> და წიგნი მისწერეს. ესე კაცი მუნ მივიდა და არაყისა ჯელმწიფესა აცნობეს, აბაშით მოციქული მოსულა. ჯელმწიფე-ნან ბძანა: საპატიოსა ალაგსა დააყენეთ<sup>315</sup> და ჯელი შეუწყევით და დილასა ჩემთან მოიყვანეთო.

მეორესა დღესა ჯელმწიფე აღრიან გამობძანდა. დიდებულნი<sup>316</sup> იხმეს. დასხდენ და აბაშთა მოციქული მიიყვანეს<sup>317</sup>. წადგა იგი მოციქული ტახტს წინ, თაყვანი სცა და წიგნი მანდატურთუხუცესს<sup>318</sup> მისცა. ჯელმწიფემ წაიკითხა, იწყინა და ეგრე ბძანა: განა მან შენმა ჯელმწიფემ არ იცის, მე მთხოვარსა ქალს არ მივცემ და არც მას უნდა ეკადრებინა ჩემთვის ქალის თხოვნაო და უმართებულოსა წიგნის მოწერაო. რა მათ მოციქულთა ესე პასუსი გაიგონეს, გაბრუნდენ და წავიდნენ. თვისსა ჯელმწიფესთან მივიდნენ. აბაშთა ჯელმწიფემ<sup>319</sup> იფიცა: ეგეთსა ლაშქარსა გაყაყენებ, მისსა<sup>320</sup> თემსა ვერ ეტეოდეს და ქვეყანასა სრულად<sup>321</sup> აუოხრებ. ჩემის თემისა სპანი სრულად<sup>322</sup> აქ მოიწვიეთო. და გახსნა კარი საჭურჭლეთანი<sup>323</sup>, და მრავალი ლარი და საჭურჭელი გაუყო მის ლაშქართა, და უბძანა, დაემზადენითო<sup>324</sup>. შეიქნა კაზმულობა და იარაღთა კეთება აბაშთა

313 ვაკეთა

314 გისტუმრეს

315 დაყენეთ

316 დიდებულანი

317 მოყვანეს

318 მანდატურთუხუცეს

319 ჯელმწიფე

320 მისა

321 სულად

322 სულად

323 საჭურჭლეთანი

324 დემზადენითო



სპათა შინა. ვითა ფუტკარი ყვავილთა ზედა, ეგრე ემზადებოლეს საომრად. და არაყისა ქვეყანასა გადგნენ.

მან ჯელმწიფემაც ჯარი შეიყარა და გამოვიდა. ორთავე ჯელმწიფეთა ლაშქარნი, საომარად გაფიცებულნი, პირისპირ შეიყარნენ. და შეიქნა ომი საზარელი და ცემა უწყულო. არაყისა ჯელმწიფესა დაუმარცხდა. არ შეიმგინია<sup>325</sup> და კლავ უდიდესი ლაშქარი გააყენა<sup>326</sup> და ვერცა რა მით ქნა. დაღონებული ეგრე შეიქცა და თავისსა ვეზირსა ეუბნა. ვეზირმან მოახსენა: თუ ამჯობინებთ, მოციქულნი გავგზავნოთ, ერთის ქალის გულისათვის ქვეყანასა ნუ ავსწუვედთ. შინ ქალის მოხუცებას რა ჯელი იყრება? მაინც გასათხოელია. აბაშთა დედოფლად მივსცეთ. მას ჯელმწიფესთან ბოდიში მოითხოე.

ჯელმწიფესა ესე ვეზირის ნათათბირე ვითა<sup>327</sup> ქალი არ ემეტებოდა, მაგრამ ღონე მის მეტი არ იყო. წიგნი მისწერა, კაცი გაუგზავნა. დაწყობა მოახდინეს. ქალი მიათხოვა და ჯარი გააბრუნვა. გამარჯვებულნი აბაშთა ჯელმწიფისა წინაშე მოვიდნენ. ჯელმწიფესა მათი პირნათლად მისლა იამა და ქალის მიყვანისათვის დიდად განიხარა და ქორწილობისა ჯელის მოწყობასა ჯელმწიფურის რიგითა შეუდგნენ. და არაყისა ჯელმწიფესა მოყრობა დაუწყო.

თურე მას ქალსა სსვა ქმარიცა ყოლოდა, და მისგან ვაჟი დარჩომოდა, და ქმარი მოჰკდომოდა. რა არაყისა ჯელმწიფემან თავისი ქალი აბაშთა ჯელმწიფესა მისცა, მისდა ნაცვლად მის ვაჟს შემზეროდა და ქალისა უნახაობას მისის ჭრეტით იქარებდა. მას ქალსაც შვილის უნახაობით სიცოცხლე ემწარებოდა და ამას უბნობდა: რის მიზეზითა მოვასდინო იმისი აქ მოყვანაო? ღლივე და ღამ საგონებლად ესე ჰქონდა. ჯელმწიფე შევიდა, თამაშობა დაუწყო და უთხრა: თუცა ერთი დღე კიდევ გამოსულიყო და მამაშენს შენი თაფი ჩემთვის არ მოეცა, მის თემსა სრულად ავაოხრებდიო. ქალმან მოახსენა: მამაჩემს ერთი მონა ჰყავს, არას მეპატრონეს მისთანა არა ჰყოლია რა და არც იყოლებისო. ყოვლის ზნითა სრული, მიომარი უბრო, მზისა ეგეთი კამკამება არ აქს და მთვარე მისგან ნათელს ითხოვს. ეგეთი ქება მოახსენა, ესე ათქმევიანა: თლით მიწვალ და მას აქ მოვიყვან. კლავ უბძანა: ნუთუ გაყიდოს,

325 შეიგინია

326 გაყენა

327 ნათათბირეთა

ეგეთსა რას მეტყვის, რომენ არ მიუძღნა. ქალმან მოახსენა: მამაჩემი წამს უმისოდ ვერ გასძლებს და თუცა მისი ნახვა გწადიან, ერთი ვაჭარი გაგზავნე და მოტყუებით მოიყვანს.

ჯელმწიფეს მოეწონა<sup>328</sup> და ერთი კარგად მცდელოი კაცი გაგზავნა არაყისაკენ, მის მონისა ნიშანი და სახელი დააწვდრეს<sup>329</sup>, სახელად ფაროხზადა ჰქვიანო. კაცი იგი მივიდა, არაყისა ჯელმწიფე ნახა. ძღვენი შესძღნა. ჯელმწიფემ მოიკითხა. ფაროხზადას შეხედა, დავედრებული ნიშნები იცნა. დიდის ცდით ეცადა და ფაროხზადას მუსაიბობა დაუწყო. მუღამ აბაშეთის ქებას ეუბნებოდა. და მას საუბარში უთხრა: თუცა შენისთანა<sup>330</sup> კაცი მუნ იყოს, აბაშნა მას იმეფებენ. ფაროხზადამ თქვა: აღრიდგანე მასმია<sup>331</sup> მუნებური ქებაო. ამა ჯელმწიფისა ქალი მუნ არის და თუ წავიდლოდე, დიდსა წყალობასა ვიშოვნო. მაგრამ ვინ იქნება ეგეთი კაცი, მე იქ წამიყვანოს? მან უთხრა: თუ შენც გნებავს, ასრე<sup>332</sup> წავიყვან, სულიერმა ვერა სცნას. ფაროხზადამ უთხრა: შენ თუ ეგე მიყაჟ, ნუ ეჭ, სიკეთისა პასუხი ვერ შემოგზლო. ესე პირი შეკრეს.

რა ჯელმწიფემან დაიძინა, ფაროხზადა მას კაცთან მოვიდა. მან კაცმა ზანდუკში ჩასვა, აქლემს აჰკიდა, მასვე წამს გაემართა.

მეორეს დღეს არაყისა ჯელმწიფემ ფაროხზადა ვეღარ ნახა, ყოვლგნით კაცი გაგზავნა და ვერა სცნა რა.

მან კაცმან ფაროხზადა თავისსა ჯელმწიფეს მიგვარა. ჯელმწიფემ ფაროხზადა ნახა, ქალის ქებასა მატობდა. მას ჯელმწიფესა შვილი არ ესვა. შვილად დაიჭირა და სახელმწიფოსა ტანსაცმელით შემოსა, ოქროს აკაზმულობით ცხენი მისცა და არამშვიგან გაგზავნა. მან ქალმან თავისი შვილი ნახა, სიხარულით ტიროდა და ღმერთსა მადლსა აძღვედა. და ესე ვერავის უთხრა, თუ ფაროხზადა ჩემი შვილი არისო.

ჯელმწიფე სანადიროდ გავიდა. არამში ხალვათობა შეიქნა. ქალმან შვილი მარტო დაიხელა<sup>333</sup>, სურვილისაგან წინ აღარ დაიხედა, შვილსა მოეხვია<sup>334</sup>, თავსა და პირსა ჰკოცნიდა. საჭურისმან ვინმე დაინახა, მუქარა დასთხოვა.

328 მოეწონა

329 დავედრეს

330 შენთანა

331 მსმია

332 ასარე

333 სახელა

334 მოეხვია

რა ჯელმწიფე მობძანდა, საჭურისმან მოახსენა: დღე-სა ბანოვანთა თავადი არაყიდამ მოყვანილს მონასთან იჯდა და ჰკოცნიდა. ჯელმწიფე შეწუხდა და თქვა: თურე მუნვე ჰყვარებია და მისთვის მიქებდაო. ჯელმწიფემ ფაროხზადას უბძანა: ნუთუ არ ირცხვნიდე, ჩემსა არამში ავის ქცივითა იარები?! ფაროხზადად არა თქვა რა, ეგების დედაჩემმან<sup>335</sup> მოახსენოს, ჩემი შვილი არისო. და მას უკანით ქალს უბძანა, ეს რად მიყაო? არცა რა მან ქალმან უპასუხა, თვალთა ცრემლი მოერიო. მეხლმეს უბძანა: მონა ესე გაიყვანეთ ქალაქს გარე და თავი მოჰკვეთეთო.

მეხლმემ მას მონას ჯელი სტაცა და გამოიყვანა. სწადა და თავი მოეკვეთა, შეებრალა<sup>336</sup> და თქვა: ცოდვა არ იქნების, ესეთი ჭაბუკი დიაცისა გულისათვის წახდეს. მონასა უთხრა: ნუ იშიშვი, არას გავენებ. ფაროხზადად ჯელს აკოცა და უთხრა: რასაც ჩემთვის გააგებ<sup>337</sup>, მაგიერსა ღმერთი შემოგზღავს. აწი თუ დავრჩი, ღმრთით დიდებას მივხდებო და კეთილისა ნაცლად კეთილი შენცა დაგხდების სადმე. მე ბევრსა ვერას გეტყვი.

მან იასაულმა იგი მონა თავისსა წაიყვანა და თვით ჯელმწიფესთან მივიდა, მოკლა მოახსენა. ჯელმწიფეს ეწყინა. დედოფალს არას ეტჷოდის და არც პირს უჩვენებდის. დედოფალს ორი ნაღველი შეჰქნოდა: ერთი — შვილისთვის სივდებოდის, მეორესა — ჯელმწიფისა წყრომისათვის ემატებოდის. ქალი იგი ყოვლის წუთისათვის ტიროდა. ერთი მოდღევენებული დედაკაცი იყო, ჯელმწიფისა დედამძუძუ და დიდად მიჩნეული, რომე ჯელმწიფე შიგნით უმისოდ არას იქმოდა და სიტყვასაც უსმენდის.

დედოფალი ზის და შვილსა იგონებს. მისი ცეცხლი სწვევდა და ტიროდა. ჯელმწიფისა დედამძუძუ მის სადგომს შევიდა. დედოფალი იმ ყოფით ნახა, შეწუხდა და მოახსენა: ეს რა უნდა იყოს, მუდამ დღეთ აგრე იქცივი, თვალთა ცრემლი არ შეგზრების? ქალმან ჯმა არ ამოილო. მან უთხრა: ჩემგნით ნუ გრცხვენის, შენის აგრე ყოფის მიზეზი<sup>338</sup> მიახბე, მე არ გაგცემ, ნუთუ გარგო რამე. ქალმან წყნარად მოახსენა: დედავ, ჩემი შეჭირვება ეს არის, შვილი ამომიკლეს უბრალოდ და ჯელმწიფე მიწყურების. გულამოს-

335 დედაჩემან

336 შებრალა

337 გავებ

338 მიზეზით

კვნიტ ატირდა და შვილის ანბავი უანბო. მან დღეწაელილ-  
მან უთხრა: ნუ შეიჭირვებ, რაც მოგახსენო, ის ქენი და  
ნაღველს მორჩები. აწე ეს მოგახსენო, სანამ კელმწიფე  
შემოვიდეს, უწინ შენ მიდი და მის საგებელეში დაწვე, თაჟა  
მოიმძინარე. კელმწიფე შემოვა, წიგნს<sup>339</sup> გულზე<sup>340</sup> დაგა-  
დებს და ამას ბბანებს: ამის მადლს, რაც ამ ქალს გულში  
ედვას, თვითო-თვითო თქვას. შენ შენი სრულად<sup>341</sup> მოახ-  
სენე. უთუოდ ამით თავს იმართლებ.

დედაბერი მუნით გამოვიდა და კელმწიფესთან შევიდა.  
კელმწიფე ნახა, ფაროსზადასათვის შეჭირვებით ზის. წა-  
დგა დედაბერი და მოახსენა: კელმწიფის ჭირს შევეყრები,  
რას შეიჭირვებ? კელმწიფემ უბძანა: ფაროსზადასათვის  
ეფიქრობ, მართალი ვერა ვცან რა<sup>342</sup>, მისი ბრალი იყო, თუ  
ნის ქალისა. იგი მოვკალ. დედაბერმან მოახსენა: თუ მაგი-  
სი შეტყობა გნებავსთ, მე ერთი წიგნი მაქს, ინანურის კე-  
ლით ნაწერი ღა სორიანურის<sup>343</sup> ენით მოუბნარი. ვისაც მძი-  
ნარესა გულზედან დაადვათ<sup>344</sup>, რაც გულთა შინა ჰქონდეს,  
სრულად იუბნებს. თუ გწადდეს<sup>345</sup>, მოგართმევე და გასინ-  
ჯეთ. კელმწიფეს ეამა და უბძანა: დედა-შვილობისა სიჟ-  
ვარულსა, მომიტანეო, მართალი რამ ვსცნაო. ნუთუ ამა  
შეჭირვებას დავეხსნაო.

დედაბერი სწრაფით წავიდა. მცირე ქალადი მეღნითა  
დააჭრელა<sup>346</sup> და კელმწიფეს მოართვა. კელმწიფემან წიგნი  
იმა ქალს გულზედ დაადვა და თქვა: ამისო მადლო, რაც ამ  
ქალს გულში ჰქონდეს, აწე თქვასო. ქალმან თაჟი მოიმძი-  
ნარა და ლაპარაკი დაიწყო. რაც მას ქალს და მის შვილს  
გარდახდოდათ, სულ მოახსენა. კელმწიფემ სცნა, ის მონა  
მისი შვილი ყოფილა და ქალიცა უბრალაო. ბიგრი იტი-  
რა, ქალსა მოეხვია, კოცნა დაუწყო. ქალი მძინარესავით  
შეკრთა. კელმწიფეს რაც მისგან მოესმინა, უანბო და უბ-  
ძანა: რად დამიმალე, თუ იგ შვილი შენი იყო, ჩემთვის  
შვილად შევიანახედი.

იმა დამესა ორთაჟ იგლოეს. მეორესა დღესა კელმწი-  
ფემ მას იასაულს უბძანა: ჩემი სასურველი შვილი რას  
ალაგს მოჰკალ, მითხარ, მისი საფლავი ჩემთვის სალოც-

339 წიგნს

340 გულზე

341 სულად

342 ვცანარა

343 სორიანურის

344 დადვათ

345 გწადდეს

346 დაჭრელა

ვილად გავაკეთო, ნუთუ მას საუკუნესა სირცხვილეულსა არ შეეყარო? იასაულმან მუხლი დაიდგინა და მოახსენა: ჭელმწიფე მზეგებელი იყოს, რაც გენებოს, იგი ქენ, მე ისი ყრმა არ მომიკლავს, ცოცხალი მყავს. ჭელმწიფესა დიდი სიხარული მიეცა, მას იასაულს დიდძალი ქონება მისცა და ფაროხზადა მოაყვანინა. ჭელმწიფე მოეხვია, შეცოდების შენდობა მოსთხოვა, არამში შეიყვანა, დედოფალსა უჩვენა. რა მან შეიღი ნახა, მის სიამოვნესა ვინ იტყვის! გულმან შეჭირვებისა ფარდაგი დახია.

ბახთიარ მოახსენა: დედაკაცმან ამგვარი ფარისეულობა ბევრი იცის. თუ მას იასაულს ფაროხზადა არ მოერჩინა, იამანეთის ჭელმწიფეს დიდი სინანული და შეჭირვება მიხდებოდა. რა ეს არაკი დაასრულა<sup>347</sup>, ბახთიარ აღარ მოკლეს და მიაბარეს.

მერვესა დღესა მერვე ვეზირი ჭელმწიფეს წინ მოაჯესა ვით დადგა. ჭელმწიფემ ჰკითხა: მოაჯესა გავხარო. მან მოახსენა: ჩემი სააჯო<sup>348</sup> ეს არის, რომე აწე მოგახსენებ. მკურნალთაგან გამიგონია, ამას უბნობენ, ქვეყანათა<sup>349</sup> ზოდან ერთი ხე არის, ფესვი სენი არის, ფოთოლი — წყალობა და ზედ დაწერილი — შებრალება, ყვავილი — გაკითხვა, ქერქი — ძალა და ხილი მისი — სასუფეველისა<sup>350</sup> სინათლე. როსაც ხეს ფესვი გაუხმების, მისნი ფოთოლიც მასთან გაყვითლდების. მაგრამ არა სენი ბახთიარის ნაქმარს საქმესა არ შეიდარების<sup>351</sup>. აწე თუ ბახთიარის საქმემან ასე ჩაიარა, მის ძირხმელისა ხისა მგზავისი იქნების. ჭელმწიფემან უბძანა: მართალსა უბნობ. მოიყვანონ და მოკლანო.

მოვიდა ბახთიარ და ჭელმწიფეს მოახსენა: ნუ აჩქარდები, თვალის გამსყიდვლის<sup>352</sup> ჭელი არ დაგემართოს<sup>353</sup>. ჭელმწიფემ<sup>354</sup> უბძანა: ვინ ყოფილა თვალის გამსყიდველი<sup>355</sup>. და ან აჩქარებით<sup>356</sup> რა დაემართა, ან რაზე აჩქარდა, რომ სინანულს შეიყარა<sup>357</sup>? ბახთიარ სირინოზისა ენითა ღმრთიკ გვირგვინოსანი ჭელმწიფე ქებით აღამაღლა და მოახსენა.

347 დასრულა

348 საჯო

349 ქვეყანათა

350 სასუფეველსა

351 შედარების

352 გასყიდვლის

353 დაემართოს

354 ჭელმწიფემს

355 გასყიდველი

356 აჩქარით

357 შეყარა

ჰ. პარი მერვე და არაპი მუშვიდე თვალის  
განსწილვლისა<sup>358</sup>

ერთი თვალის გამსყიდველი<sup>359</sup> იყო, მრავალის მორ-  
ცმის პატრონი და თვალმარგალიტთა ღირებულისა ფასისა  
დამდები. მისსა<sup>360</sup> ჯელმწიფეს დაებარებინა, აქ მოვედ, მარ-  
გალიტისა სყიდვა მნებაესო. იგი მუნ წაჳიდა. ცოლი ორ-  
სული დააგდო<sup>361</sup> და დაავედრა<sup>362</sup>: თუცა ყრმა გეყოლოს, სა-  
ხელად როზბეჰ უწოდე და თუ ქალი იყოს, შენ იცი. და წა-  
ვიდა. ჯელმწიფესთან მივიდა, ტახტისა ფეხსა აკოცა და  
ქება შეასხა. ჯელმწიფეს მისი ნახვა იამა. ახლოს დაისვა და  
რაცა თვალ-მარგალიტი ეყიდა, წინ დაუწყო. და უბძანა:  
შენი წესი ეს არის, ავი და კარგი გაარჩიეო<sup>363</sup>. მან სინჯვა  
დაუწყო და ამოსა საუბარსა მოჰყვა. ჯელმწიფეს მისი ლა-  
პარაკი იამის.

მცირე ხანი გამოხდა. ჯაფარფრუშის ცოლს ტყუბი  
ვაჟი ეყოლა. ერთსა როზბეჰ დაარქვა<sup>364</sup>, მეორესა — ბეჰ-  
როზ. და ქმარსა<sup>365</sup> მახარობელი გაუგზავნა. ჯაფარფრუშს  
დიდად იამა. წასელა მოინდომა. ჯელმწიფემ არ გაუშვა<sup>366</sup>.  
იგი მისნი შვილნი საზომს მოიწიფენენ. ვირემ მამა იქ მიუ-  
ვიდოდათ, მათ წიგნიც და მამისა ჯელობაც ისწაფლეს. მა-  
მას წიგნი მისწერეს და დაიბარეს. ჯელმწიფესა გამოეთხო-  
ვა. არ გაუშვა. ჯაფარფრუშმან თავისნი შვილნი იქ დაი-  
ბარა.

რა მამის წიგნი და დაბარებულობა მიუიდათ, ცხენსა  
შესხდნენ, დედა თან გაიტანეს. და მივიდნენ ერთსა ალაგს,  
წყლის პირათ დადგნენ და ჯაფარფრუშს აცნობეს მათი მის-  
ლა. ცხენსა შეჰდა, წინ მისაგებელად წაჳიდა. სერანი მო-  
უნდა. გარდასდა წყლის პირს. სერანს გაჳიდა. თეთრით საჳ-  
სე ქისა მუნ დარჩა<sup>367</sup> და წამოვიდა. გზაზედ მოაგონდა. მი-  
ბრუნდა. თეთრი ვეღარ ჰპოვა. ორი ყმაწვილი ნახა, წყლის  
პირს თამაშობდნენ. მათ ჰკითხა. მათ არცოდნა უთხრეს.

გაჯავრდა ჯაფარფრუში და იგი მონანი წყალში დაარ-  
ჩო<sup>368</sup> და დაბრუნდა. თავის გზას მივიდოდა. ზახილი შეეს-

358 გსყიდვისა

359 („მანი ჩამატებელა)

360 მისისა

361 დაგდო

362 დავედრა

363 გარჩიეო

364 ლარქვა

365 ქმარსა

366 გაშვა

367 დარჩა

368 დარჩო

მა<sup>363</sup>: შეილო როზბექ და ბეჰროზ, სადა ხართ<sup>370</sup>, დაღამლა, მოდითო. ჯავარფრუშმან თავისის ცოლის ხმა იცნა. ახლოს მიდგა, ცოლი დახდა, უთხრა: შენნი<sup>371</sup> შეილნი სად არიან<sup>372</sup>, მათის ნახვისათვის გამოვჭრილვარ? ქალმან ქმარი მოიკითხა და უთხრა: ორნივე აქათ წყლისაკენ წამოვიდნენ, თამაშობდენ და აღარ ჩანან. ჯავარფრუშს გულსა ეცა, საყულო დაიხია და ატირდა. ცოლს უთხრა: ორნი მონანი მე დავარჩე, თურმე ჩემი შეილი ყოფილან.

ორთაჲ გლოვა შექნეს და წყლის პირს ძებნა დაუწყეს. საღდა იპოვნიდენ? ერთმანერთს ეუბნებოდენ: ჩვენი სიცოცხლე სიმწარით გახდა, წავიდეთ, ქვეყანა მოვიაროთ, ვნახოთ ღმერთი რას გვიზამს. თვალ-ცრემლიანი დავიდოდეს<sup>373</sup> და შეილების წყალში დარჩობა ეგონათ. იგინი უვნებელად იყნენ. ერთი მეორესა მოშორებოდა.

ქელმწიფე თურე სანადიროდ გასულიყო და ბეჰროზა ეპოვნა. შეილად შეენახა<sup>374</sup> უშვილობისათვის. მეტად უყვარდა და წამს ვერ მოიშორვის. ქელმწიფეს სოფლის ბეგარა მიაღდა. ბეჰროზა ტახტზე დასვა. მან ქელმწიფობის რიგს ქელი მიჰყო. ქვეყანა მას მონებდენ.

საცა როზბექ დაკარგულიყო, მუნ მპარაფნი მივიდნენ, როზბექს ნახეს, სხვა ვერა დაახელა<sup>375</sup> რა. იგი წამოიყვანეს. გასყიდვა ენებათ.

მას თვალის მსყიდველს მრავალი ევლოთ და შეილისა ვერა შეეგნოთ<sup>376</sup> რა. ერთსა ქალაქში მივიდნენ. სახლი იყიდეს და დადგნენ. ქმარმაც ცოლსა უთხრა: უბადოსა სიარულით<sup>377</sup> რასა ვიქთ? აწე ერთსა მონასა ვიყიდი და აქ დავდგეთ. კაცი ბაზარში წაჰიდა. ნახა, ჭურდნი როზბექს ჰყიდიან. ჯავარფრუშმა<sup>378</sup> იგი იყიდა. შინ მიიყვანა<sup>379</sup>. დადაკაცმან შეილი იცნა, დაიძახა და დაბნდა. ჯავარფრუში ჩასძახდა, რა დაგემართა? ქალმან უთხრა: ჩემი შეილი როზბექს ეს არის. სვეენა დაუწყუო. მამასა სიხარულით ცრემლი<sup>380</sup> მოსდიოდა.

369 შესმა

370 „(ჯარია“ გადასწორებული)

371 („ნარია“ ჩამატებული)

372 არი

373 დაივიდოდეს

374 შენახა

375 დახელა

376 შეგნოთ

377 სისრულით

378 ჯავარფრუშმა

379 მიყვანა

380 ცრემალი

რა სიხარული გარდასწყვიდეს, მამამ შვილს თვალის ცნობა ასწავლა. შვილი უფრო მეცნიერი შეიქნა მამისაგან. უღიღადი თვალი [და] მარგალიტი შეყარა. მამასა უთხრა: თვალსა და მარგალიტსა ჭელმწიფენი იყიდიან. ამა და ამ ალაგისა ჭელმწიფესა აქებენ. თუ მიტყვი, იქ წაყალ და მუ-ნებურსა ხრადსა აქ მოვიტან. მამამ უთხრა: შენ იცი და მალე ეცადე მოსლასა.

როზბეჰ წავიდა და საცა მისი ძმა ბეჰროზ ჭელმწი-ფობდა, მუნ მივიდა. ერთმანერთი ვერ იცნეს. როზბეჰ ძღვენი მიართვა. ბეჰროზ შეხედა, ძმობისა სისხლი აუდუ-ღდა და სიყვარული ჩაუარდა გულში. საპატიოსა ალაგსა დასვა, პატივი მიაპყრა. რაცა უკეთესი მარგალიტი ჰქონდა, მოივაჭრა და უბძანა: ჩემი ძმა-ფიცი იყავ, მუდამ ჩემთან მოხვიდოდე.

როზბეჰ დღე და ღამ ჭელმწიფეს ახლდა და ღვინოს სვიმდიან. ჭელმწიფეს მტერი აუწინდა. თვით არ წავიდა და სარდალი გააყენა<sup>381</sup>, და ძრეელი სპანი აახლო<sup>382</sup>. და თვით როზბეჰსთან სვიმდა. ერთსა ღამესა არვინ ახლდათ, თვით ორნი იყნენ. ჭელმწიფე დასთრა და ძილი მოუიდა. როზ-ბეჰმ თქვა: ჭელმწიფე მარტო არის და მე ტალად<sup>383</sup> დავდ-გები. ჭმალ-მოწდილი თავს დაადგა<sup>384</sup>.

ლაშქრით კაცნი მობრუნდინ. ერთმან კაცმან ნახა, ირ-თი ჭმალმოწდილი კაცი ჭელმწიფეს თავს ადგს. მივიდნენ და შეიპყრეს. ჭელმწიფეს გაელვიძა. მათ მოახსენეს: ესე კა-ცი თქვენსა ღალატსა შერებოდა. თუცა მცირე დასცალე-ბოდა, ჭელმწიფისა შემცოდი გათავდებოდა. ჭელმწიფემ ბძანა: აწე ლოცვის ქამი არს, შემინახეთ, ვილოცო. ლოცვა გაათავა<sup>385</sup>. ბძანა მომგვარეთო, მაგიერი მეც უყო. ჭმალ-მოწდილი კაცი თავს დაადგა. ჭელმწიფე საგონებელს ჩა-ყარდა. მიხლმეს უბძანა: ჯერ აცალეთ, მართალი ვცნათ, ბრალი აქვს თუ არა. შენახვა უბძანა და თვით საომრად გადგა. მკირეს ხანს უკან გამარჯვებული მობრუნდა. როზ-ბეჰმ აღარ მოაგონდა. ორსა წელსა საპყრობილესა დარჩა.

როზბეჰის<sup>386</sup> დედ-მამა მისის ნახვის მოსურნენი შეიქ-ნენ. წიგნი მისწერეს, ნუთუ მისი რამ ვცნათ. ანბავი მოუი-დათ: ესერ ორი წელი გასრულ არს, საპყრობილესა დაბმუ-ლი არის. ჯავარფრუმს ცეცხლი მოიკიდა, ცოლი თან წა-

381 გაყენა

382 ახლო

383 ტოლად

384 დადგა

385 გათავა

386 როზბეჰს



იყვანა და წავიდა. რა მას ქალაქსა შინა მივიდნენ, მათი ან-  
ბავი ერთსა ქალაღლზე დაწერა, წყალში ვით ჩაეგდო ან  
როგორ იყიდა, და მეორისა ვერ პოვნა. — აწი როზბეჰა  
ამა ქვეყანასა<sup>387</sup> ჯელმწიფისა იმედით მოვიდა, ესე ჩემი შვი-  
ლი. და ამას ვესწავებით თქვენსა ტახტსა, ჩვენის სიბრა-  
ლულისათვის განუტეოთ.

არზა ჯელმწიფეს მიაართვეს. ჯელმწიფემ წაიკითხა.  
გულთა შინა თქვა: ნეტარ ცხადსა ვარ, თუ ოცნებით მეს-  
მის? აწი უცხო არ იქნების, ესენი<sup>388</sup> ჩემი დედ-მამა იყენენ!  
მასთან შეყვანა ბძანა, ამა არზისა მომრთმევი ჩემთან მო-  
ეყვანეთ.

რა ჯელმწიფემ თავისი დედ-მამა ნახა, ტახტისაგან  
გარდიჭრა, ხელსა აკოცა, საჯელმწიფოსა საცმელით შემო-  
სა. ძმაც გამოიყვანა. მასცა ხალათი უბოძა. როზბეჰ ჯელ-  
მწიფისა ტანისამოსი ჩაიკცვა. დედ-მამა აგრე ნახა და ძმას-  
თან წავიდა. ერთად დასხდენ და ღმერთსა მადლს აძლე-  
დენ. ჯელმწიფემ ნახევარი საჯელმწიფო ძმას გაუყო და მა-  
თი დედ-მამა ღმრთისა მადლის შემწირველი შეიქნენ.

რა ესე არაკი დაასრულა<sup>389</sup> ბახთიარ. მოახსენა: თუ  
ჯავარფრუში არ აჩქარებულიყო, ეგოდენსა ჭირსა არ ნა-  
ხვებდა და თუცა ბეჰროზს ძმისა სიკუდილისა ფიქრი არ ექ-  
ნა, ძმის მკვლელი<sup>390</sup> შეიქნებოდა. და აწი ჯელმწიფე ჯავარ-  
ფრუშსავით ნუ აჩქარდების, ბეჰროზისა გასინჯვა დაიჭი-  
როს და ჩემსა მართალსა შეცტყობს. ჯელმწიფეს ესე მოჰ-  
სენება იამა და ბძანა, დღესაც შეინახეთო.

მეცხრისა დღესა მეცხრე ვიზირი მოვიდა, ჯელმწიფეა  
მოახსენა: ნუთუ ჯელმწიფეს არ შეეგნოს, ქვეყანა სრულად  
არეულა თქვენის ეგოდენის სიწყყნარისათვის. ეგოდენი ხა-  
ნი არის, ერთსა ავგვარსა და მტაკებელსა კაცსა ინახავთ.  
შენი თემი ქურდობისა და ბოზობისა თემი შექნილა. ჯელ-  
მწიფემან ბძანა: გამოიყვანეთ და თავი მოჰკვეთეთ. ბახ-  
თიარ მოახსენა: ორი დღე კიდევ შემინახოს ჯელმწიფემან,  
ნუთუ ამა განსაცდელისაგან დავიხსნა. ჯელმწიფესთან შეს-  
მენის უარესი რა იქნების, აბუთამამიც ჯელმწიფეს შესმი-  
ნით მოაკლევინეს და სიკუდილის უკან ჯელმწიფემ მისი უბ-  
რალობა სცნა და მას არა ერგო რა. ჯელმწიფემ უბძანა:  
როგორ ყოფილა, მიანბეო.

387 ქვეყანასა

388 ესენ

389 დასრულა

390 მკვლელ

ბახთიარ ჯელმწიფესა ეგოდენი მოწყალეება უქო და მოახსენა: კაცი ვინმე იყო, აბუთამამ ერქვა, მრავლისა მორჯმისა პატრონი. და მისი ჯელმწიფე მეტათ უსამართლო. აბუთამამ მისის შიშისაგან მამღრათ პურსაც ვერა სჭამდის. მუნ ველარ დადგა. მისი ქონება მალვით გაზიდა და გარდისხვეწა.

ერთსა ქალაქში მივიდა. უცხოდ მოწყობილი დახდა. ჯელმწიფე მოსამართლე და მოწყალე იჯდა. აბუთამამ თქვა: ამის უკეთესსა ალაგსა სად წაგიდე? სახლ-კარი აიშენა, დადგა. და მის ქალაქისა უფროსნი კაცნი აწვია, კარგად დახდა და მრავალი მხართვა. ხილნი და ფუნდუკნი ააგო<sup>392</sup>. სამადლოსა საქმესა ცდილობდა.

მის თემისა კაცი მის ეგრე ქცევას ჰკვირობდენ. ჯელმწიფესა მოახსენეს: ამრიგი კეთილმოქმედი კაცი შენსა ქალაქში მოსულა. ჯელმწიფემ ბძანა, აქ მომგვარეთ. აბუთამამ ძღვენი ნახა. მივიდა და ჯელმწიფეს თავი დაუკრა. ჯელმწიფემ პატივი სცა. საბომჟარი უბოძა.

აბუთამამ ყოვლის დღისათვის ჯელმწიფეს ძღვენს შესძლნიდის და ნახევდის. სამსახურით შეუიდა და ეგეთა ყმა შეიქნა, რჩევას უწინ მას ჰკითხვიდეს. ჯელმწიფეს ორი ვეზირი ჰყვანდა და აბუთამამს აუქიშპდენ და მის დაკარგვას ცდილობდენ. ერთმან ვეზირმან თქვა: ესე ჩვენი ჯელმწიფე დედაკაცთ მოყვარული არის. თურქეთისა ჯელმწიფესა მზისა სწორი ქალი<sup>393</sup> ჰყავს. მის ჯელმწიფის წესი არის. ვინცა ქალის მთხოველი მოციქული მიუა, მოჰკლავს. ჯელმწიფეს მის ქალის ქება მოვახსენოთ. ნდომა მოუა. აბუთამამ გავაგზავნინოთ და მუნით ცოცხალი ვერ მოვა. ესე პირი დაასკნეს. ადგნენ და ჯელმწიფეს იახლენ. დასხდენ. სხვასა და სხვასა რასმე უბნობდენ. თურქეთის ჯელმწიფის ანბავი დაიწყეს. უდიდესმან ვეზირმან თქვა: მის ჯელმწიფისა ქალსა ეგრე აქებენ, მზე ვერ სწორებსო. ჯელმწიფე მისთვის გამიჯნურდა და ვეზირთ უბძანა: ერთი ამოდ მოუბნარი და გამრჯილი კაცი ნახეთ, მოციქულად მოკმაზეთ, რას შემოსთლიან? მეორემან ვეზირმან მოახსენა: აბუთამამისა უკეთესსა ვერსად ვპოვებთო.

მოამზადეს აბუთამამ და გაისტუმრეს. რა მიახლოვდა, თურქეთისა მეფემან კაცი მოაგება და პატივი სცა.

მეორესა დღესა ჯელმწიფემ ნახა, ანბაფი ჰკითხა. მან რაც იცოდა, მოახსენა. მან უბძანა: მაგის უამესი ჩემთვისა რა იქნების, თუც ჩემი ასული ამის საკადრისი არის. წამამყევ, ქალსა გიჩვენებ და მისი სიტყვა შენცა სცან. თუ ეფერების, მივართმევ. აბუთამამ მოახსენა: ჩემგნით ვით იკადრება თქვენსა არამში შესვლა და ჯელმწიფისა ასულისა ნახვა? თუცა მისი საფერი არ ყოფილიყო, ჩემსა თავსა თქვენს წინ არ გაახლებდენ<sup>394</sup>. თურქეთისა მეფესა აბუთამამის მოხსენება მოეწონა და ბოძებითაც უბოძა. აბუთამამ მოახსენა: რა მე ჯელმწიფესა ვხვდებივარ, ბოძებისა და წყალობის მეტი არა უქნია რა. ჯელმწიფემ უბძანა: მე შენ სიკდილსა გიპირებდი, ამაღ, რომე ვინცა მოციქული მე მომსლია, ესე სიტყვა მითქვამს და იგინი ჩემსა არამში შესლას მოინდომებდენ. ქალის გასინჯვა ენებათ. მე თავს მოგკვეთდი. ერთი სახლი აჩვენა; კაცის თავით სავსე. აბუთამამს ეგრევე ხალათი და საბოძვარი უბოძა. ქალიც მოამზადა და თან გაატანა დიდის მორჩმით. მრავალი მხევეალი და ხადუმნი გაატანა.

რა სიახლოესა მივიდნენ, აბუთამამ მახარობელი გაუგზავნა. ჯელმწიფე წინ მოეგება. აბუთამამს ეგოდენი ქონება მისცა, ზიდვა არ ძალედვა, და უფრო მიიჩნივა<sup>395</sup> და ვეზირთაცა შური მოემატათ. ჯელმწიფე აბუთამამს შინ და გარ არ გაიყრიდის. ვეზირთ თქვეს: აბუთამამს მტერობისა ნაცლად მოყრობა უყავით. აწე რა მოვაგვაროთ, რომენ ჯელმწიფეს შევასმინოთ და გააძოს? ამას იგონებდენ. ეს არჩიეს, ჯელმწიფისა მუდამ მოსამსახურე ორნი მონანი მოვიხმოთ და მათ ეს ვათქმევინოთ: აბუთამამს ეგოდენი ჯელმწიფისა წყალობა სჭირს და მას ღმრთისა არ ეშინიან, რომე ამას უბნობს, თურქეთისა ჯელმწიფისა ასული ჩემის მიჯნურობით წამოვიდა და ჯელმწიფისა შეცოდებაში ერევის. ჯელმწიფეს მოეხსენების და აბუთამამს გააძიებს<sup>396</sup>.

ვეზირთ ესე პირი შეკრეს. იგი მონანი მოიხმეს<sup>397</sup>, ასი თუმანი მისცეს და ასი კიდევ აღუთქვეს.

ჯელმწიფე საწოლში<sup>398</sup> შევიდა. ჯერეთ ძილი არ მოსლოდა. მონანი ვეზირისა დავედრებულს ერთმანერთს ეუბ-

394 გახლებდენ

397 მიხეეს

395 მიჩნივა

398 საწოლში

396 გაძებს

ნებოდენ. ჭელმწიფემ გაიგონა, ზე აიჭრა და გამოვიდა. მაჲ მონათა უთსრა: თქვენ გადით და აბუთამამ დამიძახეთ. მივიდა აბუთამამ. ჭელმწიფემან უბანა: ერთი რამ მნებაჲს შენთან საკითხავი. მან მოასსენა: ბძანეთ და თუ რამ ვიცი, მართალს მოგახსენებ. ჭელმწიფემ უბანა: მეპატრონე კაცი რომ ყმასა სწყუალობდეს, ყმამან არ დაინახოს და მის შეცოდებაში ერეოდეს, მას მეპატრონეს რა მართებს? აბუთამამ მოასსენა: კაცი იგი სიკდილით უნდა მოკდეს.

აბუთამამ მოსსენება გაათავა<sup>399</sup>. ჭელმწიფემ ხანჯალს ჭელი გაიჭრა, გულსა დასცა და მოკლა. მკუდარი გაათრევიანა<sup>400</sup> და სასახლისა კარნი დაჯარეს. სამს დღეს აღარ გააღეს<sup>401</sup>. ვეზირთ აბუთამამის სიკდილი სცნეს და სისხარული შექნეს.

ჭელმწიფეს ჯავრისაგან თვალთა რული არ ეკიდებოდა. დღე და ღამე იარებოდა. მათ მონათ კარი გაიარა. მათი საუბარი ესმა. დადგა და ყური მიუგდო. ერთმანერთს ეკამათებოდენ, ეს შენ ჰქენი, არა შენ ჰქენიო. ჭელმწიფემ ბძანა, უთუოდ უბრალო სისხლი დაეღვარეო. საწოლს შევიდა და მათ მონათ დაუძახა. უბანა, მართალი თქვით, თვარე არკერთს მთელს არ გაგიშვებო. შეშინდენ. სრულად მოასსენეს. ჭელმწიფე ვეზირთზე გასწყურა და აილაფა, ორთაჲ თაჲი მოსჭრა. აბუთამამის სიკდილს ინანდა, მაგრამ აბუთამამს არა ერგო რა.

რა ეს დაასრულა<sup>402</sup>, ბახთიარ მოასსენა: თუცა კაცსა მტერი<sup>403</sup> ჰყავს, ანუ აუქიშპდა ვინმე, აბუთამამსავით უზმენ. ჭელმწიფე საქმეს უნდა სინჯევდეს. სიჩქარი აუგს შეასწრებს. აჩქარებით ჩემი სიკუდილი რა სარგებელი არის? ჭელმწიფემ ბძანა, აწიცი შეინახეთო.

მეათესა დღესა მეათე ვეზირი არმის კარზედან მივიდა, მზეთამზეს საჭურისთა უსუცესი შეუგზავნა და შეუთვალა: სირცხვილი ღმერთმან ნუ მოგცეს, მაგრამ აუგი არის ესოდენს ხანს ბახთიარის ფეხზედ სიარული და შენი მოყივნება. ჭელმწიფესა მოასსენე, იგი მოკლას და შენი სისხლი იძიოს. ჭელმწიფემან გაიღვიძა. ცოლი პირქუშად დასვდა და ეგრე მოასსენა: ჩემისა მოყიფნებისათვის არას ნადლობ და იგ ავმოქმედსა და ავგვარსა ბახთიარს ინასაჲ.

399 გათავა

400 გათრევიანა

401 გაღეს

402 დასრულა

403 მტრი

ჯელმწიფემ ბძანა: დღეს მის საქმესა გარდავსწყვედ. და გამოვიდა, ტახტზედან დაჯდა და ვეზირნი იხმო. თავის თავის<sup>101</sup> ალაგს დასხდენ.

მეთავე ვეზირი წინ წადგა, მოხსენება რამ ენება. ჯელმწიფემან უბძანა: შენი მოხსენება არ მინდა. დილასვე მითხრეს. უბძანა: ბახთიარ მოიყვანეთ. მოიყვანეს. უბძანა: არ ასრე უბნობდი, უბრალო ვარ, ნუ მამკლავთ?! აწე მე შენი სიმართლე ვერა ვცან რა. ბახთიარ მოახსენა: მეცა დღეს აქამდის ბევრს ვეცადე, უბრალოდ არ მომკუდარეიყავ, თურე ღმერთსა უბძანებია. მის ბძანებას სად წაუალ? როგორადაც ჰეჯაზ ჯელმწიფემან უმეცრებით თქვა, ღმერთისა ბძანებას მე გავტეხ. თუცა უმეცრებით თქვა და ვერც შესძლო, სირცხვილიც თავს დაიდვა. ჯელმწიფემან უბძანა: ჰეჯაზ ჯელმწიფე ვინ იყო, ანუ რა დაემართა, მიანბიო.

### ჟ. პარი ვეათე და არაპი ვეცხრე ჰეჯაზ<sup>105</sup> ჯელმწიფის ანბაპი

ბახთიარ ჯელმწიფე დალოცა და მოახსენა: ჰეჯაზისა<sup>106</sup> ქვეყანასა ერთი ჯელმწიფე იყო, დიდად მდიდარი. შვილი არა ჰყვანდა. მის თემისა გლახაკი სრულად შეყარა, თვისი მონაგრისა მესამედი მისცა და მრავალი სხვა ღმერთისა საამო<sup>107</sup> საქმე ქნა. დედოფალი დაორსულდა. ჯელმწიფეს ძილთა შინა ლომი ეზმანა და უთხრა: ღმერთმან შვილი გიბოძა, ყრმა გეყოლება. შვიდის წლისა გასრულდების, ლომი შესჭამს და, თუცა ლომს მორჩა, შენ მისის ჯელით მოჰკვდები.

ჯელმწიფეს გაედვიძა. ჯელთა წიგნი ეჭირა. ლომი ვერსად ნახა. წიგნი წაიკითხა. რაცა ლომისაგან<sup>108</sup> ძილში მოესმინა, იგივე ეწერა. ვეზირი მოაყვანინა და მას ჰკითხა. სად ნახა. წიგნი წაიკითხა. რაცა ლომისაგან<sup>108</sup> ძილში მოვანდენ, რომენ არც ლომმან<sup>109</sup> შვილი შემიჭამოს და არც მე მას შევაკვდე. ვეზირმან მოახსენა: ღმერთის ბძანებას რა გაეწუბობის და ან მის ნებას ვინ მოშლის? ჯელმწიფეს ვეზირის მოხსენება ეწყინა და [უთხრა]: თუ შეეძლო და მოვშალო, შენ სიკუდილი გაწვიო. ხანი გამოსდა. ჯელმწიფეს

101 თავისთვის

105 ჰეჯაზ

106 ჰეჯაზისა

107 სამო

108 ლომისგნ

109 ლომან

ვაჟი შიეცა, ათხუთმეტიცა [დღისა] მთვარის უშვენარესი. ერთსა კაცთა უალსა მთაში ჯურღმული გააკეთებინა<sup>410</sup>. ძიძა გაატანა<sup>411</sup> და შვილსა მუნ ზდა დაუწყო. ლომისა ეშინოდა. თვით ჯელმწიფე კვირაში ერთგზით მივიდოდის და შვილსა ნახვიდის. შვიდი წელი გასრულდა. ძიძამ მოახსენა: აწე ამისი ჯურღმულთა ჯდომისა ქამი აღარ არის, გაიყვანეთო. ჯელმწიფემ ბძანა: დრო მე უკეთ ვიცოო. და ჯელმწიფე წამოვიდა.

ერთსა ლომსა ერთი მელი წამოუგდია. მის მთისაკენ მიდიან. ჯურღმულს მიახლოვდენ. ლომი ქვას დაეძგერა და მას ჯურღმულში ჩავარდა, და მელის გაჯაგრებული მას ყრმას დაავლო<sup>412</sup> ჯელი და მალლა შემოაგდო. ლომმან<sup>413</sup> ძიძა შეჭამა. ჯელმწიფის შვილი სისხლსა და მტვერთა შინა მორეული მთიდამ ჩამოვიდა. ლომი ეგრევე ამოვიდა და ორმოს პირს დადგა. და იგი ყრმაც მოშორეებით უთქს და ლომი მას დასცქერია. მას დღესა სპასალარი მას მთასა ნადირობდა. ნახა, ერთი ყრმა კაცი სისხლსა და მტვერში მორეული დგას და ეს ლომი მალლიდამ დაბღვერია. ბძანა<sup>414</sup>, იგი ყრმა ლომისაგან გალახული არის. ცხენსა შესვა და შინ წაიყვანა. გალახულობას მორჩინა და ვაჟკაცობისა ზნეობით გაასრულა<sup>415</sup>. თორმეტისა წლისა გასრულდა.

ლომსა ძიძა რომ შეეჭამა<sup>416</sup> და სპასალარსა იგი ყრმა წაეყვანა, მას დღესა ჯელმწიფე<sup>417</sup> შვილისა სანახავად წასულიყო, და ვერც ძიძა და ვერცა შვილი ვერ ენახა. ამას ჰგონებდა, ძიძა წასულა სადმე და ყმაწვილიც თან გაუტანია. ძებნა დაუწყო და ვერსად ჰპოვა. ჯელმწიფე ნაღვლიანად შეიქნა და გამობრუნდა. სპასალარისა შვილი მოიყვანა და მით სიყვარული შვილისა მოიკლა. შვილად დაიჭირა და საჭურველთა უხუცესობა მისცა.

ხანი რამ გამოხდა. ჯელმწიფეს მტერი აუჩნდა. საომრად წავიდა. ძრიელი ცემა და სროლა შეექნათ<sup>418</sup>. მტვრისაგან დღე ნისლიანსა ღამესა გვანდა. ერთი მეორესა ვერ იცნობდა. ჰეჯაზ ჯელმწიფე რაზმთა შუა იცემებოდა. თავისი საჭურველთა უხუცესი შეხვდა, შემოკრა და ჯელმწიფესა

410 ვაკეთა

411 ვატანა

412 დავლო

413 ლომან

414 ბძანი

415 გასრულა

416 შეჭამა

417 ჯელმწიფე;

418 შექნათ

ჯელი მოჰყვითა. ჯელმწიფემ იცნა და შესძახა: შენ ბედუ-  
კულმართო, ეს რად მიყავ ჩემგან გადიდებულმან? მან ვერ  
იცნა, თუ ჯელმწიფე არის, უდიდესად შესძახა: თვით ბედ-  
მლაშეო, ეგოდენი ავი შენ ჩაიღინე. ჯელმწიფეს ჯელი აღარ  
ჰქონდა. რას იქმოდა, გამობრუნდა და წამოვიდა. რა იკ-  
ზურგ-შექცეული ნახეს, სხვანიცა ომსა მოეშალნენ. ჯელმ-  
წიფე მოაბაზიდ დასვეს და წამოიყვანეს. ჯელმწიფისა დამ-  
კოდელი დაიჭირეს. იგ ფიცევდა: მე არ ვყოფილვარ.

ჯელმწიფემ<sup>119</sup> თვისის აღსრულების დღე შეიტყო. წა-  
მალი არას არგებდა და ვერცა მაწვეველსა გააბრუნებდა<sup>121</sup>.  
ვეზირსა დაუძახა და თავის მოკვეთა ბძანა: მე და მისი ჰი-  
რობა ასრე იყო, ჩემი შვილი ლომმან<sup>121</sup> ვერ შეჭამა და არც  
მე მისის ჯელით მოვკუდი. ჩემი შვილი ძიძამ წაიყვანა და  
მე სხვამ მომკლა. აწე მე უმართლე ვარ. ჯერეთ ვეზირს  
მოვკლავ და მერმე ჩემსა მკვლელსა. ვეზირსა უბძანა: შე-  
ნისა სიკდილისა ჰაემანი<sup>122</sup> ეს არის. ღმრთის ბძანება მოი-  
შალა. ჩემი შვილი ძიძამ წაიყვანა და მე მისგან არ მოვკუ-  
დი. ვეზირმან მოახსენა: იქნების შენი შვილი მათ ეყიდოს  
და შენსა შვილსა დაეკოდო. ჯელმწიფემ უბძანა: ჩემმან  
საჭურველთა უხუცესმან დამკოდა. ვეზირმან მოახსენა:  
მოვიყვანოთ, გვარი ვჰკითხოთ და მას უკან მამკალით.  
ჯელმწიფემან უბძანა: ცუდსა ღონესა ეძებ, იგიც აქ არის,  
სიკვდილისათვის გამზადებული.

ვეზირი არ მოეშვა და მოიყვანეს. მისი ჩამაჯლობა  
ჰკითხეს. მან ეგრე უთხრა: ჩამაჯლობისა არა ვიცი რა. ესო-  
დენ ვიცი, დედამან<sup>123</sup> ჩემმან<sup>124</sup> ჯურღმულში გამზარდა და  
მეუბნებოდა: მამა შენი ჯელმწიფე არის. მე მამა არ მინა-  
ხავს. ერთსა დღესა ერთი ლომი მას ჯურღმულში ჩამოვარ-  
და. მე მან ლომმან<sup>125</sup> გარე გამაგდო. სპასალარმან მიპოვნა,  
მკურნალი დამაყენა და გამამთელა. მას უკანით თქვიენ გიძ-  
ღვნა ჩემი თავი. და აწე ეს მომიხდა. ნეტარ თუმცა მას  
დღეს ლომის ჭანგისაგან მრთელი არ დაგხსნილიყავ. ჯელ-  
მწიფემ მისგან მოხსენება გაიგონა, დაფიქრდა, სპასალარსა  
ჰკითხა: ესე მონა სად იშოვნე? მან მოახსენა: ერთსა დღე-  
სა სანადიროდ ვიყავ. ესე მონა ლომისაგან დანაყილი

419 ჯელმწიფე

420 გაბრუნებდა

421 ლომან

422 ჰემანი

423 დედამამა

424 ჩემან

425 ლომან

ვპლავი, მოვიყვანე. გავამთილე და თქვენ მოგართვი. ჭელ-  
მწიფემან იგი ყრმა გააშიშვლა<sup>426</sup>, ლომის ჭანგი ზედაჲ აჩ-  
ნდა. თქვა: ჩემი შვილი ყოფილა. ტახტზე დასვა. ჭელმწი-  
ფობა მას მისცა. ვეზირს წყრომის წილ წყალობა უყო. და  
მესამესა დღესა ჭელმწიფე მიწად გახდა.

აწ იმ ჭელმწიფისა არ იყოს, ვერას ცდით ღმრთის გან-  
გებელმა<sup>427</sup> ვერ მოშალა. მეც მასავით ვცდილობდი და არ  
იქნა. ბახთიარ მოხსენება გაათავა<sup>428</sup>. ჭელმწიფემ შენახვა  
მოინდომა. ათნივე ვეზირნი ადგნენ და მოახსენეს: თუცა  
ეგ დღესაც მორჩა, ჩვენ თქვენს წინა დგომის პირი არა  
გვაქვს. ერთი სჯობს, თუ ათიო?! ჭელმწიფემ უბძანა: თქვენ  
იცით, მე არ გავერევიო, რაც გიბდა უყავითო. ვეზირთა  
ბახთიარ გამოიყვანეს და ჯართა დასაძახებელსა ბუკსა  
ჰკრეს. ქალაქი მუნ შეიყარა. თამაშას შერებოდენ<sup>429</sup>. და ვე-  
ზირთა სიხარული ჰქონდათ.

მას დღეს ფარო-ხოსრო ჭელმწიფესთან მოვიდოდა.  
მეიდანზიდან ჯარის შეყრილობა ნახა. ახლოს მიდგა. ნახა,  
ბახთიარ დასარჩობლად მიჰყავთ. ფაროვ-ხოსრო მისის მო-  
ნებით შუა ჩაიჭრა და თქვა: მეც თავს წაჲგებ და არვის  
დაგანებებ. იასაულთ მრავალი მისცა, ერთსა საათსა<sup>430</sup> შე-  
ინახითო. თვით ჭელმწიფესთან მივიდა და მოახსენა: შენი  
სამართალი ქვეყანაზედ მოფენილა<sup>431</sup>. მოწყალება შენი ყო-  
ველსა მეპატრონესა შურს. ბახთიარ ეგეთი რა დააშავა?<sup>432</sup>  
თუც მტერმან და ქიშქმან შეგასმინა, შენ რად აჰყვები?  
ბახთიარ დიდგვარსა გავს, ცუდათ არ მოკვდების და არცა  
დიდებულთა შვილი ავსა არას იკადრებს. ჭელმწიფემან უბ-  
ძანა ფარო-ხოსროვს: ხან ამას უბნობ, ბახთიარ ჩემი შვი-  
ლი არის და ხან დიდებულთა შვილობას იტყვი. მართალი  
მაცნობე, როგორ არის ბახთიარის საქმე? ფარო-ხოსროვ  
მოახსენა: ერთსა დღესა მე და ჩემი მონანი ქირმანისა მინ-  
დორთა ჩოლში ვიარებოდით. ჯურღმული დაგვხვდა და  
მის ჯურღმულსა პირსა ესე ბახთიარ მცირე ყრმა იგდო ამა  
ზარბაბისა კაბასა შინა წახვეული (ის კაბაც მას დღესა ფარო-  
ხოსროს ტანს ეცვა). ცხენისაგან გარდავხე, ავიყვანე. ერ-

426 გაშიშვლა

427 ზნებელმა (გაუპართავია)

428 გათავა

429 შრებოდენ

430 სათსა

431 მონფენილა

432 დაშავა



თი ობოლი მარგალიტი<sup>433</sup> მკლავზედ ება. მე ვრთქვი: ესე ურმა ჯელმწიფისა ვისიმე შვილი არის.

ჯელმწიფეს თავისი საქმე მოაგონდა, ბძანა: ბახთიარ აქ მომგვარეთ. დიდებულთ უბძანა: ეს კაცი რომ უბნობს, ბახთიარ ჩემი შვილი არის. ბახთიარც შემოვიდა. ჯელმწიფე ატირდა და ზე აიჭრა, დავარდა, ღმერთსა თაყუანი სცა და შვილსა მოეხვია, კოცნა დაუწყუო. და ამას უბნობდა: ღმერთო, არ მადლი გკადრო, რომენ ჩემი შვილი ჩემის ჯელით არ მამაკლევინე?

ვეზირთა თავზარი დაეცათ. დაღონებულნი ღონეს რასმე ედებოდენ. ჯელმწიფემან ბახთიარს ჯელი მოჰკიდა, დედას მიგვარა და უანბო: ბახთიარ ჩვენი შვილი ყოფილა, ქირმანისა გზაზედან რომენ ღმერთსა შევედრეთ. შენ უბრალოდ მასმენდი. დედამაც აკოცა და სირცხვილეული ბოდიშს იხდიდა. მათთვის ის დღე იყო, რომენ იაკობ იოსებს შეეყარა<sup>434</sup>. ბახთიარ დედას მოახსენა: რა შეგცოდე ეგეთი, რომენ შვილის სისხლში ერეოდი და მე მომაყიფნე. დედა მღუღრად ატირდა და მოახსენა: მე რა მერგების, შვილო, ვეზირთა გიყვეს. ჯელმწიფემან შეცოდების წილ ტახტი და ჯელმწიფობა ბახთიარს დაულოცა. და თვით და ცოლი მისი ერთსა უალსა მთაში წავიდნენ. ღმერთსა მადლობდენ.

ბახთიარ ჯელმწიფობდა. მამისა ვეზირთა ათთავე თავი მოჰკვეთა. ვეზირობა ფარო-ხოსროვს მისცა. მათი ქცევა და სამართალი ქვეყანაზედ გაისმა. კეთილი...<sup>435</sup>.

<sup>433</sup> მარგალიტი

<sup>434</sup> შეყარა

<sup>435</sup> აქ ტექსტი წყდება. მომდევნო, დაკარგული გვერდი ამ სიტყვით იწყებოდა (იხ. დ. ქობიძე, „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, გვ. 237).

## II. ბახტიარ-ნამეჰ

ალექსანდრე სულხანაშვილისაჲმ ნათარგმანი

საარაულის ენისაჲან ქართულად!

უპატივემულენო მემამულენო ჩემო,  
მოწყალენო კელმწიფენო!

მიმოქცევამან სოფლისამან და ბუნებითმა მოვალეობამან ჩემმან, აღძრა რა ჩემ შორის სურვილი, შემდგომად დასრულებისა როსსიჯლისა ენისათა, მესწავლამცა სპარსული და თათრული ენანი, სასარგებლოდ საჭიროსა დროსა შინა მამულისა ჩემისა, და მითცა მომეპოვნა ღირსება ქონებად წინაშე თქვენსა რომლისამე მცირისა ადგილისა. ამცნოთს აღსასრულებელად ესრეთისა ჩემისა მოვალეობისა და სურვილისა ვპოვე ჩემდა მოძღვრად მცხოვრები ქალაქსა შინა ტფილისსა ჩინოფნიკი მირზა სადუყ<sup>2</sup> თუშმალოვი, რომელმანცა კეთილსულობისა და ერთგულობისამებრ თვისსა, მიიღო რა თხოვაჲ ჩემი, არა იშურეა წარგებად რაოდენისამე დროჲსა სწავებისათჳს ჩემისა, და მომდინარეობასა შინა ოთხისა წლისა ჰმყო მე მეგობრად ზემოხსენებულთა სპარსულის და თათრულის ენებთა.

ხოლო დროსა ერთსა ხსენებულმა მოძღვარმა ჩემმან ჰპოვა რა ჩემ შორის ნიჭი და ძალი წერისა წარწერილთა ენებთა ზედა, მიმიწვია, ვითარცა არს ჩვეულება მოძღვარმოწაფობისა, თარგმნად ერთისა სპარსულისა ლექსად თხზულის წიგნსა ფრად კარგისა და მარგალიტ-მფენისა. რომელსაცა ეწოდების ბ ა ხ ტ ი ა რ ნ ა მ ა (ესე იგი წიგნი ბედნიერობისა), და შეთხზულ არს ერთის მახმადინელისგან სახელით ფ ა ნ ა ჲ.

<sup>1</sup> სათური აქვს მხოლოდ B-ს ო

<sup>2</sup> A, B: სადუყ.

ამისთვის მეცა მიწოდებისამებრ მოძღვრისა ჩემისა მივიღებ რა ესრეთსა კაღნიერებასა, რათა მცირედი რამ ნაწილი ჩემის შრომისა განვაცხადო თარგმნითა ამა წიგნისათა და დავსდებ განსახილველად წინაშე თქვენთა არა თუ ეებიტა და თავმოწონებითა, არამედ კრძალვითა და დიდმოწიწებითა. უმორჩილესად ვითხოვ, უფალნო, მიიღოთ რა შრომაჲ, კეთილ-ინებოთ ამა თარგმნილისა წიგნისა ჩემისა განსწორებად და დაფარვად ყოვლისა ჩემისა ნაკლებულობისანი და მით არა მკეთ კიცხვაჲ<sup>3</sup>, ვინადგან ვარ მოსწავლე ახალი. და გარდა ამა პირველისა მიზეზისა მექმნა მე კვალად სხუაჲცა სამნი განმადღვიძებელნი მიზეზნი თარგმნისადმი ამა ხსენებულისა წიგნისა: ა) კაცი დამმალ-ველი ანუ, ცხადად ვსთქოთ, მპარავეი თვისისა სწავლისა მსგავს არს კაცისა მის, რომელმანცა მიიღო ერთი დრაჰკანი, წარვიდა და დაჰფლა ფარულად და უქმად ქვეყანად; ბ) სწავლა დაფარული მსგავს არს ბრილიანტისა ქონებულისა ჯერეთ ქერქსა შინა თვისსა\* და გ) რათა მექმნეს მე ესე სახსოვრად ანუ ძეგლად შორის თანასწორთა და მეგობართა ჩემთა მცოდნელთა მის ენებისათა.

ხოლო საყუარელნო მემამულენო ჩემნო, აღმომკითხველნო ამა წიგნისანო! აქა მიუცილებელ საჭიროდ დავსდე ჩემდა, რათა ამასთანავე განგიცხადოთ მიზეზი თვთ ხსენებულისა ფანაჲსაცა თუ რაჲ ყოფილა ამა წიგნისა ლექსად შეთხზვისათვის სპარსულსა ენასა ზედა.

მოწყალენო ჭელმწიფენო! ესე ხსენებული ფანაჲ პირველად თვისსა მამულსა შინა ყოფილა მოწაფედ ერთის ფრიად ზდილის და მეცნიერისა, რომლისა სახელი მაჰმადი, და ყოველთვის მისთვის უმსახურნია და მის საფარველს ქვეშე ყოფილა, და მიიღებდა ყოველ დღე მისგან ცნობასა და მეცნიერებასა. გარნა შემდგომად მიმოქცევისა გამო დროჲსა და სიყმაწვილისა გამო თვისისა მისდამი ღმრთისაგან მინიჭებულის დოვლათისაგან (ესე იგი მოძღვრისაგან თვისისა) და მამულისა განშორებულა და წარსრულა პირველად ქალაქს ვ ე ი ს ი ს ყ ა რ ა ნ ს ა, სადაცა მოუპოებია მხიარულებითი ცხოვრება და დამდგარა ერთსა წელსა. შემდ-

<sup>3</sup> B: კითხვაჲ.

\* ყოველი ბრილიანტი ვიდრემდის არსებობს ქერქსა შინა თვისსა, არა ექმნების უაღრესობაჲ ანუ ფასი შესაფერი შორის სხვათა მეტალთა. ანუ ჭეარათა, ვიდრემდის არა განირჩეს იგი მისგან.

გომად ამისა მიუღია რა კვალად წადილი გამგზავრებესათვის მაშადის ქალაქს, მოსულა ქალაქს ბაღდადს მისთვის, რომელ რათა ბაღდადისა ხალიფისაგან მოეპოვნა უმეტესი პატივი და შექმნილ იყო იგი ქონებისა მექონედ.

გარნა ვინადგან მისგანცა ვერა რაამე მოუპოვებეს ესრეთი პატივი და კეთილობაჲ, მორსრულა ქალაქის ქალაქს, სადაცა განუტარებია რაოდენიმე დროჲ კეთილად და განცხრომით და მოუპოვებამცა მუნ რაოდენიმე საყვარელნი მეგობარნი, და მათ რიცხვთაგან სამნი ქმანიცა, რომელნიცა მის ქალაქისა მშვენიერებანი ყოფილან და სახელები მათი: პირველისა — ქამალი, მეორისა — იოსებ და მესამესი — ამუქალანთარი, რომელთადმი ფრიადი მეგობრობაჲ და სიყუარული ჰქონია და უმეტესად იოსებისადმი ფრიად მშვენიერისა, რომელიცა თითქმის მშვენიერებთა და კეთილ-ქცეულობითა თვისითა წოდებულა მეორე იოსებად მის ქალაქისა.

და მას უთქვამს მის ხსენებულის ფანაქსათვის, რომელ მაქუს რა წიგნი ერთი, რომელიცა არს ათი თავი, და თვთო თავი იპყრობს თვის შორის თვთოსა დარიგებასა მოთხრობისა მსგავსად: პირველი თავი — ყოველი გამგი ქუეყნისა ჯერ არს რათა იყოს წინამხედველ; თავი მეორე — ყოველსა საქმესა შინა ჯერ არს ფიქრი; თავი მესამე — ყოველსა საქმესა შინა ჯერ არს მოთმინებაჲ; თავი მეოთხე — ყოველი მომთმინო მიიღებს მხიარულებასა; მეხუთე თავი — ჯერ არს კრძალულ ყოფად ცოდვათაგან; შვიქუსე თავი — არა ჯერ არს ჰრწმუნებად საქმისა, ვიდრემდის არა ნახოს საკუთრითა თვალითა; თავი მეშვიდე — ჯერ არს მიტევებად ცოდვისა; თავი მერვე — ჯერ არს განშორებად სიშურისაგან; თავი მეცხრე — ჯერ არს განშორებად ეშმაკობისა და მანქანობისაგან; და თავი მეათე — ღვთისა წერასა ანუ გამგებლობასა არა აქუს ხსნაჲ.

უთხოვნია მეგობრობისა გამო თვისისა მის ხსენებულის ფანაქსათვის, რათა ესე წიგნი ბახტიარნამა ისტორიულად შეთხზული, მიეღო შრომაჲ, შეეთხზა ლექსად სპარსულსა ენასა ზედა და მათი სახელები შესავალსა მის წიგნისა თვთო თვთოდ გამოეცხადებინა. ამისათვის ზემორე წარწერილს ფანაქსაც მიუღია რა მისი თხოვაჲ და

4 B: ქალაქის.

ვედრებაჲ, შეურაცხავს თვისდა შრომაჲ თვისი განსასვენებლად სულისა და შეუთხზავს წიგნი იგი ლექსად და მათიცა სახელები განუცხადებია.

აწ მეცა მიმხედველი ამისი, ზემორე წარწერილთ ჩემ მიერ მიზიზებთა გამო ვიწყებ თარგმნად ხსენებულის სპარსულის წიგნის ბახტიარ-ნამისას ლექსად თხზულისას ჩუკჭ-ს წელსა ღვინობის თვის იე-ს დღესა სახელითა და შეწვევითა ღვთისათა, რომელ არს ჯელმწიფე უკუდავი, ყოვლად მოწყალე, რომელმან დასხნა ვარსკულაფნი და მიმოაქცევს ჰაერსა, რომელმან თვისისა მიუწთომელის მეცნიერებითა ესრეთნი-ვრცელნი ცანი გარდაათხნა ვითარცა კარაფნი, უქმნა მათ მეფედ მნათობად მზეჲ, და დაადგინა მეოთხესა ცასა შინა ჯელმწიფედ, შვიდი კერძო ქუეყნისა ზღვითა და სმელითურთ მნათობენ ყოველნი მისის ნათლითა.

ვენერამ კალმისა აღმართა<sup>5</sup> რა დროშანი,  
ამღერდნენ ტურფად ვარდბულბულ შროშანნი,  
ოცდა ერთ სეზი მჯდომი ნარგიზოსანი,  
სთარგმნიდა ესრეთ სპარსულით ქართლოსანი.

ნივთთა არ ყოველთ გარნა პირთა ყოველთა,  
საჭირო ცნობა საკუთრება სახელთა,  
მიკ ალექსანდრე ბერძულად თქმული ძველთა,  
ქართულად მცველი მიწოდეს მომნათველელთა.

კაცთა ბუნების სის ძირიდგან ცენება,  
მრავალ ხარისხად წოდებით იხსენება,  
თავადთა, გლეხთა, აზნაურთ შთამოება,  
მეც აზნაური ს უ ლ ხ ა ნ ო ვ გვარად მომეწირება.

### დაწყება პირველისა თავის ისტორიისა<sup>6</sup>

ესრეთ უთქვამსთ წარსულთა მათ განსვენებულთ მოხუცთა, რომელ<sup>7</sup> სისტანის ქალაქსა შინა იყო ერთი ჩელმწიფე, რომლისა სახელი<sup>8</sup> აზატბახტი (ანუ განთავისუფ-

5 B: აღმართთა.

6 B: თავი პირველი — ყოველი გამგე ქუეყნისა ჳერ არს, რათა იყოს წინამხედველ.

7 B: რომელ] —

8 B: რომლისა სახელი] სახელით

ლებულის ბედისა<sup>9</sup>), მსგავსი მთვარისა, მფლობელი ქვეყნისა, დიდებული, სახელოვანი და საქმისა მცოდნე. ჰყვანდა უოველი მხედრობაჲ და ლაშქარი ბრძანებისა ქვეშე თვისისა, მეცნიერ იყო უოველითა სხვადასხვა ხელოვნებითა, და ჰყვანდა ათამდინ ვეზირნი, გარნა იყო მხოლოდ ბოროტისა მომხსენე<sup>10</sup>.

ესე ჯელმწიფე ერთსა დღესა, განვიდა რა მინდორსა სანადიროდ და შესაქცევად, იხილა შორიდგან, დროსა უკუნ-მოქცივისა თვისისა მის სანადიროდგან, მიჰქონდათ რა ერთსა გზასა ზედა ტახტრევანდი, რომელსა ზედაკა მჯდომარე იყო ერთი ქალი მთვარეს მსგავსი<sup>11</sup>. იკითხა: ვინ არს იგი საყვარელი? მოახსენა ერთმან, რომელ<sup>12</sup> არს იგი ქალი სეფეჰდარისა (ანუ მთავარმართებელისა). და მასვე წამსა შინა იქმნა<sup>13</sup> იგი მისის მუჟენიერებისა მოარშიყე, და ბრძანა მოყვანა მისი წინაშე თვისსა. მოახსენეს: ჰ ჯელმწიფეჲ! ქვეყნისა მფლობელო! ჯერ არს რათა ესრეთი თქუენი წადილი დაუტევოთ, ნუ ინებებთ, არა არს კეთილ მობრუნება მისი ამა გზასა ზედა. მას მოვიყვანთ ჩვენ თვთ თვისსა დროსა წინაშე თქვენსა<sup>14</sup>. გარნა ალატყდა რა შინაგან ჯელმწიფისა ცეცხლი მდომისა, ვერღა იძლო მოთმენად, არამედ ბრძანა განრისხებულმან სასტიკად<sup>15</sup> მოყვანაჲ მის მთვარეს მსგავსის ქალისა წინაშე თვისსა, რომელსაცა ექმნა გონება მოტაცებულ მისის სიყვარულითა<sup>16</sup>.

სცნა რა ესე ხსენებულმა<sup>17</sup> მამამან მისმან სეფეჰდარ-

<sup>9</sup> B: გამოსხნილი ბეღითა.

<sup>10</sup> B: სახელოვანი... მომხსენე] სახელოვანი, საქმისა მცოდნე, მეცნიერ სხვადასხვა ხელოვნებითა, მბრძანებელი მრავალთა მხედრობათა გარნა ბოროტ მომხსენე. მას ჰყვანდა ათამდინ ვეზირნი.

<sup>11</sup> B: თვისისა... მსგავსი] თვისისა, ერთსა გზასა ტახტრევანდი, რომელსა შინა მჯდომარე იყო ქალი ერთი მთვარეს მსგავსი.

<sup>12</sup> B: ერთმან რომელ] —

<sup>13</sup> B: იქმნა] + ჯელმწიფე.

<sup>14</sup> B: მოახსენეს... თქვენსა] ჰ ხელმწიფეო, ქვეყნის მფლობელო — მოახსენეს თანამხლებელთა — ჯერ არს, რათა ესრეთი თქუენი წადილი დაუტევოთ. არა არს კეთილ მობრუნება მისი. მას მოვიყვანთ ჩვენ თვისსა დროსა წინაშე თქვენსა.

<sup>15</sup> B: გარნა... სასტიკად] გარნა აღტყვევებულმან ცეცხლითა სიყვარულისათა ჯელმწიფემა ვერღა იძლო მოთმენა. ბრძანა ფრიად განრისხებულმან.

<sup>16</sup> B: რომელსაცა... სიყვარულითა] —

<sup>17</sup> B: ხსენებულმა] —

მან, შეექმნა გული აღრეულ მწუხარებითა, გარნა მოთმინება იყო მისი ნუგეში. ერთი ეპისტოლე ანუ წერილი წარუგზავნა მას ჯელმწიფეს, რომელ: მომხდარმა ვითარებამან მქმნა მე ფრიად მხიარულ<sup>18</sup> და საჭირომცა არს ჩემდა მადლობის მიძღვნა ღმრთისადმი, რომელ ქვეყნისა ჯელმწიფე მქმენით მე სიძიდ. ხოლო გულსა შინა თვისსა აქვნდა მტერობა და შურობაჲ. მეორე ეპისტოლე წარუგზავნა მხედრობისა მეუფროსესა და თვთ გულის მწუხარებით იწყო ტირილად, რომელ ჯელმწიფემან<sup>19</sup> მომაყენა მე უკადრისობაჲ და სირცხვილეულ მეო თუმცა ჯერ არს, რათა ესრეთი მტერობა<sup>20</sup> აღმოვიდო გულიდამ<sup>21</sup>, გარნა აწ ვეძებ სიკვდილსა თაჲისა ჩემისასა.

მოისმინეს რა ესე მხედრობათა ანუ ლაშქართა, ჰსთქვეს: ჩვენ თვთ მოვსულვართ მისგან უკანასკნელსა ცხოვრებასა და ვფიცამთ, ვითარცა ჯერ არს კაცთაგან, რომელ მას ჩვენ გარდმოვაგდებთ თვისს ტახტიდგან და შენ მის ტახტსა ზედა დაგსომთ, და ყოველნი ერთობით შეგწირაფთ სულსა შენთვს<sup>22</sup>. ესმა რა ესე სეფეჰედარს, უძღვნა მათ ხალათები და თეთრი.

შემდგომად ამისა ყოველნი შეიჭურვნენ რა<sup>23</sup> ბრძოლისა იარაღითა, ჰქმნეს ჯელმწიფისა სიკვდილისა პირობაჲ, და აღმოიღეს ხმალი თვისი<sup>24</sup>, ჰსცეს და სჭრეს თაჲი ჯელმწიფისა კაცთა. ხოლო<sup>25</sup> ესმა რა ესე ვითარებაჲ ჯელმწიფეს აზატბახტსა, იქმნა უმიგლო თვისს ქონებისა და მამულისაგან და გაიქცა თვისს მემცხედრითურთ გულმწუხარე და<sup>26</sup> ფრიად შეწუხებულ მინდვრად, სადაცა<sup>27</sup> მემცხედრე მისი იყო რა<sup>28</sup> ორსულ, დაწვა და<sup>29</sup> შვა ძე ფრიად მშვენიერი, რომელთაცა<sup>30</sup> წარახვიეს იგი<sup>31</sup> დიბასა და ფარპასა შინა.

18 B: ერთი... მხიარულ] მან წარუგზავნა ჯელმწიფესა მას ეპისტოლე ანუ წერილი. მომხდარმა მქონებელი ვითარებამან ამა ჰახრისა მქმნა მე ფრიად მხიარულ.

19 B: მეუფროსესა: ჯელმწიფემან] მეუფროსესა, აღწერილი გულის მწუხარებით და ტირილით ესრეთ ჯელმწიფემან.

20 B: შეურაცხება 2! B: აღმოვიდო გულიდამ] დავივიწყო.

22 B: რომელ... შენთვს] რომელ არა ვაყონებთ მას ტახტიდ ზედა თვისსა. მოგანიკებთ მისსა ადგილსა, შემოწირაფთ თვთ შენ ცხოვრებასა ჩვენსა.

23 B: რა]— 24 B: თვისი]— 25 B: ხოლო]— 26 B: გულმწუხარე და]— 27 B: სადაცა]— 28 B: იყო რა+მას ღროსა შინა 29B: დაწვა და]— 30 B: რომელთაცა 31 B: იგი]—

და ეტყოდა ჯელმწიფე თუსსა მიმცხედრესა, რომელ არს სამი დღე, რაჲცა მოვდივართ ამა მინდორსა უპურო დ უწყულო. აწ მაქვს მე სული მოსრული უკანასკნელსა საფ- შვინველსა, და ვართცა მიახლოებულ სამნივე სიკვდილსა. ამისთვის მოვიდ და დაუტივოთ ესე ჩჩვილი აქა საფარვე- ლსა ქვეშე ღმრთისასა, გარშამო შემოფინითა რაოდენისა- მე თეთრისათა<sup>32</sup>, და ჩვენ ვივლტოდეთ სხვა გზით სიმწრა- ფლით. ჰქმნეს რა მათ რჩევაჲ ესრეთსა საქმესა შინა თუსსა; წარვიდნენ<sup>33</sup> მუნიდგან და მივიდნენ<sup>34</sup> ქალაქს ქირმანამ- დინ<sup>35</sup> დიდის მწუხარებითა და გაჭირვებითა. ხოლო<sup>36</sup> ჰსცნა რა მის ქალაქისა<sup>37</sup> ჯელმწიფემ მათი მუნ მისვლაჲ, მოეგება ოქროთი და ვერცხლითა, მიიწვია ხსენებულსა ქალაქსა შინა თუსსა შესაფერის დიდის პატივითა და სამსახურიითა, რომელმანცა<sup>38</sup> ჰკითხა შემდგომად მას<sup>39</sup> ჯელმწიფეს აზატ- ბახტსა თუსი ვითარებაჲ.

ხოლო ოდეს მოისმინა<sup>40</sup> კითხული მისგან<sup>41</sup> მწუხარე- ბითი ვითარებაჲ<sup>42</sup>, ჰსცა მას ფრიადი ნუგეში და უთხრა, რომელ: შეგეწევით თქუენ ყოველსა შინა, იყავით მხოლოდ მხიარულობით, და გარწმუნებ, შ ჯელმწიფევე აზატბახტ, რომელ იქმნები კვალად ტახტსა ზედა<sup>43</sup> და შორის ხაზინი- სა თქუენისა მგდომარე. და შემდგომად ამისსა<sup>44</sup> მისცნა ქირმანის ქალაქის ჯელმწიფემ<sup>45</sup> მამაცნი მხედრობანი და გამომეგზავრა ხსენებული აზატბახტი სისტანის ქალაქისა- კენ. და რა მოვიდა კვალად ლაშქართა<sup>46</sup>, ვითარცა მთა, მაშინ იგი სეფედარი იქმნა წინაშე მისსა ვითარცა ბზე<sup>47</sup>. აღილო კვალად იგი ქალაქი, მოშთო სეფეჰედარი თუსის მევობრებითა და ვეზირებითურთ.

32 B: დაუტევოთ... თეთრისათა] დაუტევოთ ესე ჩჩვილი . საფარველ- სა ქვეშე ღმრთისასა, მახლობლად ამა... გარშამო რაოდენიმე თეთრი 33 B: ესრეთსა... წარვიდნენ] ესრე, ყრმაჲ იგი დაუტევეს და წარვიდნენ 34 B: მიიწვი- ნენ. 35B: ქირმა 36 B: ხოლო— 37 B: ქალისა 38 B: რომელმანცა] და

39 B შემდგომად მას]—

40 B: ხოლო... მოისმინა] მოისმინა რა

41 B: კითხული მისგან] —

42 B: ვითარებაქ] აზატბახტისა

43 B: ზედა] —

44 B: ამისსა] რომლისამესა წელსა

45 B: ქირმანის... ჯელმწიფემ] აზატბახტრო (A<sub>1</sub>: აზატბახტს)

46 B: და რა... ლაშქართა] —

47 B: ბზე] :არა-ა



ხოლო ქირმანისა ჯელმწიფისა წარუგზავნა ოქრო და მარგალიტი და თვით<sup>48</sup> დასჯდა<sup>49</sup> ტახტსა ზედა თვისსა მსიარულობით. გარნა ზემორეხსენებულის ძისა თვისისათვის იყო ფრიად მწუსარე, არა უწყოდა რა მისი ამბავი<sup>50</sup>.

#### მოსლვა ავაზაჰმთა წუაროსა ზედა და ხილვა ბაბინარისა

იყო რა ხსენებულის ჯელმწიფის აზატბახტის ძე მინდორსა შინა მწოლარე, ამასთან იყო მუნ გზაჰცა ავაზაკებთა, რომელნიცა მოიწივნენ რა მას აღვილსა, იხილეს ყრმაი იგი მწოლარე, და წინაშე მისსა დაფენილი ოქრო და მარგალიტი. მაშინ მათ ავაზაკთ უფროსი დაეცა და ემთხვია მას ყრმასა და ჰსთქო: განვიხარე მე ამა ყრმისათვის და შევიქმენ მხიარულ!

და უწოდა სახელი მას ყრმასა ხუდადად (ესე იგი ღმრთისა მიერ მოცემული)<sup>51</sup>. მოიყვანა რა იგი ქალაქსა, მისცა ერთსა მაწოვარსა გასაზღელად, და მისცა მას წინათ რაოდენიმეჲ სათაენოჲ<sup>52</sup>. ხოლო ოდეს მოვიდა სრულსა ასაკობასა შინა, მიაბარა იგი სასწაფლებელსა შინა და ერთი ჯელოვანი კაცი უჩინა მას მოძღვრად.

შემდგომად ამისსა იქმნა რა იგი უფროსი ავაზაკთა მამად მის ყრმისა, წარიყვანდის იგი ყოველთვის თავისთანა თვისისა მინდვრებსა და მთებსა შინა. გარნა ერთსა დღესა ქირმანის ქალაქისა ქარაფანი მოდიოდა სისტანისა ქალაქისკენ<sup>53</sup>. ჰსცნეს რა<sup>54</sup> ესე მათ<sup>55</sup> ავაზაკთ, გულის და სულის იქმნენ მის საქონელისადმი შემწირველნი, ესრეთ რომელ დაეცნენ მათ და ჰქმნეს ბრძოლა<sup>56</sup>. რომელნიცა უეცრათ იქ-

48 B: თვით —

49 B: დასჯდა + კვლად

50 B: ამბავი მისი

51 A<sub>1</sub>: ღმრთისაგან მონიკებული

52 A<sub>1</sub>: სათაენოი თეთრი

53 B: ქალაქისკენ ;+ შეჰყვენ

54 B: რე

55 A<sub>1</sub>: ამა

56 A<sub>1</sub> ავაზაკთ... ბრძოლი ავაზაკთა განიზრახეს გულით და სულით, დაეცნენ მწრაფლათ. შეიქმნა ბრძოლა.

მნენ ყოველნივე ჰშთავარდნილ ჯელთა შინა მის ქარვანის  
კაცთათა<sup>57</sup>.

იგი ხსენებული ყრმა წარიყვანეს რა ჯელმშეკრული წი-  
ნაშე ქარვანის უფროსისა, ყოველთა იწყეს წუხილი მისის  
საქმისათჳს. და რა იხილა მან ქარვანისა უფროსმან შო-  
რიდგან, რომელ მისის მშვენიერის პირისაგან გამოეცემო-  
და ნათელი, უთხრა მას: ჰ ყრმანო! არა გეკდიმებისა<sup>58</sup>,  
რომელ ესრეთი კაცი<sup>59</sup> ავაზაკებისა თანა ვითარსა საქმიე-  
ბსა შინა ხარ?!<sup>60</sup> უპასუხა მან ყრმამან: არა ვარ მე თავისუ-  
ფალ, და არცა რა უსწავებიეს მამასა ჩემსა გარდა ამისა  
საქმისა<sup>61</sup>. უთხრა ქარვანისა უფროსმან: მომე პირობაი ვი-  
თარცა შეენის კაცთა, რომელ დასდეგ<sup>62</sup> ჩემთან, და შეინანე  
ამა საქმებთაგან და განთავისუფლდები პურობილობისაგან  
შენისა, და არღარა ჰქმნა ნატვრაჲ ჩემგან წარსლვისა<sup>63</sup>.  
ყრმამან უპასუხა: გაძლევ შენ პირობასა, რომელ არღა შე-  
უდგე ესრეთსა საქმიეებსა.

და ესრეთ ყრმა იგი განთავისუფლდა მწუხარებისა და  
პურობილობისაგან თჳსისა, და იმყოფებოდა წინაშე მის  
ქარვანის უფროსისა მსგავსად ძისა<sup>64</sup>. ხოლო ოდეს ქარვანი  
იგი მოვიდა სისტანის ქალაქსა შინა, მაშინ წარიღეს ძღვე-  
ნი წინაშე ჯელმწიფისა მის ქალაქისა, და ხსენებული ყრმა-  
ცა თანა შეჰყუვა ქარვანისა უფროსსა ხალვათხანასა შინა<sup>65</sup>.  
გარნა ჯელმწიფემ აზატბახტმა განიცადა<sup>66</sup> რა მისი ყმაწვი-  
ლობაი და მშვენიერი პირი<sup>67</sup>, იქმნა მოწყულულ სულით და  
გულით მისის სიყვარულითა და იქმნა აგრეთვე მისგან  
ცნობილ. იხილა რა მისის მშვენიერის პირისა ნათელი<sup>68</sup>,  
უთხრა მას ქარვანისა უფროსსა, რომელ ესე უშვენიერესი

57 A<sub>1</sub>: რომელნიცა... კაცთათა] და უეცრათ ყოველნივე ყრმა იგი შეპყრო-  
ბილ იქმნა ქარვანის კაცთაგან.

58 B: გეკტიმებისა.

59 B: ესრეთ იკაცა.

60 A<sub>1</sub>: რომელ... ხარ] რომ ამგვარი კაცი იმყოფები (?) ავაზაკებოხნა.

61 A<sub>1</sub>: საქმისა] ავაზაკობისა.

62 A<sub>1</sub>: დასდეგები.

63 A<sub>1</sub>: და შეინანე... წარსლვისა] —

64 A<sub>1</sub>: შვილისა.

65 A<sub>1</sub>: ხალვათხანასა შინა] სასახლეში.

66 A<sub>1</sub>: განიცადა] ნახა.

67 A<sub>1</sub>: პირმშვენიერება.

68 A<sub>1</sub>: იქმნა... ნათელი] ფრიად შეეყვარდა.

მოსამსახურე სადა ჰშთაგვარდნია ბადესა? აწ მოვედ, მომ-  
ყიდე მე და მიიღე მისი ფასი ჩემგან, რომელ ვიწვი მაგის  
პირის მშვენიერებისაგან.

ესმა რა ესე მას ქარვანისა უფროსსა ჯელმწიფისაგან  
პასუხად, მაშინ სულითა და გულითა იწყებდა ოხვრასა, გა-  
რნა შემდგომად ჰსთქო: <sup>69</sup> უკეთუ არა მივცე მას საყვარე-  
ლი, მაშინ ჯელმწიფე მიმიღებს მას ჩემგან ელმობით <sup>70</sup> და  
ტანჯვით. ვინაიდგან არა მაქვს ადგილი ძალადობისა, მაშა  
არცა საკადრის არს ჩემდა აქა ქმნად რადმესი, გარნა მხო-  
ლოდ მორჩილებისა. და კვალად ჰსთქვა: ჩვენ ყველანი  
ვართ მისნი მოსამსახურენი. ჯელმწიფე მსგავს არს მთისა  
და ჩუენ მის წინაშე ვართ ვითარცა ბზეი <sup>71</sup>. და შემდგომად  
მან ქარვანისა უფროსმან მისცა იგი ყრმაჲ ჯელმწიფესა  
იძულებით, და თვთ ჯელმწიფემაც უბოძა მას ოქრო და  
ვერცხლი.

ამა ჯელმწიფემ <sup>72</sup> გამოსცადა იგი ყრმაჲ პირველად ყო-  
ველთა დიდთა საქმეებთა შინა გაგზავნითა, და კვალად გა-  
მოსცადა იგი ჰსჯულსა და ჰსჯულის დაცვასა შინა, რომელ  
არღა იყო წინარე მისთა მდგომარეთა კაცთა შორის მსგავ-  
სი. და შემდგომად ბრძანა ჯელმწიფემ ჩუქებად მისდა ხაზი-  
ნისა. და ესრეთ იქმნა იგი მსგავსად ფრინგლისა ბუდესა ში-  
ნა თვისსა წინაშე ჯელმწიფისა. ხოლო ერთსა დროსა უბრ-  
ძანა ჯელმწიფემ მას ყრმასა: # განთავისუფლებულო! რაჲ  
არს სახელი შენი? მოახსენა: ხუდადად (ესე იგი ღმრთისა  
მიერ მოცემული) <sup>73</sup>, გარნა ვინადგან <sup>74</sup> აწ ვარ მოსამსახურე  
თქუენი, უწყით თვთ, ჯელმწიფევე, იქმნების ჩემთვს ბედნი-  
ერებაჲ, რაიკა მეწოდების აწ მე თქუენგან სახელი. მაშინ  
ბრძანა ჯელმწიფემ: ვინადგან განგათავისუფლი მე შენ,  
ამისთვს გიწოდებ შენ ბახტიარ (ანუ ბედნიერად) <sup>75</sup>.

და ესრეთ მრავლითა საქმითა მოიპოვა მან ყრმამან  
ბახტიარმან უმაღლესი ხარისხი წინაშე ჯელმწიფისა თვისი-

69 A<sub>1</sub>: ჯელმწიფისაგან... ჰსთქო] ამოიხრა მძიმეთ, მაგრამ უთხრა თაის  
თაესა.

70 A<sub>1</sub>: ელმობით] ძალადობით.

71 A<sub>1</sub>: ჯელმწიფე... ბზეი] ჯელმწიფე არს უფალი და ჩვენ მონანი.

72 A<sub>1</sub>: ახატბახტმა.

73 A<sub>1</sub>: (ესე... მოცემული) —

74 A<sub>1</sub>: გარნა ვინადგან] მაგრამ რადგან.

75 A<sub>1</sub>: (ანუ ბედნიერად) —

სა, სოლო ვეზირნი იქმნენ შეპყრობილნი სევედითა, და იტყუოდნენ, რომელ ვინადგან ესე დაასლოვდა ესრეთ ჭელმწიფისა თანა ჩვენისა, მიუცილებლად განგვაშორებს<sup>76</sup> ჩვენ ჭელმწიფისაგან ჩვენისა<sup>77</sup>. გარნა შემდგომად ამისა ეცა საქმესა მის ყრმის ბახტიარისას ცუდი თვალი ვითარცა ზოპოლისა ვარსკვლავი\*. ესრეთ, რომელ მახლობლად მისის<sup>78</sup> ხაზინისა იდგა ერთი სახლი, რომელიცა იყო ხსენებული სოსროვ ჭელმწიფისა<sup>79</sup> ხალვათხანაჲ მშეენიერად დახატული და ფრიადცა<sup>80</sup> შემკული. შევიდა რა მას შინა მთვარეს მსგავსი ბახტიარი, იტყოდი, რომელ მას წამსა შინა იყო მისთვის განცხრომისა დღეჲ, შეიქცეოდა ყურებითა მის მხატვრობისათა. და რა იდგა მას სახლსა შინა ტახტი დაფენილი სხვადასხვა საფენითა და ქვეშაგებითა, გაფრინდა მისგან ბედნიერებაჲ, მოუვიდა რა მას მას ტახტსა ზედა მწრაფლიად და უეცრად ძილი, რომელ იგი სახლი იქმნა მისთვის მსაგვსად ამა საცთურისა სოფლისა და იგი უქცარი ძილი მსგავსად მათ კედელზედ დახატულის მხატვრობისა.

ესრეთ რომელ მოვიდა რა მემცხედრე<sup>81</sup> ჭელმწიფისა ხალვათხანასა შინა, იხილა იგი ბახტიარი მძინარე, რომელიცა ვერ იცნა, და სთქვა, რომელ ესე არს უთუგოდ მძინარე ჭელმწიფე ამა ტახტსა ზედა. და რა მიიწია მახლობლად მის მწოლარისადმი<sup>82</sup> უფიქრელად, მაშინ მასვე წამსა შემოვიდა მუნ უეცრად თვთ ჭელმწიფეცა. იხილა რა ესე ამა ჭელმწიფემ, განრისხდა და ბრძანა შეაკერა მის ყრმისა ტანჯვითა და ცემა ურიცხვი და შემდგომად წარგზავნა საპყრობილესა შინა, ვიდრე გამოძიებამდინ მის საქმისა. სოლო მემცხედრესა თვისსა უთხრა: მოვედ და მითხარ მე ჭეშმარიტებით, რომელ ესე გარდახდომილობაჲ ვისის მხარიდგან წარმოსდგა, და უკეთუ არა აღიარებ, მაშინ ვუბრძანებ ანთებასა ცეცხლისასა და დაგწომ მას შინა. და შემ-

76 A<sub>1</sub>: განგვაშორებს] შეგვაძლებს.

77 A<sub>1</sub>: ჭელმწიფისაგან ჩვენისა] ჭელმწიფეს.

\* ესე ზოპოლისა ვარსკვლავი არს უბედური ვარსკვლავი და ოდეს ვისმე დაუპირდავდება ანუ მას ზედა დაიბადება, იქმნება იგი უბედური

78 A<sub>1</sub>: მისის] ჭელმწიფის.

79 A<sub>1</sub>: ერთი... ჭელმწიფისა] —

80 A<sub>1</sub>: ფრიადცა] —

81 A<sub>1</sub>: ესრეთ... მემცხედრე] ამ დროს შემოვიდა ცოლი.

82 A<sub>1</sub>: მწოლარესა.

დგომად იგიცა წარგზავნა საპყრობილესავე შინა და ბრძანა გამოძიება მის საქმისა მეორესა დღესა.

განსთენდა რა, ესე ყოველივე უანბო თვსთა ვეზირთა, რომელ წუხანდელსა დამესა შინა შევექმენ მე აღმფოთებულ. გარნა<sup>83</sup> მოისმინეს რა მათ ვეზირთ ესე მის ჭელმწიფის აზატბახტისაგან, აღიმაღლეს სმად და შესჩივლეს, რომელ<sup>84</sup> მოსამსახურე იგი მიიჩნივეთ უმეტეს ჩვენსა, გარნა მადლობაა დმერთსა, რომელ თვთ თქუენ იხილეთ მისი ვითარება<sup>85</sup>, და კვალად რაოდენთამე თქვენთა მოსამსახურეთა მოუსმინიესთ, რომელ მას ჰქონია უბნობაი და მუსაიბობაი მას თანა<sup>86</sup>.

მაშინ ამა ესრეთის ვეზირთ პასუხისაგან უმეტესად განრისხდა და ბრძანა გამოუყვანა ბახტიარისა საპყრობილიდგან, რომელსაცა უთსრა შერისხვით: **ჟ ბოროტო და უკადრისო!** შენ შეგიყვარე უმეტეს სხვათა მეუფროსეთა ჩემთა, ყოველივე ხაზინაჲ და საუნჯე ჭელთა შინა შენთა იყო, შენ უმეტესად გიცან გონიერად სხვათა გონიერთაგან, გარნა შენ იქმენ გარეშე შენისა საზღვრისა და უმეცრებითა შენითა იქმენ ჰშთაფარდნილ ამა უბედურების ბადესა შინა. აწ ვუბრძანებ, რათა განგართხან შენ ფიცარსა ზედა და შემდგომად გაგაძრონ თავიდგან ტყავი, რომელ მით მიიღონ შიში სხვათა ხალსთა და არა იკადრონ სიარული გარეშე<sup>87</sup> სასახლისა ჩემისა.

#### მოხსენება ბახტიარისა მიერჲს

მაშინ ყრმამან მან ბახტიარმან მოახსენა ესრეთითა სახითა: **ჟ ჭელმწიფევე!** მე ამა ცოდვათაგან უცოდველ ვარ, ჩემმა წერამა დამიფინა გზასა ზედა ეკალი. არა ვუწყოდი, რომელ ესე იყო ადგილი თქუენი, უმეცრებითა ვარ პირშავი. გარნა ვინადგან ბედნიერება ჩემი განეშორა ჩემსა წერასა, მისთვის თვისისავე ფეხითა ჰშთაფარდა უბედურობის და ფათერაკის ბადესა შინა. და რა მოიწივა ჩემზედა წერაი

83 A<sub>1</sub>: გარნა]—

84 A<sub>1</sub>: რომელ]—

85 A<sub>1</sub>: ქცევაი

86 A<sub>1</sub>: მას თანა] თქვენ მეუღლესთან,

87 A<sub>1</sub>: მახლობლად.

88 A<sub>1</sub>: მოხსენება... მიერ]—

ღვთისა, არღარა იყო<sup>89</sup> ხსნაჲ ჩემი. † ჯელმწიფევე! ვითარცა მაგალითებრ, იქმნა ერთსა დროსა უკუნ მოქცეულ ბედი ერთის ფრიად მდიდრის ვაჭრისა<sup>90</sup>, მოგისმენიათა, ვითარ იქმნა ცხოვრებაჲ მის საწყლისა? აწ ბედიცა ჩემი იქმნა მსგავსად მისის ბედისა, და მისთვის გული ჩემი მწუხარები-თა არს მომშთვალნი.

უბრძანა ჯელმწიფემ: ვინ არს იგი ვაჭარი, თქვი, ვიდრემდის ვისმინო მე იგი, ვინადგან არს ჩემთვის ესე ახლად საგონებელი.

### მოთხრობა ერთსა ვაჭარსა ზედა ძვირად გამსქიდველისა

მოახსენა ბახტიარმან: † ჯელმწიფევე ყოვლად უმაღლესო! ეგოს უოველთვის მნათობად სანთელი თქუენის დიდებულობისა, რომელ ერთსა ქალაქსა შინა იყო ფრიად მდიდარი ვაჭარი, კეთილბედიანი და ჩინებული, ყოველივე აქუნდა მას გამზადებულ. გარნა ერთსა დროსა უთხრა მან თავსა თვისსა, რომელ კმა არს ჩემდა ესოდენი ქონებაჲ და ვაჭრობაჲცა შემდგომად ამისსა სხვადასხვა ადგილსა შინა არს უკანონო ჩემთვის, ვინადგან საგონებელ არს, რომელ გარდევცვალო მე უცხოსა ქუეყანასა შინა. ამისათვის ვიწყებ განსვენებად, ესრეთ რომელ ვიყიდი აქავ ყოველსა ნივთსა და განვყიდი და რაჲცა მექმნების მისგან სარგებლობაჲ, მას თავსა ჩემსა მოვახმარებ.

და ესრეთ ნახევართა თვისითა ქონებითა იყიდა ხორბალი და შეინახა მომლოდნელმან, ვიდრემდის იგი დაძვირდეს. გარნა მას წელსა წინააღმდეგ მოვიდა მრავალი მოსავალი ჰურისა, ხოლო იგი ვაჭარი უოველთვის თვისისა თეთრისა ზრუნვასა შინა იყო. და კვალად მომაჯალსაცა წელიწადსა იქმნა უმეტეს გარდამეტებულ პირველისა. მაშინ ერთმა ვინმე უთხრა და ურჩია მას ვაჭარსა, რომელ: † კაცთა უფროსო! ვინადგან არა გაქუს შენ ბედი ხორბალში, მოვედ განყიდე ამ წელ, ვითარცა ისყიდება და ესე დარიგებაჲ ამა უკანასკნელისაგან ისმინე უურადღებითა. გარნა ვაჭარმან მოსმინა რა მის კაცისაგან ესრეთი რჩევაჲ, მას წამს განამაგრნა უმეტეს კარებები ანბრებისა თვისისა. ხო-

<sup>89</sup> A<sub>1</sub>: შეუძლებელ იყო.

<sup>90</sup> A<sub>1</sub>: ვითარცა... ვაჭრისა მსგავსად ერთის მდიდრის ვაჭრისა, რომელსაცა ერთსა დროსა უკუნ ექცა ბედი.

ლო ოდეს მოვიდა რა ზამთარი და წვიმეები, მაშინ შთავი-  
და წვიმა მას ამბრებსა შინა და სრულებით დაულა და  
აუყროლდა, რომლისა მწუხარებისაგან გაყვითლდა პირით.  
სსენებული იგი ვაჭარი.

გარნა ამავე ვაჭარმან არა მიმხედველმან მის ზედა.  
კვალად დაშთენილიცა ნახევარი თვისისა ქონებისა მისცა  
ზარიან ფარჩასა და დიბასა შინა, ჰშთააწყო სომალდსა ში-  
ნა და გაემგზავრა ზღვით, სადაცა უბედურსა უეცრათ  
აღუდგა მძაფრი<sup>91</sup> ქარი, დაიმტკირა სომალდი იგი და ყოვე-  
ლი მისი მოსამსახურეები საქონლითურთ დაინთქნენ. მას  
შინა. და თვთ მხოლოდ შერჩა ერთსა ფიცარსა ზედა, რო-  
მელიცა მიჰქონდა ქარსა მტირალი ყოველსა მხარესა. და  
შემდგომად განვიდა იგი ერთსა ნაპირსა.

თუ მცა ესე ვაჭარი განვიდა ზღვით-  
გან, გარნა ვიხილოთ, ვითარ იქმნა მისი  
სსვადცა ვითარებაა.

ესე ვაჭარი, მოიწივა რა მუნ ზღვიდგან ერთსა ქალაქ-  
სა, იხილა<sup>92</sup> სსვად ერთი ვაჭარი და უანბო მას ყოველივე  
თვისი გარდასახედი და დანთქმა თვისისა ქონებისა და სა-  
ქონელისა. მოისმინა რა მან ვაჭარმან მისი ვითარება, წა-  
რიყუანა იგი სახლსა შინა თვისსა, რომელიცა იყო მახლო-  
ბელ მის გზისა და ჰსცა ნუგეში, რომელ უკეთუ დასდგები  
ჩემთან რაოდენსამე ხანსა, იქმნები კვალად ქონებისა მე-  
ქონე, ესრეთ რომელ მაქუს მე მრავალი ნახნავი<sup>93</sup> და მოგ-  
ცემ შენ უფროსობასა ჩემისა ნახნავისასა<sup>94</sup>, ვიდრემდის მო-  
იპოვო თავისა შენისა თვის რამე სათავენო. მაშინ იგი ვაჭ-  
რად<sup>95</sup> მყოფი ეთანხმა მას ვაჭარსა და იქმნა ზედამხედველ-  
საქმისა მის, რომელიცა წარგზავნიდა ყოველსა საქმესა და  
ადგილსა.

ხოლო დროსა მას ოდეს მოუვიდა მოსაჯალი ჰურისა  
პირველსა მას ვაჭარსა, მაშინ მან უმეცარმა ვაჭრად მყოფ-  
მა იფიქრა, რომელ მოდი<sup>96</sup> მოვიპარაჲ ამა მოსაჯლითგან  
რაოდენსამე, იქმნება არა მომცეს თვისსა დროსა ამა ვაჭარ-

91 A: მძაფრი.

92 B: ისმინა.

93 B: სახნავი.

94 B: სახნავისასა.

95 B: ვაჭარ.

96 B: მოვი.

მან ჩემდამი შესასვედრი ფასი სრულებით. და ესრეთ დამა-  
ლა თავისათვის თვისისა ხარბობით რაოდენიმე მოსაველით-  
გან სხენებულის მის ვაჭრისა. გარნა ოდეს მან ვაჭრად  
მყოფმან შეასრულა თავისი განწესებული დროჲ, მაშინ  
მისცა ვაჭარმან მან მას მეტობაჲ თვისი შესასვედრი ფასი.  
იხილა რა აქა მან ვაჭრად მყოფმან ესრეთი მოწყალება მის  
ვაჭრისა, უთხრა თავსა თვისსა: შეეცდი, რაჲ ვქმენ მე ესე.  
წარვალ და მას კვალად მივიტან წინაშე მის ვაჭრისა და ან  
რაჲ დავეუძალო მას.

გარნა მას ქამსა, რაჲცა სორბალი დაემალა, ენახა  
მოწოდგან ერთსა კაცსა, რომელიცა წარვიდა წინაშე მის  
ვაჭრისა და მოახსენა, რომელ თქუენის საქმისა მეუფროსე-  
მან დაგიმალათ თქუენ სორბალი. ესმა რა ესე მას ვაჭარს  
მის კაცისაგან, დაუძახა მას ვაჭრად მყოფსა და ესოდენი  
პსცა, რომელ ბევრისა კემისაგან აღევსო თვალები სისხ-  
ლითა. ვაატეტელა და მით განხადა ქალაქიდგან გარეთ.

ესე არს ქონებაჲ იგი ამა სოფლისა, შ მეგობარნო,  
რომელიცა დროსა იქმნების კაცთათვის მხიარულებად და  
დროსა მწუხარებად!

ესე ვაჭრად მყოფი შეწუხებული და სავსე მწუხარები-  
თა მიიქცა მუნიდგან მინდვრათ. და უეცრათ მიიწივა ერ-  
თსა ზღვისა ნაპირსა, სადაცა ნახა მან რაოდენიმე ღავეას-  
ნი\* და მაშინვე იცნა იგინი, ეყიდნა რა მათგან მრავალ გზის  
თვალი და მარგალიტი. მაშინ ჰკითხეს მას მიზეზი გაღარი-  
ბებისა თვისისა, რომელმანცა მოუთხრო მათ თვისი გარდა-  
სახელი. ხოლო შეიტყვეს რა მათ მისი მდგომარეობისა ვი-  
თარებაი, ყოველნივე მისთვის ერთობით შესწუხდნენ და  
უთხრეს, რომელ აწ ჩუენ არა რაჲმე გვაქვს, წარვალთ და  
მოვიტანთ შენთვის მარგალიტსა. შემდგომად ამისსა ჰშთა-  
ვიდნენ რა ზღვასა შინა, აღმოუტანეს ათი მარცვალი მშვე-  
ნიერი მარგალიტი და უთხრეს: წარვედ და განყიდე ეს  
შენთვის და შთაიცივი მდიდრული ტანისამოსი.

ოდესცა ხსენებული ვაჭრად მყოფი გამოეგზავრა მუ-  
ნიდგან გასასყიდლად მარგალიტთა, მაშინ შეუდგნენ მას  
ზურგით კერძო ორნი ავაზაკნი. გარნა იხილეს რა მათ მას  
ზედა დაბებკული ანუ ძველი ტანისამოსი, დაუტევეს იგი

\* ესე ღავეასი არს კაცი. რომელიცა ყოველთვის იღებს მარგალიტს  
ზღვიდგან.



და იმედიცა გარდიწყვიტეს ძის თახა რისამე ქონებისა. გარნა ვინადგან მისსა ბედსა უნდოდა მისდამი ძვირისა შემთხვევაი, ამისთვის შეუშალა მას საწყალობელსა გონებაი, ესრეთ რომელ, იფიქრა მან ვაჭრად მყოფმან: იქმნება ამა ავაზაკებთა მე უეცრათ გამჩსრიკონ და მარგალიტები აღმომართონ ჯიბიდამ. და ესრეთისა ფიქრისა შემდგომად რვა იგი მარგალიტი ჰშთაიდო პირსა შინა და ორი მათგანი გახუტევნა კვალად ჯიბესა შინა. გარნა უბედურებისა გამო თვისსა მოუვიდა რა მას უეცარი ცხვირის ცემაი, წარმოყარა პირიდან სრულებით იგი მარგალიტნი. იხილეს რა ესე მათ ავაზაკთა, მასვე წამსა შინა დაეცნენ მათ მარგალიტთა ზედა და მას ვაჭრად მყოფსა წარუჭირეს ყელში, სურდათ რათა დაეხრჩოთ, ნახეს რა იგი უკაცო.

და შემდგომად წარვიდნენ იგი ავაზაკნი ქალაქისკენ გასასყიდლად მათ მარგალიტთა. ამა გზითა მოდიოდა ერთიცა ქვევითი კაცი. იხილა იგი ვაჭრად მყოფი მუნ და ცემული მიწასა ზედა, მასვე წამსა აღიკიდა წხარსა ზედა თვისსა და მოიყვანა ქალაქს, ვიდრემდის თვთ ვაჭარიცა მოვიდა კვალად გონებასა ზედა თვისსა.

შემდგომად ამისსა იხილა რა მან ჯიბესა შინა თვისსა, რომელ იგი ორი დაშთენილი მარგალიტი აქვნდა<sup>97</sup> ესევე, მოვიდა გასავაჭრებლად წინაშე მარგალიტის მსყიდველისა, რომელსაცა იგი სხვა რვააცა მარგალიტი ეყიდნა ავაზაკთაგან. ესე ორიცა რა ნახა ამა ვაჭრად მყოფის ხელსა შინა, შესწამა ცილი და უთხრა, რომელ გპოფე შენ ქურდი ჩემი, თქვი, რაი უყავ სხვააცა იგი რვა მარგალიტი. და დაუწყო ფიცხელად<sup>98</sup> ცემაჲ ჯოხითა, რომელიცა განცვიფრებული ჰყვიროდა, რომელ რვა იგი მარგალიტი წარიღეს ავაზაკთა, ოდეს მომცვიდნენ მე და წამიჭირეს ქელი ყელში. მაშინ შეკრბენ მათ ზედა ყოველნი დიდნი და პატარანი.

ამა დროსა მოვიდა მუნ ერთი ზემორე სსენებული ღაფვაზთაგანიცა, რომელიცა მოსრულ იყო მას ბაზარსა შინა სავაჭროდ. ხოლო იხილა რა ვაჭარი იგი თაფგატეხილი და ორის<sup>99</sup> ქელით შეკრული, ჰკითხა: ვითარ ხარ? უპასუხა მან ვაჭრად მყოფმან: ბედი ჩენი იქმნა უბედურ, ესრეთ

<sup>97</sup> A, B: აქვნა.

<sup>98</sup> B: ფიცხელად.

<sup>99</sup> B: ორისა.

რომელ, მოცემულმან თქვენმან ათმა მარგალიტმა დამსო მე ესრეთისა უბედურობისა ისრისა ნიშნად. მოისმინა რა მან ღავევასმან ესე მის ვაჭრად მყოფისაგან, მასვე წამსა წარვიდა წინაშე ჯელმწიფისა, უძღვნა პირველად ლოცუაჲ, მოახსენა, რომელ: **ჟ** ჯელმწიფე! თქუენ ხართ უფროსი და დავრდომილისა თქუენ ხართ ჯელისადმპურობელი. და ამისთჳს ქვეყნისა ჯელმწიფენი არიან შაჰისიგვარად წოდებულნი, რომელ ჯელი შევიწროებისა და უსამართლოობისა ჯერ არს, რათა აღკვეთონ. და შემდგომად ამისსა მოახსენა ვითარებაი მის ვაჭრად მყოფისა.

მაშინ ბრძანა მოუყანა მის მარგალიტის მსყიდველისა, რომელსაცა ესოდენი სკეს ჯოხი, ვიდრემდის აღიარებდა იგი თჳსსა საქმესა. და რა იხილა ჯელმწიფემ მისი ეშმაკობაი და თვალთმაქცობაი, მასვე ქამსა უბრძანა მისი სიკვდილი, ყოველივე ქონებაჲ მისი მისცა მას ვაჭრად მყოფსა და დასო მის ადგილსა ზედა, რომელსაცა მიაბარა სხვაჲცა ხაზინა და საუნჯე. და ესრეთ ამა ქონებამან თუმცა პქმნა იგი თავისუფალ მწუხარებისაგან, გარნა შეექმნა მას შემდგომად იგი ქონებაი მკველელად, ესრეთ რომელ ამა ჯელმწიფესა ჰყუანდა მსგავსი მთვარისა ქალი ერთი, რომლისაცა სახლისა კედელი იყო კედელი ცალის მხრისა ხაზინისა მისისა.

და ვითარცა უკუნ-იქცა ბედნიერება მის ვაჭრისა და გამოვიდა წინაშე მისსა ვარსკულაფი ზოჰლისა, მაშინ კლიტე მის ხაზინის სახლისა იხილა გაბრუნდებულ. დასვა იგი კედელზედ და დაუწყო სწორება, რომელიცა იქმნა უეცრათ განქცეულ, რომლისა გამო იქმნა იგი ვაჭრად მყოფი შეკრთომილ და ოხვრიდა. საგონებელ არს, რომელ ოდეს შეიქმნება კაცი უბედურ, მაშინ იწყებს მჭედლობასა ტალახისა გრდემლსა ზედა. ხოლო მოიტანა რა ტალახი, ჰსწადდა ამოქოლვა მისი. იხილა იგი ერთმა ჯელმწიფისა მოსამსახურეთაგანმან და მასვე წამსა შინა მოახსენა ჯელმწიფეს: **ჟ** ქვეყნისა მპყრობელო, ამა და ამ კაცმან განაქცივა კედელი სახლისა თქუენისა და ყოველსა საათსა სჭვრეტს მუნიდგან მშვენიერსა ქალბატონსა.

ესმა რა ესე ჯელმწიფეს, აღსდგა თჳთ და მივიდა და ნახა იგი ვითარებაი ჭეშმარიტებით. მაშინ უბრძანა ვაჭრად მყოფსა: ვინადგან გაქვს შენ ჯელი ტალახიანი, ამისთჳს სა-

ჭირო არს შენთვის განხურვებულისა სურმისა გამოსმა თვალებში. და ბრძანამცა გამოსმა მისი. ხოლო იგი ვაჭრად მყოფი ტიროდა და იტყოდა გულმტკივნეულობით: # ჭელმწიფევე! ვგონებდი, რომელ განმმეგობრდა მე დოვლათა, ვინადგან მოვიდა იგი კვალად მწრაფობით ჩემდა, გარნა ვერა ვცან მე უბედურმა, რომელ მოვიდა იგი ჩემდა დასანთხეველად სისხლისა ჩემისა. თუმცა ქონებაჲ ათსა დღესა კეთილ არს, გარნა ბოლო მისი დაუდგრომელ არს. ამას რა იტყოდა იგი უბედური კვნესითა და ვაიებითა, მაშინ განუტევა სული და მოკვდა. ესრეთ არს ვითარებაი მის უბედურისა, რომელიცა თვთ, ჭელმწიფევე აზატბახტ, უწყით კეთილად.

მოისმინა რა ესე მოთხრობაი მის ვაჭრისა ძვირად გამსყიდველისა სრულებით ბახტიარისაგან, განიხედა გარეთ და იხილა ფერი ღამისა. მაშინ წარგზავნა იგი კვალად საპურობილესა და ბრძანა, რომელ არა შეენის უდროვით მოკვლაი კაცისა, არამედ განთიად რა აღატყდების ჩემს შორის ცეცხლი მრისხანებისა, მაშინ დაეწვამ საუკუნოდ სიცოცხლისა მისსა ვარსკვლავსა<sup>100</sup>.

#### მოახანება ბახტიარისა ნიერ

ოდეს აღმოვიდა მზეი თვისისა სხივებითა თვისსა ღორიზონტსა ზედა და მოჰკეეტა თავი სიბნელესა, გარდათხმულსა პირსა ზედ ქვეყანისასა, თვისს მნათობობის ხმალითა (ესე იგი ოდეს განსთენდა და აღმოვიდა მზეი), მაშინ მოახსენა ბახტიარმა: # ჭელმწიფევე ქვეყნისაო! ეგოს ყოველთვის გული თქვენი მხარულ. ჯერ არს გონიერთა კაცთათვის მოთმინებაი, ვინაჲდგან მოუთმენელობა წარმოადგენს შენანებასა, ესრეთ რომელ კაცისა მოსწრაფის საქმისა საფუძველი მწრაფლ იქმნების აღმოფხვრილ, მსგავსად ერთის ვაჭრისა, რომელსაცა უკეთუ ექმნა მოთმინებაჲ, მაშინ იგი არა შეინანებდა საქმისაგან თვისისა.

უბრძანა ჭელმწიფემ: ვინ არს იგი ვაჭარი, თქვი, ვიდრემდის ვისმინო მე იგი, ვინადგან არს ჩემთვის პირველ საგონებელი.

100 (ი.არგმანში გამორჩენილია „მოსვლა მეორისა ვაზირისა“).

ხსენებულმა ბასტიარმან ალალო რა პირველად ლოცვაი წინაშე ჯელმწიფისა, მოახსენა, რომელ: მაქვს მე მოთხრობაი ვრცელი, რომელიცა მომისმენიეს მე იგი მოხუცებულთაგან, რომელ, იყო კაცი მშვენიერი და პატიოსანი, რომელსაცა აქვნდა მოსავალი მრავალი მამულებთა და ქვეყანისაგან. იდგა ერთსა ქალაქისა კუთხესა შინა განსვენებით და ყოველივე აქვნდა მას მზათ, გარნა არა ჰყვანდა მას ძეი.

ხოლო მას დროსა, ოდეს მემცხედრე მისი დაორსულდებოდა, იყო იგი სხვასა ქვეყანასა შინა სხვათა თანა ქარავანთა, რომელიცა მოვიდა რა სავაჭროდ ერთსა ქალაქსა სასყიდლად ფარჩათა და დიბათა, ისურვა ნახვიი მის ქალაქის ჯელმწიფისა. მაშინ ჰქმნა რა მან ძღვენი კეთილი, მიართო ჯელმწიფეს მას და მოახსენა: **ჴ** ჯელმწიფეე! ეგოს ყოველთვის ბედნიერობაი თქუენი საუკუნოდ და თქუენისა მამულიდგან აღიფხვრას ძირი მტერთა თქუენტა. მოისმინა რა ამა ჯელმწიფემ მისგან ესე რაოდენიმიე ლექსი კეთილპასუხოვანი, იხილა იგი გონიერ კაცად და ბრძანა ჩუქება მისდა. ხალათისა, და მასთან უბრძანა მას, რომელ იყავ ჩემსა წინაშე, ვინადგან ხარ კაცი მართალი, და უკითულა წარხვალ ჩემგან ფარულად, მაშინ იქმნები თვთ სისხლისა თავისა შენისა დამთხვეელი.

ოდესცა იქმნა ესრეთ საქმე მის ვაჭრისა, მისწერა წერილი თვსსა მემცხედრეს, რომელ მე ქვეყნისა ჯელმწიფემ მქმნა მე თვსდა წინა კაცად და ვარ ამასთან ყოველთვს განუშორებლივ, და ვითარ ხარ შენ, არა ვუწყვი, რომლითა ვარ მე დიდად შეწუხებულ. მიუცილებლივ, მიუცილებლივ და კვალად მიუცილებლივ მაცნობე მე დაუყოვნებლივ შენი ამბავი.

ხოლო დედაკაცმან მან ჰსცნა რა მის წერილით ვითარებაი თვსისა ქმრისა, ემთხვია მასვე წამსა მხიარულისა პირითა, მისწერა პასუხი და ახარა, რომელ მოგვანიჭა ჩვენ ღმერთმან ორი ძეი, მსგავსნი მთვარისა. წარიკითხა რა მან ვაჭარმან ესე ხარებისა წერილი, იქმნა გულატაცებულ მათ ძეთა თვსთა სიყვარულითა, და სთხოვა ჯელმწიფეს ნებაი წარსულისა, გარნა არა სცა ნებაი. და ესრეთითა სახითა განვლო რა კვალად შემდგომად ამისსა ათი წელი, მისწერა

მეორეთ მემცხედრესა თუსსა წრილი, რომელ ვარ მე თუმცა ნატვრასა შინა ნახვისა ძეთა ჩემთასა, გარნა ვინადგან არს ჩემს ზედა ესრეთი ფრიადი მოწყალეობაი ჩემისა ქელმწიფისა, ამისთჳს აწ არღა ჯერ არს ჩემდა ლატევიებად ამისსა და ბედნიერებისა ჩემისა. აწ შენ ძეებითა თუსითა მიუცილებლივ გამოემგზავრე ჩემკენ. გარნა შემდგომად ამა ესრეთისა წერილის მიწერისა, ექმნა მას ვაჭარსა ერთსა დღისა ქელმწიფისა თანა თუსისა უბნობაი განშორებასა ზედა თუსსა სახლობისაგან თუსისა, რომელმანცა მოახსენა: **ჰ** ქელმწიფევ! ათი წელი არს, რაჲცა ამა საწყალსა არა მინახავს ძენი ჩემნი. და ესრეთ რომელსაცა მამასა ჰქონია მწუხარებაი ძეთა, იქმნების მისთჳს მსგავსი შხამისა, უკეთუ იყოსმცა პირსა შინა მისსა შაქარი. თუმცა წარმიგზავნიეს წერილი, რათა იგინი მოვიდნენ აქა, გარნა არა ვუწყვი, რაი არს მიზეზი ესრეთისა მათისა დაგვიანებისა. უკეთუ, ქელმწიფევ, მოიღებღე წყალობასა, წარვალ მე ესე საწყალი და კვალად მწრაფლიად უკუნევი მოვიქცევი.

და ვინადგან მან ვაჭარმან ჰფიცა წინაშე ქელმწიფისა, მაშინ მანცა ჰსცა მას ნებაი. შემდგომად ესრეთისა ნებისა მიცემისა, გამოემგზავრა იგი ვაჭარი ქალაქისაკენ თუსისა. და მემცხედრეცა მისი მოემზადა თუსის მხრით, რათა იგიცა გამოემგზავრებულიყო<sup>101</sup> აგრეთვე თუსის ქალაქიდან. გარნა ამა ორთა ქალაქთა შუა იყო გამოსასვლელი ერთი ზღვაი. მოვიდა რა იგი ვაჭარი მას ზღვასა, შეიქმნა მწუხრი და შევიდა მას სომალღსა შინა და მით გამოვიდა მეორესა მხარესა.

მაშინ მოვიდა მეგვიე და უთხრა მას, რომელ: **ჰ** ძმაო! აქა არს გუნდი ავაზაკთა, რომელნიცა თეთრისათჳს ჰსჭრიან თავსა კაცთა, რომელ არაჲინ უწყყენ სვალინდელისა დღისა საქმი. ნუ დაიძინებ, არამედ იყავ მღვიძარე. რათა არა მოვიდნენ და წარგიტაცონ<sup>102</sup> ქუდი ეგე ბედნიერებისა.

მასჲე დღესა მემცხედრემაცა მისმა თუსის ორის ძითა დაუტყვენა მამული და სახლი თუსი და მოვიდა მასჲე ღამესა მის ზღვისა ნაპირსა, თუთ ვითა მთვარე და ძენი მისნი ვითა ვარსაულაენი. მაშინ უთხრა დედააკვამან მან ძეთა თუსთა, რომელ: იქმნება ამ ღამევე განემგზავროს სომალდი

101 A: გამოემგზავრებუიყო.

102 A: წარკტაუნ.

და ჩვენ აქა ღაღორჩეთ. რადგან ვდგევართ გზაზე, ჯერ არს, რათა განვემგზავრნეთცა მწრაფლიად. თქუენ ორნივე იყავით ამა ზღვისა ნაპირსა, და რა მიდიოდეს ხომალდი, მოდით ჩემთან.

მაშინ იგი ყრმანი დადიოდნენ ზღვისა ნაპირსა თამაშობით და შექცევით. ხოლო მამასა მათსა ხსენებულს ვაჭარსა აქენდა რა თავქვეშ ამოდებული ერთის ქისით ფული, ესმა მძინარეს ხმა მათ ყრმათა ზღვის პირიდგან. ავაზაკთ შიშისაგან და ფიქრისა წამოხტა ძილისაგან ვითა დამთხვეული და ქისა იგი ფულითა ჰშთაუვარდა წყალსა შინა.

მაშინ შეჰყვირა მან ვაჭარმან, რომელ: ერთი ქისა თერთი წარიღეს ავაზაკთა. ესმა რა მათ ყრმათა ესრეთი მისი ყვირილი, გაიქცნენ, გარნა შეიპყრეს იგინი და შეუკრეს ხელები და მოიყვანეს წინაშე მის ვაჭრისა, რომელმანცა არა იცოდა, რომელ იყვნენ იგინი ძენი მისნი. ჰსცა მათ მრავალი ჯოხნი ზურგსა ზედა და ეუბნებოდა: მომეცით მე ჩემი ერთი ქისა ფული. ხოლო იგი ყრმანი ეუბნებოდნენ: ჰ ვაჭარო! ვინადგან ხარ შენ მახმადინელი, გრცხვენოდეს ღვთისაგან. რომელ არცა ვართ ჩვენ ქურდნი, და არცა გვაქვს ჩვენ შენი თეთრი და ამაზედ თვთ ღმერთი არს ჩვენი მოწამე. გარნა იგი ვაჭარი კვალად განუმეორებდა მათ და ეტყოდა, რომელ უკეთუ არ მომკემთ ჩემსა თეთრსა, მაშინ ჰშთაგყრით თქუენ ზღვასა შინა. და შემდგომად მაინც მან უმეცარმან მოუთმენილობითა და მრისხანობითა თვისითა ჰშთაყარნა იგინი ორნივე ზღვასა შინა.

გარნა ეინადგან იგინი იყვნენ უცოდველნი მას საქმესა შინა. ამისთვის მათ ორთავე მოხვდათ ხელში ფიცარი, რომელნიცა მასვე წამსა შინა შესხდნენ მას ზედა, განშორდნენ ერთმანეთსა და წარვიდნენ. ხოლო დედასა მათსა მას ღამესა გათენებამდინ ეჭირა თვალი გზასა ზედა მოსკლისა მათისა, განა გათენდა რა და ერთიცა მათგანი არღა მოვიდა, იგრძნო მასვე წამსვე მათი დაკარგვაი და იწყო ტირილად, რომელსა თვალებიდამ ჰშთამოსდიოდნენ პირსა ზედა ცრემლნი სისხლის ფერნი. და სრბოდა ყოველსა მხარესა შორის ქარვანთა, ჰკითხვიდა ამბავთა და შემდგომად ჰკითხა ამბავი მეზომალდესაცა, რომლისაგანცა ჰსცნა რა მათი ვითარებაი, დაიგლეჯდა ტანისამოსთა, ჰსთხრიდა მიწასა და იყრცადა თავსა ზედა და ფრჩხილებითა დაიგლე-

ჯდა კანსა პირისასა და თმასა, და ესრეთ იტყოდა: მე ვარ შეწუხებული იგი, რომელმანცა დავეარგნე შვილნი. იაკობ მამადმთავარსა დავეარგა ერთი მხოლოდ იოსებ, და მე ორი ძეი მსგავსნი იოსებისსა დამეკარგნენ. არ ენახა იგინი მამასა თუსსა ათი წელი, გარნა მხოლოდ მოესმინა მათი ამბავი, და აწ მიმეყვანდა რა იგინი მრავლითა ნებიერობითა და ნაზობითა წინაშე მამისა თუსისა, რაი ექმნალა? გამიფრინდნენ რა ხელიდამ, დამეხოცნენ და ვერღა იხილეს მამაი თუსი.

შემდგომად ამისსა, იხილა რა მან ვაჭარმან ცოლი თუსი, მასვე წამსა შინა იცნა და ტირილით თავსა თუსსა შთაიგდებდა მიწასა შინა და იტყოდა, რომელ თვალნი ჩემნნი აღმოვიტხარნე ჩემის ქელით, ჰშთაფეარნე რა მე იგინი ზღვასა შინა. და აწ ვცან, რომელ ვისაც მხოლოდ არა აქვს გული მოთმინებისა, გასწევს ესრეთსა მწუხარებასა და ნაკლებულობასა. ამისთუს, ზ მეგობარნო, არს საჭირო ყოველსა საქმესა შინა მოთმინებაი, რომელ მოთმინებაი და საქმისა მიღება მადლობით მოიტანს სულისა სარგებლობასა, და რომელსაცა არა აქვენ ესენი, მაშინ იგი სიტყვისამებრ უფლისა არს უსულო და ურწმუნო.

ხოლო იგი ხსენებულნი ყრმანი, რომელნიცა ერთმანეთსა ზღვასა შინა განშორდნენ, იხილეს ერთმან კრებამან დავევაზთამან ორთა მათ ძმათაგან ერთი, რომელთა მსთქვეს, რომელ: ჩვენ ესოდენ დაუღვივართ ამა ზღვასა შინა და არა გვინახავს მსგავსი ამა მარგალიტისა. და ესე ჩვენთს არს მსგავსი ეგიპტის მშვენიერის იოსებისსა და მშვენიერებაცა ამისი კმა არს ჩვენდა.

და ძმაიცა იგი მეორე, ფიცარსა ზედა მჯდომარე, განაგდო ტალღამან ზღვისამან ნაპირსა, გარნა ვინადგან უპლოდა მას ბედნიერებაი, იყო მის ადგილისა მახლობლად მდებარე ერთი ქალაქი, რომლისა ქელმწიფე გამოვიდა რა მას ადგილსა სასიეროდ და შესაქცევად, მასვე წამსა შინა იხილა იგი ერთმან წინა კაცთაგანმან მის ქელმწიფისამან და მოიყვანა წინაშე ქვეყნის მპყრობელის ქელმწიფისა. განიცადა რა იგი მშვენიერპიროვანი ქელმწიფემ, მასვე წამსა შინა იქმნა მისი მოარშიყე და ჰკითხა მას ამბავი თუსი.

ხოლო იქმნა რა ცნობილ მისის ვითარებისაგან, ინება შეილყოფად მისი თუსდა. გარნა ჰკითხა ვეზირთა თუსთა, რომელ თქუენ ვითარ ჰქვით. მაშინ მოასხენეს ყოველთა

ერთობით, რომელ თქუენ უწყით, და რომელსაცა თქუენ კეთილდინებებთ შვილებად თვსდამი, ჩვენ ყოვლის სულით და გულით მისდამი ვიქმნებით მორჩილ, ვითარცა მონა, და ვიქმნებითცა თავმომწონო ესრეთის ბედნიერებითა. ოდეს ჯელმწიფემ მოისმინა მათგან ესრეთი მხიარულობითი პასუხი, მაშინ უბრძანა მიცემად მის ყრმისადმი სალათისა, ტანისამოსისა, და ცხენისა, ქუდი ჯელმწიფობისა და სდვა თავსა ზედა მის ყრმისასა, შეაცო თითსა ზედა ბეჭედი ხელმწიფობისა და დასვა ტახტსა ზედა თვსსა. და ესე საქმე აყო გამგებელობითა ღვთისათა.

განხდა ხმა ესრეთისა საქმისა ქალაქთა და უბანთა ზედა, სადაცა იქმნა კერა დაფათა და მხიარულობისა საკრავთა, რომელ: ჯელმწიფესა ჩვენსა ჰყოლია რა ძე ერთი, ფარულად დასვა იგი ტახტსა ზედა ნატერისასა, იქმენით ყოველნი გულმხიარულ მისის კეთილმსაჯულობითა, და იქმენით განთავისუფლებულ მწუსარებისაგან. და რა იქმნა ესე ყრმა ჯელმწიფედ, შემდგომად მისსა გარდიცვალა მამაცა მისი ხსენებული ჯელმწიფე.

ესრეთ არს გამგებელობაი ღვთისა, რომელ ოდესმე გლები იგი საწყალი იქმნების ჯელმწიფედ და ოდესმე თვთ ჯელმწიფე მიიქცევის უმდაბლესსა ხარისხსა.

აქა მოისმინეთ მის მეორე ძმისაცა მოთხრობაი: ჰშთაყარნა რა ქენი თვსნი მამამან<sup>103</sup>, ვითარცა ზემოცა მოგვისხენებიეს, ზღვასა შინა, იყო ყოველთვს გული მისი განშორებისა გამო მათისა მწუსარი, რომელმანცა ერთსა დროსა უთხრა მეცხედრესა თვსსა, რომელ ჩავსხდეთ რა ამა ხომალდსა შინა, იქმნება ვიპოვნოთ იგინი მკვდარნი, შეუკეროთ მათ სუდარა და მიფაბაროთ მიწასა, და გულიცა ჩვენი ერთგვის ვქმნათ განთავისუფლებულ ამა მწუსარებისაგან.

ოდეს ჰშთასხდნენ იგინი კეთილისა და ჰქმმარცისა გულითა, შეწუხებული და გულმტკივნეული<sup>104</sup>, მოიწივნენ ზღვის პირიდგან ერთსა ქალაქსა და ნახა შორის ერთთა შეკრებულთა მოსამსახურეთა ყრმაცა იგი, რომელნიცა იყვნენ მის წინაშე ვითარცა ფარვანანი და თვთ ყრმაი, ვითარცა სანთელი. და იქმნა მისდამი ცნობილ მცირედ მამობრივისა თვსის სიყვარულითა, რომლისა გული განშო-

<sup>103</sup> B: მ:მ:ნ:

<sup>104</sup> A: გაღმტკივნეული.



რებისა მისის სიბნელისაგან განშორდა. აგრევე მან ქემაცა იხილა რა მამა თვისი, იქმნა ალტაცებულ გულითა. მაშინ უთხრა მამამან მის ძისა თვისისა უფროსსა, რომელ მომყიდე, **ჟ** უფროსო, ესე ძვირფასი თვალი, ვინადგან ვიქმენ ამა ყულისა შენისა ზედა უურებისაგან მოტაცებულ გულითა. მომყიდე მე ეგე და მიიღე ჩემგან სასყიდელი მისი. და ოდეს რა იყიდა იგი, ჰკითხა მას ერთსა დღესა თვისი ვითარებაი, რომელმანცა ესრეთითა ჰელოვნებითა უანბო მას, რომელ მასვე წამსა შინა ეცნო, მოაგონდა რა წარსული ვითარებაი იგი, ოდეს იყო ზღვასა ზედა. მუნიდგან წარიყუანა იგი დედასთან, რომელმანცა იხილა რა იგი მშვენიერპიროვანი, დაეცა პირსა ზედა მისსა და იწყო ტირილი და ტყუბა და ეუბნებოდა: **ჟ** სიცოცხლისა დედისა შენისა ნეტარებაო! მოგვითხარ ვითარებაი ძმისა შენისა.

უპასუხა ძემან: არა ვუწყე, რა იქმნა იგი. წყალსა შინა იქმნა იგი განშორებულ ჩემგან. გარნა იხილეს რა პირი ძისა თვისისა მამა და დედამან, შესწირეს ღმერთისადმი დადება და ჰსთქეეს, რომელ ვინათგან ღმერთმან მოგვანძა ესე ერთი მაინცა, ამისთჳს ვიქმნედ კვალად მხიარულ. და იგი ვაჭარი ხედამდა რა ძესა თვისსა, უვლიდა და თითქმის თავსა ევლებოდა<sup>105</sup>. ერთსა წამსა ვერ განეძლო უიმისოდ და სადაცა წარვიდოდა, წარიყუანდა მას თავსა თანა თვისისა. და იგი ძეცა მისი მოისმენდა<sup>106</sup> მეუფროსეთაგან დარბეებასა სრულიადითა სულითა და გულითა.

შემდგომად განსვლისა რაოდენისამე დროისა გამოვიდა იგი ყრმა მეცნიერი და მამა მისი მის დროდგან იქმნა თავისუფალ თვისისა ვაჭრობისაგან. და ნაცვლად მამისა თვისისა იწყო სვლად საჯაჭროდ თვთ ხსენებულმან ყრმამან, რომელსაცა მშობელნი თვისნი ეტყოდნენ, რომელ: მოძებნე და მოიკითხე ყოველსა შენსა და უშენოსა ალაგსა ძმა შენი, იქმნება, რომელ კვალად იგი იპოვნო. მაშინ იგი ყრმა უეცრად სხვათა თანა ქარჯანთა მოვიდოდა საჯაჭროდ ერთსა ქალაქსა და მივიდა სანახავად შესაფერითა თვისითა ძღვენითა წინაშე ჰელმწიფისა მის ქალაქისა.

იხილა რა იგი ყრმა ფრიად მშვენიერი, მან ჰელმწიფემ, რომელ იგი პირის მშვენიერობითა და კეთილ-ზნობითა იყო გაბრწყინებული, განიხარა და ჰშთააცო ჰელმწი-

<sup>105</sup> B: ევლებოდა.

<sup>106</sup> A, B: მოისმენდა] + რა.

უისადმი საკადრისი ტანისამოსი და ეუბნებოდა სიყვარულისა პირითა, რომელ შენ იუაფ ჩემთან ვითარცა მეგობარი ჩემი, ვინადგან გულსა შინა ჩემსა ვგრძნობ მცნობელობასა შენსა. ჯერ არს, რათა არა გამშორდე მე. მაშინ მოახსენა ხელმწიფეს მან ყრმამან, რომელ: ვარ მე თქუენი მოსამსახურე და არა ჯერღა იყოს ჩემთვის უთქვენოთ ცხოვრებაი ჩემი. და ესრეთ იქმნა ყრმა იგი მონად მისსა და შემდგომად იქმნა მისი მესაიდუმლეიცა, რომელიცა ღლითი ღლე აღემატა და მოწონებულ იქმნა მის მიერ უმეტეს სსხვათა ვეზირთა. და რაისაცა რჩევასა ურჩევდა ჯელმწიფესა, მაშინ მას იგი რჩევა მისგან მოეწონებოდა და იქმნებოდა გულ-მხიარულ.

შემდგომად ამისსა ღედ-მამასა თუსსა წარუგზავნა ერთი წერილი, რომელ მომენიჭა მე უეცარი ბედნიერება ღმრთისაგან, რომელიცა არა უგულუბელსყოფს ჯელმწიფისა საქმესა. მაშინ იცოდეთ ჭეშმარიტებით, რომელ იგი მიიღებს სურვილისამებრ თუსისა. თქვენცა აწ მოიქეცით ჯელმწიფისა მხარესა და სხვასა ნუ რა რაჲსა იფიქრებთ გულსა შინა თქუენსა.

აქა ის მინეთ კვალად სხვა აცა მისი ვითარებაი: ერთსა ღღესა მოუტანა ერთმა ვინმე ამბავი ზემორეხსენებულს ჯელმწიფესა, რომელ მტერმან თქუენმან წარახდინა მამული თქუენი, რაჲსათუს გძინავსო მტერისაგან თქუენისა. მოისმინა რა ესე ჯელმწიფემ, მაშინ ჰქმნა სსხვათა ლაშქართა ანუ მხედრობათა მეუფროსეთა თანა<sup>107</sup> რჩევაი, რომელ ჩვენდა ჯერ არს ფრიად გულადნი და გამბედაენი კაცნი, რათა განგვაშორონ ჩვენ მტერთაგან და ჰქმნან იგინი დამარცხებულ. და ესრეთ მხედრობათა მათ მისცა თეთრი და ტანისამოსი, რომელნიცა იქმნენ ყოველნი განწყობილ.

შემდგომად ამისსა გამოვიდა რა ციხილამ ჯელმწიფე, თანა გამოჰყვენენ აგრეთვე მეუფროსენი მხედრობისანი. მაშინ მტერთა დაიჭირეს პირი გზისა, ხოლო ესენი დასდგნენ მინდორსა ზედა პირის-პირ და დააგეს<sup>108</sup> კარვები. მუნ მოვიდა ჯელმწიფეცა, სადაცა იგი ყრმა მეჯლისსა<sup>109</sup> შინა ჯელმწიფესასა მსგავსად სანთლისა ანათებდა. ხოლო ოღეს

<sup>107</sup> B: ანა.

<sup>108</sup> B: დ-დგეს.

<sup>109</sup> A: მეჯლისა B: მეჯლის.

ჯელმწიფესა ამას მრავლისა უბნობისაგან დაეძინა, მაშინ შას ყრმასა მოუვიდა ფიქრი ერთი, რომელ: ჯელმწიფესა ჰყვანან მრავალნი მტერნი. იქმნება, რომელ ამა ღამესა რომელიმე იყოს ფიქრსა შინა ჯელმწიფისა ჩემისა სიკვდილისასა. ამისთვის მე ამა ღამესა სიყვარულისამებრ ჩემისა გავწევ მისსა უარაულობასა ანუ ქესიქრობასა, აღმოვიღებ ხმაღსა და დავიფარავ. და უკეთუ მოვა ვინმე, მაშინ აღმოვუღებ მას თავიდგან ტვინსა.

ესრეთ რა იფიქრა მან ყრმამან და იწყომცა აღსრულება. მას ღროს გამოიღვიძა რა ერთმა კარისა კაცმან, იხილა ჯელსა შინა მის ყრმისასა აღმოღებული ხმალი. მასვე წამსა წარმოხტა და დაუწყო ტუქქესა და ლანძღვა, რომელ: შენ გწადის მოკვლა ჯელმწიფისა. მაშინ ამათხედ მოგროვდნენ რაოდენიმე კაცი და ნახეს აღმოღებული ხმალი ჯელსა შინა მისსა. და მასვე წამსა შინა განიღვიძა თვთ ჯელმწიფემაც ძილისაგან, იკითხა მიზეზი მის შეკრებულობისა და მოახსენეს. მაშინ უბრძანა შიკვრა მისი ვიდრე განთენებამდინ.

ხოლო ვეზირნი დასხდნენ სამდივნოსა სახლსა შინა მწკვირათ და ჰქმნეს გარდაწყვეტილობაი მისის სიკვდილისა. და რა მოიყვანეს იგი შემდგომად წინაშე ჯელმწიფისა, ესოდენი სკეს, ვიდრემდის აღიარებდა იგი ყრმა: თვსსა საქმესა. მაშინ ყრმამან მრავლის ცემისაგან და ჯოხის სიმწარისა, ჰფიცა თვსის სიყმაწვილითა, რომელ: ჯელმწიფესა ჩემსა დავიფარავდი, გარნა აწ მაქვს ჩემის უბედურებისაგან მოსახსენებელი. ვეზირთა ჰსთქვეს, თუმცა ამისი მიტევება არს ნება ჯელმწიფისა, გარნა კაცი ესე არს ფრიად ცოდვილი, რომელ უკანასკნელ ამა უჯინსომან ჰქმნა შეცდომით ფიქრი და მისთვის ჯერ არს, რათა მოეჭრას მას თავი.

გარნა ჯელმწიფემ ბრძანა, რომელ თუმცა საჭირო არს სიკვდილი მაგისი, გარნა სახელი კაცობრიობისა არს მოთმინებაჲ. შესაძლებელ არს მოშთობა ასთა სულთა, ვითარცა მონათა, გარნა განცოცხლებალა შეუძლებელ არს. განრისხება არს უმეცრებაი, და მოშთობა არს საქმე ხმალისა და დასასრული მისი არს საღმობა, მწუხარება და შენანება. და შემდგომად წარგზავნა კვალად იგი ყრმაი საპურობილესაჲ შინა და ჰსთქვა: არა იქმნების კაცი შენანებულ მოთმინობისა გამო თვსისა.

მაშინ იწყო პირისპირ მტრისა ბრძოლაი, რომელმან-  
ცა ჰსძლია მტერსა მას პირველისავე ბრძოლითა. დაჰკრეს  
დაფი მსიარულებისა და ლაშქარი მისი აღივსო დავლითა  
და ნატაცებითა. და ესრეთ უკუნიქცა იგი ძლევითა და გა-  
მარჯვებითა. გარნა მოახსენეს უფროს-უფროსთა კაცთა.  
რომელ: რამთენსამე დღესა დავიბანაკოთ ანუ დაესდგით  
აქა ამა გზასა ზედა და მინდორსა, ვითა მონადირენი. შე-  
საძლებელ არს, რომელ კვალად იყოს იგი მტერი ჩვიი  
რაასამე განზრახვასა შინა. და ესრეთ იქმნა იგი ჯელმწი-  
ფე მძლეველ მტერთა.

აქა ისმინეთ ესე მცირე დიცა მოთხ-  
რობაჲ: მოვიდა რა ვაჭარი (ესე იგი მამა მის შეპყრო-  
ბილის ყრმისა) მას ქალაქსა შინა, ჰკითხა მისა მცხოვრებ-  
თა, რომელ: არს ერთი ძე ჩემი წინაშე ჯელმწიფისა მოსამ-  
სახურედ. უთხრეს, რომელ იგი არს საპყრობილესა შინა.  
ესმა რა ესე შესაწუხარი ვითარებაჲ ძისა თვისისა მას ვა-  
ჭარსა, იწყო ტირილად, რომელსაცა გარდმოსდიოდა  
კრემლნი სისხლის მსგავსნი. და შემდგომად დასწერნა ერ-  
თი წერილი ტირილით და წარგზავნა წინაშე ჯელმწიფისა,  
რომელ:

— # ჯელმწიფევი! მოიღე წყალობა საწყალობა ზედა  
და განათავისუფლე ძე ჩემი, რომელიცა გყავსთ შეპყრო-  
ბილ საპყრობილესა შინა, რომელ დედა მისი არს მოხუცე-  
ბულ და მამა უმოხუცებულეს. და მომყიდე მე იგი, რომელ  
ერთსა დროსა მე თვთ ჰშთავაგდე ზღვასა შინა, გარნა აწ-  
ცა შთაჟარდნილ არს საპყრობილესა შინა თქუენისა. არა  
ეუწყვი, რომლისა ბედითა არს იგი დაბადებულ!

წარიკითხეს რა ესე წერილი ჯელმწიფისთან, მასვე  
წამსა შინა დაფიქრდა, მოისმინა რა ზღვასა შინა ჰშთაგდი-  
ბაი მისი. და ბრძანა წარგზავნაჲ კაცისა და მოყვანა მის  
ხსენებულის ვაჭრისა, რომელიცა მასვე წამსა შინა უკუნ-  
მოიქცა წინაშე ჯელმწიფისა და გულსავსე მწუხარებითა,  
ემთხვია ადგილსა ჯელმწიფისასა მოხსენებითა ლოცვისა-  
თა. შემდგომად ჰკითხა ჯელმწიფემ ვაჭარსა წარსული ვი-  
თარებაჲ და მანცა მოახსენა, რომელმანცა ესე ვითარითა  
მოხსენებითა ჰსცნა მამაჲ თვისი ხსენებული ვაჭარი.

წარმოსტა ჯელმწიფე იგი და დაეგო ფეხთა მამისათა  
და უთხრა ტირილით და მწუხარებით, რომელ: მეცა გა-  
მოხსნილ ვარ ზღვიდგან შენგან განშორებული. და ესრეთ

იქმნა გული ძისა მის მხიარულ ნახვითა მამისა თვისისათა და შემდგომად ძმაძცა თვისი განათავისუფლა საპყრობილიდგან თვისისა. ხოლო რომელნიცა ჰსცდილობდნენ სიკვდილსა ძმისა მისისასა, ყველასავე მახვილითა წარეკვეთნა თავნი. და რა იხილეს ესე ლაშქართა ანუ მხედრობათა, ყოველნივე ჰშთაიდებდნენ პირსა შინა მოგონებისა ნეკსა. და ესრეთ ვითარებაჲ ყოველივე მოუთხრო ჭელმწიფემ თვითა უფროს-უფროსთა, რომელ: კაცთა მოთმინებაჲ შეუქმს განსვენებასა, ესრეთ რომელ, უკეთუ ჩემსა მშობელსა მამასა მას ღამესა შინა მიელო მოთმინებაჲ, მაშინ არა განსწევდა ესრეთსა მწუხარებასა. და აგრეთვე უკეთუ მომეშთო ძმა ჩემი, მაშინ შემექმნებოდა ამა წამსა შინა უმწარეს ჩემისა სიკვდილისა. და ყოველნი შეპყრობილნი მწუხარებითა იქმნენ განთავისუფლებულ.

აწ, უკეთუ, აზატბახტ ჭელმწიფეო ჩემო, იქმ მოთმინებასა, მაშინ იქმნები საუკუნოდ გაბრწყინებული ბედნიერებითა. და რა შეასრულნა ბახტიარმა მოთხრობაჲ ესე, მაშინ ჰშთავიდა მზე და შემოვიდა ღამეჲ და ბრძანა რა შემდგომად ჭელმწიფემ წარყვანა მისი საპყრობილესა შინა, და სთქვა: ვიხილოთ, რასა იქმს ხვალინდელ დღემდინ გამგებლობაჲ ღვთისა.

მოსკლა მესამისა ვაზირისა<sup>110</sup> წინაჲ კალმწიფისა მოშთობისათჳს  
ახანიარისა

იყო რა ვაზირი ერთი სახელით აფარინ, რომელიცა პატიოსნებითა და დიდებითა თვისითა მჯდომარე იყო შორის სხვათა უმთავრესსა ადგილსა ზედა, მოვიდა წინაჲ დიდებულისა მის ჭელმწიფის აზატბახტისა. ემთხვია რა პირველად მისსა ადგილსა დიდის პატივითა, მოახსენა, რომელ: ყრმასა მას ჭელმწიფისა სახელი შეურაცხავს<sup>111</sup> და ყოველი საქმე თქუენი უქმნია შერცხვენილ, ესრეთ რომელ ქვეყნისა დიდისა და პატარის ისტორიად სათქმელი შექმნილა მოქმედებაი მისი, რაჲცაღა ჰქმნა. და ესრეთითა მოხსენებითა მის ვეზირისათა მოშთობისათჳს მის ბახტიარისა აღუდღუდა ჭელმწიფეს სისხლი და ბრძანა<sup>1</sup> გამოყვანა მის ყრმისა საპყრობილიდგან და მოყვანა წინაჲ თვისსა,

<sup>110</sup> B: ვაზირსა.

<sup>111</sup> A: შეურაწყავს.

რომელმანცა შესძასა განძვინებულმან, რომელ: ჟ საძაგელ-  
ლო და უკანასკნელო მონაო, ვიქმ ამა წამსა შინა სახელსა  
შენსა აღსოცილ ქვეყნიდგან, რომელ შენ ესრეთ სირცხვი-  
ლეულ მყავ და უოველნი დიდნი კაცნიცა ჩემს ზედა იჭვ-  
ნეულ ჰყავ!

მოსხენება ბახბიარისა მიერ ფრიად მაცნეიარისა წინაჲ დიდუაჲლის  
ქელმწიფისა

მოახსენა მან ყრმამან შეპყრობილმა ბახტიარმან: ჟ  
ქელმწიფევე აზატბახტო! ეგოს უოველთუს ბედნიერება  
თქუენი საუკუნოდ თქუენდამი. ჰქმენ მოთმინებაჲ საქმესა  
შინა, რათა ეგოს ბედნიერება თქუენი, რომელ მომთმენსა  
აღუპყრობს ღმერთი ქელსა. ხოლო მწრაფლობაი საქმესა  
შინა არს ნიშანი ეშმაკისა, მსგავსად მის კაცის საბირისა  
(რომელ არს მომთმინო), რომელმანცა ჰქმნა რა მრავალი  
მოთმინებაჲ, ღმერთმანცა მიანიჭა დიდებით ქელმწიფობაჲ.  
ესრეთ რომელ აღმოიყვანა იგი მოთმინებამან თუსმან და  
მადლობით მითვლამან<sup>112</sup> ღმრთისადმი მწუხარებისა და  
ბნელისა ზიდგან და ჰქმნა ქელმწიფედ. მაშინ ესმა რა ესე  
ქელმწიფეს აზატბახტსა, უბრძანა: ვითარ იქმნა ტასტსა  
ზედა ქელმწიფისასა მჯდომარედ იგი საბირი? მოახსენა ბახ-  
ტიარმა: ჟ ქელმწიფევე დიდებულო! მიიღე სწავლად ნათ-  
ქვამი ესე მოხუცებულთაგან, ხოლო ამა ყრმისაგან ისმინე  
ყურადღებითა.

მომხრობა საბირსა ზედა

იყო კაცი კეთილზნეოანი და ხასიათიანი, რომლისა  
სახელი საბირ. ჰყვანდა მას ცოლი და ორი ძე და აგრეთ-  
ვე რაოდენიმე ოთხფეხი, რომელთაგანაც აქვანდა მას საც-  
ხოვრებელად თუსდა რაჲმე სარგებლობაჲ. გარნა ერთსა  
დღესა აღატყდა მას სოფელსა შინა შფოთი და ამბობე-  
ბაჲ მოჰშოთობისა გამო ერთის ქელმწიფის მოსამსახურისა.  
ესმა რა ესე ქელმწიფეს მის სოფლისა, მასვე წამსა შინა  
ბრძანა დაუყოვნებლივ აკლება და მოტაცება საქონელთა.  
მაშინ უთხრა მეცხედრემან თუსმან საბირს: თუმცა ქელ-

112 B: შითვალა მან.

მწიფემ ჰქმნა ქენი ჩვენნი საწყულად, გარნა ნუ ზიხარ, არამედ წარვედ და იწყე ტირილი და კვნესაი, რომლისა ღონის ძიებითა იქმნება უკუნ-მოიქციო რაოდენიმე მათგანი.

უპასუხა საბირმა: † ჩემო განსვენებაო! ჰქმენ მოთმინებაჲ, ვიდრემდის იქმნას საქმეჲ კეთილ. თუმცა აწ გვექმნა მისგან უკანონოდ უსამართლობაჲ, გარნა უკუნ მიუღეს მას ჩვენი კეთილმოსამართლეჲ ჩვენსა ყოველსავე. ესმა რა ესე ერთსა ვისმე საბირისგან, წარვიდა წინაშე ჰელმწიფისა და გამოუცხადა ყოველივე ნათქვამი მის საბირისა, რომელიცა ფრიად განრისხდა და უანბო თვსთა ვეზირთა და უფროსთა კაცთა. და შემდგომად ბრძანა კვალად მისი დაბრევა ყოვლითა ქონებითა და საქონლითა და გაგდებაცა მისი სოფლიდგან<sup>113</sup> თვისის სახლობითურთ.

მაშინ ესე საბირ იძულებულ განემგზავრა ერთსა მინდვრად, რომელსაცა შემოეყარნენ რა ავაზაკნი, უკუნ მიხადეს მას იგი ორი ძეცა და წარიყვანეს თვსდა. გარნა გული დედისა მათისა საესე მწუხარებითა კვალად ელოდა მათსა მობრუნებასა. გარნა მაშინცა ეუბნებოდა საბირ მემცხედრესა თვსსა, რომელ ჯერ არს მოთმინებაჲ და მით გამგებელობისადმი ღმრთისა მადლობისა ძღვნაჲ. და მუნიდგან განემგზავრნენ სხვის გზით, რომელთა ექმნათ მწუხარება ოდენ მთისა<sup>114</sup> და თვთ შიქიმნენ ვითარცა ბზეი, სოლო სიცოცხლე შეექმნათ ვითარცა შხამი.

ოდესცა მუნიდგან მოიწივნენ ბინდისა დროსა მახლობლად ერთისა ქალაქისა, ესრეთ უთხრა მან საბირმა თვსსა მემცხედრესა, რომელ არა ჯერ არს უფიქრელად შესვლაი ამა ქალაქსა შინა. შენ აქა დასჯედ, ვიდრემდის ვართ უადგილო, მე წარვალ ქალაქს და მოვიტან სანოვაგესა. გარნა დასჯდა რა იგი დედაკაცი მუნ, უეცრად მის ქალაქისა პირიდგან გამოვიდა ერთი ფრიად მკვეთრი ცხენოსანი ჯარისკაცი, რომელმანცა იხილა რა იგი მუნ მხოლოდ მჯდომარე, რომლისაცა გული განშორებისა გამო ძისა მოწყულულ იყო, მოეწონა მას პირველისავე ნახვითა და უთხრა: † დედაკაცო კეთილ მყურებელო! იყავ ჩემთან, ვითარცა გულითადი საყვარელი! უპასუხა მან დედაკაცმან: † ძმაო! აქა

113 B: საქლიდგან.

114 B: მათისა.

დამსო მე ქმარმან ჩემმან. ქვევითი გამოვიარე ესე მინდორი და აწ დასუსტებული დაფრჩი აქა. ამისთვის სხვისა საქმესთან არა მაქვს მე საქმეი. მე აქ მოველი ქმარსა ჩემსა. გარნა კვალად უთხრა მან ჯარისკაცმან: უკეთუ აღასრულებ ჩემსა თქმასა, მაშინ განათავისუფლებ სულსა შენსა ამა ჩემისა მკვეთრის<sup>115</sup> ხმლისაგან, თორემ ამავე წამსა შინა ნოცუთობ<sup>116</sup> და ლეშსა შენსა ჰშთაფულავ ქვეყნად.

და ესრეთ რა შეძრწუნდა იგი საწყალი შინისაგან სიკვდილისა და არცაღა ხელამდა თუსსა ხსნასა, უთხრა: ჰქმალო! ვინადგან არა მაქვს მე შეძლებად და ჰშთაფარდნილ ვარ ჯელსა შინა ძაღლისა მსგავსად ნადირის ირმისა, ამისთვის ჰქმენ ერთსა წამსა მოთმინებად ამა საქმესა შინა, ვიდრემდის მოგახსენო მე ჩემი ვითარებად. რომელმანცა შემდგომად დაცლისა მის კაცისაგან დასწერა მიწასა ზედა თუსის შეწუხებულის და მწუხარის გულის სიტყვად: ჰ საბირ, უკუნ-იქცა ბედი შენი და არცა ვუწყვი, ვითარ ხარ. და მეცა ვიქმენ აწ წარტაცებულ ერთის ქალაქელთაგან. შემდგომად ამისსა მან ჯარისკაცმან შემოისო რა ცხენსა, მიიყვანა სადამოსა ხანსა ქალაქსა შინა და რა შეიყვანა სახლსა, დამალა მუნ და დააყენა ერთი კაცი ქესიქჩად ანუ ყარაულად.

ხოლო ოდეს საბირ უკუნ-მოიქცა ქალაქიდგან და ვერღა ნახა ცოლი თუსი, განკვირდა და მიმოეკვეთებოდა ყოველსა მხარესა. და შემდგომად ჰპოვა იგი დაწერილი ადგილსა ზედა. წარიკითხა რა, გარდმოუვიდა მას თვალეზიდგან ცრემლნი ლალის ფერნი. მაშინ მოვიდა მას ქალაქსა შინა და დასჯდა ერთსა კუთხესა. გარნა მუნცა უბედურებისამებრ მისისა ჯელმწიფე მის ქალაქისა ჰყრიდა საძირკველსა ერთისა თუსისა სახლისასა, რომლისა მოსამსახურენი დაინახამდნენ რა მიმავალსა გზასა ზედა, მასვე წამსა წარიყვანდნენ სამუშაოდ ტალახისა. ხოლო რომელსა კაცსა აქვდებოდა თეთრი, განთავისუფლდებოდნენ, მისცემდნენ რა მათ რაოდენსამე. და ამა დროს იხილეს აგრეთვე საბირიც, მჯდომარე ერთსა კუთხესა. დაუჭირეს კისერი და მიათრევდნენ<sup>117</sup>. და შთააბეს ტალახისა სამუშაოდ.

115 B: ჩემს მკვეთრს:

116 B: მოიშობი.

117 B: მიათრევდნენ.



შემდგომად ამისა იხილა ხსენებულმა ამა საბირმა, რომელ იყო მუნ აგრეთვე სხვადაცა კაცი ჩაბმული სამუშაოდ, რომელიცა შეუძლებლობისა და უძლურებისა გამო თვისისა ყოველთვის სტიროდა გულის-მტკივნეულობით<sup>118</sup>. მაშინ უთხრა მან საწყალმა საბირმან, რომელ: *მე ჩემო მეგობარო, ჯერ არს ყოვლისა კაცისადმი მოთმინებაჲ საქმესა შინა, ვინაიდგან მოთმინება კაცსა აღმოიყვანს თვით სიბნელისა და უფსკრულისა ჭიდგან და დასომს უეცრათ ქელმწიფობისა ტახტსა ზედა. ამას რა იტყოდა საბირ, ესმა ქელმწიფესა მის ქალაქისასა, რომელიცა ფრიად განრისხდა და შთაადლო იგი ჭასა შინა და უთხრა ესრეთ: *აჲჲ შენ აქა ჭასა შინა, ვიდრემდის გერგოს შენ ერთსა დღესა დასჯდომა ქელმწიფობისა ტახტსა ზედა.**

გარნა საბირ კვალად მჯდომარე მას შინა, მისცემდა დიდებასა ღმერთსა. ხოლო მშთაუგდებდნენ მას მხოლოდ პურსა და წყალსა, რათა არა მომკვდარ იყო. შემდგომად ამისა ერთსა დღესა გაიარა ქელმწიფემ ჭისაკენ და მშთაძახა ზემოდამ საბირსა, რომელ: *იჲჲ აქა, ვიდრემდის მოვიდეს დღე ბედნიერებისა შენისა, აღმოგეყვანოს მუნდგან და დაგსოს ტახტსა ზედა ჩემსა. გარნა განვიდა რა შემდგომად ამისა სამი წელი, მოთმინებამან მოუპოვა მას საბირს გვრგვნი და ტახტი ქელმწიფობისა. ესრეთ, რომელ. წინარე ამისა მოთხრობისა მას ხსენებულს ქელმწიფეს ჰყვანდა რა ერთი ძმანი, მოშთო იგი ფარულად და დაფლა ერთსა კუთხესა შინა.*

იფიქრეს ხალხთა, რომელ იგი ჰყავს უთუოდ ქელმწიფეს შეპყრობილ, ხოლო ქელმწიფემ მოშთო ძმა თვისი განსვენებისათვის თვისისა და მყუდროებისა. და გარდა ამისა თვით ხალხნიცა ჰყვნა ნატრულ პურისა. გარნა შემდგომად მსცნეს ესე ყოველივე გარდახდომილებაჲ და უსამართლობაჲ მის ქელმწიფისა, რომელსაცა ყოველთვის ითმენდნენ, არა იკადრეს მისგან და მისის უსამართლობისაგან გაგცევა, არამედ ჰქმნეს მისის სისხლის დანთხევის პირობანი. ხოლო სცნა რა ესრეთი განზრახვაი მათი ხსენებულმა ქელმწიფემ, მაშინ ფარულად ივლტოდა მინდვრად, რომელსაცა თვისის სიცუდობისაგან არა მისდევდა არცა ერთი უკანასკნელი აკვი. და დაუტევა თვისი მამული და ტახტი.

118 A: მტკივნეულობით.

ოდესცა ესე ჯელმწიფე შიშისა გამო სიკვდილისა იქმნა ლტოლვილ, მაშინ უთხრეს შეკრებულთა კაცთა ანუ საზოგადოობამ პირველთა და მეუფროსეთა კაცთა მდივნისათა, რომელ ჯერ არს ჩვენდა ყოლად ერთისა კეთილ-მოსამართლისა ჯელმწიფისა, რომელმანცა არა უქმნას უსამართლობაი საწყალსა და გლეხსა კაცსა. მიუგეს პასუხი უპატივ-ცემულესთა კაცთა, რომელ: ჯელმწიფე ჩვენი ჯერ არს, რათა იყოს იგი ვაჟკაცი ძმა ჯელმწიფისა, რომელიცა თვთ ჯელმწიფემ, განრისხდა რა, ჰშთაადლო ჭასა შინა, და აწ არ ვიცით, ვითარ არს გონიერი იგი.

მაშინ ერთმა მათგანმან ჰსთქვა, რომელ: არს ერთი ვაჟკაცი სახლსა შინა ჯელმწიფისასა, რომელიცა შეპყრობილ არს ჭასა შინა ესე რაოდენიმე წელი არს, რომლისა თანა აქვნდა ჯელმწიფეს ყოველთვს უბნობაი. მოისმინეს რა ესე ხალხთა, გაიქცნენ მასთან და უთხრეს: ზ შეპყრობილო ამა ჭასა შინა, მოვიდ და დასჯედ ამა ტახტსა ზედა ჯელმწიფობისასა. რომელმან თვთცა მოსცა წმად მათ ბნელისა მის ზიდგან. მაშინ ჰშთაუგდეს საბელი და აღმოიყვანეს და დასვეს მხიარულებით ტახტსა ზედა ჯელმწიფობისასა და უძღვენეს მრავალი თვალი და მარგალიტი.

ამა დროდგან განხდა ხმა მისი ყოველსა ქვეყანასა და უბანთა ზედა, რომელ არს ჯელმწიფე გამცემი და სამართლიანი. თუმცა პირველი ჩვენი ჯელმწიფე იყო უსამართლო და მოჯაბრე, და უბრალოდ შეწუხებულთ მწუხარებისაგან იყო აგრეთვე უცნობელ, გარნა ვინადგან ესე ძმა მისი არს სულიერ, ამისთვის ღმერთმან აღმოგვირჩია ჩვენ ჯელმწიფედ.

ხოლო აქა მოისმინე, ვითარ იქმნა ესე საბირ კეთილ მოსამართლე ჯელმწიფედ შემდგომად თვისისა აღმოყვანისა ზიდგან: ამან განარჩივნა დაწვრილებით სიცრუე სიმართლისაგან, ამან დანაწესნა ესრეთნი რიგნი და კანონნი შორის გლეხთა, რომელ ყოველნი იქმნენ მისის ბრძანებისადმი მორჩილნი გულმხიარულებით. ხაზინანი განუყვნა მხედრობათა და ლაშქართა, დიდრონნი კაცნი ჰყვნა პატივისა და დიდებასა შინა, აღაშენნა საფლავნი იმანთა (ანუ სულიერთა კაცთა), აღუშენნა მეჩითნი დარჯიშთა (ანუ ბერთა), მისცნა თეთრნი და უჩინა ულუფა. არა ეძლო ვისმე მის დროსა შინა მოეხმარებინა უკანონოდ მამული სხვისა.

და ვსთქვათ მოკლედ: იწყო მშვიდობამან  
 ჯელმწიფობად მისსა სამფლობელოსა შინა. ესრეთ განხდა  
 რა ქვეყანასა ზედა კეთილ-სახელობა მისი, ყოველნი იქმ-  
 ნენ მისდა გულითადი მოსამსახურედ. გარნა აქა ის-  
 მინეთ სხვაეცა მისსა ბირისა ვითარებაჲ:  
 ოდეს იქმნა საბირ თვისთა მოთმინებითა ჯელმწიფედ, მა-  
 შინ განემგზავრა დიდებითა და საშინელებითა საბრძოლ-  
 ველად მას ჯელმწიფესა ზედა, რომელმანცა ჰქმნა იგი პირ-  
 ველ საწყლად და განხდა გარეთ თვისის ქალაქიდგან,  
 ვითარცა ზემოცა მოგვისხენებოეს. პირველითავე ბრძოლი-  
 თა გარდმოაგდო თვისის ტახტიდგან, რომელიცა დამარ-  
 ცხებული შიშისა გამო თვისისა მტერისა იქმნა მემცხედრით-  
 ურთ თვისით ლტოლვილ, გარნა არცა ერთმა კაცმან უქმნა  
 მას სავანეჲ.

და მოვიდა უეცრად ქალაქსა შინა მასვე საბირ ჯელ-  
 მწიფისასა. მაშინ მოახსენა ერთმა ვინმე საბირს: # ხელოვ-  
 ნიანო ჯელმწიფეჲ! ერთი უცხო დიდიკაცი მორსრულ არს  
 რაოდენითამე მოსამსახურეთა სტუმრად თქვენთან. მაშინ  
 ბრძანა ხელმწიფემ, რომელ: კეთილ არს! და ესრეთ შემო-  
 იყვანეს იგი ქალაქსა შინა დიდებითა და იწყეს მისდა სამ-  
 სახური მოსამსახურეთა მისთა. შემდგომად ამისსა მოიყ-  
 ვანეს იგი წინაშე ჯელმწიფის საბირისაცა, რომელმანცა  
 მასვე წამსა შინა ჰსცნა რა იგი მტრად თვსდა, ბრძანა და-  
 უყოვნებლივ წართმევად ცხენისა, ყოვლისა ქონებისა და  
 განგდებად სახლობით მის ქალაქიდგან. ესმათ რა ესე ვი-  
 თარებაჲ მთაფართა მისთა, აღირივნენ გულითა, გარნა მხო-  
 ლოდ არა უწყოდნენ ესე სხვათა ხალხთჲ. ამასთანავე  
 გასცა ბრძანება მან ჯელმწიფე საბირმა<sup>119</sup>, რომელ ვისაცა  
 ჰყუანდეს<sup>120</sup> მშვენიერნი გასასყიდნი მოსამსახურენი, მოიყ-  
 ვანონ წინაშე თვთ ჯელმწიფისა გასასყიდლად, ვინადგან  
 არს გულითად მუშტარი და მოსურნე სყიდვისა.

მოხვანა ავაჟაბათაგან მათა საბირისთა მის ქალაქსა შინა  
 საღაც საბირ იჯლა კალმწიფედ

ოდეს ესრეთი ბრძანებაი ჯელმწიფისა მოისმინეს ამა  
 ავაზაკთა, რომელთა მოეტაცნათ ძენი საბირისნი, მოიყ-

<sup>119</sup> B: ჯელმწიფემ საბირმან.

<sup>120</sup> B: ჰქვანდეს.

ვანეს იგი ყრმანი სავაჭროსა შინა. გარნა იხილა რა საბირ-  
მა ძენი თვისნი, იცნა, მასვე წამსა შინა, ხოლო ავაზაჲნი  
მისცა სატანჯველსა, რომელთა ესეოდენი სცეს ჯოსი, რო-  
მელ ექმნათ თვალნი სავსე სისხლითა და განხადეს იგინი  
მის ქალაქიდგან. თუმცა ესეცა იხილეს მათ თქმულთა მე-  
უფროსეთა, გარნა არა რაჲმე სთქვეს, არამედ გულსა შინა  
დაიცვეს ესე ბოროტებაი დრომდინ.

აქა მოისმინეთ სხვაჲცა კვალად მომ-  
ბდარი ვითარებაჲ:

ოდეს მან ხსენებულმან ჯარისკაცმან მოიტაცა მემც-  
ხედრე მის ჯელმწიფის საბირისა, მაშინ ყოველთვის ჰსწევ-  
და მისსა ქესიქრობასა ანუ ყარაულობასა და ესრეთ დაეცვა  
იგი ფარულ სახლსა შინა თვისსა. გარნა ერთსა დღესა შე-  
ემთსეა რა მას ჯარისკაცსა განშორებაჲ თვისის სახლიდგან,  
მაშინ იგი დედაკაცი გამობტა სახლიდან გარეთ და მწრაფლ  
შემოეყარა რა კვალად იგი ჯარისკაცი, შეიპყრა და იწყო  
მისდა ცემად. მაშინ დედაკაცმან იწყო უვირილი და ტირი-  
ლი, რომელ: **ჰ** თათარნო! უწყით თქვენ თვთ, რომელ ამა  
კაცსა ესე რაოდენიმე წელი არს, რაჲცა ვეყვარ შეპყრობილ  
და ვუქმნივარ უძეო და უქმრო. ამისთვის გთხოვთ, რათა  
განმარინოთ მე ხელიდგან ამისსა.

ხალხთა მოისმინეს რა ესე სიტყვაჲ მის დედაკაცისა-  
გან, მასვე წამსა შინა წარათრივის იგი ჯარისკაცი წინაშე  
ჯელმწიფის საბირისა. მოახსენა ჯარისკაცმან: **ჰ** სამართ-  
ლიანო ჯელმწიფე, ესე არცა არს მემცხედრე ჩემი და არ-  
ცა აქვს სურვილი ჩემი. ყოველთვის მეუბნება, რომელ, არა  
ხარ ჩემი ქმარიო და არცა ხარ ღირსი, რათა იყო ჩემის-  
თანა დედაკაცისადმი ქმრადო. ჰკითხა ჯელმწიფემ შემდგო-  
მად დედაკაცს, რომელ: **ჰ** დედაკაცო! ვის ეკუთვნის, ანუ  
რაჲსათვის არა ჰგე წესიერთ ქმარისა თანა შენისა. უპასუ-  
ხა დედაკაცმა: **ჰ** დიდებულო ჯელმწიფე! ესე უღმრთო არა  
არს ქმარი ჩემი. ამას რა იტყოდა იგი დედაკაცი, იცნა მას-  
ვე წამსა საბირმა თვისი მემცხედრე სმაზედ, და დაუყოვნე-  
ბლივ წარგზაჲნა იგი თვისი მემცხედრე სასახლესა შინა  
თვისსა და ჯარისკაცსა ურიცხვი ჰსცეს<sup>121</sup> და გამოიტანეს  
გარეთ ცოცხალ-მკვდარი.

121 B: ჰსცენს.

ხოლო ესეცა იხილეს რა მათ მეუფროსეთა, მაშინ ერთობით მოახსენეს: # ჭელმწიფევე! რადსათვის ეშმაკის სიღვევით გარდასულხარ გზიდგან? ვიდრემდის ეიყენეთ ჩუმათ თქუენის უსამართლოობისაგან?! ვინადგან უსამართლობაი შენი საზღვრიდგან გარდასრულ არს, იქმნება, რომელ ბედნეერება შენი უკუნ მიქცეულ არს. ერთსა წამსა მიიღე სტუმარი პატივითა, გარნა შემდგომად ქმენ იგი განხდელ შერცხვენით გარეთ. ვაჭრებს უკუნ მიხადე შენ მოსამსახურები. აწ აღიარე, ესრეთი უსამართლოობა და ჯაბრი ვისგან გისწავიეს და გიხილავს, და უსამართლოობით მიიმძლავრე აგრეთვე დედაკაცი. აწ არღარავის დარჩომია მოთმენისა შეძლებაჲ ესრეთისა შენისა უსამართლოობისა.

მაშინ უთხრა საბირ ჭელმწიფემ: # მეგობარნო ჩემნო! პირველ მოისმინეთ ჩემიცა ესე პასუხი, და შემდგომად ამისსა იქმნეს ნება თქვენი. რაჲ საქმე მაქვს მე უსამართლოობასთან და ჯაბრთან. მე მივითვსე ჩემი მეძცხედრე ძეგებითურთ ჩემით, უსამართლოობით არცა ერთი ფოთოლი მომიწყვეტიეს ხიდგან, რომელიცა თქუენ არა უწყით, და რაისათვის უმეცრებითა თქუენითა შეიქმთ დრტვიინასა. მაშინ ჭელმწიფე საბირმა თაჲიღამ ბოლომდინ თვისნი ვითარებანი განუცხადა მათ, და შემდგომად ამისსა უთხრა: მე ვარ იგი, რომელსაცა მოთმინებამან ჩემმან მომცა მე ჭელმწიფობაჲ ქვეყნისა. აწ უკეთუ თქუენ არა მპოებთ მე ღირსად ჭელმწიფობისა, მაშ ერთი სხვაჲ აღმოიჩინეთ ნაცვლად ჩემსა.

მეუფროსეთა მათ იხილეს რა მართლიად იგი საბირი, მაშინ უძღვნეს მას ათასი ჭებაჲ და დიდებაჲ და ესრეთ ხსენიბოლონი უფროსნი პაცნი აჲალად იქმნენ მორჩილ მისის სამართლისადმი, და გლეხნი სულისა თვისისა მისდა შემწირველ და მოახსენეს, რომელ: # ჭელმწიფევე სახელოვანო! ჩვენ უოველნი ვართ თქუენი მოსამსახურენი. ნუ განგვიყრებით და ნუცა შეგჯრისხამთ. რომელ ჩვენ თვთ აუწყით პირშაობაი ჩვენი წინაშე თქუენსა და გარეშე თქუენსა ჩვენ სხვა ჩვენდა ჭელმწიფედ არავინ აუწყით.

და აწ შენცა, # მეგობარო, მოუპყარ ამა დარიგებასა ყური შენი და ზემორე წერილისამებრ ეცადე შენცა ვიდრემდის ისახელო მოთმინებითა მსგავსად საბირისა ქვეყანასა ზედა, ვინადგან მან ხსენებულმა ჰქმნა რა მოთმინე-

ბაა და იყო მცოდნე ყოველსა საქმესა შინა, მისთვის იქმნა სახელი მისი განთქმულ ისტორიულად ქვეყანას ზედა.

და ესრეთ ოდეს ხსენებულმა ბახტიარმა დაასრულა ესე თვისი მოთხრობითი ვითარებაა საბირ ჯელმწიფისა წინაშე ჯელმწიფის აზატბახტისა, მაშინ პატარძალმან ცისამან გარდიფარა პირსა ზედა თვისსა სიბნელისა კავნი, და აღმოსავლეთისა ჯელმწიფემ მოიხადა მის წინაშე ბრწყინვალე-ბითი თვისი გვრგვნი (ესე იგი ოდეს შთაჟიდა მზე, მაშინ იქმნა მწუსრი), ბრძანა კვალად ჯელმწიფემ აზატბახტმან წარყვანა მის ბახტიარისა საპყრობილესა შინა.

**მოსვლა მართლისა ვაჟირისა წინაშე დიდებულის კლმწიფისა  
მოუთხოვისათჳს ბახტიარისა**

იყო ერთი ვეზირი, სახელით ფირუზი, რომელიცა მოვიდა რა წინაშე ჯელმწიფის აზატბახტისა მეოთხისა დღესა, მოუთხრო სხვადასხვა ახალი ვითარებაი ბახტიარსა ზედა, რომლითაცა აღანთო ცეცხლი შინაგან ჯელმწიფისა. მაშინ გამოიყვანეს იგი ბახტიარი<sup>122</sup> კვალად წინაშე ჯელმწიფისავე, რომელმანცა შესძახა მრისხანებით და საშინელე-ბით, რომელ: არა მსგავსო კაცთაო და ბილწო! ვიდრემდის ვიყო შენგან შეწუხებულ და საქმითა შენითა სირცხვილეულ?! და აწ უკვე არა მაქვს შენის ქმნულობისაგან, გარდა მხოლოდ სიკვდილითა შენითა<sup>123</sup>.

**მოსხენება ბახტიარისა მიერ**

მოახსენა ბახტიარმან: **ჰ აზატბახტ!** ეგოს ყოველთვის ბედნიერება და დოვლათი თქვენი თქუენდამი განუშორებლივ. ვიყო მხოლოდ მე შეკრული ხელ-ფეხით, შემძლებელ ხართ ყოველსა წამსა მოკვლად ჩემისა, ოდეს მხოლოდ ინებებთ. გარნა უკეთუ იქმთ მწრაფობასა ვითარცა ქარი, მაშინ შეინანებთ მსგავსად ბეჰზადის ჯელმწიფისა. და ვითარცა ესმა ჯელმწიფეს აზატბახტსა მისგან სახელი ესე, მასვე წამსა შინა ჰკითხა ვითარებაა მის ბეჰზათისა.

122 B: ბოხტიარო.

123 (გაუმართავია).

მოხსენება ბახტიარისა მიერ ბაჰაღლის მოთხოვნისა  
ჯელმწიფის ახატბახტისადმი

მოახსენა ბახტიარმა: შ ჯელმწიფევე ყოვლად უმთაყ-  
რესო! ერთსა ქამსა კეთილ ინებეთ სმენად ჩემგან, რააცა  
მომისმენიეს ამბავნი და დარიგებითნი ლექსნი უფროსთა-  
გან, რომელ ქალაქს შირვანსა შინა იყო ერთი ჯელმწიფე  
სახელით ბეჰზათ, რომელსაცა ესვა ერთი ძევი, მსგავსი  
მთვარისა, და მსგავსი მისი არა იპოებოდა ქუეყანასა ზედა  
ესრეთ, რომელ კეთილ მოუბნარობითა თვისითა და სიმშვე-  
ნიერთა მისტაცებდა კაცსა გულსა და გონებასა. კეთილ-  
ზნეობისა და გონიერებისა გამო მისისა ყოველნი მთავარ-  
ნი იყვნენ მისდა შევრდომილ. იყო ფრიად მოწყალე უცხო-  
თადმი და ამა კეთილმოქმედებითა განთქმულ იყო სახელი  
მცხი, და ვინცა მხოლოდ მოვიდოდა მისსა ქალაქსა შინა,  
ყოველნი იქმნებოდნენ მისი სტუმარნი.

გარნა ერთსა დღესა ესმა მას, რომელ ერთსა ადგილსა  
არს ქალი, რომელიცა სილამაზითა თვისითა უმშვენიერეს  
არს მთვარისა. მაშინ წარაელინა ელჩი ერთი წინაშე მის  
მშვენიერისა. წარატანა თან ძღვენი და წერილი, რომელ-  
მანცა მოიტანა იგინი წინაშე ქეიყუნის ჯელმწიფისა, მამისა  
მის ქალისა მთვარეს მსგავსისა, რომელიცა არაჯის აძლედა  
მას მარგალიტისა მსგავსს ქალსა თვისსა. ხოლო ოდეს წა-  
რიკითხა იგი წერილი, მაშინ ჰქმნა რჩევაი ვეზირებისა თანა  
თვისისა და შემდგომად დასწერა ჯელმწიფემ პასუხი და წა-  
რმოგზავნა, რომელ უკეთუ იგი იქმნებც ჩემდა სიძიდ, მაშ  
ჯერ არს მოცემად ჩემდა ჩემის ქალის რძის ფასის ასი ათა-  
სის თუმნისა, და ესე არს მხოლოდ სიტყვაჲ ჩემი მასთან.

მოვიდა ელჩი მისდრიდგან და მოუტანა წერილი, ფარ-  
ჩა, ცხენი, ოქრო და ტანცამოსი. ბრძანა ჯელმწიფემ, მამა-  
მან მის ხსენებულის კეთილზნეოანის ყრმისამან, რომელ  
რაოდენი ათასი გვაქვს ჩვენ თეთრი? მოახსენეს: ოთხმო-  
ცი ათასი. ხოლო ძე მისი კვალად განშორებისა გამო თვისი-  
სა ფრიად მწუხარე იყო, რომელსაცა მწუხარებითა ჰსდი-  
ოდა თვალებიდან სისხლისა ცრემლნნი, რომელსაცა უთხ-  
რა მამამან მხიარულის პირითა, რომელ: შ შვილო ჩემო!  
მოითმინე, ვიდრემდის სრულდებოდე მე ნაკლები თეთრი ჩვენი.

გარნა იქმნა რა ღამე, ძე მისი აღშფოთდა, მოუვიდა  
რა გონებასა შინა მისის ნახვისა სურვილი. მას ღამესა ვი-

დრე გათენებამდე ივლტოდა ქვეითი და იქმნა მიფარებულა  
თვალდგან მამისა თვისისა. მას დროსა ქარვანი მისირისა  
ავაზა: თა შინისაგან მიდიოდნენ სიჩქარით, რომელთა ცხი-  
ლეს რა შორიდგან ძე კელმწიფისა, მაშინ რაოდენიმე ცხე-  
ნოსანნი მათგანნი<sup>124</sup> ჰყუებით დაუახლოვდნენ მას და უთხ-  
რეს: შუ გასუსო ავაზაკთაო! გვზვერ ჩვენ ამა მინდორსა  
ზუდა? აწ მოვედ და გვეთხარ ჩვენ, სხვანი ამხანაგნი შენნი  
სადა არიან, რომელნიცა სრულებით ამა წამსა შინა ჩვენსა  
შინა ჯერ არს ჰშთაჯარდნად? უპასუსა მან კელმწიფისა ძე-  
მან: მე არა ზყავს ამხანაგნი, არამედ ვარ მე საწყალი, უად-  
გელო, განშორებული.

იხილა რა იგი ყრმად, მთვარეს მსგავსი, ქარვანისა მე-  
უფროსემან მოიყვანა მისირის ქალაქსა შინა და დასო საპ-  
ყრობილესა. გარნა ინახამდა მას მსგავსად ძისა თვისისა.  
ესე რა შეიტყო მამამან მის ყრმისამან, მისწერა წერილი:  
მის ქალაქის კელმწიფეს, რომელსაცა შეატყობინა თვისი ამ-  
ბავი, რომელ: ძე ჩემი გამოიქცა გაჯავრებული<sup>125</sup>, გთხოვთ,  
მიუცილებლივ მოძებნოთ იგი და მით ჰყოთ გული ჩემი  
მისის განშორების მწუხარებისაგან თავისუფალ. წარვიკით-  
ხა რა ესე წერილი, კელმწიფემ<sup>126</sup> მისირის<sup>127</sup> ქალაქისამან  
ჰკითხა დიდთა და პატარათ.

მაშინ მოვიდა უფროსი მის ქარვანისა წინაშე მისსა,  
ზოახსენა: შუ კელმწიფეო ჩემო! შევიპყარ ჯასუსი<sup>128</sup> ავაზაკ-  
თა და მყავს მის დროდგან შეპყრობილ საპყრობილესა  
შინა და უკეთუ მიბრძანებს ხელმწიფე, მოვიყვან მე მას  
აქა. უბრძანა კელმწიფემ: ნუ განუტვივებ მას, რომელ დაფ-  
ტანჯავ მე მას ყოვლისა სატანჯველითა. წარვედ და მოიყ-  
ვანე იგი მსწრაფლიად წინაშე ჩემსა. შემდგომად ამისსა მო-  
ვიდა იგი ქარვანთ უფროსი მსწრაფლიად მას შეპყრობილს  
ყრმასთან და უთხრა: შუ ყრმაო, ნითხარ ვითარ ხარ,  
ჰსთქვ, კეთილო ვაჟაკო და მშვენიერო შენ ჩემო მეგო-  
ბარო, საიღამ ხარ? მომითხარ შენი ვითარებად, რასა დარ-  
ბოდი მას ველსა და მინდორსა შინა? რომელმანცა მასვე  
წამსა შინა მოუთხრა მას თვისი ვითარებად და არცა ერთი  
დამალა წინაშე მის ქარვანის უფროსისა.

124 B: მათგანნი —

125 B: გამარჯვებული.

126 B: კელმწიფეს.

127 B: მისირს.

128 B: პასუხი.



ოდეს ესე ყოველივე მოისმინა მან ქარვანისა უფროს-  
მან მის ყრმისგან, მაშინ აკოცა ორსავე ქელთა ზედა, ყოფ-  
ლისა მხრით ჰსცა მას ნუგეში, რომელ: მე გავარიგებ საქ-  
მესა შენსა წინაშე კელმწიფისა, იყავ მხოლოდ მხიარულე-  
ბით. მუნდგან იგი ქარვანისა უფროსი წარვიდა წინაშე  
კელმწიფისა და უანბო მისი ყოველივე ვითარებაჲ, რომელ  
ესე ჯასუსი ყოფილა სიძეი თქუენი. ესმა რა ესე მას კელ-  
მწიფეს, ბრძანა დაუყოვნებლივ განწყობა მხიარულობისა  
და ჰქმნან ყოველივე ნიეთი სასიძო ანუ საქორწილო მზათ.  
მაშინ იგი ყრმაი ათასის ჰატივითა და დიდებითა წარიყვა-  
ნეს წინაშე კელმწიფისა, ხოლო კელმწიფემ დასვა იგი ტა-  
სტსა ზედა თვისსა. მიუკვლივიეს ოქრო. თვალი და მარგალი-  
ტი და მეჯლისის სუფრის ვარშამო ტრიალებდა<sup>120</sup> ჯამი საფ-  
სე ღვინითა. და მისცეს ყოველთა მწუხარებაჲ ქარსა უღის  
და ჩანგის კვრითა.

და მცირე-მცირედ მიიღეს რა ღვინო, აღსდგა მათ  
შორის ყვირილი და ყიჟინა, მოიყვანეს ყაზი (ანუ არქიერი)  
გასაჭრელად ქაბინისა, მეუფროსენი მდივანთა რიგთა შინა  
დასხდნენ და დასწინდეს ხსენებული ყრმა კელმწიფისა ძეჲ.  
შემდგომად ამისსა განვიდა რა ესე ყრმა  
გარეთ, იხილეთ აქა ვითარ იქმნა მის სა-  
წყულისა ვითარებაჲ: მას სახლსა შინა, სადაცა  
მჯდომარე იყო კელმწიფის ქალი, იგი ყრმა მივიდა შექვი-  
ვისა წადილით მუნ, ვიდრემდის იხილოს ქალი იგი კელმწი-  
ფისა. ხოლო ოდეს იხილა იგი მთვარეჲ—ქალი კელმწიფისა  
ფანჯრიდგან, მაშინ დაინახა ესე ერთმან დედაკაცმან და  
უჩვენა აგრეთვე დედასაცა მის ქალისასა და შემდგომად  
მან მოუთმენელმან დედაკაცმან განახურვა მასვე წამსა  
შინა წვერი შამფურისა ვითარცა ცეცხლი და ატაკა უიკ-  
რათ მას ყრმასა თვალსა შინა, რომელიცა განკვირვებულ  
იყო მის საყვარელის სიმშვენიერების უურებიითა. მაშინ მან  
ყრმამან იწყო ყვირილი, რომლისა ხმამან მიაწივა მეჯლი-  
სამდინ მის კელმწიფისა და ყოველნი ერთობით მთერალნი  
გამოსცვიდნენ გარეთ და იხილეს იგი ყრმაჲ მას მდგომა-  
რეობასა შინა. მასვე წამსა ესრეთი მხიარულება გარდი-  
ცვალა მწუხარებად და თვთ ყრმაჲცა სიმწარისაგან თვა-  
ლისა მოკვდა.

<sup>120</sup> B: ტრფიალებდა.

და ხმა მისი განსდა<sup>130</sup> ყოველსა ქვეყანასა ზედა და  
ესრეთ ვისაც არა აქვს მოთმინებაჲ საქმესა შინა თუსსა,  
მან უკეთუმცა დარგას ვარდი, მაშინ მისგან აღმოსცენდე-  
ბის მხოლოდ ეკალი და ვითარცა იქმნების წერაჲ ღვთისა  
მოწევილ, მაშინ ყოველსავე რჩევასა და მასლაათსა იქმს  
უქმად.

აწ უკეთუ თქუნ, ჯელმწიფე აზატბახტო, მიიღებთ მო-  
თმინებასა მოშთობისათუს ჩემისა, მაშინ მიიღებთ გულისა  
თქუნისა წადილსა. ესრეთ რა შეასრულა მოხსენებაჲ  
თუსი წინაშე ჯელმწიფის აზატბახტისა ბახტიარმან, მაშინ  
მზე მოეფარა ფარდასა ღამისასა და ბრძანა ჯელმწიფემ  
კვალად წარუყვანა საპყრობილესა შინა გათენებამდინ. და  
ჰსთქვა: ვიხილოთ, რასა ინებებს გამგებელობაჲ ჯელმწი-  
ფეთ ჯელმწიფებისა.

#### მოსვლა მახუთისა ვაჟირისა წინაშე კელმწიფისა

იყო ერთი ვეზირი, სახელით ჩაჰრა, ფრიად მეცნი-  
ერი. მოვიდა რა მეხუთესა დღესა . წინაშე ჯელმწიფისა,  
ემთხვია ადგილსა მისსა და მოახსენა: ჰ ჯელმწიფეჲ გო-  
ნიერო! ვიქმენით ქვეყანასა ზედა შერცხვენილ და გამო-  
სალმებულ. და ამასთანეჲ მოახსენა სხუადცა სხვადასხვა სი-  
ტყუები, რომლითა აღატყდა ცეცხლი შინაგან ჯელმწიფისა.  
კარისა კაცთა რა ნახეს ესრეთ განრისხებული, მაშინ იგი  
ყრმაჲ მიიყვანეს კვალად სამართალსა შინა, სადაცა უბრძა-  
ნა ჯელმწიფემ: ჰ შერცხვენილო და გზადაკარგულო! შენ  
მქმენ მე შერცხვენილ ორსავე სოფელსა შინა, ესრეთი შხა-  
მი უქმენ სასასა ჩემსა. აწ მოგშთობ შენ ათასის ტანჯვითა  
და სალმობითა და ჩაქვლავ ქვეშე ქვეყნისა.

#### მოხსენება ბახტიარისა ვიარ

მოახსენა ბახტიარმა: ჰ აზატბახტო! იყოს ბედნი-  
ერება თქუენი დოვლათისა თქუენისა თანა განუშორებლიჲ,  
რომელ კაცი კეთილსახელოვანი უკეთუ იყოს საქმესა შინა  
უცოდველ, მაშინ თვთ ღმერთი საქმესა შინა მისსა იქმნე-  
ბის მისთუს კეთილისა მოსურნე. ესრეთ მაქვს იმედოვნე-  
ბაჲ ღვთისაგან, რომელ უკანასკნელსა აღმოვჩნდები მე

<sup>130</sup> B: გაწნდა.

შართლიად. ზ ღმერთო ქვეყნისაო! გინადგან აწ ვარ მე  
ამა ჯელმწიფისა ჩემისა საქმესა შინა უცოდველ, მეყავ  
შენ მე მფარველად. და ესე ვითარებაჲ ჩემი მსგავს არს  
ვითარებისა მის დადაბინის ჯელმწიფისა, რომელმანცა  
ირწმუნა რა ცილი, მოშთო ვეზირი თვისი უბრალოდ ერ-  
თისა ქალისათვის. მაშინ უბრძანა ჯელმწიფემ აზატბახტმა:  
მოვედ და მითხარ ესე, რომელ ვითარებაჲ ჯელმწიფის  
დადაბინისა ვითარ იქმნა ერთისა ქალისათვის.

### მოთხრობა ჯელმწიფე დადაბინისა ზედა

უძღვნა პირველად მან ყრმამან ბახტიარმა ლოცვაჲ  
ჯელმწიფეს, მოახსენა, რომელ: მაქვს მე ერთი საკვირვე-  
ლი მოთხრობაჲ, რომელიცა მომისმენიეს მე მოხუცთაგან  
და იპყრობს თვისდა დარიგებითა კანონსა. მიიღე მოთმი-  
ნებაჲ და მოიქეც ცილისაგან და მოისმინე ამა მონისაგან  
ესე დარიგებაჲ, რომელ მოთმინება მოგიპოებს მხიარულე-  
ბასა, ხოლო მოუთმენელობასა<sup>131</sup> შეუდგების მწუხარებაჲ.

ესრეთ უთქვამსთ გამოცდილთა მათ მოხუცთა, რო-  
მელ იყო ერთი დიდებული ჯელმწიფე ერთსა ქალაქსა შინა  
სახელით დადაბინ (ესე იგი სამართლისა მიმცემი), რო-  
მელსაცა ჰყვანდა ორი ვეზირი ფრიად მეცნიერი და ყო-  
ველსა საქმესა და რჩევასა შინა მათით ჯელმძღვანელობ-  
და. პირველი ვეზირი იყო სახელით რუზიგარ და მეორე  
ქარდან (ესე იგი საქმისა მცოდნე). ხოლო პირველსა ამა  
ვეზირსა ჰყვანდა ერთი ქალი, რომლისა კეთილქცეულო-  
ბისა სახელი განთქმულ იყო ყოველსა კუთხესა ქვეყანი-  
სასა და არცა იპოებოდა მსგავსი მისი სიმშვენიერითა მას  
დროსა შინა, ესრეთ რომელ ქვეყნისა ხალხთა სიმშვე-  
ნიერითა თვისითა გულსა სტაცებდა.

გარნა ოდეს ჯელმწიფე წარუგზავნიდა კაცსა, მაშინ  
იგი მისცემდა ყოველთვის პასუხს: მე ვარ ლოცვასა შინა  
შემოქმედისა ჩემისა და არა მაქვს ფიქრი ქმრისა გონებასა  
შინა ჩემსა. და ესრეთ ყოველთვის იმყოფებოდა ლოცვასა  
და მარხულობასა შინა. შემდგომად ამისსა ერთსა დღესა  
შემოხდა უეცრად ჯელმწიფისა ხალვათხანასა შინა კვალად  
ლაპარაკი მას ზედა. მაშინ ესმა რა ჯელმწიფეს დადაბინს,

<sup>131</sup> B: მოუთმენელობასა.

მასვე წამსა შინა დაიბარნა ვეზირნი თუსნი და ჰკითხა, რომელ: **ვ მეგობარნო ჩემნო!** თქუენცა ირიცხვიო ჯელმწიფისა ადგილს, ითხოეთ ქალი იგი ჯელმწიფისათს თქუენისა.

მოისმინეს რა ესე მათ ვეზირთ მის ჯელმწიფისა წადილი, მაშინ მოვიდა მათგან ერთი ვაზირი რუზიგარ, რომლისაცა იყო ქალი იგი, სახლსა შინა თუსსა და უთხრა თუსსა ქალსა, რომელ: უკეთუ ჯელმწიფე იქმნას ჩვენდა სიძედ, ვითარ იქმნების ნებაი შინი ამა საქმესა შინა? მოვედ და მომიგე ამაზედ ერთის სიტყვით ჭეშმარიტი პასუხი. მიუგო პასუხი ქალმა ბოდიშით: არა ძალმიძს ჯელმწიფისა თანამემცხედრედ, ვინადგან ჰყავს ჯელმწიფეს მოწონებული ქალბატონი, რომელიცა მომიწონებს რა მე, განაგდებს მას თუსგან. ამისთუს არა არს ესე ჩემდა საკადრისი და არცა იქმნების პატივი მის გამო.

მოვიდა ამისსა შემდგომად ვეზირი იგი მუნიდგან წინაშე ჯელმწიფისა თუსისა და მოახსენა პასუხი თუსის ქალისა. მაშინ განრისხდა ჯელმწიფე და იქნა აღტაცებულ მრისხანობითა. ხოლო ვეზირი, იქმნა რა შეპრწუნებულ ესრეთისა მისის მრისხანებისაგან, რომელიცა გამოვიდა რა გარეთ, მასვე წამსა შინა იქმნა ლტოლვილ ანუ გაქცეულ. ოდესცა ესმა ესე ჯელმწიფეს, უბრძანა თუსთა ლაშქართა, რათა წარვიდნენ, მოგებნონ და შეიპყრან იგი, რომელიცა შეიპყრეს რა, მოიყვანეს ტანჯვითა და ტირილითა შიშისა გამო სიკვდილისა წინაშე ჯელმწიფისა, რომელსაცა მასვე წამსა შინა ჰშთაკრა კონბალი ანუ ჯელისა ჯოხი და მოჰკლა. ხოლო ქალი მისი ჰქმნა თუსდა მიმცხედრედ და ვერ ვინ იძლო მას დროსა შინა თქმად და მოხსენებად მისდამი რაჟსამე სიტყვისა.

შემდგომად ამისსა ექმნა ჯელმწიფესა მას საჭიროდ წარსვლა ერთსა უცხოსა ქვეყანასა და ზემორე ხსენებულსა ვეზირს ქარდანს, რომლისა ყოველივე საქმე მისსა ჯელსა შინა იყო, უთხრა, რომელ: ვიდრემდის მე უკუნ მოვიქცე, შენ დაიცე ესე მიმცხედრე ჩემი. გარნა ოდეს იგი ჯელმწიფე დადაბინ განემგზავრა გზასა, მაშინ ამა ვეზირსა მოუვიდა ფიქრი გონებასა შინა, რათა განწყობიყო<sup>132</sup> ანუ გაეარშიყებიყო მას ქალსა მიმცხედრესა ხსენებულის ჯელ-

132 B: განწყობილ იყო.

მწიფისასა. მაშინ ერთი ვინმე წარუგზავნა მას ქალსა და შეუთვალა: ჰ კელმწიფავ, მსგავსად მთვარისა მნათობო! მე შეეკმნილვარ მოარშიყე სილამაზისა შენისა და შენ, საყუარელო, მოიგე გული ამა მოარშიყისა შენისა.

მოისმინა რა ესე მან ქალმან, განრისხდა და მას მოციქულსა უკადრისის სიტყვით უპასუხა, რომელ: არა ძალუძს მას ვეზირს ამა სიტყვისა თქმა და ამა ცუდისა საქმისა ქმნა და არა არს საქმეა ჩემი, არამედ ესე არს საკადრისი დადაბინის კელმწიფისადმი, ვინადგან ჰყავს მას ესრეთი სარწმუნოა კაცი. და შემდგომად შეუთვალა მასვე კაცისა პირით: ჰ კაცი! თანასწორ არიან ყოველნი დედაკაცი. შეინანე ამა შენისა თქმისაგან და უკუნ-იქეც. შენ გიწოდებენ ქარდანად (ანუ საქმის მცოდნედ), ხოლო არა გეშინის შენ უეტრისა სიკუდილისაგან?

მიუვიდა რა ესე სიტყვა და მას ვეზირს ქარდანს, მაშინ შიშისა გამო კელმწიფისა იქმნა შენანებულ თვისს ნათქვამთაგან. გარნა უთხრა თავსა თვისსა, რომელ: რაა ექნა და როგორ ექმნა? უკეთუ ესე საიდუმლო ჩემი გამოცხადდეს ქვეყანასა ზედა, მაშინ კელმწიფე ჩემის უცოდინელობითა წარმკვეთს თავსა ხმლითა. ამისთვის უკეთუ მსურის, რათა არა მეშინოდეს მე თავისა ჩემისა სიკუდილისა, ვიქმ ესრეთსა საქმესა, რომელ არღა იყოს ესე ქალი ცოცხალ.

იყო რა მის ქალისა წინაშე ყოველთვის ერთი კეთილი მზვარეული მსგავსად საყვარლისა ძმისა, რომელსაცა იგი თვით ვეზირი ინახამდა, ვითარცა თვისსა შვილსა: და კელმწიფეს ექმნა იგი განწესებულ წინაშე მემცხედრისა თვისისა. ოდესცა უკუნ-მოიქცა კელმწიფე კვალად უცხოს ქვეყნილგან, მაშინ მან ვეზირმა ქარდანმა განუცხადა მოგონებით ტყულად კელმწიფეს ესე საიდუმლოი შემდგომითა სახითა: თუმცა მსურის, რომელ არა იყოს წინაშე თქუენსა დაფარულ ესე, გარნა მეშინის მოვაწვეინო რა ყურამდინ თქუენისა. მაშ ამისთვის მომიცით მე ბეჭედი ხათრიჯამობისა<sup>133</sup>, ვიღრემდის განგიცხადოთ მე იგი.

ესმა რა ესრეთ, მისცა მასვე წამსა შინა კელმწიფემ თვის ბეჭედი ხსენებულს ვეზირს ქარდანს, რომელმანცა

<sup>133</sup> B: სათრიჯამობისა.

შემოიცო რა თითსა ზედა თვსსა, მოახსენა, რომელ: უკეთუ ესე ქალი მემცხედრე თქუენი არს ფრიად საყუარელი, გარნა მოთხრობაჲ და ვითარებაჲ მისი არს ვრცელი. თუმცა ესე საიდუმლო დიდი ხანი არს, რაჲცა მიცვნიეს, გარნა შიშისა გამო<sup>134</sup> თქუენისა აქამომდე ვერ ძალ ვიდე მოხსენებად, ვინადგან გიუვარდათ იგი ფრიად და გერჩივნათ მისი თავი თითქმის უმეტეს ქვეყნისა.

მას დღესა, ოდეს იყავით თქვენ უცხოთა ქვეყანასა შინა, მოსამსახურეთაგანნი ერთი მოვიდა წინაშე ჩემსა მწრაფლად და მითხრა, რომელ: ზ უფროსო ჩემო! საჭირო არს ჩემდა და შენდა ცოდნად. მოვიდ და ნახე ქალბატონი, რასა საიდუმლოებსა შინა არს. მაშინ წარვიდო რა მე, დავჯეგ ერთსა კუთხესა და მოვისმინე ჩემის საკუთრისა ყურითა მოთხრობანი, რომელ მან ქალმან მემცხედრემან თქუენმან უთხრა ესე საიდუმლოჲ მზვარეულს<sup>135</sup>, რომელ: შენ მაშინვე შეინანიე, ოდეს არა წარმიუყუანიე მე აქედამ შენთან ამა კელმწიფისა მოსკლამდინ. არა მსურდა არა ოდეს მე იგი ქმრად ჩემდა სირცხვილისა გამო, რომელმან მოჰკლა მამაი ჩემი ტანჯვითა.

უპასუხა მზვარეულმა, რომელ: ეგე კეთილ არს, გარნა აწ რაჲსა იქმ, ვიდრე არა ჰსცნას ესე კელმწიფემ. უპასუხა ქალმა: ჩემი საქმე ესრეთ იქმნას, თორემ დედაკაცთ მრავალი თვალთმაქცობა აქვსთ. ესრეთ მსურის მხოლოდ, რომელ შემდგომად ამისსა ცოლად შენდა ვიყო, რათა მით აღმოვიდო გულისა ჩემისა ბოროტი და ესრეთ დღე და დამე ფიქრსა შინა მოკვლისა მისისა ვარ, რათა მით სისხლი მამისა ჩემისა უკუნ-მოვიქციო. აწ რაჲ იქმნების, რომელ შენ გაუგროო შხამი საჭმელსა შინა მისსა, რათა<sup>136</sup> განვიდეს ამიერ სოფლით.

მიუგო მზვარეულმან: საქმე ჩემი ესე<sup>137</sup> არს და ჩვენი საქმე და სიტყვა იყოს ესრეთ<sup>138</sup>. და აწ, ზ კელმწიფევი, ესრეთ არს საქმეჲ მემცხედრისა თქუენისა და თქუენივე

<sup>134</sup> A: შინისამო.

B: შინიბო.

<sup>135</sup> B: მზვარეული.

A: მზვარე (ჩამოჰკრილია)

<sup>136</sup> B: რათ.

<sup>137</sup> B: ესრე.

<sup>138</sup> B: ესრეთი

უწყით. ესმა რა ესე მას ჯელმწიფე დადაბინს<sup>139</sup>, მასვე წამსა წარკვეთა თავი მზვარეულსა, ხოლო მემცხედრისა. თვისისა ბრძანა ცემა მრავალი და გართხმა ფიცარსა ზედა. და ჰქმნა მით შერცხვენილ. გარნა შემოვიდა შუა ჯელმწიფისა ერთი უფროსი ვინმე და მოახსენა: ჰ ჯელმწიფევე! უოველთჳს იყოს ბედნიერება თქუენი თქუენგან განუშორებლივ, რომელ კეთილ არა არს თქვენთჳს სიკვდილი ამა დედაკაცისა და ნუცა აგდებთ განსაცდილსა მამულსა შინა თქუენსა. უკეთუ მოწყალებითა მიხედავთ მას, მაშინ იგი განაგდეთ მხოლოდ მინდორსა შინა, ვიდრემდის წარწყმდეს ანუ მოკვდეს იგი მუნ.

პატივ-სცა ჯელმწიფემ მას შუამდგომელსა კაცსა და ბრძანა განუყვანა მის უბრალოს და უცოდველის ქალისა ველად და მინდვრად. გარნა ოდეს განიყვანეს იგი მინდვრად და მუნ დასვეს, მაშინ იხილეს იგი მეაქლემეთა, რომელნიცა აჭენებდნენ აქლემებსა ქალაქიდგან, რომელ ქალი იგი ლოცულობდა. მოვიდა წინაშე მისსა ერთი მეაქლემე და მისცა დიდება განკვირვებულმან მისის მშვენიერებითა. უთხრა: ჰ მშვენიერ-პიროვანო, საიღამ ხარ? უპასუხა ქალმა: მე ვარ მონაჲ შემოქმედისა ღვთისა. უთხრა მეაქლემემან: ვინა მოგიყვანა შენ აქა? უპასუხა: მომიყვანა მე აქა ღვთისა ნაცვალმა. უთხრა: მე ვიქმნები შენდა ქმრად. უპასუხა: ჰ ძმაო! მე არა მსურს, არამო მოიდე მხოლოდ წყალობაჲ ჩემს ზედა უკეთუ ძალგიძს და მიმიყვანე მე შენსა რომელსამე ადგილსა.

მეაქლემემან მასვე წამსა წარიყვანა იგი ერთსა სოფელსა და დასო ერთსა სახლსა შინა. ხოლო თვთ იგი წარვიდა მუნიდგან წინაშე ჯელმწიფისა და მოახსენა, რომელ: ვიხილე მე ერთი ქალი, მნათობი მსგავსად მთვარისა, მდგომარე შუა მინდორსა ზედა. გარნა აწ მომიყვანიეს იგი ერთსა შენსა ადგილსა, რომელიცა თვთ თქუენც უწყით. ესმა რა ესე ჯელმწიფეს, იქმნა მხიარულ და მას კაცსა მისცა კეთილი ხალათი. ხოლო თვთ შესჯდა ცხენსა. ზედა დიდებითა და მხიარულებითა და წარვიდა დიდის შექცევით, ვიდრე მის სოფლამდინ.

და ოდეს იხილა იგი მთვარეს მსგავსი, შეიქმნა მოარშიეჲ ძისი. და უთხრეს მუნ მყოფთა უფროსთა კაცთა მას

ქალსა, რომელ: მრავალნი არიან შენნი მტერნი. აწ ვინაღვან მოიწია შენს ზედა წყალობაჲ კელმწიფისა, არა ჯერ არს შენდა უარის თქმა კელმწიფისადმი. მაშინ ამა რჩევეითა<sup>140</sup> იქმნა რა იგი ქალი თანახმა, მასვე წამსა მოიყვანეს უაზიცა (ესე იგი არქიერი) და მეუფროსენი დასხდხენ მღვინობისა რიგსა ზედა და განუჭრეს კელმწიფისა ქაბინი მას ზედა. ხოლო ოდეს მოიყვანეს ქალაქსა შინა, იწყეს მხიარულება და შექცევა. განსხნეს ხაზინანი კელმწიფისანი და აღმოიღეს სასტუმრონი საჭირონი ნივთნი. და კელმწიფეც მის ქალისა თანა შეექცეოდა და ლხინობდა.

შემდგომად ამისსა მან კელმწიფემ ჰკითხა ხსენებულსა მას ქალს მემცხედრესა თუსსა თუსი ვითარებაჲ, რომელმანცა უანბო რა ყოველივე თუსი გარდახდომილებაჲ, ბრძანა კელმწიფემ, რომელ: იყოს რა ერთი ვინმე დადაბინ (ესე იგი სამართლისა მიმცემი), რაჟსათუს უნდა იყოს იგი ესრეთსა ჯაბრობასა და უსამართლობასა შინა. აწ, ჰჩემო საყვარელო, ამა მწუხარებისაგან იყავ მხიარულ, რომელ მას განურიგებ საქმესა სხვა რიგათ. შემდგომად ამისსა წარგზავნა რა ამა კელმწიფემ ჯარი, უბრძანა, რომელ წარვედით და მამული მისი მიეცით ქარსა<sup>141</sup>. და თვთ თუსის ვეზირებითა, დიდრონის კაცებითა და შვილებითა შეიპყარით და მომგვარეთ მე იგი კელშეკრულ.

და ოდეს მოვიდა იგი მხედრობაჲ მწრაფლიად, ალაოხრა ყოველივე შინაგანობაჲ მისის მამულისა. და შემდგომად ჰსცნა ესე კელმწიფემ დადაბინმა<sup>142</sup>, განაწყო თვთცა მქედრობაჲ და ორისავე მხედრობაჲ ეკვეთენ რა ერთმანეთსა, მსგავსად ზღვის დელვისა, აღსდგა ყვირილი და ხმიანობაჲ საშინელი. და შემდგომად ფიცხელისა ბრძოლისა გამო იქმნა რა მქედრობაჲ დადაბინისა<sup>143</sup> ძლეულ, შეიპყრეს თვთ კელმწიფე დადაბინ თუსის ცოლ-შვილით და ვეზირებითურთ და კელ-შეკრული მოიყვანეს წინაშე თუსის კელმწიფისა და ქონებაჲცა მისი აიკლეს და ალაოხრეს.

მასვე წამსა ჰკითხა სახელოვანმა მან კელმწიფემ მემცხედრესა თუსსა: ესე არს მტერი შენი, შევჰკარ, ვითარცა

<sup>140</sup> B: აპირჩევეითა.

<sup>141</sup> B: ქალსა.

<sup>142</sup> B: დადაბანმაც.

<sup>143</sup> B: დადაბანისა.



ეკალი. მაშინ მან ქალმან გამოსძახა შიგნით ფარდისა, რომელ: *ჰ შენიანებისადმი*<sup>144</sup> უსამართლოებისა მქნელო! მოჰკალ მამა ჩემი უსამართლობით. აწ ესე მაინც ჰსთქვი, რომელ რაა ნახე შენ ჩემგან. უპასუხა ჯელმწიფე დადაბინმა: რაჲლა ვსთქვა, ოდეს ჩემისა საქმისაგან ვარ აწ მე შერცხვენილ. მე არა რაჲმე მინახავს შენი დანაშაულობაჲ, გარნა მოვტყუედი ამ ჩემის ვეზირის ქარდანისაგან.

მოახსენა ვეზირმა ქარდანიმ ფიცით, რომელ: ჯეშმარიტ არს. შიშისა გამო სიკვდილისა თავისა ჩემისა შეიწამე მე ძაგას რაოღენიმეჲ ცილი, გარნა აწ თუთ მე ჰშთაფარდი ჩემსადე ამოთხრალსა თხრემლსა შინა. მაშინ ჰსთქო ქალმან მან მეცხედრემან ჯელმწიფისმან: დიდებაა ღმერთსა, რომელ მქნა მე პირნათლად უბრალოებამან ჩემმან! და შემდგომად ამისა ბრძანა მან ქალმან<sup>145</sup> წარყვანა მის ვეზირისა მარტოდ მინდორსა შინა, ვიდრემდის მოკვდეს მუნ.

აწ *ჰ მეგობარნო!* ჰქმნა რა ამა ვეზირმა ბოროტნი ზემორე წარწერილნი საქმენი, მიეგომცა ბოროტი. და ვინცა იქმს ბოროტსა, მიეგების მასცა ბოროტი. იცოდეთ ესე ყოველთა კეთილ-ჰაზროვანთა. აგრეთჲე წინააღმდეგ, ჰქმნა რა მან ზემორესხენებულმან უფროსმა კაცმა ვინმე კეთილი, რომელ მოარჩინა ქალი იგი სიკვდილისაგან, ამისთვის ჯელმწიფემაც უწყალობა ყოველივე მამული მის ჯელმწიფის დადაბინისა, რომლითა იქმნა ფრიაღ მდიდარ მიზეზისა გამო კეთილისა თვისისა. და უკეთუ თქუნცა, მეგობარნო, უქმთ ყოველსა სულსა კეთილსა, მაშინ მოგეგებისთ კეთილი თქუნცა თუთ ვერანასა ადგილსაცა შინა.

ესრეთ რა შეასრულა ბახტიარმა თვისი მოთხრობაჲ წინაშე ჯელმწიფის აზატბახტისა, მოახსენა, რომელ: *ჰ ჯელმწიფევ!* ვინადგან ვარ მე უბრალო წინაშე თქვენსა, მეუოს მე მფარველ შემოქმედი ქვეყნისა. ესრეთ დავსდებ რა იმედვენეულობასა ჩემსა ღმერთსა ზედა, ვიქმნიები აღმორჩენილ უკანასკნელსა დროსა მართლიად. და შემდგომად წარიყვანეს კვალად იგი საპყრობილესა შინა.

#### მოსვლა მამავისისა ვეზირისა წინაშე კალმწიფისა

რა განსთენდა და აღმოვიდა მნათობი მზე ქვეყნად, მაშინ მოვიდა სხვაჲცა ვეზირი წინაშე ჯელმწიფისა და

<sup>144</sup> B: შენიანებისადმი. — <sup>145</sup> B: მან... ქალმან —

მოახსენა: ჰ ჯელმწიფევე! ჰქმენ ღვთისა გულისათჳს, მოჰკალ ესე უსარგებლო, ანუ ჰქმენ იგი განხდილ გარეთ. ვიდრემდის გუჳანდეს იგი მოსამსახურე საპყრობილესა შინა? ვითარ ვერ მიხვდით ჰეშმარიტებით მისსა საქმესა? და ესრეთ იქმნა რა ჯელმწიფე კვალად ამა მოხსენებითა განრისხებულ, მოითხოჳა იგი ურმაჳ და უთხრა: ჰ ურმაო, ვიდრემდის ვიყო მოთმინებასა შინა საქმისა შენისა, რომელ ყოველსა ადგილსა უბნობენ შენგან ჰქმნულსა საიდუმლოდ საქმესა?! უკეთუ შენ კვალად ჰოილებ სხვადასხვა მოთხრობებსა<sup>146</sup>, მაშინ არა გექმნების შენ სხვაჳ რაჳმე ღონისძიებაჳ ხსნად, გარდა სიკვდილისა.

#### მოხსენება საწყალოზლის ბახიარისა შინა წინაჳ დიდაგულის ჯელმწიფისა

მოახსენა მასვე წამსა შინა ბახტიარმა: ჰ ჯელმწიფევე! ესრეთ მაქვს მე სასოებაჳ ღვთისადმი, რომელ რომელსაცა ეყოლების იგი მფარველად თჳსდა, მაშინ მას არა ეშინის ჯელმწიფისა სატანჯველთაგან, ესრეთ, ვითარცა ჯელმწიფემ ბახტაზმამ (ესე იგი ბედის გამომცდელმა) დასდჳა სასოებაჳ თჳსი განმგებლობაჳა ზედა ღვთისასა. და აწ გთხოვ, დიდებულო ჯელმწიფეო ჩემო, ინებოთ და მოიხმინოთ ესე ჩემი ტკბილი სიტყჳაჳ.

#### მოთხრობაჳ ჯელმწიფის ბახტაზმასა ზედა

მომისმენიეს, ჰ ჯელმწიფევე, რომელ იყო ერთი ვინმე ხელმწიფედ სახელით ბახტაზმა, რომლისა საქმე ყოველთჳს ესე იყო, რომელ სომდა<sup>147</sup> ღვინოსა და განატარებდა ცხოვრებასა თჳსსა ლხინსა და შექცეჳასა შინა. აგრეთვე მწედრობაცა მისი მსგავსადვე მისსა. გარნა ღროსა ერთსა უეცრათ მოვიდა მას ზედა ჯელმწიფე სხვისა ადგილისა და დაიპყრნა ყოველნი ციხენი, ქალაქი და გალაფანი მის ქალაქისა, და მით მიულო ყოველივე ბრძანებაჳ მას ჯელმწიფეს. მაშინ იქმნა იგი ჯელმწიფე ლტოლვილ თჳსითა მწედ-

<sup>146</sup> B: მოთხრობებსა.

<sup>147</sup> B: სვამდა.

რობითა. და განუტევენა მუნ ყოველივე თვისი ქონება, (კო-  
ლი და შვილნი, და თვთ მიმოეკვითა ყოველსა მხარესა და  
შეჰკრიბნა კვალად დიდითა ცდილობითა და მეცადინობი-  
თა მკედრობანი და მოვიდა ზემორე ხსენებულს ჯელმწიფე-  
სა ზედა. გარნა მაშინცა იქმნა იგი ძლეულ.

ჯემმარიტად უთქვამსთ, რომელ: რომელსაცა არა  
ჰყავს შემწედ ღმერთი, მაშინ ყოველთვს საქმე მისი იქმნე-  
ბის წარუმართებელ!

მაშინ იგი ჯელმწიფე ბახტაზმა მოვიდა რა წინაში  
ჯელმწიფის ხოსროვისა, იქმნა მისდა მსგავსად მონისა და  
ემსახურებოდა მას. ხოლო ბრძოლისაგან პირის-პირ მტე-  
რისა თვისისა აღიღო ხელი. შემდგომად ამისსა ერთსა ლა-  
მესა ნახა რა მოსამსახურემან მის ჯელმწიფის ხოსროვი-  
სამან, რომელ მას აზმას ღამით არა ეძინა მრავლის ტირი-  
ლისა და დრტვინვსაგან<sup>148</sup>, მოვიდა და მოახსენა ჯელმწიფის  
ხოსროვსა.

მაშინ ამა ჯელმწიფე ხოსროვმა ჰკითხა ბახტიაზმა  
ჯელმწიფეს, რომელ: შენ რაფსათვს სტირი ღამითა? სა-  
კვირველ არა არს, რომელ შენ გეწოდების ბახტიაზმა (ესე  
იგი ბედის გამომცდელი)? უპასუხა ჯელმწიფე ბახტიაზმამ:  
მისთვს ვტირი მე, რომელ ვარ მე ჯელმწიფე ქვეყნისა ბახტი-  
აზმა, გარნა ცოლშვილნი ჩემნი ჯელთა შინა მტერთა არი-  
ან. აწ თვთ თქუენ უწყით, ჰ ჯელმწიფევე, ვითარ იქმნების  
გული ჩემი. და ესრეთითა სახითა უანბო გულისა დარდი  
თვისი, რომელ აღანთო ცეცხლი შინაგან ჯელმწიფისა ხოს-  
როვისა.

მაშინ ხოსროვ ჯელმწიფემ მისცა რა ნუგეში მას ბახ-  
ტიაზმუდას, უთხრა, რომელ: მე გამოვიძიებ შენსა საქმე-  
სა, იქმენ მხოლოდ შენ გულ-მხიარულ. შემდგომად მისსა  
მისცა მას ჯელმწიფეს ბახტაზმას<sup>149</sup> რაოდენივე მკედრო-  
ბაჲ და გამოამგზავრა მესამედ მტერსა ზედა თვისსა გამო-  
ხსნისათვს ძეთა თვისთა. გარნა ოდეს ეკვითნენ ორისავე  
მხრისა მკედრობანი ერთმანეთს, მაშინ იქმნა კვალადცა  
ძლეულ მკედრობა ჯელმწიფის ბახტაზმასი. იხილეს რა  
მათგან სიმკვეთრე და ჯარბობა<sup>150</sup>, გაიქცნენ ყოველნი  
შეპრწუნებულნი ყოველსა მხარესა.

<sup>148</sup> B: ტრტვინვსაგან.

<sup>149</sup> B: ბახ აზმას.

<sup>150</sup> A, B: არბობა.

და თუთ ბახტაზმა, დარჩენილი მარტოდ ცხენსა ზედა თუსსა, იქმნა ლტოლვილ და მოვიდა ერთსა ზღვისა ნაპირსა, სადაცა ჩაჯდა რა ხომალდსა შინა, განვიდა მით სხვასა ქალაქსა. და მივიდა წინაშე მის ქალაქის ჯელმწიფის ქიშვარისა, რომელმანცა მიიღო დიღის დიდებითა და პატივითა. და ბრძანა მოტანა წინაშე მისსა საკადრისის იარაღისა. და ესრეთ ატარებდა მუნ იგი ჯელმწიფე ბახტაზმა ცხოვრებასა თუსსა.

გარნა აქა მოისმინე, ვითარ იქმნა კვალად მისი ვითარებაჲ. ერთსა დროსა ზემორე ხსენებული ხოსროვ ჯელმწიფე, რომელმანცა მისცა ერთგზას მწედრობა თუსი ბახტაზმას, წარმოვიდა თუსითა მამაციის მწედრობითა რომელსამე მიზეზისა გამო პირის-პირ ზემორე ხსენებულის ჯელმწიფის ქიშვარისა, რომელთა შორის იყო დაშთენილი სისხლიცა. ჰსცნა რა ესე ჯელმწიფემ ქიშვარმა, მასევე წამსა განაზიზაღნა იარაღნი საომარნი და მხედრობანი თუსნი და გამოვიდა შემდგომად სამისა დღისა პირის-პირ მის ხოსროვ ჯელმწიფისა და მისცნა მწუხარებანი თუსსა მტერთა. ხოლო ოდეს მწედრობანი და ლაშქარნი ორისავე მხრისანი განეწყუნენ პირის-პირ, მაშინ ბრძანა ჯელმწიფემ, ვიდრემდის იწყონ ბრძოლა. მას დროსა უოველთა აღამაღლეს ბაირაღნი თუსნი, და დაუკრეს სალაშქრნი, სხვა და სხვანი ბრძოლისა საკრავნი და დაფნი და მიქონდათ ჯასუსთა ანბავნი ერთიმეორისანი, რომელთა ცხენებცა ნალითა სქდებოდნენ ქვანიცა.

შემდგომად ამისა გამოვიდა ერთი მწედართაგანი ხოსროვ ჯელმწიფისა ასპარესსა ზედა საომრისასა, რომელიცა მჯდომარე იყო საომარსა მკვირცხლსა ცხენსა ზედა, სიმარდითა ათამაშებდა შუბსა თუსსა. თავსა ზედა ესურა ჩაფხუტი ოქროსი და განხსნილ ქონდა დილები რვალისა პერანგისა. გარდაცმულ<sup>151</sup> აქენდა მხარსა ზედა საჯელმწიფეო ხმალი, ეპურა ჯელსა წინა ფრიად სწორნი ისარნი და შვილდი, მოხრილი მსგავსად ცის სარტყელისა<sup>152</sup>. მძიმელ<sup>153</sup> მჯდომარე იყო ცხენსა ზედა, მსგავსად რუინისა. ქამანდი ანუ ორკი დასაჭერი კაციცა აქენდა უკანით, ცხენსა ზედა.

<sup>151</sup> B: გარდაცმულ.

<sup>152</sup> B: სარტყლისა.

<sup>153</sup> B: მძიმელ —

\* ესე რუინი იყო ღრიალ ღონიერი და ჯელმწიფისი ფალავანი.

ორი სახელმწიფო მარგალიტი აქვდა განყრილ ყურთა შინა. მხარსა ზედა გარდაგდებულ ჰქონდა ფარი, შექმორტყეულ აქვდა მუხლი ოქროთა და აქვდა ქვეშ ამოდებულ<sup>154</sup> ლახტი საგვემელი. ხელსა დახვეულ აქვდა შუბი მსგავსად გველისა და ათასი მსგავსი ფალავანისა როსტომისა ჰყვანდნენ თვსთა ჯელთა ქვეშე.

და მოკლედ ვსთქვათ, იყო ფრიად ძრიელი ფალავანი, მსგავსი ლომისა, რომლისა სახელი იყო განთქმულ მისი ორთა არაყისა ქვეყანასა შინა. ხოლო ცხენსა მას, რომელსაცა ზედა იგი მჯდომარე იყო, აქვდა ფრჩხილნი ვრცელ, ოდენ ჯამისა, ყურები მისი მსგავსი იყო კალმისა, და აქვდა ფაფარი და კუდი შავი, მსგავსად მელნისა. თვთ იყო მთა, სრბოდა ვითარცა ქარი და ჩასმულ იყო სრულგბით ფოლადსა შინა. და სცემდა იგი ფალავანი ყიჟინასა ძრიელსა და იტყოდა, რომელ, მსურის, რათა ერთი ვინმე გამოვიდეს ამა ასპარესსა ზედა პირისპირ ჩემისა. და რა გამოვიდა ესრეთითა საშინელებითა, ვერვინ იძლო გამოვლად წინააღმდეგ მისსა.

გარნა შემდგომად იქმნა იძულებულ გამოსვლად თვთ ხელმწიფე ქიშვარი მარტოდ ასპარესსა ზედა. და მიაგდო მკვეთრი ცხენი თვისი მსგავსად ქარისა მტერთა ზედა და მოჰკვეთნა მარტოდ თავი ირასთა კაცთა. და მით შეძრწუნდნენ რა მხედრობანი ხოსროვ ჯელმწიფისანი, იქმნენ დაფანტულ და ევლტოდნენ. მაშინ ჯელმწიფე ქიშვარდი უკუნ-მოიქცა ძლევითა, მხიარულებითა, დიდებითა და შექცევითა. მაშინ უთხრა ჯელმწიფემ ბახტაზმამ, რომელ: **ჰ** ჯელმწიფევე! რაჲსათვს თვთ თქვენ იბრძოლეთ მტერისა თანა თქუინისა? ჯერ არს ბრძოლად მხედრობათა და ლაშქართა და არა თქუენთა. მიუგო ჯელმწიფემ ბახტაზმას, რომელ: მე დამიმს სრული სასოებაჲ ჩემი ღმერთსა ზედა. და ვინადგან აწ ხარ შენ ჩემი გულითადი მეგობარი, ამისთვს გეტყვი შენ ჩემსა ვითარებასა, ვიდრემდის იკოდე.

ერთსა დღესა მოულოდნელად მოვიდა რა ჩემზედა მქედრობაჲ მტერისა ჩემისა, მყვანდა მე მხედრობაი ასი ათასი, რომელნიცა ყოველნი იყუნენ მსგავსი სპილოსა. გარნა მტერნი ჩემნი იყვნენ მხოლოდ სამოცდაათნი. მებრძოლეს

და ვიქმენ შემდგომად ძლიერ და გამიქცნენ ყოველნი ლა-  
შქარი ჩემნი. და დავშთი მე მხოლოდ მარტო მას მინდორ-  
სა ზედა. და ვინადგან უკუი არცა ვინ მუყანდა მუნ ხმისა  
გამცემი, ვიწყე ტირილი და ვიხილე მუნ უეცრათ ერთი ბე-  
რი, რომელიცა გამოვიდა რა<sup>155</sup> თვისის სენაკიდგან, მითხრა  
მე რომელ: მითხარ, რასა საქმესა შინა ხარ და ვის გამო აქა  
სტირი და ტკივნეულობა?! მაშინ განუცხადე მას ყოველნი  
სიძვი ვითარებად გულ-მტკივნეულობით.

რომელმანცა მან მეცნიერმა ბერმა მომცა პასუხი რო-  
მელ: # უმეცარო! ესვიდე ღმერთსა, მით რომელ, ვინად-  
გან მათ სამოცდაათთა კაცთა ჰქონდათ გული შემეჭვალული  
ღვთისადმი, მისთვის იქმნა საქმე მათი წარმართებულ. შენც  
გული შენი შემეჭვალე ჭეშმარიტებითა ღმერთსა, რათა მოწ-  
ყალბითა მისითა წარმატებულ იყოს საქმენი შენნი. და  
ესე რა გამომცხადა მე მან ბერმან, იქმნა შემდგომად მი-  
ფარებულ თვალიდგან ჩემისა. და მეცა მის დროდგან ვარ  
მე მინდობილ ღვთისადმი და ღმერთი არს წარმართველ საქ-  
მისა ჩემისა. და მისთვის ვძლიე აწ მე მტერსა ჩემსა.

ესე ვითარებად მოისმინა რა ბახტიაზმამ ჭელმწიფის  
ქიშვარისაგან, ნებართვითა ემთხვია ფიქთა ჭელმწიფის  
ქიშვარს. და მიერიდგან მანცა დასდვა სასოება თვისი ღმერ-  
თსა ზედა. მოვიდა და დასჯდა ერთსა კუთხესა შინა და იმ-  
ყოფებოდა ლოცვასა და მარხვასა შინა გულისმხურვალე-  
ბითა მონებრივისა სახითა ვიდრე ორმოც დღემდინ. და მა-  
შინ მოვიდა მას ზედა კვალად დოვლათი, ესრეთ რომელ  
ძილსა შინა ესმა მას ერთი უცხო ხმა, რომელ:  
ვინადგან უკუნ მოიქეც ჩემკენე, ამისთვის განგიღე შენ კა-  
რი და გუვენ შენ უპირატეს შენისა მტერისა.

შემდგომად ამა ნახვისა, განიღვიძა რა ჭელმწიფემ ბახ-  
ტიაზმამ ძილისაგან, დაეგო პირსა ზედა ქვეყანისასა და შეს-  
წირა დიღება ღმერთსა. და მუნიდგან წარმოვიდა თვისსავე  
მამულსა. ხოლო ოდეს მოვიდა მამულსავე თვისსა, პატივი  
ჰსცა მის ქალაქის ჭელმწიფეს. და ყოველნი ჩინებულნი გუ-  
ამნი მისვე ქალაქისანი მას დღესა შინა იყუნენ შესაქცივად  
მინდორსა შინა. ხოლო რა ნახეს ესე ჭელმწიფე, უთხრეს:  
# კაცო! საიღამ ხარ? არა არს საკვირველ, რომელ შენ იყო

ბახტაზმა! უპასუხა ჯელმწიფემ, რომელ: მე ვარ ძველად  
თქუენი ჯელმწიფე ბახტაზმა, გარნა აწ ვარ მონაა ღვთისა!

ყოველთა ვითა ჰსცნეს იგი, დაეცნენ და ემთხვევნენ  
ფეხისა ადგილსა მისსა და მოიყვანეს ფარულად იგი ქალაქ-  
სა შინა. შემდგომად ამისსა ჰქმნეს ყოველთა უფროსთა  
რჩევაა რომელ: ჩვენ ყოველნი ვართ მოსურნენი ამა ჯელ-  
მწიფისა ჩვენისა და ვართცა მონანი მისნი, ვინადგან არს  
ესე ძველადვე ჯელმწიფე ჩვენი და არს კეთილის მოსურნე  
გლესთათჳს. ამა აწინდელის ჯელმწიფისაგან მრავალი უსა-  
მართლობაა გვინახამს. აწ ვინადგან გვსურის, რათა მან არა  
განაგრძოს უკვე თჳსი უსამართლობაა ჩვენს ზედა, ამის-  
თჳს უმჯობეს არს, რათა არღა ეგოს იგი ცოცხალ!

და მაშინ შუადამესა გლესთა აღმოიღეს ხანჯალი და  
მოსჭრეს ჯელმწიფეს თაფი. ხოლო ნაცვლად მისსა ჰქმნეს  
ჯელმწიფედ კვალად ბახტაზმა და დადგნენ მისსა კარებსა ზე-  
და ყულუხჩად. და ესრეთ იქმნა კვალად ჯელმწიფედ ხსენე-  
ბული ბახტაზმა. და განხდა მისი კეთილი სახელი ყოველსა  
ქვეყანასა ზედა.

ჰ ჯელმწიფევ! — მოახსენა ყრმამან მან ხსენებულმა  
ბახტიარმან — ესრეთ დამიძს რა სასოება ღმერთსა ზედა,  
არა მეშინის თქუენის ამაოდ მფიქრელთ ვეზირთაგან!

მოსვლა მუხომიდისა ვეზირისა წინაშე  
ჯელმწიფის აზადბახტისა<sup>156</sup>

აღმოვიდა რა მეორესა დღესა მნათობი მზე, მოვიდა  
სხვაიცა ვეზირი წინაშე ჯელმწიფისა, მოახსენა: არა  
გრცხვენისა, ჰ ჯელმწიფევ, რომელ ესოდენსა ხანსა ყუ-  
ლუხჩი. თქუენი ჰგყავსთ<sup>157</sup> შეპყრობილ?! და ესოდენ შეუჭ-  
ნდა მას ჯელმწიფეს და უგმერდა ისარსა გულსა მისსა მოწ-  
ყლულსა სხვადასხვა მოხსენებითა, ვიდრემდის განარისხებ-  
და<sup>158</sup> მას. მაშინ ამა განარისხებულმან უთხრა ბახტიარს, რო-  
მელ: ჰ ბოროტო მონაო! არა არს ჩემდა საკადრისი  
ლტოლვად ცუდისა საქმისა შენისაგან, გარნა აწ დავთხევ  
სისხლსა შენსა.

<sup>156</sup> A: აზადბახისა B: აზატბახტისა.

<sup>157</sup> B: ჰყავსთ.

<sup>158</sup> A, B: განარისხდებოდა.

მოახსენა ბახტიარმა: # კელმწიფევე! მაგა თქუენისა სიმკვეთრითა ძალ-გოდს მოშთობად ორასისა<sup>159</sup>, მსგავსად ჩემის, კაცისა და დაღვრად სისხლისა მათისა. გარნა ჯერ არს უფროსთადმი მიტევებად ცოდვისა და არა არს საკადრის კელმწიფისადმი სიმწრაფლეობა. უკეთუ იქმ კაცობასა და მომიტევებ მე შეცოდებასა, მაშინ თქუენცა მოგიტევიებს შეცოდებასა ღმერთი, და ჰქმენ კაცობაჲ მსგავსად კელმწიფის ბეჰგარდისა, რომელთამცა შემდგომად კეთილობის თქუენისაგან იქმნეთ მხარულ. უბრძანა კელმწიფე აზატ-ბახტმა: # ყრმაო, მომიტხარ მე ვითარებაჲ კელმწიფის ბეჰგარდისა!

### მოთხრობაჲ კელმწიფის ბეჰგარდსა ზედა

მოახსენა ბახტიარმა: # კელმწიფევე სამართლიანო, მოვეუღ და ისმინე ჭეშმარიტება და განაგდე უსამართლობა! მომისმენიეს მე, რომელ იყო ერთი კელმწიფე სახელითა ბეჰგარდ, რომელიცა არა რომელსამე მიუტეიებდა თვისსა ცოდვასა. ხოლო ერთსა დღესა განვიდა სანადიროდ მინდორსა შინა და დასჯდა ერთსა ადგილსა. და შეიქცეოდა მიმობედვითა ყოველსა მხარესა. მაშინ ერთმან მის მოსამსახურეთაგანმან ესროლა ისარი ერთსა ირემსა. გარნა ასცადა რა მას, მოხვდა ყურსა კელმწიფისასა და მოსწყუვიტა, რომელმანცა იწყო ყვირილი და ვაება. მაშინ მის მოსამსახურეთა ნახეს რა ნიშანი მის ისრისა, იცნეს მით პატრონი მისი და მიათრიეს წინაშე კელმწიფისა. და კელმწიფემ მისცა იგი მტალვარსა, რათა მოჰკვეთოს მას თავი.

მაშინ მან ყულმა იწყო ტირილი და ყვირილი შიშისა გამო სიკვდილისა და მოახსენა: # კელმწიფევე! ჰქმენ ღვთის გულისათვის და ბრძანე განტევება ჩემი უბრალოს სიკვდილისაგან, ვინადგან არა მქონიეს მე გულსა შინა ჩემსა სრულიად სიკვდილი თქუენი, არამედ იქმნა იგი შემთხვეულ უეცრათ წერისაგან ჩემისა. კელმწიფეო ჩემო! ჰქმენ კეთილი და მოიღე მოწყალეობა ჩემს ზედა და მომიტევიეთ ამა

<sup>159</sup> B. არასისა.



თქუნსა მონასა შეცოდებანი! ჯელმწიფემაც რა გაიგონა მის თვისისა უულისაგან<sup>160</sup> ესე ვითარი მოხსენებაჲ, შეიწყალა იგი ყრმაი და მიუტევა შეცოდებაჲ თვისი.

გარნა აქა მოისმინე ვითარებაჲ მის ყრმის უულისა, რომელ ვითარ იქმნა იგი შთავარდნილ ჯელსა შინა ამა ჯელმწიფისასა. ამა ყრმასა ჰყვანდა მამა და იმყოფებოდა უპირატეს ვეზირად სხვასა ქალაქსა და ქვეყანასა შინა წინაშე ერთისა ჯელმწიფისა. და ესე ყრმაჲ ემაწვილობისაჲე დროსა შინა იქმნა ჰშთავარდნილ ჯელთა შინა ავაზაკთა დროსა მყოფობისა მისისა ერთსა მინდორსა შინა, რომელიცა შემდგომად მისსა იყიდა იგი მათ ავაზაკთაგან ჯელმწიფე ბეჰვარდმა<sup>161</sup> სახლობისათჳს თვისისა მოსამსახურედ.

ხოლო გული მამისა მისისა მისის მწუხარებისაგან იყო შეწუხებულ და შევიწროებულ მსგავსად შეშინებულ ფრინველისა. შემდგომად ამისსა, ოღეს იყო მის ქალაქისა<sup>162</sup> ჯელმწიფემ ქმნად უსამართლოებისა და მხედრობამან მისმან აღოხრება ქალაქისა, მაშინ ყოველთა გლეხთა ჰქმნეს რჩევაჲ მოკვლისა მის ჯელმწიფისა და მოჰკლესცა, ხოლო ნაცვლად მისსა აღმოირჩიეს ხსენებული საქმის მცოდნე გიზირი მისი ჯელმწიფედ და დასვეს იგი დიდებითა ჯელმწიფობისა ტახტსა ზედა. და უძღვნეს მრავალი ოქრო და მარგალიტი. თუმცა იქმნა ესე ვეზირი ჯელმწიფედ, გარნა კვალად ჰსტიროდა ძისათჳს თვისისა. და ვისცა ჰქონიეს მწუხარება ძისა თვისისა, მაშინ უკეთუმცა აქუნდესღა პირსა შინა შაქარი, იქმნების მისთჳს ვითარცა შხამი. და მისცემდა ყოველსა კაცსა თეთრსა, რათა იგი მოეძებნათ ყოველსა ქვეყანასა შინა და ეუბნებოდა: რომელიცა მომიპოებს მე მას, მასევე წამსა შევიქმ ჩემდა ვეზირად ანუ კარის კაცად.

შემდგომად ამისსა მათგანი ერთი კაცი ბოვიდა ქალაქსა შინა ერთსა და ათვალიერებდა ყოველსა ემაწვილსა. მაშინ უეცრათ შემოხდა მას კაცსა ცხენსა ზედა მჯდომარე იგი ყრმაჲ დაკარგული და მაშინვე სცნა, შენიშნა რა მას ზედა მამისა<sup>163</sup> მისისაგან თქუმულნი ნიშანნი და დაეგოფეჴთა მის ყრმისათა. ჰკითხა ყრმამან: ჰ კაცო, საიღამ ხარ? მეცნობი შენ მე! უპასუხა მან კაცმან: მოგახსენებ

<sup>160</sup> B: ყურისაგან.

<sup>161</sup> B: ბეჰვარდმა.

<sup>162</sup> B: ქალისა.

<sup>163</sup> B: მახისა.

პასუხსა. ეს არის მოვსულვარ მამისა შენისა მსრით. უთხრა ყრმამან: მე არა მუავს მამაჲ, არამედ ვარ აქა ყულად ანუ შოსამსახურედ ჯელმწიფისა. უპასუხა კაცმან მან: არა უწყი შენ, რომელ გუავს შენ მამა. შენ ხარ ძეჲ ერთის დიდებულის ვეზირისა, რომელიცა აწ გონიერებითა თვისითა მჯდომარე არს ჯელმწიფედ და ჰყავს ასი მოსამსახურე მსგავსი ამა შენის ჯელმწიფისა. თუმცაღა არს მამა შენი ფრიად განწყობილი ჯელმწიფე, გარნა დღე და ღამე არს მტირალ შენთს და მსგავსად იაკობისა მამად მთაგრისა არს განშორებისა შენისაგან მოუსვენებლივ. მოვედ, შ მეორე იოსებ ქანაანის<sup>164</sup> ქალაქისაო, და დასჯედ ტახტსა ზედა მისირის ჯელმწიფისასა.

ესმა რა ესე მას ყრმასა, აღუდუღდა განშორებისაგან თვისისა გული და აჩუქა სამახარობლო მას კაცსა და დასვა ფარულად მას ქალაქსა შინა. და შემდგომად შეიქმნა რა მწუხრი, გამოვიდნენ ქალაქიდგან და შესხდნენ ფრიად მკვეთრსა ცხენსა ზედა და მას ღამესა მიერეკებოდნენ ცხენსა, ვიდრე გათენებამდე, უგზოსა მინდორსა ზედა. და ესრეთ მიიყუანა იგი წინაშე თვისის მამის ჯელმწიფისა, რომელიცა ნახვითა თვისის ძისათა იქმნა აღტაცებულ ჰაეროვნობამდინ სიხარულისა და მას კაცსა დახურა თავსა ზედა ქუდი დიდებისა და ბედნიერობისა.

მოსკლა ჯელმწიფის ბავშვარდისა ქალაქსა შინა  
ვაზირისასა

მოვედ და ისმინე ვითარებაჲ ჯელმწიფის ბეჰგარდისა! ესე ჯელმწიფე ერთსა დღესა სეირნობდა რა ერთსა მინდორსა, აღსდგა უეცრად ესრეთი მძრაფლი<sup>165</sup> ქარი, რომელ შავსა მიწასა აღიტანდა ცამდინ და კაცთა დაუბნელებდა და აღუვსებდა თვალთა, მეოფთა სამსახურსა შინა მის ჯელმწიფისასა, რომელნიცა იძულებულ დაიდრეკდნენ თავსა უნაგრისა თავსა ზედა, და ესრეთ იქმნენ იგინი განშორებულ ერთი მეორისაგან. ხოლო თვთ ჯელმწიფე მხოლოდ დარჩომილი მოიქცა ერთსა ზღვისა ნაპირსა, რომელმანცა იხილა შორიდგან ერთი ნიშანი, რომელ მას დროს ხომალდი განემგზავრებოდა.

<sup>164</sup> B: ქანის.

<sup>165</sup> B: მძრაფლი.

მაშინ ჯელმწიფემ ჰკრა ქუსლი თვისა ცხენსა და გააჭე-  
ნა, ვიდრემდინ შშთაჯდებოდა მას შინა და განვიდა მით  
ზღვასა, აგრეთვე სხვაცა ქარვანი. და მოვიდნენ ერთსა ქა-  
ლაქსა შინა სავაჭროდ, და თვთ ჯელმწიფე ბეჰგარდიც მო-  
ვიდა მასვე ქალაქსა შინა, სადაცა იყო ყული მისი ზემორე-  
ხსენებული ჯელმწიფედ. დაწვა გულ-მტკივნეულ ერთსა  
კუთხესა შინა ბაზრისასა, ხოლო მას ღამესა გაძარცვეს რა  
ერთი ღუქანი ავაზაკთა, ნახეს პატრონთა იგი განთიადსა  
და შექქმნეს ყვირილი, ტირილი და ძებნაჲ.

მაშინ მოვიდნენ მის ჯელმწიფის ბეჰგარდისა თანა მო-  
გონებითა ცილისათა, ნახეს რა იგი უცხოოდ, და წარათრი-  
ვეს იგი წინაშე მის ქალაქის ჯელმწიფისა. მოახსენეს: ჩვე-  
ნო ჯელმწიფეჲ! ამა ღამესა შინა ავაზაკთა გაგვიტყეს<sup>166</sup>  
ღუქანი და არა არს მათი სხვაი ნიშანი, გარდა ამისსა. მა-  
შინ იტყოდა იგი ბეჰგარდი უარსა. ჰსცემდნენ და<sup>167</sup> გვიმ-  
დნენ მას ჯოხითა და შემდგომად შეუყარეს მას ბორკილი  
და შესვეს იგი საპყრობილესა შინა, სადაცა იყვნენ აგრეთ-  
ვე სხვაჲცა პყრობილ. და ყოველთვს სტიროდა საწყალო-  
ბისათვს თვისისა და იყო მოსულ უკანასკნელსა ცხოვრებასა  
შინა.

გარნა ერთსა დღესა იხილა რა მან ჯელმწიფემ ბეჰგარ-  
დმან, რომელ შემომჯდარიყო ფანჯარასა ზედა ერთი ტრე-  
დი, იფიქრა, რომელ უკეთუ მე ამა ტრედსა მოვახვედრებ  
ქვასა, მაშინ იქმნების გული ჩემი შეპყრობილი მწუხარები-  
თა მალედ მხიარულ და მეღირსების ნახვა შვილთა და მე-  
გობართა ჩემთა, და უკეთუ ვერა, მაშინ დავრჩები მე აქა  
საუკუნოდ. ოღესცა რა განსტყორცნა ქვაჲ  
მან ბეჰგარდმან, აქა ნახე ვითარ იქმნა  
მისი იღბალი ანუ სვე.

მაშინ გაიარა მას მხარეს მის ქალაქის შემპყრობელმან  
მისმან ჯელმწიფემ, რომელიცა იყო, ვითარცა ზემოცა  
მოგვიხსენებიეს, მამა ნათქვამისა მის ყრმისა. მოხვდა  
ყვრიმალსა და გარდმოუვიდა სისხლი. ნახეს რა ესე მოსამ-  
სახურეთა, მაშინ ჯელმწიფე იგი ბეჰგარდი გამოათრივეს  
გარეთ და მოახსენეს: ჯელმწიფეო ჩვენო, ესე არს, რო-

<sup>166</sup> B: გაგვიტყეს:

<sup>167</sup> B: და|—

მელმანცა გესროლა თქუენ ქვაჲ. მოვედ და გარდავეწყვიტოთ საქმე ამა უალბის ქურდისა და ავაზაკისა. ხედამთა<sup>169</sup>, სხვასაცა ადგილსა უქმნია რა ავაზაკობაჲ, მოუკვეთიათ ცალიცა ყური!

გარნა ბეჭგარდ ჯელმწიფემ უთხრა: **ჰ ჯელმწიფევ!** სე ინებებთ უსამართლოდ სიკუდილსა ამა საწყლისასა, ვინადგან არა მაქვს მე საქმე ავაზაკებისა თანა, რომელ მეცა ვარ ჩემსა ქალაქსა შინა ჯელმწიფე, და ყულმან ჩემმან ერთსა დღესა ესროლა რა ნადირს ირემს ისარი, ააცდინა მას და მომხვდა მე ყურსა შინა. ამას რა იტყოდა იგი ბეჭგარდი, მასვე წამსა შინა ჰსცნა ძემან მის ჯელმწიფისამან, გამოიქცა და დაეგო ფეხთა მისთა.

მაშინ ჰკითხა მამამან მას ძესა თვისსა ვითარებაჲ მის ჯელმწიფის ბეჭგარდისა, რომელმანცა მოახსენა მასვე წამსა შინა, რომელ ესე არს დიდებული ჯელმწიფე, სახელით ბეჭგარდი, და ჰყავს ასი ყული და მოხვდა უიკრად ყურსა შინა ისარი ჩემი, რომელმანცა მაპატივა და მომიტყევა შეცოდებაჲ ჩემი. ესმა რა ესე ვითარებაჲ ჯელმწიფეს მამასა მის ყრმისასა, ემთხვია ხელთა ზედა ჯელმწიფეს ბეჭგარდსა და უთხრა: **ჰ ჯელმწიფევ!** მომიტყევი, რომელ ესე მოხდა გამგებელობითა დვთისათა. და ესრეთ რა მოითხოვა მისგან პატივით ბოდიში, დასვა იგი ჯელმწიფობითსა ტახტსა ზედა და იწყო მისდა სამსახური გულის წმინდობით, მსგავსად კაცთა მათ წმიდათა წინაშე ღმრთისა.

შემდგომად ამისსა მისცნა ოქრო, ვერცხლი, ხალათი, მკედრობანი და განამგზავრნა, რომელიცა მოვიდა რა კვალად თვისსა მამულსა შინა, ჰქმნა მხიარულობისი მეჯლისი. და აწ ესრეთ ვინადგან ჰქმნა კეთილი, მიეგომცა კეთილი და მსგავსად წამლისა დაედო შინაგან წყლულსა ზედა. შენცა, **ჰ მეგობარო,** ჰქმენ კეთილი და განეშორე კაცთა და საქმეთა მათთა, რომელნი ვლენან გზასა<sup>169</sup> უღმრთოთასა.

და ესრეთ რა შეასრულა ბახტიარმა ესე თვისი მოთხრობაჲ მოახსენა: **ჰ ჯელმწიფე!** უკეთუ იქმ შენცა მოწყალეობასა, დაგხვდების კვალად შენცა იგი წინ! და შემდგომად წარიყვანეს იგი კვალად საპყრობილესა შინა ვიდრე სვალინდელ. დღემდინ<sup>170</sup>.

169 B: ხედავთ.

170 B: ჯ.ზ.

170 B: დღემდინ.

განსთენდა რა და აღმოსავლეთისა მზემა განანათლა ქვეყანა, მაშინ მოვიდნენ იგი ათნი ვეზირნი და იწყეს დრტვინვა წინაშე კელმწიფის აზატბახტისა. მოახსენეს: **ჰ** კელმწიფეე! არა გეჯავრებისა ესრეთი შერცხვენაჲ თავისა თქუენისა, რომელ იგი უსარცხვილო და ორპირი ყული თქუენი მოუთხრობს ამა ისტორიასა თუსსა მეგობართა?! და ყოველთა ჰფიცესცა ამას ზედა წინაშე მასჲე კელმწიფისა, რომელ ჩუენ ვიხილეთ იგი რაოდენმეგზის მოლაპარაკედ და ძეინახობდა შემცხედრისა თანა თქუენისა.

ესმა რა ესე კელმწიფეს აზატბახტსა, იქმნა განრისხებულ და განცეცხლებულ და მოიყვანეს კვალად იგი ბახტიარ სამართალსა შინა, რომელსაცა უთხრეს ვეზირთა მათ, რომელ შენ ხარ ღირსი ჩაქვაებისა, გვითხარ, ვიდრემდის იყო ამა ეშმაკობასა შინა. და შემდგომად მოახსენეს კელმწიფეს, რომელ: **ჰ** კელმწიფეე! ბრძანე მოშობა ამისი დღესავე და მით დაუყავ პირი მტერთა შენთა, თორემ მოვიკლამთ ჩვენ თავსა ჩვენსა და ესრეთ მოვრჩებით ამთენსა სირცხვილსა.

მოსხანაჲა კათილწანოვან აახბიარისა მიერ წინაშე  
დიდაჲულის კალმწიფისა

მაშინ მოახსენა ბახტიარმა: **ჰ** კელმწიფეე! ნუ ინებებ სმენად სიტყვათა ამა ვეზირთათა, ვინადგან არიან მოშურნენი ეშმაკნი და თვალთმაქცინი, რომელნიცა შემდგომსა დროსა შეგამთხვევენ თქვენ რადსამე ბოროტსა. და რა მიხილეს მე საყვარლად თქვენისა, მისთვის მომიგონეს ცილი<sup>171</sup>, ესრეთ რომელ, რომელიცა იხილამს<sup>172</sup> სსჲასა ვისმე ადგილსა თუსსა ზედა მჯდომარედ, მაშინ იგი აძაგებს მას ყოველთვის სადაცა მხოლოდ შეხვდების მას ჯდომად. მე არა ვწუხ ესოდენ ჩემისა სიკუდილისათუს, რაოდენ მეშინის, რათა არა მოვიდეს ესე თავსაცა თქუენსა ზედა, ვითარცა მოვიდა თავსა ზედა კელმწიფის ილანისა, იქმნა რა მოხსენებისა და რჩევისაგან ვეზირთათა გარდახდილ გზისაგან თუსისა.

მაშინ უბრძანა კელმწიფეი: **ჰ** გონიერო ყრმაო! მომითხარ აწ მე მოთხრობაჲ ილანის კელმწიფისა.

<sup>171</sup> B: ძილი-

<sup>172</sup> B: ილახას.

მოახსენა ბახტიარმა: ჭ ჯელმწიფეჲ აზატ! (ესე იგი განთავისუფლებულს). ეგოს ყოველთჳს თქუენდამი განუშორებლივ ბედნიერებაჲ და დღეგრძელობაჲ თქუენი. მომისმენიეს მე: რომელ იყო კაცი გონიერი და ფრიად მეცნიერი, სახელით ბუთამამ, რომელიცა თჳსითა მეცნიერებითა სტაკებდა ყოველსა მეცნიერსა მეცნიერებისა ბურთსა. აქჳნდა მას აგრეთვე მრავალი ქონებაჲ, გარნა არა ამხელდა შიშისაგამ<sup>173</sup> უსამართლოთ და მოჯაბრეთ კაცთა გამო. ესრეთ რომელ, რომელსაცა ქალაქსა შინა იმყოფებოდა იგი ღვთისა კაცი, იყო მუნ ერთი ჯელმწიფე, ფრიად უსამართლო. ამა ხსენებულმა მეცნიერმა კაცმა ჰსცნა ერთსა დღესა, რომელ არს ერთი ჯელმწიფე, ილან სახელოვანი, ფრიად კეთილ-მოსამართლე. მაშინ იგი წარმოვიდა მუნიდგან ქალაქსა შინა მის ჯელმწიფისასა.

ხოლო ოდეს მოვიდა მახლობლად მის ქალაქისასა, მაშინ მოახსენეს ჯელმწიფეს ილანს ვითარებაჲ მის კაცის ბუთამამისა, რომელ კაცი ერთი მმარხველი და მეცნიერი მოვალს აწ აქა ფარულად. მაშინ ყოველნი განვიდნენ მისდა მისაგებებლად და მოიყვანეს დიდის პატივითა და დიდებითა, და ემსახურებოდნენ მას სამსა დღესა საადრისისამებრ. ხოლო მეოთხესა დღესა წარიყვანეს იგი წინაშე ჯელმწიფისა, რომელიცა მოვიდა რა წინაშე მისსა, მისცა დიდება და აღალო ლოცვაჲ. შემდგომად ამისსა დაჯდა იგი წინაშე ჯელმწიფისა მის ილანისა მეჯლისსა შინა და მოუბნარობდა სხვადასხვა მოთხრობეებსა, რომლითაცა დიდად შეუყვარდა მას ჯელმწიფისა და ეტყოდა მხიარულისა გულითა, რომელ: შეიძლება, რომელ ყოველთჳს დასდგე ჩემთან, ვინადგან მიყვარს მე მსგავსი შენისა მოუბნარი კაცი, რათა ფიქრსა და მასლაათსა ჩემსა შინა მომცემდეს განსვენებასა!

მოახსენა ბუთამამმა: ჭ მეცნიერო ჯელმწიფეჲ! არა ძალმიძს მეღმრთისა კაცსა სამსახური თქუენი, რომელ რომელიცა დაუახლოვდება ჯელმწიფისა, ჯერ არს მისდა, რათა აღილოს მან ჯელი თჳსის მამულისა და დედულისაგან! გარნა სხვებრ არა შესაძლებელ იყო მისდა, რომელ არა თანხმობ იყო მას ჯელმწიფისა მას ზედა. მაშინ მან ჯელმწიფეჲ

173 B: შიშისა გამო.

მისცნა მას ყოველნი ნებანი და ჰქმნა მეინახედ თვსდა დროსა რჩევისა და მასლაათსა თვსსა, რომელ ყოველსა საქმესა ჰკითხამდა მას. და ესრეთ განაგებდა სახელმწიფოსა თვსსა იგი ჯელმწიფე რჩევითა მის წმინდის კაცის ბუთამამისათა.

ხოლო გარდა ამისსა ჰყვანდა მას კვალად სამნი ვეზირნი, ფრიად მაცთურნი, და უმეტეს მათგანი ერთი იყო ფრიად ორპირი ანუ ორყაბაზი, მაცთური და ყალბი, რომელთა უთხრეს ერთი მეორესა, რომელ მოვედით ვქმნათ ჩვენ ერთი მაცთურობაჲ, რომლითაცა გარდმოვაგდოთ იგი ხარისხობისაგან თვსისა. ერთმან მათგანმან ჰსთქვა, რომელ ჰყავს ერთი ქალი რუმისა ჯელმწიფეს, რომლისა მსგავსი არა იპოვების პირსა ზედა ქუეყანისასა. და ვინცა რომელი-სამე დიდის კაცისაგან წარვიგზავნებოდა წინაშე მისსა მოციქულად, მაშინ იგი მიუცილებლივ მოიშთოდა მისგან და აწცა ვინცა მივა მის ქალისათვს, ჯელმწიფე—მამა მის ქალისა — წარვივთს მას თავსა. ამისთვს, უკეთუ ჩვენ მას ბუთამამს მუნ წარვიგზავნით, მაშინ მისის საქმისაგან მოვრჩებით და ვიქმნებით თავისუფალ!

ხოლო ოდეს რა ჰქმნეს მათ ესრეთი რჩევაჲ, წარვიდნენ წინაშე ჯელმწიფის ილანისა, რომელთა პირველად მოახსენეს სხვადასხვა ვითარებაჲ და შემდგომად ერთითა ჯელოვნებითა მოიტანეს თვსსა ლაპარაკსა სიტყუაცა მის ქალისა, რომელ რომისა ქალაქის ჯელმწიფესა ჰყავს ერთი ქალი, მსგავსი მთვარისა, და არცა არს ქვეყანასა ზედა...<sup>174</sup> და ესე არს საქმე ბუთამამისა, რომელიცა არს კეთილ და მოწყალე. და ესრეთ აქეს იგი ქალი, რომელ გული ჯელმწიფის ილანისა იქმნა გაშლილ მსგავსად ვარდისა. და შეიქმნა უნახავათ მისი მნატვრელი.

შემდგომად ამისსა უბრძანა ხსენებულს ბუთამამს კეთილზნეოანს, რომელ ვიქმენ მე გულითადი მისი მოსამსახური და შენ უნდა ეცადო ამა საქმესა შინა. რომელმანცა მოახსენა, რომელ ნება ჯელმწიფისა ჩემისა აღსრულდეს და ვარ მორჩილ, ვითარცა მონა. მაშინ ჯელმწიფე ილანმა განსსნა ხაზინანი თვსნი და წარვიგზავნა რუმისა ჯელმწიფესა მარგალიტნი მის ბუთამამის ქელითა, რომელიცა მოვიდა რა თეთრითა და ხალათითა წინაშე რუმისა მის ჯელმწიფისა თხოვისათვს მის ქალისა, მაშინ განეწყო მას ჯელმწიფე

<sup>174</sup> B: (თითქოს აკლია „მსგავსი მისი“)

იგი დიდის მოწყალებითა და მისცნა ხალათნი და სხვანი იარაღნი.

და შემდგომად რაოდენისამე დღისა უბრძანა მას ბუთამამს, რომელ შენ ვინადგან ხარ კაცი მეცნიერი და სიტყვისა მცოდნე, ამისთვის ჯერ-არს<sup>175</sup> შენდა, რათა ნახო შენ ქალი ჩემი და რამეთენსამე წამსა გამოსცადო იგი. და უკეთუ პსცნამ მას საკადრისად შენისა კელმწიფისა, მაშინ გარგატან მას შენ სამსახურისადმი კელმწიფისა შენისა, ამისთვის, რომელ ოდეს სურს ვისმე სყიდვაჲ ფარჩისა და დიბისა, მაშინ მოვალს იგი პირველად გასაშინჯაეთ, რათა შემდგომად არა იქმნას შენანებულ თვისსა სავაჭროსა შინა. და შენცა ეგრეთვე, რათა არა გექმნას შემდგომად საწუხრად.

ამისსა შემდგომად წარიყვანეს იგი ბუთამამი კეთილმხედველი, ვიდრემდის იხილოს მჯდომარე მთვარეი ხალვათსა შინა. და ოთახი იგი, რომელსაცა შინა მჯდომარე იყო ქალი იგი, მორთულ იყო ჯავარითა, თვალითა, მარგალიტითა და სხვადასხვა საფენითა და თვთ ქალიცა იყო აგრეთვე მორთულ თვისის ოსტატის და პირის ფარეშისაგან. ოდესცა იგი ბუთამამი შთაჟიდა მას სახლსა შინა, სადაცა მჯდომარე იყო ქალი იგი, შთაიღო თაფი ძირსა და დაირულნა თვალნი. უთხრა მან ქალმან კელმწიფისამან: **შ კაცი დიდებულო! ვერ მხედავ მე, ბრმა ხარ და მუნჯი, ანუ არა?! უპასუხა ბუთამამმა: **შ კელმწიფისა ასულო! გაგზავნისაა ვინმე მოციქულად კაცსა ბრმასა და მუნჯსა?****

და მიირიდგან გამოვიდა გარეთ და უკუნ-მოიქცა კვალად კელმწიფისა თანა. უთხრა კელმწიფემ: შენ ყოვლად ზატიოსანო! ვითარ ნახე ასული ჩემი, მოიწონეა? მოახსენა ბუთამამმა: **შ კელმწიფე! არა მინახავს, მით რომელ ესე დარიგებაი მომისმენიეს მოხუცთაგან, რომელ<sup>176</sup> თვალთა და-რულდენ და არა შეხედვენ უცხოსა დედაკაცსა და მით დააცხრობენ შინაგანსა ცეცხლსა კაცობრივობისასა. ჯერ-არს დაცვა ენისა უკანონო ლაპარაკისაგან, მით რომელ ცუდის მეტყველებისაგან შეწუხდების გული და ვისცა არა იქმნების დაცული ენაჲ, იგი სიტყვისამებრ მოციქულისა არს უსჯულო.**

175 B: ჯერ არ.

176 B: ეცხ... რომელ.—



მოისმინა რა ესე რუმის კელმწიფემ მის ბუთამამისაგან, მაშინ უძღვნა მრავალი ქებაჲ და უბრძანა, რომელ მისთვის ვკლავდი წინარე ამისსა მათ მოციქულთ, რომელ იხილაჲდნენ რა პირსა ქალისა ჩემისასა, ესრეთ მიქებდნენ მე მასა, რომელ მოვისმენდი რა, მოვკლავდი მათ ჯაჯრისაგან. და უკეთუ გსურდეს ცოდნა ხასიათისა ვისიმი, მაშინ საიდუმლოდ იკითხე კაცთაგან ხასიათი მისი. შემდგომად ამისსა ბრძანა კელმწიფემ დაკვრა საკრავისა და განწყობა ლხინისა და შექცევის იარაღისა. და ესრეთ მან კელმწიფე რუმისმან წარმოატანა ქალი თვისი მას ბუთამამს წინაშე კელმწიფის ილანისა.

ოდეს მოიყვანა მან ბუთამამმან ქალი იგი მის კელმწიფის ილანისა წინაშე, მაშინ იქმნა იგი ნახვითა<sup>177</sup> მის მშვიდნიერისათა მხიარულ და მისცა მისთვის მას ბუთამამს ყოველი ნება. ხოლო ვაზირნი მის გამო იქმნენ უმეტეს მწუხარედ და შეწუხებულ, ვინადგან იქმნა ხარისხი და პატივი მისი აღმატებულ, რომელნიცა იტყოდნენ: უკეთუ ესე დაშთეს ერთსა წელსა, მაშინ გაგვყრის ჩვენ კარიდგან კელმწიფისა ჩვენისა. და წარვიდნენ იგინი კვალად ორის მოსამსახურისადმი მის კელმწიფისა, რომელნიცა იყვნენ საყვარელნი კელმწიფისანი, და უთხრეს, რომელ ჩუენ გვაქეს თქუენთან საქმეჲ საიდუმლო. და მისცეს თითოსა მათგანსა თითო ქისა ფული.

და მით იქმნენ რა იგინი მოსყიდულ, უთხრეს, რომელ: რაჲსაც კი გვიბრძანებთ, ვიქმნებით მისი აღმსრულებელ! მაშინ სამთავე მათ ვეზირთ უთხრეს: ჟ მეგობარნო! თვთ თქუენ უწყით, რომელ ესრეთი კაცი, ვითარცა არს ბუთამამ, საყვარელ კაცად არა არს საკადრისი კელმწიფისადმი ჩვენისა, და არს უჯინშო<sup>178</sup> ნათესავისა. და ვინადგან მიხედა მას კელმწიფემ მოწყალებით და ჰქმნა ჩინებულ, მისთვის უქმნა მას ორგულობა და ყალბობაჲ. რუმისა კელმწიფეჲ არავის აძლევდა ქალსა თვისსა, გარნა იქმნა რა იგი ბუთამამი ბერის სახითა, მაშინ მას მოეწონა იგი. აწ ოდეს წარვალს კელმწიფე სხვასა ადგილსა, მაშინ იგი უკუნ-მოქცევადმდე მისსა იმყოფება მისის მემცხედრისა თანა. თუმცაჲდა ესე უწყიან ყოველთა, გარნა ვერვის განუბედავს<sup>179</sup> კელმწიფისათვის. ამისთვის, ოდეს თქვენ უსვემდეთ კელსა ფეხსა ზედა კელმწიფისა, მაშინ ესე ყოველივე მოახსენეთ მას.

177: B: მოსკითა.

178: B: უქიშო.

179: B: განუბედავს.

ვაზირთა მათ ასწავეს რა ესე ჯელოვნებაჲ, მაშინ მათ ყულთა<sup>150</sup> დაიდევს ორივე ხელი თვალთა ზედა. და ოდესცა ჯელმწიფე იგი სსენებული ილანი მოვიდა თვისსა ხალვათხანასა შინა, მაშინ მათ ყულთა განუცხადეს სსენებული ვითარებაჲ. მოისმინა რა მათგან ჯელმწიფემ ესე გვარი ვითარებაჲ, განრისხდა და დაიგრინა, ვითარცა გველი და მასვე წამსა შინა მოიკითხა იგი ბუთამამი. და განრისხებულმა შესტუქსა მას და უთხრა, რომელ: ყოველსა შინა სრულ ხარ, ხარ მეცნიერ, კეთილ-კაც და კეთილ-სახელოვანი. უკეთუ ჯელმწიფემ აღამაღლოს უკანასკნელი ვინმე, მაშინ იქმნებისა რიგი, რათა მან უქმნას ბოროტი რაჲმე?

მოახსენა ბუთამამან: # ჯელმწიფეჲ კეთილხასიათიანო! უკეთუ კეთილმა ვინმე ჰქმნას ბოროტი, მაშინ მას არ და ეწოდების თათარი და არცაღა შესაძლებელ არს მისი სიცოცხლე! გარნა ჯელმწიფემან მან ვერღა მოითმინა, განრისხებულმან შეაფურთხა პირსა შინა და უთხრა: # უსირცხვილო და უსჯულო! რაჲსათჳს მიქმენ მე ესე ორგულობაჲ? და შემდგომად აღმოცდო ფოლადისა ხანჯალი ქარქაშიდგან და შემოჰკრა გულსა შინა მას საწყალს. თუმცა აქა მოჰკლა იგი უბრალო, გარნა ავნო თავსაცა თვისსა.

მაშინ ყულთა მათ მუნ მდგომარეთა გამოიტანეს იგი გარეთ და შებღალული სისხლითა დაჰფლეს მიწასა შინა. და წინცა მხოლოდ ჰსცნა ესე ვითარებაჲ, იქმნენ ყოველნი შეწუხებულ, გარნა ვერვინ ძალ-იდვა მოხსენებად მას დროსა შინა ჯელმწიფისადმი ბუთამამსა ზედა და მათ სსენებულთ მაცთურთ ვეზირთა იწყეს განთავისუფლებად თვისის მწუხარებისაგან და ყოფად მხიარულ. გარნა შემდგომად იქმნა ჯელმწიფე შენანებულ თვისისა საქმისაგან და ფრიადცა შეწუხებულ, დღისით ვერღა მიეღო საჭმელი და ღამე იქმნა უძილო.

ხოლო ერთსა ღამესა, დადიოდა რა ბანსა ზედა მის სახლისა, რომელსაცა შინა იყვნენ იგი ზემორე მოხსენებულნი ორნი ყულნი, მოუვიდათ და მოაგონდათ რა მათ გულსა შინა იგი საიდუმლოჲ, იწყეს ერთმანეთისა თანა თქმად წარსულისა საქმისა მას ბუთამამსა ზედა, რომელ: ნახეა, ვითარ შეეწამეთ ცილი უბრალოსა მას და მოვშთედ?! ესმა რა ესე ჯელმწიფეს მათ ყულთაგან, მოვიდა და ჰკითხა, რო-

<sup>150</sup> A: ყულთა B: ყულთა.

მელ: მოვედით და მითხარით სიტყუაჲ ზეშმარიტებით, რომელ ესე ჯელოვნებაჲ და ცილი ვისგან წარმოსდგა?! რომელთა მასვე წამსა შინა იწყეს ტირილი და მოახსენეს: ჰ ჯელმწიფეჲ! ესე ფანდი გვასწავეს ვეზირთა.

ჰსცნა რა ესე მათგან, მოჰკვეთა მათ ეგვიზირთ თავი მეორესავე დღესა. და შემდგომად წარვიდა სახლსა შინა თუსსა და უანბო ესე თუსსა მემცხედრესა. მაშინ ჰკითხა მანცა წვლილად მისი ვითარებაჲ და უთხრა: ჰ შენ, მოუთმენელო, ცუდხასიათო და საძაგელო! რაჲსათუს მოჰკალ ბერის მსგავსი იგი კაცი? და მიერიტგან ჰშთაუყვარდა რა მისსა მემცხედრესა გულსა შინა მისი მწუხარებაჲ, იწყო ფარულად გლოვაჲ მისთუს და სწადდაცა გულის სიმწარით, რათა ერთსა საათსა წარსულ იყო მისსა საფლავსა ზედა სატირლად, გარნა ამბობდა: იქმნება, რომელ უცხოთა კაცთა ჰსთქვან ჩემს ზედა რაჲმე!

და ესრეთ იყო რა ესე დედაკაცი თუსის ქმრის ჯელმწიფის ილანისაგან განრისხებულ, ჰშთააგდო საჭმელსა შინა მისსა ნაწილი რამ საწამლავისა ანუ შხამისა, რომელმანცა მიიღო რა იგი საჭმელი, მოკვედა მასვე წამსა შინა. და დაჰფლეს ბუთამამისა გვერდსა ზედა, რომელსა განუკეთეს საფლავზედ სახლი გუმბათიანი. შემდგომად ამისსა მოვიდა ერთსა დღესა მისი მემცხედრეჲ ორისავე სატირლად. და დღე და ღამე საკუთრად სტიროდა იგი საყუარელისა თუსისა ბუთამამისათუს.

განვიდა რა შემდგომადცა ამისსა ერთი მხოლოდ წელი, მოვიდა მის ზედაცა აღსასრული, ესრეთ რომელ იხილა ერთსა დღესა ხანჯალი თქვის ქმრის ჯელმწიფის ილანისა, რომლითა მოეკლა უბრალო იგი ბუთამამ. აღიღო იგი ჯელსა შინა თუსსა და არდა ისურვა შემდგომად მის მეგობრის ბუთამამისა სიცოცხლეჲ, რომელ გაღესა იგი საფლავისა ქვასა ზედა და მოიკლა მით თავი თუსი. ხოლო ჰსცნეს რა ესე სიკვდილი მისი ხალხთა, იგიცა დაფლეს გვერდით მათსა.

და ესრეთ რა მოისმინა ჯელმწიფე აზატბახტმა ესე მოთხრობაჲ ბახტიარისაგან, იქმნა მწუხრი და წადილი მისის მოშობისა იქმნა დატევებულ.

განსთქნდა რა და აღმოვიდა აღმოსავლეთისა მზიე, რომელმანცა მოჰკვეთა მნათობობისა თვისისა ხმლითა სიბნელესა თავი, მაშინ მოვიდნენ ათნივე ვეზირნი სასამართლოსა შინა და ჰქმნეს ყვირილი და ამბობებდა. მოახსენეს: ჰქელმწიფე! ღმრთისა გულისათჳს ჰქმენ ესრეთ, რომელ ესე შერცხვენილი და ცუდ-ზნეოანი განათავისუფლე, რომელიცა მაცთურებითა მოგიტსრობს ისტორიებსა, რათა მით მოიპოვოს თქუენგან თავისუფლობა.

გარნა უბრძანა რა ქელმწიფემ მათ მოთმინებამ, მაშინ იქმნენ აღრეულ და შეწუსებულ და გამოვიდნენ გარით. და მასვე წამსა შინა მოვიდნენ წინაშე მის ქელმწიფის მემცხედრისა და უთხრეს, რომელ უკეთუ ქელმწიფესა არა რცხვენის, ესე მაინც უთხარ, რომელ რაჲსათჳს მაინც არა აქვს მწუხარება, რომელ ესრეთმა ორყაბაზმა და ორპირმა მოსამსახურემ გყენა მენ ყოველსა ქვეყანასა შინა შერცხვენილ. გვერწმუნე, ვიდრემდის იგი ცოცხალ არს, ყოველთჳს იქმნების თქვენზედა ცუდმოუბნარად. და უკეთუ მოკლულ იქმნას ანუ მოკვდეს, მაშინ არღარავინ იტყვის თქუენ ზედა რაჲსამე. აწ წარვედით წინაშე ქელმწიფისა და ეცადეთ სიკვდილისათჳს მისისა და მით დაუყაჳ პირი ყოველთა ხალხთა.

მოისმინა რა მან ქალმან, განრისხდა გამგებ და წარვიდა მტირალ წინაშე ქელმწიფისა და მოახსენა, რომელ: უკეთუ შენ აწ არა ჰსტანჯავ მას ბახტიარს, მაშინ მე თვთ მოვიკლავ თავსა ჩემსა. და ესრეთ ამა მემცხედრემა ქელმწიფის აზატბახტისამ იწყო რა სიცრუითა მოხსენებად წინაშე ქმრისა თვისისა, მით აღანთო ცეცხლი შინაგან მისსა. ყულთა ანუ მოსამსახურეთა რა ნახეს ქელმწიფე იგი განრისხებულ, გამოიყუანეს ყრმა იგი და მოიყვანეს წინაშე მისსა.

მაშინ უთხრა ქელმწიფემ: ჰ უბედურო და შერცხვენილო! საქმისა შენისა დასასრული არს სიკვდილი, რომელ თვთ მემცხედრეცა ჩემი მოწმობს<sup>151</sup> ქმნულსა შენსა საქმესა ზედა, რომელიცა აქამომდე აქვნდა მას გულსა შინა თვისსა დაფარულ.

<sup>151</sup> B: ნობნ-ბს.

მასვე წამსა შინა მოახსენა ბახტიარმა: **ჰ** ჯელმწიფეჲ! ნუ გარდახვალ გარეთ გზისა თქუენისა დედაკაცის სიტყვი-თა, რომელთაცა სრულებით არა აქესთ გონებისა გამჭრეობა და არცა ჯერ არს მათგან შიშვნეულობად, გარნა მხოლოდ აქესთ მათ მრავალი ეშმაკობაჲ, რომლითაცა განათავისუფლებენ თავთა თვსთა უბედურებისაგან. არა აქესთ განრჩევაჲ კეთილისა ცუდისაგან და მისცემენ ძითა თვსთა სიკვდილსა და აღმოითხრიან თვსისა ქელითა თვალსა, მსგავსად ჯელმწიფის ხოსროვის ცოლისა, რომელმანცა თავისა თვსისათვს მისცა სიკვდილსა ძე თვსი.

### მოთხრობა კელმწიფის ხოსროვისა ზედა

მოვედ და ისმინე ამა ბახტიარისაგან ესე მოთხრობაჲ, ჯელმწიფეჲ, რომელ მისირისა ქალაქსა შინა იყო ჯელმწიფე, სახელით ხოსროვ, რომელიცა ყოველთვს განცხრომასა შინა იყო და არცა ჰყვანდა მტერი ვინმე. გარნა ერთსა დღესა ჰყვანდა რა მას ფრიად მეცნიერი ვეზირი, დასჯდა წინაშე ჯელმწიფისა დიდის პატივისცემითა და მოუთხრობდა ესრეთ: **ჰ** ჯელმწიფეჲ ქვეყნისა პატრონო! არს ფრიადი საწუხარ, რომელ არა გყავს შინ კეთილი ძეი, რომელიცა დამჯდარ იყო შემდგომად შინსა ადგილსა ზედა და იქმნას კეთილ-სახელოვანი თქუენთვს.

უპასუხა ჯელმწიფემ: მაგისი საქმე და რჩევა შინ უწყია, ვიდრემდის განმათავისუფლო ამისსა მწუხარებისაგან.. მიუგო ვეზირმა: **ჰ** ქვეყნისა<sup>182</sup> ჯელმწიფეო! კეთილისა ნათესავისა მიუღლე ჯერ არს თქუენდა და ესე არს თქუენი რჩევაჲ, რომელიცა საჭირო არს, რათა იყოს მშვენიერი და კეთილ-ჯინშიანი და ღვთისაგანცა კეთილი სახელი მიცემულ აქენდეს. და ესრეთი ქალი არის რუმის ჯელმწიფისა, რომელიცა არს მდიდარი და კეთილისა ქვეყნისა.

მოიწონა რა ესე რჩევაჲ ხოსროვ ჯელმწიფეს, წარგზავნა მასვე წამსა შინა მოციქული და წარუგზავნა წერილი რუმის ჯელმწიფისა. რომელ: გივის თქუენ ფრიად მშვენიერი ქალი, ჯერ არს ჩემდა მოცემად, ვინადგან მსურის დამოყ-

<sup>182</sup> B: ჯელმწიფისა.

ვრებად თქუენი. მოვიდა მოციქული და მოუტანა წერილი  
ჟას რუმის კელმწიფეს და მასთანვე ცხენი უნაგირით, ფარ-  
ჩა და ტანისამოსი.

გარჯა რუმისა კელმწიფემ წარიკითხა რა იგი წერილი,  
დაუკრა ტაში და არა მიიღო იგი თეთრი და ფარჩა. და მას-  
ვე წამსა შინა დასწერა პასუხი და მოციქული იგი განამგზავ-  
რნა უკადრისობით. და ესე იყო მას წერილსა შინა პასუხად,  
რომელ: მე ვარ ქრისტიანე და შენ მახმადელი, და უკეთუ  
განაგდებ ჰსჯულსა შენსა და დასწომ ყურანს, მაშინ ჰპო-  
ნებ ქრისტიანეთაგან დიდებულებასა და იქმნები მხიარულ.  
და მეცა მასვე წამსა შინა შეგიქმ შენ სიძედ ჩემდა. და უკე-  
თუ არა, მაშინ ესრეთი ფიქრი განაგდეთ გონებიდგან შენისა  
და დაემოყვრე სხვასა.

ხოლო ოდეს მოვიდა მოციქული იგი და მოართვა ეს-  
რეთი პასუხი, მაშინ განრისხდა იგი კელმწიფე ხოსროვი და  
ჰქმნა წადილი მისთვის ბრძოლისა. და ყოვლისა ადგილიდამ  
მოვიდნენ მისის ბრძანებითა ლაშქარნი და მხედრობანი,  
გახადეს ხაზინანი კელმწიფისანი, განაწყენეს იარაღნი  
ბრძოლისანი. და შემდგომად გამოვიდა ხოსროვ კელმწიფე  
საომრად. ხოლო ქუდი ბედნიერებისა მის ქრისტიანე კელ-  
მწიფისა უკუნ-იქცა, ესრეთ რომელ, მოვიდა რა მკედრობა  
ხოსროვ კელმწიფისა რუმის ქალაქსა შინა, ყოველივე მას  
შინა აღაოხრეს.

და ოდესცა ესე ჰსცნა რუმისა კელმწიფემ ჯასუსთაგან,  
ბრძანა ბრძოლისა საკრავთა დაკვრისა. დაეცა ასი ათასი  
მხედრობა მხედრობასა მის მახმადინელის კელმწიფისასა.  
მაშინ აღმოიღეს მათთაცა მისირისა ხმალი და ეკვითნენ  
განძვინებულისა სახითა, ვითარცა ცეცხლი ბზისა, და ერ-  
თითა შეტევეთა იქმნენ მხედრობანი რუმის ქრისტიანეს  
კელმწიფისა ძლიულ. შეიპყრეს ყოველნი და შეუკრეს კელ-  
ნი. ნახა რა ესე რუმისა კელმწიფემ, იქმნა იძულებულ შიში-  
სა გამო სიკვდილისა თვთცა მახმადელ და ქალიცა მისცა  
მისის შესაფერის მზევითთა მას ხოსროვ კელმწიფეს.

გარჯა აქა მოისმინე სხვაჲცა ვითარე-  
ბაჲ მის ქალისა. ესე ქალი პირველადვე ამისსა იყო  
დანიშნულ სხვასა კაცსა ზედა, რომელიცა იყო ნათესავი  
რუმის კელმწიფისა, მამისა მის ქალისა, გარჯა ჯერეთ არა  
წარეყვანა იგი თვსსა სახლსა შინა, მიცემისა გამო მისდა  
სხვადასხვა მიზეზთა მის კელმწიფისაგან. გარჯა მას ვაჟ-

კაცსა ერთსა დღესა შეხვდა ერთსა ოთახსა შინა ლალვად მის ქალისა თანა, რომელიცა იქმნა იგი შემდგომ მოდგომილ მას თანა და იგიცა შემდგომად რაოდენისამე დროსა იქმნა ორსულ. გარნა არავინ უწყოდა ესე მისი ვითარებაჲ. და შემდგომად დაწვა საიდუმლოდ ქალი იგი და შვა მშვენიერი მთვარეს მსგავსი ძეი, რომლისა თანა განუშორებლივ მჯდომარე იყო გამდელი ერთი, რომელმანცა მხოლოდ იცოდა ესე მოხდომილებაჲ.

გარნა ესეცა მასვე დროსა ფრიად ფეხ-მძიმეთ იყო, რომელიცა დაწვა რა შემდგომად მის ქალისა. დაჰფლა თვისი იგი ნაყოლი მიწასა შინა და ყრმა მის ქალისა აღიყვანა მისსა სანაცვლოდ და განაცხადა იგი ძედ თვსად. შემდგომად ამისსა შეიქმნა რა ესე ყრმაჲ მშვენიერი მსგავსად მზისა ათისა წლისა, იცნობებოდა<sup>183</sup> კეჲლად ძედ მის გამდლისად. ხოლო ოდეს მისირის ჯელმწიფემ ხოსროვმა წარიყვანა იგი, მაშინ იგი გამდელიც წარყუა მასვე ქალსა, რომელმანცა ესრეთი ჯელოვნება იხმარა მას ქალსა ზედა, რომელ ვერ იცნა ჯელმწიფე ხოსროვმა იგი დედაკაცი ქალობიდგან. და ესრეთ შეუყვარდა იგი მას, რომელ ერთსა წამსა უიმისოთ არა ჰქონდა განსვენებაჲ.

ხოლო გული მის ქალისა კეჲლად მწუხარებასა შინა იყო ნახვისათვის ძისა თვისისა. და ვინადგან ესრეთ იწოდა მისის მწუხარებისაგან, უთხრა ერთსა დღესა ხოსროვ ჯელმწიფეს თვისსა ქმარსა, რომელ: მამასა ჩემსა ჰყავს ერთი ყული ჯელოვნნიანი, კეთილ-სახელოვანი, აწ მსურს, რათა გყვანდეს იგი თქუენ და იყოს შინად თქუენი მოსამსახურე. ესრეთ რა აქო ამა ქალმა იგი ყრმაჲ, მაშინ ჯელმწიფემ ხოსროვმა მის-თვნაც კეჲლად წარგზავნა მოციქული წინაშე თვისის სიმამრის რუმის ჯელმწიფისა, რომელმანცა შიშისა გამო მისისა წარმოუგზავნა იგიცა თხოვისამებრ თვისისა სიძესა თვისსა, და მოიყვანეს იგი ყრმაჲ წინაშე მისსა.

გარნა აქა მოისმინე ესე საკვირველი მისი მოთხოობაჲ. იხილა რა მან ქალმან იგი მშვენიერი ძე თვისი, დაიჭირა და ემთხვია დედობრივისა სიყვარულითა. გარნა იხილა რა იგი ერთმა ყაფიჩმა, მაშინ მან ძემან გამოიწივა განზედ დედისაგან თვისისა. ხოლო მან ქალმან იფიქრა აქა, რომელ უკეთუ ესე მან ყაფიჩმან მოახსენოს

<sup>183</sup> B: იცნობოდა.

წელმწიფეს, მაშინ ჯერ არს ალებად ქელისა სიცოცხლიდ-  
გან. ამისთვის უმჯობეს არს, რათა მე თვთ უთხრა წინათ  
წელმწიფესა და მით<sup>184</sup> გარღვიწმინდო პირისაგან შერცხვე-  
ხილობისა ფერი.

შემდგომად ესრეთისა ფიქრისა გამოვიდა იგი ქალი და  
მოვიდა წინაშე ქელმწიფის ხოსროვისა, თვისს ქმრისა, ტი-  
რილით და მოახსენა: რასა ინახაჲ ამა ყულსა, უბრძანე,  
ვიდრემდის გააძრონ მას ტყუავი ტანიდგან, რომელ მან აწ  
ეს არის, რაც წარმამაწოდა მე ქელი კადნიარობისა, რო-  
მელ არის ამისი მოწაძე თვთ ყაფიჩი თქუენი. სხვებრ, ჭ  
ქელმწიფეჲ, ნება თქუენია, გარნა იგა არს ფრიად დამნაშაჲე!  
ქელმწიფემ ესე რა მოისმინა თვისს მემცხედრისაგან, იქმნა  
მწუხარე და ჰკითხა ყაფიჩსა თვისსა.

მოახსენა ყაფიჩმა: ჭ ქელმწიფეჲ! ამა საქმესა შინა არს  
დამნაშაჲე ქალბატონი, მით რომელ ოდეს მან შეიპურა იგი,  
მაშინ მან ყრმამან გაიწივა განზიდ მისგან. და ამა ვითარე-  
ბითა იქმნა ქელმწიფე განრისხებულ და წარგზაჲენა იგი  
ყრმაჲ საპურობილესა შინა და თვთ ეგო რაოდენიმე დღე  
მოთმინებასა შინა, ხოლო მემცხედრე თვისი მის დროდგან  
მოიძულა.

გარნა ესმა რა შეპურობაჲ მის ყრმისა ქალსა მას, მაშინ  
განუცხადა ჭიშმარიტებით დაფარული თვისი ჰაზრი, რო-  
მელ: ჭ ქელმწიფეჲ! მე ვიქმენ წინაშე თქუენსა შერცხვე-  
ნილ. ვიყავ წინაშე თქვენსა პატიოსნად, აწ ვარ მოძულე-  
ბულ და შევრცხვი ამა ყრმისაგან. გთხოვ ამაჲე წამსა შინა  
მისცი სიკვდილსა, თორემ მე თვთ მოვიკლაჲ თავსა ჩემსა  
და ჰშთაფიტან თანა ამა ცუდსა სახელსა ჩემსა.

მაშინ ამა თქმისაგან ქელმწიფე კვალად განრისხდა,  
გარნა ტაბილისა ხმითა უთხრა ყურსა შინა ყაფიჩსა<sup>185</sup>, რო-  
მელ: წარიყვანე, ჭ ყაფიჩო, ერთსა ყუდროსა ადგილსა იგი  
ყრმაჲ და მოჰკვეთე თავი მას უბრალოსა. მოისმინა რა ესე  
ყაფიჩმა ქელმწიფისაგან, წარიყვანა იგი ყრმაჲ და დამალა,  
ვინადგან ვერლა გაიმეტა იგი სასიკვდილოდ, იხილა რა იგი  
ფრიად მშვენიერ. ხოლო ქელმწიფესა მოუტანა ერთი ნიშა-  
ნი მისის მოშთობისა.

გარნა ქელმწიფე იგი ფრიად მწუხარე იყო მისთვის და  
მის გამო აქენდა ჯავრიცა ფარულად გულსა შინა თვისსა.

<sup>184</sup> B: მათ.

<sup>185</sup> B: ყალიფსა.



მემცხედრისა. ოდესმე ეტყოდა გულსა თვსსა: არა ვუწყვი, რაა ვქმნა, რომელ ამა მწუხარებითა ოდეს დავიწვა თავი ჩემი. გარნა ამა ჯელმწიფესა ჰყვანდა რა ერთი მოხუცებულ-ლი გამდელი, იფიქრა, რომელ უთუოთ მოხუცებული იგი დედაკაცი მირჩევს რასამე. მოვიდა მისდა. უთხრა, რომელ: არა ვუწყვი, ამა საქმისა დასასრული ვითარ იქმნების, რომელ გული ჩემი ამა ცოლისა ჩემისა სიყვარულისაგან მაქვს მოტაცებულ, რომელმანცა უბრალოდ მომაშობინა უმან-კო იგი ყრმაჲ.

მოისმინა რა მან გამდელმან, ესე მოახსენა: **ჰ კეთილო ჯელმწიფევ!** ნუ შესწუხდები ამისთვის, რომელ მე გაცნობებთ ამა საქმისა ჭეშმარიტებასა. მაშინ მოვიდა იგი გამდელი წინაშე მის ჯელმწიფის მემცხედრისა და უთხრა: **მაცნობე საქმე შენი, რომელ რაჲსათვს ჰსწუხარ შენ, მშვენიერო ჯელმწიფეო?! იქმნება, რომელ არა აქვნდეს ჯელმწიფესა შენი სიყუარული? უპასუხა ქალმა: **ჰ გამსდელიო, არა უწყვი, რომელ ჯელმწიფესა ვყევარ მოძულეებულ და მისთვის ვარ მე ფრიად გულ-შეწუხებულ!****

უთხრა გამდელმა: მითხარ, ვითარ არს შენი ვითარებაჲ, ვინადგან ყოვლის შეწუხებულასათვს არს წამალი, **ჰ სამოთხისა მშვენიერებთაგანო, რომელ მე მოვძებნი შენთვის კარგსა წამალსა და შემოგფიცამ, რომ არცა ვისმე იგი განუცხადო. ოდესცა ჰფიცა მან გამდელმან წინაშე მის ქალისა, მაშინ მან ქალმა მოუთხრა მას თვისი ვითარებაჲ თავიდგან ბოლომდინ ყოველივე კეთილი და ბოროტი. და ესე არს, **ჰ გამდელიო, ჩემი ვითარება, რომლისა გამოცა ჯელმწიფესა ვყევარ მოძულეებულ.****

მოისმინა რა ესე მის ქალისაგან, უთხრა: ნუ შესწუხდები, ჩემო შვილო, რომელ წარვალ წინაშე ჯელმწიფისა და რომლისამე ჯელოვნებითა მოვინადირებ მას მე. გარნა უთხრა მას ქალს, რომელ: ოდეს იგი ჯელმწიფე მოვიდეს წინაშე შენსა და ჩემგან ნათქვამი შენ ჰგკითხოს<sup>186</sup>, მაშინ მიე გამგებ თავი შენი ძილსა და მოუთხარ შენი გარდასახედი წყნარის ხმითა. და ოდესცა მოუთხრობ, განთავისუფლები და დასჯდები კვალად შენ ჯელმწიფისა ხალვათხანასა შინა.

186 A, B: კითხის.

ესე ხელოვნებად ასწავა რა მას ქალსა, მოვიდა მუნიდ-  
გან წინაშე ხოსროვ კელმწიფისა, მის ქალისა ქმრისა, და  
მოახსენა: **ჭ** კელმწიფე! ვითარ ხართ, რომელ მოგიძულე-  
ბიათ მემცხედრე თქუენი? უბასუსა კელმწიფემ: **ჭ** გამდე-  
ლო! არა უწყვი შენ, რომელ ამა ჩემისა მემცხედრისაგან  
იჭვსა შინა ვარ, რომელ მომაკვლინა თუსითა ენითა უბრა-  
ლო უული ანუ მოსამსახურე. და ვარ აწ ფრიად შენანებულ,  
არა ვუწყვი რა ამა საქმისა ჭეშმარიტებად და ესრეთ, გამდე-  
ლო, მემცხედრისა ჩემისაგან შევქმნილვარ უკანასკნელსა  
ცხოვრებასა შინა და ვიმყოფები ფრიადცა შეწუხებულ!

მოახსენა გამდელმა: **ჭ** ქვეყნისა კელმწიფე! ადგილ  
არს ამა საქმესა შინა რჩევა, ესრეთ რომელ მოგლიჯე უჩუმ-  
რათ ფრთაჲ ოპოპსა და ოდეს მემცხედრე თქუენი იუოს  
ძილსა შინა უოვლის უფიქრელად, მაშინ დასდეგ გულსა ზე-  
და მისსა ფრთაჲ იგი ოპოპისა, რომელიცა მასვე წამსა შინა  
იტყვის თუსსა გულისა სიტყუვასა. მოისმინა რა ესე ხოსროვ  
კელმწიფემ, ბრძანა მოტანა მწრაფლიად ოპოპისა ფრთისა.

ხოლო ოდეს დაღამდა, მაშინ მან კელმწიფემ დიდებულ-  
მან მოიტანა ფრთა იგი მემცხედრისა თანა თუსისა<sup>187</sup> და მან  
მშვენიერმა ქალმაც გამგებ დაირულნა თვალნი თუსნი. და  
დაადო მას გულსა ზედა კელმწიფემ იგი ფრთა, რომელმანცა  
ქალმა მოუთხრა თუსი გარდასახედი დაწვლილებით, რო-  
მელ: მე უბრალო და უცოდველი ძე ჩემი მისთჳს მივე სიკ-  
ვდილსა, რათა ხოსროვ კელმწიფეს არა შეეძულებიყავ და  
ეცნა ჩემი უადრი და კეთილობაჲ. და მით მოვშთე ძე ჩემი  
და აწ ვარ მეცა ესრეთ, რომელ კელმწიფემ მომიძულა.

ესმა რა ესე მის მძინარე ქალისაგან, მიიკრა გულსა ზედა  
თუსსა და ემთხვია. მაშინ გამოიღვიძა თვთ ქალმანცა მან  
ძილისაგან, რომელსაცა უთხრა კელმწიფემ: **ჭ** ჩემო საყუა-  
რელო კეთილო! შენ ძილსა შინა ჰსთქვი შენი გარდასახე-  
დი, რაჲსათჳს დამიმალე აქამომდის ძე ესე?! მოახსენა ქალ-  
მან მან, რომელ მე აღმოვითხარე თვალნი ჩემნი, რომელ  
მსგავსი იოსებისა შთავადე ჭასა შინა, რომლითაცა ვიქმენ  
თვალდაბნელებულ მსგავსად იაკობ მამად მთავრისა. საქე-  
ბელ ხარ, შენ ჩემო მწუხარებაო, სიცრუეჲ და პირშაფობაო!

მაშინ მათ ორთავე იწყეს ტირილი, რომელთა მწუხა-  
რებისა ხმის გამო მოგროვდნენ ხალხნი კარებსა ზედა მათ-

სა. უფროსთა კარისკაცთაცა ჰკითხეს მიზეზი თვისი მწუხარებისა, რომელთა განუცხადეს მათ თვისი ვითარებაჲ. მოისმინეს რა მათგან ესრეთისა მწუხარებისა მათისა მიზეზი, ყოველთა იწყეს ტირილი და შეწუხებაჲ. მის მოსამსახურეთა და სხვათა იწყეს ძრომაჲ მიწასა შინა და ყოველნი მისთჳს იგლოვდნენ.

გარნა მან ყაფიჩმან კეთილ-ზნეოანმან, რომელსაცა ჰყვანდა ფარულად შენახულ იგი ყრმაჲ, იხილა რა მათ შო. რის გლოვა და ტყუებაჲ, აღსდგა და წარვიდა სახლსა შინა თვისსა და მორთო იგი ყრმაჲ მშვენიერად და მოიყვანა მასვე წამსა შინა წინაშე ხოსროვ ჯელმწიფისა. იხილა რა იგი მუშტარ<sup>188</sup> — მარსკვლავიანი\* მთვარი, მოეხვია დიდის მხიარულებით. და სხვათა უძღვნეს ვერცხლი და მარგალიტი და შეექმნათ იგი მწუხარებაჲ სიხარულად. ამისთჳს ღირს არს ესრეთი ოსტატი ქებისა, რომელ ჰქმნა დედა მისის ნახვითა მხიარულ, რომელმანცა დამხოებითა ქვეყანისა პირსა ზედა შესწირა მადლობა ღმერთსა.

და ესრეთ მის ყრმისა ნახვითა შეექმნენ მხიარულ და განთავისუფლდნენ ყოველნი მწუხარების პურობილობისაგან. და ყრმა იგი დასჯდა გამგებლობითა ღმრთისათა ტახტსა ზედა მისირის ქალაქისასა და ჰქმნა ჯელმწიფობა. და ესრეთ, რომელიცა კაცი იტანჯების უბრალოსა ცილითა, იგი იქმნების ყოველთჳს განთავისუფლებულ მხიარულებით, ხოლო რომელიცა იქმს საქმესა თვისსა დედაკაცის რჩევითა, მაშინ იგი, სიტყვისამებრ მოციქულისა, არს უსჯულო. აწ შენცა, # აზატბახტ ჯელმწიფეჲ, სიტყვისამებრ მემცხედრისა შენისა ნუ იქმ საქმესა! თუცა დედაკაცთა მრავალი ეშმაკობა და თვალთმაქცობა ექმნებისთ, გარნა ძეთა თჳსთა მისცემენ სიკვდილსა.

ესე რა შეასრულა ბახტიარმა, მაშინ აღმოსაგლეთისა ჯელმწიფე მიეფარა დასაველეთსა. და ჯელმწიფემ კვალად წარგზავნა რა იგი ბახტიარი საპურობილესა შინა, ბრძანა, რომელ, ვიხილოთ, რასა იქმს ხვალისა დღემდინ ღმერთი.

<sup>188</sup> B: მუშტარ.

\* მუშტარის ვარსკვლავი არს ფრიალ ბედნიერ ვარსკვლავი.

ოდეს განსთენდა და შეიჯდა აღმოსაქვლეთისა მზიე (ვხენსა ზედა დღისასა, მაშინ სრულად ვეზირნი წარვიდნენ წინაშე კელმწიფისა და წინააღმდეგ ბრძანებისა ღვთისასა იწყეს ჩივილი და ამბობება. და ყოველთა მათგანთა მოახსენეს კელმწიფეს სხვადასხვა მოთხრობაჲ, რომლითაცა აღანთეს ცეცხლი შინაგან კელმწიფისა. მაშინ კელმწიფემ ბრძანა მოყვანა მის ყრმისა. ხოლო ოდეს მოვიდა იგი ბახტიარი ტირილით, მაშინ უბრძანა კელმწიფემ: **ჰ შენ უბედურო და საძაგელო! ვიდრემდის ვუტევო შეცოდებაჲ შენი, რომლისაცა შემდგომად ამისსა არღა ძალ-მიძს მოთმენაჲ. აწ ვუბრძანებ მოშობასა შენსა, ვიდრემდის ხალხთა გარდივიწყონ**<sup>189</sup> უბნობაჲ ჩემ ზედა.

**მოსხანება ბახტიარისა მიერ წინაშე კელმწიფისა**

მოახსენა ბახტიარმა: **ჰ კელმწიფეჲ! შენ თვთ უწყუი, რომელ არა აქვს წერასა ღვთისასა ცვლილებაჲ. უკეთუ სიკვდილი ჩემი ხელსა შინა თქუენსა არს, რომლისაგანაც არა მაქვს ხსნაჲ და არს ნებაჲ ღვთისა, გარნა სხეებრ მოშობაჲ ჩემი არა ძალ-გიძსთ. ესრეთ ვუწყუი ჭეშმარიტებით და უეჭოდ**<sup>190</sup>, რომელ განჩინებასა ღვთისასა არა აქვს ხსნა და ცვლილებაჲ. და ამას ზედა მაქვს მე ერთი მოთხრობაჲ, რომელიცა მომისმენიეს მოხუცთაგან.

**მოთხრობაჲ კელმწიფისა ფარვინსა ზედა**

მოვედ და ისმინე ერთი წამი, **ჰ კელმწიფეჲ**, ყურადღებით, და მიიღე ამა ბახტიარისაგან ესე მოთხრობაჲ, რომელ იყო ერთი კელმწიფე ჩინის ქალაქსა შინა, რომლისა სახელი ფარვინ. და ყოველივე აქვნდა განწყობილ, გარნა აქვნდა ნატვრაჲ ძისა. და აქვნდა ფრიად მწუხარებაჲ. გახსნიდა ხაზინისა კარებსა და მისცემდა თეთრსა და ნუზლსა დარვიშთა. და რომელსაცა კუთხესა შინა მჯდომარე იყვნენ სულიერნი მონანი ღვთისანი, ყოველნი ლოცვასა მის-

<sup>189</sup> B: გარდავიწყონ.

<sup>191</sup> B: უბეკალად.

სა შინა იყვნენ, რომელთა ლოცვითა შემდგომად<sup>191</sup> აღუსრულდა წადილი თვისი ჭელმწიფეს, მიანიჭა რა ღმერთმა ძეა ერთი<sup>192</sup> მთვარეს მსგავსი.

მაშინ დაიბარნა ჭელმწიფემ მწრათულად ყოველნი ვარსკულავთ-მრიცხველი, ვიდრემდის გასინჯონ მისი სვედრი ანუ ბედი. ვარსკულავთ-მრიცხველმანცა გამოიძია რა მის ყრმისა ბედი, მოახსენა ჭელმწიფეს ჭეშმარიტებით, რომელ: **ჭ** ჭელმწიფეე! თუმცა ამა სიტყვისა თქმაა არა არს წესი წინაშე თქუენისა, ვითარცა ჰსჩანს ბედი ამა ყრმისა ძისა თქუენისა. უთხრა ჭელმწიფემ: უკეთუ კაცი ხარ ჭეშმარიტი, ჯერ არს, რათა პსთქვა სიტყუაჲ ჭეშმარიტიცა, რაჲცა უკუე უწყი! მაშინ მოახსენა ვარსკულავთ-მრიცხველმან: **ჭ** ჭელმწიფეე კეთილ-გონიერო! ვცან მე ვითარებაჲ ამა ყრმისა, ვითარცა მხოლოდ არს წერაჲ ღვთისა, რომელ უკეთუ ესე ძე თქუენი მეშვიდესა წელსა თვისსა განთავისუფლდეს ჭელისაგან ლომისა, მაშინ იქმნები მოკლულ ჭელითა მისითა.

ესმა რა ესე მას დედებულს ჭელმწიფეს, ბრძანა, რომელ: მე ვიქმ რაისამე ღონის-ძიებასა მისთჳს. მაშინ წარგზავნა იგი ძე თვისი ერთითა ძიძითა ერთსა მინდორსა და ჰშთასხა იგინი ორმოსა შინა. გარნა ყოველ დღე უგზავნიდა მას ძიძას საზრდოსა. ხოლო ოდეს აღზარდა მან ძიძამ მუნ შვიდსა წლამდინ, აქა მოისმინეთ, ვითარ იქმნა შემდგომად ამისსა მისი ვითარებაჲ.

ერთსა დღესა ლომი ერთი მას მინდორსა შინა დაეძებდა ნადირსა შესანთქმელად, რომელმანცა უვიცრათ ნახა ერთი აქლეში, სადაცა სომდა წყალსა და სძოჲდა ახალსა ბალახსა. უთხრა ლომმან თავსა თვისსა, რომელ მომცა მე ღმერთმან დღეისა საზრდოჲ, ჰშთავარდა რა იგი აქლეში ჩემსა ბადესა შინა. და სიხარულითა ბლუოდა და მიხტოდა მის აქლეშისაკენ. გარნა იხილა რა იგი ლომი, იქმნა ლტოლვილ, და ლომიცა მისდევდა უკანით კერძო, ვითარცა ქარი.

მაშინ იქმნა აქლეში იგი უვიცრათ ჰშთავარდნილ მას ორმოსა შინა, რომელსაცა შინა იყო ყრმაჲ. და ლომიცა მის აქლეშისათჳს იქმნა ჰშთავარდნილ მისვე ორმოსა შინა. ნახა რა მან ლომმან უვიცრათ იგი ყრმაჲ და ძიძაჲ მისი მას

<sup>191</sup> B: შემდგომად.] —

<sup>192</sup> A: წყლება ხელნაწერი №367.

ორმოსა შინა, პირველად ლომი იგი მისწვდა მას ყრმასა და აღმოისროლა ზემოთ. და შემდგომად მისსა ჰშთაუგლო ჩანგალი მას ძიძასა და აქლემსა და ჰქმნა იგინი განხრწნილ

განთავისუფლდა რა ყრმაჲ იგი მის ლომისაგან, იქმნა ლტოლვილ მას მინდორსა და ტყესა შინა. მაშინ ნახა იგი მთვარეს მსგავსი ერთმა მებაქლემემ, რომელიცა დაეძებდა თვსსა დაკარგულსა ზემორე ხსენებულსა აქლემსა. წარიყვანა იგი სახლსა შინა თვსსა და იქმნა მსიარულ მისის პოვნისათვს. და გამოზრდიდა მას მსგავსად ძისა თვსისა. შემდგომად იგი ყრმაჲცა გამოვიდა ფრიად გონიერ.

გარნა შემდგომად ამისსა, განვიდა რა რაოდენიზი დროჲ, მოუვიდა ხსენებულ ჯელმწიფეს ფიქრი გონებასა შინა თვსსა და წარავლინა კაცნი ნახვად მის ყრმისა ორმოსა შინა. გარნა მოვიდნენ რა, მუნ ვერღა ნახეს იგი და უმიჯრებითა თვსითა გარდიწყვიტეს მისი იმედი. მაშინ ჯელმწიფემ წარავლინა ყოველსა მხარესა მოსაპოებლად მის ყრმასა, რომელიც ეუბნებოდა მათ, რომელ უკეთუ მომიპოებთ მას, მაშინ განვიხარებ მე ფრიად. ხოლო ესე ყრმა იმყოფებოდა მის ხსენებულს მებაქლემესთან.

შემდგომად ამისსა განვიდა რა რაოდენიმი დროჲ, წარვიდა იგი ყრმა და ეძებდა თვსდა მეგობრად კაცთა და შეჰკრებდა მათ ერთად, მით რომელ სურდა, რათა ყოფილიყო იგი მათი მთავარი. წარვიდოდა და ჩასაფრდებოდა გზებითა შინა და მით წარიტაცებდა და აღაოხრებდა მიმაჯალთა ქარვანთა. მაშინ ესე ამბაჲი წარიდეს რა წინაშე ჯელმწიფისა, იწყეს ჩივილი და მოახსენეს, რომელ მამულსა შინა თქვეენსა აღმოჩნდა ერთი ავაზაკი, რომელიცა მამულსა შენსა აოხრებს და იქმს ვერანასა, უპყრია რა მას ყოველნი გზანი.

მოისმინა რა ესე ჯელმწიფემ, მწრაფლად იქმნა გამგზავრებულ მკედრობითა თვსითა. გარნა აქა მოისმინე, ვითარ იქმნა შემდგომად ამისსა. გამოვიდა რა ჯელმწიფე იგი მინდვრად, სადაცა იყუნენ იგი ავაზაკნი, უბრძანა დადგმა თვსთა ამხანაკთა ესრეთ, რომელ: ზ მეგობარნო! რასლა ელით, რომელ ჯელთა შინა ესრეთთა ძაღლთა ვითარი მონადირე ხართ?! ჩემის გულისათვს ყოველთა ჰქმენით კაცობაჲ და გაშალეთ ჯელნი თქვენნი!

მაშინ ყოველთა ესრეთითა მისის თქმითა გამოიდეს ჯელნი და მისცვიდნენ მტეროა მათ ხოლო გამოვიდა რა

გარეთ იგი ყრმაეცა მსგავსად ლომისა, მაშინ შემოჰკრა ხმალი თავსა შინა მამასა თუსსა ჯელმწიფეს. გარნა ჰყვანდნენ რა მას ჯელმწიფეს მრავალნი მკედრობანი, ესრეთ რომელ ერთსა ზედა გამოდიოდა ათი კაცი ჯელმწიფისა, და მათ შეიპყრეს იგი ყრმაე ყოვლისა თუსითა ამხანაგებითა და წარიყვანეს ციხესა შინა. და ჯელმწიფე ხსენებული იქმნა მიახლოებულ სულისა ბრძოლასა, აქენდა რა ფრიად მძიმე დაჭრილობა.

მაშინ ბრძანა ჯელმწიფემ მოყვანა მის ვარსკულავთმრიცხველისა. და რა მოიყვანეს იგი წინაშე მისსა, შესძახა ჯელმწიფემ მას ვარსკულავთმრიცხველსა, რომელ: **ჰ** შენ, უმეტარო! რასათჳს მითხარ მე ტყუილი, რომელ სიკუდილი შენი იქმნება ჯელთაგან ძისა შენისაო?! აწ იგი განხრწნილ არს ლომისაგან და სხვამან მცა მე ხმალი თავსა. უპასუხა ვარსკულავთმრიცხველმან, რომელ წერასა ღმრთისასა არა აქუს ცველილება. უკეთუ ესე დაჭრილობაა არა იყოსმცა ძისაგან თქვენისა, გარნა მაინც მოკუდებით თქვენ ჯელთაგან მისსა.

ესე რა მოისმინა ჯელმწიფემ მის ვარსკულავთმრიცხველისაგან, ჰკითხა მას შეპყრობილს ყრმასა, რომელ: საიდამ ხარ შენ, ყრმაო? მოვედ და მითხარ, უკეთუ ხარ ჩემი მეგობარი! მოახსენა მან ყრმამან: არა ვუწყვი, ხოლოდ არს მამა ჩემი ერთი მეაქლემეთაგანი. მასვე წამსა მოიკითხა იგი მეაქლემე და ჰკითხა ჯელმწიფემ მას ვითარებად მისი. მაშინ მეაქლემემან მოუთხრო, რომელ ესე იყო შვიდა წელი ერთსა მინდორსა შინა და შემდგომად ღმერთმან მომცა მე იგი. და ესრეთი ტრედი ჰშთაჳარდა ბადესა შინა ჩემსა.

მაშინ ყოველთა ესრეთ დაარწმუნეს გული, რომელ იგი არს ძე ჯელმწიფისა და ლომსაცა რა წარეჳლო პირი მხარსა ზედა მისსა, ნახეს იგი ნიშანიც დიდებულთა მისთა კარისა კაცთა. მაშინ ყოველთა შექცევისა და განცხრომისა იარაღნი განაწყვეს და ყოველნი იგინი ემთხვივნენ ფეხსა მისსა. და მამა მისი ხსენებული ჯელმწიფე ესრეთ იქმნა მხიარულ, რომელ მასვე წამსა შინა განუტეჳა სული, ხოლო ძემან მისმან დაიდგა თავსა ზედა გვრგვნი ჯელმწიფობისა, იყო რა ესრეთ გამგებლობაა ღმრთისა, რომელიცა არა შეიცვალეების არა რომელისამე ღონისძიებითა.

და ესრეთ რა ბახტიარმა სრულჰყო მოთხრობაე თუსი, მაშინ ჰშთავიდა მზე და შემოვიდა ღამე იგი სიბნელისა და

წელმწიფემ კვალად იგი წარავლინა საპყრობილესა შინა  
ვიდრე განთენებამდინ შემდეგისა დღისა.

მოსვლა ათთავა ვაჟიერთა მართოვით წინაჲა ვალმწიფის  
აზაბახანისა

განსთენდა რა და მნათობმა<sup>193</sup> მზემ წარკვეთა მნათობობისა თვისის წმალთა თაჲი სიბნელისა, გარდაცმულსა პირსა ზედა ქუეყანისასა, დასხდნენ იგი ვეზირნი სამჯაფროსა სახლსა შინა და ჰქმნეს გარდაწყვეტილობაჲ სიკუდილისათვის მის ყრმისა ბასტიარისა. აღაღეს ენანი თვისნი მოგონებითა ცილისათა და შით აღანთეს ცეცხლი გულსა შინა წელმწიფისასა. მაშინ აღსდგა ყვირილი და ამბოხებაჲ. მაშინ უბრძანა წელმწიფემ აზატბახტმა მტალღარსა თვისსა, რომელ წარიყვანე იგი ყრმა სატანჯველსა ადგილსა და წარკვეთე თაჲი.

ესმათ რა ესე ვეზირთა, ფრიად განიხარეს და ჰქმნეს მოწვევა დიდისა ხმითა ხალხთა საყურებლად. არა აძლეოდნენ მას არცა ნახევარსა საათსა მოცდად. და მოჰგროვდნენცა მუნ ურიცხვნი ხალხნი, რომელთაგანმან არა ერთმან არა ჰქმნა მისთვის შუამდგომელობაჲ წინაშე კელმწიფისა. და ყრმა იგი მჯდომარე იყო მას სატანჯველ ადგილსა ზედა და ყოველივე იმედოვნებაჲ თვისი მიენდო ღმრთისა ზედა.

გარნა აქა მოისმინე სხუაჲცა მისი ვითარებაჲ. ვინადგან გარდმოვიდა რა მას ზედა წყალობა იგი ღმრთისა, ამისთვის მას დროსა ავაზაკთა იგი ზემორეხსენებული უფროსი სახელით ზიად, რომელმანცა იპოვნა იგი ბასტიარ მინდორსა შინა და რაოდენიმე წელი გამოეზარდა იგი, რომელსაცა გაეგონა რა ვითარებაჲ მის ყრმისა, რომელ არს იგი წინაშე წელმწიფისა პატივცემულ და თანამდებობისა მექონე, ერთსა დღესა წარმოსულიყო იგი სანახაჲდ მისსა. და მოიწია მას<sup>194</sup>, ოდესცა მას ყრმასა სტანჯამდნენ სასიკვდილოდ.

იხილა რა იგი ამბოხებაჲ და ყვირილი, ჰკითხა მასვე წამსა შინა ხალხთა, რომელსაცა ყოველთა მოუთხრეს მისი ვითარებაჲ. მაშინ იგი მსწრაფლად შავარდა შინაგან მის

<sup>193</sup> B: მნათობა.

<sup>194</sup> (თოქოს აკლია „უაჰსა“).



შეურილობისა, იხილა იგი ყრმად მას ტანჯვასა შინა, ჰსცნა და მასვე წამსა მივიდა და დაეგო ქვეშე ფერკთა მისთა და იწყო ყვირილი და ტირილი. და წარტაცა ჯელიდამ მას მტალვარს მახვილი თვისი და უთხრა: **ჰ მახმადინელნო!** არა უწყითა, რომელ გარდა ამისსა აქა არაჲინ გვივის მცნობი და არს ქე ამა მოხუცებულისა? **ჯერ-არს,** რათა ნაცვლად ამისსა მომშთოდ მე, რომელ არა ძალ-მიძს ხილვად ამისა სიკუდილისა! მასთან იყუნენ აგრეთვე სხუად ავაზაკნიცა, რომელთა აგრეთვე შექმნეს ყვირილი.

ხოლო ესმა რა ესე ჯელმწიფეს აზატბახტსა ესე ვითარებად, მოიკითხნა იგინი პირველ წინაშე თვისსა და ჰკითხნა მათ, რომელ: საიდამ ხართ, მითხარით, ვინადგან მეცნობით თქვენ. მეუფროსემან მათმან ყოველივე მოახსენა მას და არცა რაჲმე მცირედი დაჰფარა წინაშე მისსა. შემდგომად მოახსენა კვალად: **ჰ ჯელმწიფე დიდებულო!** მეცა კაცი ამა ავაზაკებთაგანი ვარ, რომელ ყოვლისა ქარვანისა წარმხდენი ვარ მე<sup>105</sup> და ამა ათთა კაცთაცა უფროსი და სარდალი ვარ, რომელმანცა იგი ყმად ვპოვი მე მინდორსა შინა შესვეული დიბასა და მძიმე ფარჩასა შინა, და მწოლარე იყო წყაროს პირსა ზედა, და აქუნდა წინაშე თვისსა შემოყრილ თვალი და მარგალიტი, რომელიცა გაზრდილ არს სიყმაწვილიდგან ჩემსა ჯელსა შინა და არა რაჲმე მინახამს მისგან რაჲმე უშესაბამოჲ საქმე. და ღმერთმან აცხონოს მისი დიდმამად, რომელ ესრეთი კეთილი და მშვენიერი უშობიათ.

ოდესცა მათ ესრეთ მოახსენეს, მაშინ იცნა ჯელმწიფემ და იქმნა ფრიად მსიარულ და ჰკითხნა კვალად, რომელ: უკითუ შენ მოიტან დიბის ტანისამოსსა მისსა, ვირწმუნებ, რომელ იგი არს საყუარელი ბახტიარი. მოახსენა მან: **ჰ ჯელმწიფეო ჩემო!** მოვიტან. მაქუს იგი დღესაცა სახლსა შინა ჩემსა. მაშინ წარვიდა იგი კაცი სახლსა თვისსა და მოიტანა იგი ტანისამოსი ნიშნად.

იხილა რა იგი ჯელმწიფე აზატბახტმა, წარვიდა მასვე წამსა შინა მემცხედრისა თანა თვისსა და უთხრა: **ჰ შენ დედაკაცო!** გაშინჯე ესე ტანისამოსი ფიქრითა, უკითუ იცნობ. რომელმანცა დახედა რა ტანისამოსსა მას, მასვე წამსა შინა იცნა იგი თვისი ტანისამოსი და უთხრა ჯელმწიფეს, რომელ: ესე არს ტანისამოსი იგი, რომელიცა არს პირველი

<sup>105</sup> B. ვარიუე.

ნიშანი ძისა ჩვენისა, რომელ ოდეს მივდიოდით ჩვენ ქირმანის ქალაქისკენ, ღმერთმა მოგვცა ჩვენ მინდორსა და წყაროს თავსა ზედა ერთი ძეა, მაშინ ამა ტანისამოსითა განუტევეთ მას ადგილსა.

ბრძანა კვალად ჯელმწიფემ იჭენეულობით, რომელ: არა გინახამსა მას ყრმასა ზედა სსუჲცა ერთი ნიშანი? მოახსენა მემცხედრემან: ჟ უმაგალითო ჯელმწიფეო! მასვე ყრმასა ზედა ვიხილე ერთი ნიშანი, რომელ აქუნდა ერთისა ფეხისა ორი თითი ერთი მეორესა ზედა შედუღებულ. მოისმინა რა ესე მან დიდებულმა!<sup>196</sup> ჯელმწიფემ, უთხრა თვსთა წინარე კაცთა, რომელთა მოიყვანეს იგი ყრმაჲ ბახტიარი წინაშე მისსა, რომლისა ფეხსა ზედა იხილა ჯელმწიფემ ესე ვითარი ნიშანი. და დედამაცა მისმან რა იხილა იგივე ნიშანი, მასვე წამსა შინა მისის ნახვისა სიხარულითა იწყუო რძემან დენაჲ მისის ორისავე ძუძუდგან.

და მამაცა მისი ჯელმწიფე აზატბახტი იქმნა რა მისთვის ფრიად მხიარულ, დაეცა პირსა ზედა ქვეყანისასა და შესწირა დიდებაჲ და მადლობაჲ ღმერთსა. და შემდგომად მიიკრა იგი გულსა ზედა თვსსა და ემთხვია პირსა, თავსა და თვალეზსა ზედა. ჰსცნეს რა ესე სსუათაცა მისა წინარეთა კაცთა, იღღესასწაულეს დღეჲ იგი ვითარცა დღე უქმისა. ყოველთა განაღეს ზანდუკნი საუნჯისა თვსისანი და უძღვნეს მას ვერცხლი, ოქრო და მარგალიტი. და იტყოდნენ, რომელ მოვიპოეთ ჯელმწიფე ჩვენი ბახტიარი.

მაშინ დაუკრეს სხვადასხუა შესაქცევნი საკრავნი და ჯელმწიფემაცა თვსნი ხაზინანი დაურიგნა სსუადასსუა კაცთა. შემდგომად ამისსა დედაცა მისი მოვიდა რა კვალად გონებასა თვისსა, მიიკრა იგი თვსი ძეჲ ბახტიარი და ემთხვია. ყოველნი მისის ნახვითა იქმნენ გულ-მხიარულ და კვალად იქმნენ გულ-მხიარულ და მით განთავისუფლდნენ თვსისა მწუხარებისაგან.

შემდგომად ამისსა ჯელმწიფემ ჰკითხა მშვიდობისა სახითა მას მემცხედრესა თვსსა, რომელ რაჲსათვს ჰსცდილობდნი მოშთობისათვს ამა ყრმისა ძისა ჩემისა? უპასუხა მემცხედრემან, რომელ: იგი ყოველივე მოხსენებაჲ ჩემი იყო ცილი, რომელსაცა ვიქმოდნი რჩევითა მათ ვეზირთა. მაშინ მოწოდებულ იქმნენ ვეზირნი და ყოველნი მიეცნენ

<sup>196</sup> B: დიდულმა.

სამჯავროსა. ჭელმწიფემ ჰკითხა მათ: # კაცხო, შეცთომილნო გზიდგან თქვენისა, რაისათჳს ხართ თქვენ მოშურნიე ყოვლის კეთილისა კაცისათჳს? აწ აღიარეთ, რაჲ ნახეთ ამა ყრმასა, რომელ ყოველნი მოშთობისათჳს ამისსა ყოველსა მსარესა მიმოეკვეთებოდით.

მაშინ ყოველთა ვეზირთა თჳსის ფრიადის შეცოდებისაგან არღა რაიმე იხილეს სათქმელად წინაშე ჭელმწიფისა, გარდა პირშაობისა თჳსისა. იქმნენ შერცხვენილ და კვალად შერცხვენილ და ყოველნიე დაეცნენ პირსა ქვეყანისასა ტირილით. მაშინ უთხრა ბახტიარმა ჭელმწიფეს, რომელ ესე ვეზირნი თქვენნი ყოველნი უმეცარ და შეცდენილ გზისაგან თჳსისა არიან. აქენან მხოლოდ მრავალი თვალთმაქცობაჲ და არიან ცრუნი, ვიდრემდის ყოველთა მახმადონელთა მიუღონ ქონებაჲ, მოშურნიენი არიან და მტერობა მათი საქმე არს, ვერნი არიან და ცოდუა მათი საპალნე არს.

მაშინ უბრძანა ჭელმწიფემ კვალად მათ, რომელ აღიარეთ ყოველიე წინაშე ჩემსა და მით წარხოცეთ გული ჩემი ამა მრისხანობისაგან, ვინადგან ზემმარიტებით თქვენითა იქმნებით განთავისუფლებულ ჩემგან.

### მოხსენება გულის-წადილისა თჳსისა ხოველთა მათ ათთა ვეზირთა მიერ წინაშე კალმწიფისა

ყოველთა ვეზირთა აღიარეს და მოახსენეს ჭელმწიფეს, რომელ: ვართ ჩვენ ყოველნი მტერობასა შინა მის კაცისა, რომელსაცა ვიხილამთ რა ჩვენსა ადგილსა ზედა მჯდომარესა, და მისთჳს ვუგვით მაგას შური, რომელ ვიყავით ჩვენ ყოველნი ქვეშე ჭელთა მისთა. და ესრეთსა უმადლესსა ადგილსა მიაწია მან, რომელ ჩვენ ყოველსაჲ გვრაცხდა უკანასკნელად, არღა გვაქუნდა ჩვენ არა რაჲმე პატივი. და ვინადგან იყო იგი საყუარელ ჭელმწიფისა და ჩვენ არა, მისთჳს ვცდილობდით მისის მოშთობისათჳს.

მაშინ მასვე წამსა შინა უთხრა მან ბახტიარმან, რომელ: ხართ თქვენ უმეცარ და კვალად უმეცარ, ესრეთ, რომელი კაცი გონიერი და მეცნიერი აღემატების ყოველთა ზედა ხარისხოვნობითა, და ვინადგან მქონდა მე თქვენ ზედა უმეტესი გონება და ვიყავ მეცნიერ, მისთჳს ხარისხოვნობაცა ჩემი იყო უმეტეს თქვენისა. მეცნიერობისათჳს თჳსისა შეიქმნან კაცსა უპატივეცემულეს და არა თუ მოხუცებუ-

ლობისათვის. უმაწვილ ვაჟკაცსა ფრიად გონიერსა და მეცნიერსა გარდიუხანენ მოსუცუებულთაგან და დასმენ უპირატესსა ალაგსა ზედა. და აწ მაღლობაა ღმერთსა, რომელ მომცა დროცა და გასუთავისუთლდი ამა ჩემისა პერობილობისაგან და სადიდებელად ღმერთისა შეგინდობთ თქვი ამა ყოველსავე, ვინადგახ გაძარინა მეცა ამა უბედურებისაგან ჩემისა.

მაშინ ყოველნი ვეზირნი ემთხვივნენ მას ჯელსა ზედა და დაეცნენ ქვეშე ფერჯთა მისთა. შემდგომად მისსა უთხრა ჯელმწიფემ აზატბახტმა ძესა თუსსა, რომელ: ზ ძეო ჩემო, თვალისა სინათლეო და გონიერო! აწ საკადრის არს შენდა ჯელმწიფობაჲ, რომელ ბოროტისა მოსურნისათვის გსურის შენ კეთილი. ოდეს აღგიყვანე და მიგიკარ გულსა ზედა, მაშინ გიწოდე შენ ბახტიარი. და შემდგომად ამისსა აღილო ქუდი ჯელმწიფობისა თუსისა და დასდვა თავსა ზედა მისსა და ჰქმნა ჯელმწიფეთ, რომლისა მიერიდგან კეთილ-მსაჯულობითა განათლდა ყოველი ქვეყანა. და ესრეთ ყოველი ჯელმწიფე, რომელიცა იქმს საქმესა თუსსა სამართლითა, იგი უჭვენეულად არს ბახტიარი (ესე იგი ბედნიერი)<sup>197</sup>.

<sup>197</sup> B: შესრულდა ესე ისტორია სკმ-ნ ტაბიძის ჯელითა.

## ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი<sup>1</sup>

ამანოზი I (عاج) სპილოს ძვალი) ეკალ-  
მუხა, შამერქნიანი ძვირფასი ხე.

ამაშეთი I (حبش) აბისინია.

აზადი I (آزاد) თავისუფალი, არა-  
მონა.

ალაფობა I აილაფა დაარბია. ნა-  
დავლი იშოვნა.

ალაბი, ჰალაზი I (حلب) ქალაქი ალბო.

ამბარი, ანბარი I ბელელი, საწყობი.

ამელ ფადშა I (عامل, آدشاه) ფადშა-  
პის მოხელე, ვადასახადის ამკრფედი.

არაბი I (حرم, سرای) ქარაზხანა  
საქალებო, საწოლი.

არაყი I, II (عراق) არაყი.

აუგი I სირცხვილი, სანარახისი.

აღაჯი I (فرسنگ) სიგრძის სა-  
ზომი ერთეული (დაახლ. 6-7 მ.).

აღსო I აბეეთ, ადვეთ.

აჯაზი I (عجم) არაარაბი, სპარსელო, აჯა-  
პისა ქვეყანა ირანი.

ბეზანი, ბეზანი, ბეიზანი I (بیان) უდაბ-  
ნო (სიტყვა-სიტყვით: უწყლო ადგილო)  
ბეგრზონაღლი I ვაშოცილი, ბევრის მნა-  
ხველო.

ბრუზა I განსჯა, თათბირი, სავართალო.

ბლუელი II ღრიალი (ღამისა).

გალაღლი I ნაცემი, დაქრილი.

განსინჯველი იხ. მსინჯაყი.

<sup>1</sup> ლექსიკონში კონტექსტის მიხედვით მოკლე განმარტებულია დღეს ძნელად გასაგები, მნიშვნელობაცულობიდან ფორმით საინტერესო სიტყვებო. I—აღნიშნავს პირ-  
ველი, ვახტანგისდროინდელი თარგმანის ტექსტს. II—ა. სელხანაშვილისეულ ტექსტს.  
მეორე ვერსიის მთარგმნელს ზოგი სიტყვა განმარტებული აქვს ტექსტშივე. ფრჩხილებში  
ან სქოლიოში. მისი განმარტებანი ვაითვალისწინეთ (სეულხ.). გამოვიყენეთ აქართ-  
ული ენის განმარტებითი ლექსიკონი— რეკომენდებული, სეულხან-საბა ბრბელი-  
ანის „ლექსიკონი ქართული“ (საბა), „ვეფხისტყაოსნისა“ (1957 წ. ვაშაყ.) ლექ-  
სიკონი, შედგენილი ა. შანიძის მიერ (შანი). „რუსეთანიათა“ (1957 წ. ვაშაყ.)  
ლექსიკონი, შედგენილი ივ. გიგინეიშვილის მიერ (გიგ.), „ქილადა და დანა-  
ნას“ (1962 წ. ვაშაყ.) ლექსიკონი, შედგენილი ვლ. მეტრეველის მიერ (მეტ.) ;  
აღმოსავლური ლექსიკონები, აგრეთვე ზოგი სიტყვის განმარტებისას მ. ანდრო-  
ნიკაშვილის ნაშრომი „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივ ურთიერთ-  
ბიდან“, I, 1962 (ანდრ.), დ. კობიძის ნაშრომი „ვისრამიანის საკითხები“, თსუ  
შრომები, ტ. 116, 1965 (კობ.), ილია აბულაძის წერილების სერია „ძველო  
ქართულის ლექსიკონიდან“. რომელიც კიფრის შემდეგ ფრჩხილებში მივუთითეთ მხოლოდ  
სპარსული შესატყვისები სათანადო ტექსტების როგორც ხალხური, ისე ლიტერატუ-  
რული ვერსიების მიხედვით, სადაც კი ეს მოხერხდა. თუ მნიშვნელობა იდენტურია,  
სპარსულ სიტყვას აღარ განვმარტავთ. აქვე შევიტანეთ ის გეოგრაფიული სახელები,  
რომლებიც განმარტებას საჭიროებენ, პარალელური ფორმები ერთად მოვკავებთ.

ვანკრეზა II გაჰქრიანობა.  
 ვანდინება II რათა განმარინოთ  
 ვადამარჩინოთ, მიხსნათ.  
 ვანპარცება I განიავება, მოსპობა.  
 ვანცლა II დანახვა.  
 ვანწყობა II განწყობიყო გაარწყიე-  
 ბიყი- (სულხ.), გაარწყიებოდა.  
 ვანხდა II გაძეება.  
 ვანხრწა I, II ეშმაკობა, მზაკრობა  
 (مكر) გაფუქება, დაშლა, დაგლეჯა.  
 ვარ I გარეთ. შინ და ვარ არ გაიყრი-  
 დის.  
 ვარდასაზღვი II თავდადასავალი.  
 ვარდაწყვედა I დასრულება, ვათავება.  
 ვარეთ I გარდა, ვინ იქნებოს... შენს  
 გარეთ აქ შემომსვლელი?  
 ვასინჯა I სიფრთხილე, აუჩქარებლობა;  
 ჩხრევა (საბა).  
 ვალძდა I ვალიზა.  
 ვაუცნება I ვაგზავნა.  
 ვლახა, ვლახაი I ღარიბი, ღატაკი.  
 ვწერა II ძველება. უგმერდა ისარ-  
 სა.  
 ვღლ-ნებინჯი I ახლობელი, ძვირფასი,  
 გლოცვმა I მკარას გულიცკმას-  
 ეყავ არაფერი ვიცდი, ვერ მივხვდი.  
 ვაძვეკული II ძველი, დაგლევილი.  
 ვადგინება I მუხლი დაიდგინა  
 მუხლი მიყარა (بزانو در آمد)  
 ვაეჭირა I დაეკურდა.  
 ვაეცდრებული I დაბარებული.  
 ვადრეში II ბერი (სულხ.) დერეფში,  
 მთხაიარი.  
 ვატჯრი I წესი, რიგი; თანხმობა,  
 ნებართვა.  
 ვაუნაშავებელი I უდანაშაული.  
 ვაუთა II პირის აღდებლობა (საბა).  
 ვაუყავ პირი მტერთა გააჩუ-  
 მე, დაადუმე მტერი.  
 ვაყარული I დართული, დაგრებილი.  
 ვაწყობა I (حاصل) ზავი, მშვიდობა)  
 დაზეება. დაწყობა მოახდინეს  
 მორიგდნენ, დაზავდნენ.  
 ვახდებდა I სხვა ვერა დაახელა-  
 რა სხვას ვერაფერს შეხვდა, მიუხვრა.

დაჭრილი I დაეცეტილი, დახშული.  
 დედანძტუ I (مادر خوانده) გაიზრდე-  
 ლი, ძია.  
 დედანული I (عياي) სახლის ქალა-  
 ბობა (საბა), ცოლშვილი.  
 დედანულთუჯცესი I ოჯახის უფროსი.  
 დიანანი I (مهدان) მემამულე) აქ: საყ. სა-  
 ხელადაა გაეცებული. დიაცანერქეა.  
 დიბა I, II (ديبا) ფარჩა, აბრეშუმი.  
 დოვლათი II (دولت) ბედი, ბედნიერება.  
 დრამკანი II ოქროს ფული.  
 დღეწავლილი I (پیر روز) ხნი-  
 ერი, მოხუცებული.

ელმობა II ძალადობა (სულხ.) მიმიღებს  
 მას ელმობით და ტანჯეთ.  
 ერთგზას, ერთგზით, ერთგზის I, II ერთ-  
 ხელ.  
 მსერ I აგერ, ამა.  
 ეტლი I ბედის ვარსკვლავი, ბედისწერა.  
 ვერანა II პარტახი, ნაიხარი.  
 ზანგებარი I (زنگبار) ზანზიბარი.  
 ზარბაზი I ოქროქსოვილი.  
 ზარიანი II ოქრომკედლიანი, მოოქროვილი.  
 ზეპირ I (ظاهراً) გარეგნულად, მოსაჩვენებლად;  
 ზეპირად.  
 ზოპოლი II ზუალი, პლანეტა სატურნი  
 (კრონოსი). ესე ზოპოლისა ვარსკვლავი  
 არს უბედური ვარსკვლავი და ოდეს  
 ვისმე დაუპირდავებდა ანუ მას ზედა  
 დაიბადება, იქმნება იგი უბედური  
 (სულხ.).

თამაშა I სანახაობა, გართობა, სვირი.  
 თეთრი II ვერცხლის ფული.  
 თულფნი I (فalcon) შავარდენი,  
 თეთრი მიმინი (Falco gyrfalco)  
 თხრემლი II მთხრებელი, ორბი.

იამანეთი I (يمن) იემენი.  
 იასაული I მეფის პოხეული, აქ: ქალათი.  
 იმანი II სულიერი კაცი (სულხ.), იმამი,

მუსლიმანური იერარქიის მაღალი რანგის სასულიერო პირი.

ინანური I (عوانی) ბერძნული.

ირცხნიდა I რცხვენოდა.

იტორიულად II აქ: პრიზაულად.

კდმა II შიშ გზობის მოლოდინსა ზედა (საბა), სირცხელი. არა გეკლი-მუბისა? არ გეშინია შერცხენისა? არ გრცხენია?

კუბო I საჯღოში ტახტი საჩრდილობე-ლიანი, გადახურული (გოც).

ლაღად II საჩხუბრად (?) ლაღად-მის ქალითა თანა.

ლაში I ბაჟე.

ლატი I (ادعوى) საომარი რჩინის კერათხი.

მანდატურთუხუცესი I იასაულთ უფროსი, შთავარი გელარგნოსანთა (საბა).

მართალი I მართალი მარგალიტი ნამდვილი, ძვირფასი.

მარჯვლობა I ახალგაზრდობა, გამოუცდლობა.

მალაათი II რჩევა (სულხ.) სარკებლობა, მიზანი.

მაჰატივეზელი I ვინც პატივს არ სცემს, შჩავერელი.

მაშადი II (مشهد) ქალაქი მაშადი.

მაწვენილი I ვერცა მაწვეველსა გააბრუნებდა სიყვდილს ვერ ასელებოდა.

მახადინელი II მაჰადიანი.

მდივანი I, II დივანი, სამეფო მოხელეთა საკრებულო; მოხელე, მწერალი.

მეგეშე II გემის უფროსი. კაპიტანი.

მესელსლე I (مسد) შერი) მოსისხლე, მტერი, შურისმაძიებელი.

მესოფლე I სოფლის მეცხოვრები, გლეხი.

მეტალი II ლითონი, წიაღისეული.

მეტენერი I, II მკოდნე, გამგები.

მესლმე I ქალატი.

მოსოვარი I მოხიენელი.

მიკლენა II მიუკვლივეს აქრა მიართვეს, უძღენეს.

მილსორობა I (اخور ساری) მექინიზეთ-უფროსობა.

მისრი II მისრეთი, ეპიტე.

მიუცილვლევ II აუცილებლად.

მიღება II მიმიღებს წამართმევს.

მინჯელი I პატივემული.

მევეთრი II მალი, სწრაფი; მტრელი. მკვეთრი ცხენი, მკვეთრი ხმალი.

მმარჯველი II მარხვის დამცველი, წმინდანი.

მყრნალი I ეგვიპტი, ბრძენი. მკურნალთაგან გამოიგონია.

მოაბა I საყაყე, ტახტრევანი (იხ. საბა-მუაბა).

მოაჭე I მოხიენელი.

მოდღვენჯული I (گند پی) დღდაბერი) ხნიერი, მოხუცობული.

მოკითხული I მოკითხული ექნა გამოეკითხა, გამოეძინა.

მონაგარი I (گنج) განწი) ქონება, გარჯილობით ნაშენი (საბა).

მოყინება I (بنامی) სახელის ვატება, შერცხენა.

მოჭირება I ვაღდება გულმან აღარ მოუჭირვა ვეღარ გაუღრა (طاقت نماند) ძალი არ შერჩა).

მოჭარბე II მოძალადე, ტირანი.

მინჯავი I (صیری) მომთქენი) ფრთხილი, აუტყარებელი, მომთქენი.

მტარვალი I, II (جالد) ქალატი.

მტკუნება I დასჯა, წამება.

მუღმსხად I მუღმა, ყოველთვის.

მურასა I (مرصع) მოოქვილი (საბა).

მუსაინობა I, II საუბარი, ურთერთობა.

მუტრანი I დამკვრელი, მომღერალი.

მუჭარა I მუჭარა დასთხოვა დაეშქრა.

მჩატე I მჩატედ აუღივარ არაფრად ჩაუკლივარ.

მცდელი I მოწოდებული. მოწადინებული წყნობელობა II ნაცნობობა.

მცნური I ნაცნობი.

მსოფლიო I მსოფლიო მთაწი-  
ლი; დმტრით მოწყალე.

მჯღი I მუხტი.

ნაზობა I განაზება, ამპარტენობა; წყრო-  
ბა, საყვედური (კობ.) შენ ნა-  
ზობ და არას მეუბნები.

ნალასი I ნავალევი გათელილი ცხი-  
ნისა ნალახთა კოცნა.

ნოშანი II ისრისა ნოშანი სამიზნე.  
ნორი I ახალმზარდა ნორვი, ყლორტი.  
ნუჭლი II სეხალი, ძღვენი, მოსაქი-  
თხი.

ნუთუ I იქნებ, იგების.

ნობი II ი.ფ.ფი.

ორუბაზი II ორპირი (სულხ.)

პამანი I (پامان) დრი, პირიბა, და-  
თქმული ვადა (შან).

პირი I პირიბა, სიტყვა, თქმის პი-  
რი გამოართვა.

პირსა პირი I დაპირისპირება, გაძლება,  
გამკლავება, მისი პირისა პირი  
არ შეეძლო თ.

რადედარა I რაც რამ (საბა), რა-  
გინდარას დაეკიდებო.

რადრთი I (چندین) ამდენი, რამდენი,  
ბერი.

რენი II ესე რენი იყო ფრიად ღო-  
ნიერი და ჯგლოვანი ფალაიანი,  
(სულხ.), „შპ-ნამეს“ გვირის ის-  
ფენდარის ეპითეტი (რენი, რენიან  
-რვალისა, რვალისტანა).

სააგო I სათხოვარი.

საღებელი I ცხენის დასაქერი შარს  
სატყორცნი საბელი, ქამანი (ამ  
შემთხვევაში გრძელი თმის შეტაფო-  
რა) (მეტ.).

საღებელი I საწოლი, ქვეშავები.

საგონებელი I, II სათქორალი, დარ-  
დი; გასაგონი, მოსასმენი.

სალონი I საზომს მოიწიენენ წა-  
ბიზარდნენ, ასაგო შევიდნენ.

სათენო II სარგებელი, სასარგებლო.

საჯღი I შესაჯრავი, ბორკილი.

სალოცველო I სამოიცველოდ მისაცემე  
ლი, ქველი საქმე (საბა).

სარჯელი I (سارجله) ტანჯვა, განსაცდე-  
ლი, ჯაფა.

საღუსენი I (قيامت) მკვდრებით აღდუო-  
მის დღე) საიგო.

საფშინეელი II აწ მაქეს შესული  
შოსრული უქანასენელსა სა-  
ფშინეელსა.

საღარიბო I საღარიბო ტანისამოსი  
სამეზავრო, სახეტილო.

საცმელი I ტანის და ფეხის სამოსი.

საწუთროს მქირავი I ღმერთი

საწილი I ცეცხლი, კოცონი; ღუმელი.

საქდომი I ტანტი.

სეირი I სეირნობა, თვლიერება. სეირს  
იარებოდა.

სერანი I (سارت) განბანა) სეირნობა  
მთვლა(?) სერანი მოუნდა, სე-  
რანს გავიდა.

სეფედარი, სეფეპლარი II მხედართ-მთავა-  
რი, მთაგარმართებელი (სულხ.).

სეწრაფლეობა II აჩქარება.

სონღული I (ساجلی) ბლახი сокол)  
სანადირო ფრინველი შვარდნის ჭიშ-  
ისა.

სორიანური I (سریانی) სირიული.

სულობა I სულიობას მოვიდა მო-  
სულიორდა.

სურმა II წყირით. თვალში ამოსასმელი  
საღებავი სამკურნალო და საკოსმეტი-  
კო.

ტალი I ღამის დარაჯი.

ტატონობა I მკვობა.

ტყება II თავს ცემა (საბა).

უარ I უარესად.

უბადო I ცული, ავი (საბა).

უდი II სიმებიანი საკრავი.

უდიდური I უდიდესი.

უდიდელი I უფრო მეტი.



უთავადესი I უფრისი, მთავარი.  
 უთქს I უღვას.  
 უპატიოდ I უტანჯველად წამების ვა-  
 რეში.  
 უპოვარი I (واویش) ღერეში) ლატა-  
 კი, არასმკონები.  
 ურვა I დარდი, წუხილი.  
 უშენო II პარტახი, დაუსახლებელი ად-  
 გილი, უნაშენო.  
 უშესაბამო II შეუფერებელი, უღირსი.  
 უცხო I საუცხოო, შესანიშნავი.  
 უკნენულად II უკველად, ნამდვილად.  
 უჭინსო, უჭინშო II უჭიშო, მდაბიო.  
 ფაიჭი I (فاحص) შიკრიკი, მალემსარ-  
 ბოლი  
 ფანდი II სერხი, რჩევა-დარიგება.  
 ფრდილი I ნასყიდი, შეძენილი (ა ნ-  
 დ რ.).  
 ფუნდუკი I (مخاض) მეჩეთი) კარვას-  
 ლა, სასტუმრო.  
 ქაბინი, ქებინი I, II (مخاض საქორწინო  
 ხელშეკრულება) სასიძულეს გადასახდე-  
 ლი საქორწინო თანხა. ქებინი I, II  
 იკეთა. იქორწინა. გასაკრე-  
 ლად ქაბინისა საქორწინოდ.  
 ქარტა I წერილი, წიგნი, ქალაღი.  
 ქენება I ევღრება, ხეწნა.  
 ქესიქი II ყარაღი (ს უ ლ ხ.).  
 ქეჩაო I (عماری) ტაბტრეანი, აქ-  
 ლემზე ჩამოსაკიდი ჩარდახი.  
 ქეყანა II მიწა.  
 ლაფვაზი, ლაფვახი II (غواص) მყინთა-  
 ვი. ესე ლაფვახი არს კაცი, რომელიცა  
 ყაველთჳს იღებს მარგალიტს ზღვიდ-  
 გან (ს უ ლ ხ.).  
 ღარიბი I უცხოელი; მგზავრი, ყარიბი.  
 ღელვა-გვემზლი I ზღვის ქარიშხალ-ვა-  
 მოვლილი, ზღვის ღელვით განაწამები.  
 ყაზი II (قاضی) მოსამართლე, არქი-  
 ერი (ს უ ლ ხ.).  
 ყათარი I (قطار) აქლემთა კარავანი,  
 ჯოგი.

ყასარი I (قصر) კეისარი.  
 ყაფალი, ყაფლა I მოგზაურთა კარავანი.  
 ყაფიჩი II კარისკაცი, მცირე მოხელე.  
 ყიფლი I ყვირილი, ძახილი (აღმამინისა).  
 ყირმიზი I წითელი.  
 ყული I, II მონა, მსახური.  
 ყულუჩი II მონა, მსახური.  
 შაბსევარი II „მეღე-მხედარი“ კარგი მო-  
 ჯირითე.  
 შეზნედა I შეზნდა ცნობა წაუეიდა.  
 შევიწრებული I შეწრებული.  
 შენი II აშენებული, დასახლებული.  
 შეწყვაღვა II შეერთება, გამსჭვალვა.  
 შეყენებული I პატიმარი, ციხეში მყოფი.  
 შეჭირება I შეწუხება.  
 შეტყეწება I შევლრება (ს ა ბ ა). შეფარე-  
 ბა შესახვეწი ალაგა.  
 შილენგი I სალუტი, თაფ-ზარბაზნის სა-  
 ზეგო სროლა.  
 შიშენულობა II შიში.  
 ჩამავლობა I წარმოშობა.  
 ჩანგალი II (چنگال) ქანგი, ბრკყალი.  
 ჩოლი I (چوبان) უღაბნა.  
 ცემა I რაზმთა-შუა იცემებოდა.  
 იბრძოდა.  
 ცნობილი II ნაცნობი.  
 ძელი I ხე მოკვეთილი (ს ა ბ ა). ძელ-  
 ხედან დაქიდეთ ჩაზოხრჩვეთ.  
 წვერი I მთის მწვერვალი.  
 წიწყადგობა I დაწინაურება.  
 ხაღუმი II (خام) მსახურა.  
 ხათრიჯამობა II (خارجی) ზენაარი, ფიცი)  
 დარწმუნება, ფიცი, იმედი. ბეჭედი  
 ხათრიჯამობისა.  
 ხალვათობა I, II თავისუფლება, განმარ-  
 ტობა, სიციხილე.  
 ხალვათი, ხალვათხანა II (خلوت خانه)  
 მოსასვენებელი ათახი, საწოლი.  
 ხანდაზმით I ხანდახან

ზრიდი I (أخري) ნასყიდი, ნავაქრი.  
ზუნდი I ვეხის ბორკილი ხისა.

ველი I საქმე, შესაფერი საქმე. თემი  
ნემი ტელად შეინად შევექნა  
შენს ხელქვეით, შენა მფარველობის  
ქვეშ მოგცე.

ველისადმყრობელი II შემწი, დამხმარე.  
ველისყრა I რა ტელი ეყრება რაში  
ვამოდგება, რა სარგებლობა აქვს.  
წელმოვირებული I ძენწი.

ჯაზრი II ძალი, ძალდატანება.

ჯავარი II მარგალიტი.

ჯავარფრუში I (جوهر فروش) მარგა-  
ლიტით მოეპარე.

ჯავრება II არა გაჯაერებისა? არ  
ვენალელება?

ჯარზობა II ძალადობა, მამალეება,

ჯინჯილი I (آدمی شერული) ბორკილი, ჯა-  
ქვი.

ჯურღმული I (اچ) ორმო, ჭა.

## ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ ПЕРСИДСКИХ НАРОДНЫХ ДАСТАНОВ

### «БАХТИАРНАМЕ»

#### Резюме

Отдельные персидские народные дастаны (анонимные, либо приписываемые тому или иному автору) появляются уже в классическую эпоху при определенных экономических и социальных условиях (XI—XII вв.). Тем не менее, необычайно широкий размах этот жанр приобретает в XVI—XIX вв. В начале создаются различные записи, а затем и дешевые лубочные издания. Почти одновременно появляются подражания и переводы персидских народных дастанов в литературе других народов, причем не только ближнего, но и дальнего Востока.

В научной литературе специально подчеркивается важность монографического исследования как отдельных персидских народных дастанов, так и их переводов и подражаний (М. Махджуб, Ю. Е. Борщевский). В этом отношении очень интересный материал сохранила древнегрузинская литература. Следы знакомства с этим жанром встречаются уже в XII в. («Амирандареджаниани», «Вепхисткаосани»). Однако, именно в XVII—XIX вв. появляются многочисленные переводы и подражания образцам персидской народной литературы почти всех направлений: дидактического («Чардарвишани», «Царская сокровищница»), романтического («Барамгуландамиани», «Мириани»), героико-авантюрного («Караманни», «Сейланиани») и др.

Подобно персидским оригиналам, грузинские дастаны все еще далеко не полностью описаны, не говоря уже о их

всестороннем исследовании, хотя отдельным памятникам и посвящены специальные статьи (К. С. Кекелидзе, А. Г. Барамидзе, Д. И. Кобидзе, Г. И. Имедашвили и др.). Предстоит большая кропотливая работа по выявлению и классификации грузинских версий, определению их источников, подготовки текстов к изданию. Существуют целые рукописные сборники грузинских версий. Причем, вместе с известными дастанами («Барамгуландамиани») встречаются новые, в научной литературе не упоминаемые произведения («Сказ о Газма-Шахе», сборник Центрархива ГССР № 202). Все еще не выявлены источники многих грузинских переводных дастанов. Так, совсем недавно нам удалось установить, что «Миряни» является переводом не поэмы Асара Табризи «Мехр о Муштари», как предполагал К. С. Кекелидзе, а народного дастана «Мехр о Мах». Остается открытым вопрос об источнике обширнейшего дастана «Сейлангани», который, по мнению Ю. Н. Марра, восходит к не обнаруженному до сих пор персидскому роману «Сехелан-наме» и т. д.

Данная работа является первой попыткой монографического изучения как персидских, так и в особенности грузинских версий популярного дидактического сборника «Бахтиар-наме».

«Бахтиар-наме» — сборник рассказов, обрамленных единым сюжетом. На его древность указывает факт отражения одной из версий «Бахтиар-наме» в своде арабских сказок «Тысяча и одна ночь». «Киссаи Бахтиар» упоминают анонимный источник «Тарихе Систан» (XI), Мохаммад Оуфи (XII в.), народный дастан «Искандар-наме» (XIII—XIV вв.).

До нас дошли несколько различных, как стихотворных, так и прозаических версий «Бахтиар-наме» на персидском, арабском, малайском, уйгурском, азербайджанском и грузинском языках. Древнейшая из них относится к XIII в. и приписывается Дакаики Марвази. До последнего времени литературная версия Дакаики была известна по классической работе Т. Нёлдеке (ZDMG, 45, 1891). Недавно полный текст (хотя без учета лейденской рукописи) с предисловием и комментариями был издан З. Сафа (Тегеран, 1966). Как указывает сам Дакаики, его задача в основном заключалась в усложнении стиля. Риторическая, ритмическая рифмованная проза обиль-

но уснащена стихотворными вставками как на персидском, так и арабском языках.

Эта версия легла в основу позднейшей народной обработки повести о Бахтиаре, которая благодаря простоте стиля получила более широкое распространение. Особняком стоит поэтическая версия Панахи (XV в.). Сравнительное изучение этих версий дает наглядную картину о народной основе повести, возведенной в литературный ранг, которая вновь «снизошла» до народной литературы.

В последующие века распространилась народная обработка этой литературной версии. В рукописях сохранился основной сюжет, изменились лишь отдельные детали, последовательность рассказов, главным же образом упростился стиль. На основе подобных рукописных обработок в XIX в. появились лубочные издания «Бахтиар-наме».

С народной обработкой «Бахтиар-наме» непосредственно связан первый грузинский перевод этого памятника (XVII в.). Перевод дошел до нас в уникальной рукописи, почти полностью (нехватает лишь заключительных строк). Как отмечено в научной литературе, грузинский текст довольно точно передает ту народную обработку, которую издал Е. Э. Бертельс, хотя и сохранил ряд существенных деталей, отсутствующих в издании. По мнению исследователей (А. Г. Барамидзе, Д. И. Кобидзе) — эти детали и даже эпизоды возможно восходят к персидскому источнику. И в самом деле, при сличении грузинского перевода с другими литографиями и, в особенности, рукописями, нам удалось обнаружить большинство из них.

Поэтическая версия «Бахтиар-наме» принадлежит малоизвестному поэту Панахи (XV в.). Впервые сведения об этой версии опубликовал Е. Э. Бертельс в статье «Новая версия «Бахтиар-Наме» (Известия АН СССР, сер. VII, № 4, 1929). В своем труде он вкратце охарактеризовал до тех пор неизвестную «по-видимому, ни в одном другом крупном книгохранилище не представленную» поэму Панахи, и пришел к выводу, что «ее близость к старейшим обработкам несомненна и в этом заключается главное ее значение».

Единственный в то время список этой версии оказался дефектным: после краткого вступления сохранилось лишь наз-

вание важнейшей главы «О причине создания книги», сам же текст отсутствует.

Следующая страница начинается с появления Бахтиара при дворе Азадбахта. «Пробел этот тем более досаден, что персидские тезкире тоже не дают почти никаких сведений о гзэте Панахи».

Поэтому понятно значение каждого нового данных о поэме и ее авторе. Мы уже имели возможность опубликовать сведения еще об одной рукописи поэмы Панахи (Труды ТГУ, т. 91, 1960). В ней сохранилось начало интересующей нас главы («Сабаби назми кетаб»). Несмотря на отрывочность сведений, означенный фрагмент содержит ряд интересных данных об авторе поэтической версии.

Недавно в Баку был обнаружен еще один, третий список поэмы Панахи. К сожалению, он тоже дефектен и начинается прямо с середины главы «О причине создания книги».

Сведения бакинской рукописи весьма ценны с нескольких точек зрения: во-первых в них дана история, хотя и неполная, возникновения поэтической версии. По просьбе некоего Юсуфа автор переложил в стихи прозаическую редакцию, которая стало быть существовала до XV века. Во-вторых, сохранена начальная часть сюжетной канвы, наиболее часто подверженная изменениям.

Таким образом, пока что известны три списка поэмы Панахи: два ленинградских и один — бакинский (З. Сафа в предисловии указывает на еще одну, тоже дефектную рукопись, не упоминая о статье Е. Э. Бертельса). Однако, по-видимому, существовал по крайней мере, еще один список этой версии, который полностью сохранился в грузинском переводе, выполненном А. Сулханашвили в прозе (1828 г.)

В заключение следует отметить большое текстолгическое значение грузинских переводов при изучении персидских оригиналов. Как было сказано выше, первый перевод сохранил одну из древнейших народных обработок, причем некоторые детали все еще не идентифицированы по известным нам рукописному наследию и любочным изданиям. Второй перевод дает возможность выбора более верных вариантных различий. По сравнению с Курд. 12 рукопись, описанная Е. Э. Бертельсом (В 1277) гораздо пространнее: в ней имеются мно-

гочисленные бейты и детали (например, окрашивание яиц в рассказе о царе Дадбине), отсутствующие как в Курд. 12, так и в грузинском переводе. Тут возникает вопрос о первичности краткой или полной редакции все еще не изданной поэмы Паахи.

К исследованию прилагаются критически установленные тексты обеих грузинских версий и словарь.

#### შავთვლობა

КЛЭ — Краткая Литературная Энциклопедия.

Описание — Описание рукописей библиотеки «Общества распространения грамотности среди грузин».

GJPh—Grundriß der iranischen Philologie.

ZDMG—Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft.

## საკუთარ სახელთა საძიებელი

### ა) პ ი რ თ ა

- აბულაძე ილია 82, 85, 229  
 აბულაძე ც. 13  
 აინი ქ. 11  
 ალი საფი 88  
 ამუ-ქალანთარი 53, 65, 66, 148  
 ანდრონიკაშვილი მ. 229  
 აფშარი ირაქ 12
- ბარამიძე ალ. 9, 26, 27, 33, 36, 41, 42, 43, 44, 60, 81, 83  
 ბარამიძე რ. 46  
 ბერტელსი ე. 4, 6, 11, 17, 23, 24, 26, 27, 29, 30, 31, 32, 33, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 46, 47, 50, 61, 65, 68, 71, 73, 74, 75, 77, 78, 79.  
 ბოლდირევი ა. 5  
 ბორშჩევსკი ი. 5
- გვახარია ალ. 8, 9, 46, 47.  
 გიგინეიშვილი ივ. 85, 229  
 გორელიშვილი თ. 18.
- ღაყაიყი, შამს ედ-დინ მუჰამად დაყაიყი მარვაზი (მერველი) 11, 12, 18, 19, 20, 24, 29, 30, 31, 32, 33, 37, 39, 40, 42, 44, 59, 72, 73, 74, 75, 76, 78, 79  
 დასთგერდი ვაჰიდ 23  
 დოულათშაჰი 73
- მთე ქ. 4, 18  
 ენუქიძე თ. 86
- შახტანგ VI (ბატონიშვილი) 25, 26, 41, 39, 48, 63, 89  
 ეინსტაინი რ. 7, 13
- ზაპირი სამარყანდელი 18, 19.
- თარბიათი 22  
 თაყაიშვილი ე. 9.  
 თეიმურაზი 9  
 თოდუა მ. 8, 46  
 თუმშალოვი მირზა სადეე 61, 146
- იმედაშვილი გ. 9  
 იოსები 53, 65, 66, 148
- ქაზიმირსკი ა. 23  
 კალატოზოვი ი. 9  
 კეკელიძე კ. 9, 18, 21, 27, 60  
 კიზირია ა. 85  
 კობიძე დ. 7, 8, 9, 27, 30, 61, 63, 65, 66, 67, 68, 69, 77, 78, 80, 229  
 კრაჩკოვსკი ი. 16  
 კრიმსკი ა. 4, 6
- ლესკალიე 23  
 ლიტმანი 16
- მარტიროსოვი ა. 85  
 მაჰმადი (მუჰამადი) 65, 67, 147  
 მაჰჭუბი მ. 5, 6  
 მემედლი გ. 13  
 მეტრეველი ელ. 229.
- ნახშაბი 6, 19
- ოუზლი უ. 22, 23, 24, 29, 31  
 ოუფი მ. 11, 19  
 ორბელიანი სულხან-საბა (საბა, სულხან-საბა) 8, 43, 46, 47, 57, 60, 61, 229



რბეკა ი. 18  
რომანსკევიჩი ა. 50  
რულენკო მ. 66  
რუხაძე ტრ. 60, 61, 62, 88

სალიე მ. 16, 71  
სალიმოვა ი. 5, 6  
საფა ზ. 11, 13, 19, 54, 78  
სულხანაშვილი ა. (სულხანოვი) 60, 61, 62, 64, 65, 72, 86, 87, 88, 146, 149

ტაბიძე სვიმონ 60, 63, 86, 87  
ტარსუსი (ტარტუსი: აბუ თაქერ იბნ კუსეინ იბნ ალი იბნ მუსა ატ-ტარსუსი) 3

შანაპი (ფანაი) 12, 13, 39, 40, 50, 51, 52, 53, 55, 59, 60, 61, 62, 65, 66, 67, 68, 72, 73, 74, 75, 77, 79, 80, 146, 147, 148

Араслы Н. 13  
Arberry A. 18  
Асар Табризи 236

Барамидзе А. Г. 236, 237  
Бартольд В. В. 6  
Бертельс Е. Э. 23, 50, 59, 237, 238  
Боршевский Ю. Е. 4, 6, 235

Винстедт Р. 7

Гвахария А. А. 51  
Гришцер П. А. 15

Даканки Марвази 236

Имедашвили Г. И. 236  
Иностранцев К. А. 71  
Иоан (Царевич) 26

Kazimirski-Biberstein A. 23  
Кекелидзе К. С. 236  
Кобидзе Д. И. 236, 237  
Короглы Х. Г. 5  
Крачковский И. Ю. 16  
Крымский А 6

ყვავი 13, 75  
ფერაჟე პ. 9  
ფეთერაძე ვლ. 14  
ფერცელაძე ნ. 16

ქავთარაძე ივ. 86  
ქამალი 53, 65, 66, 148  
ქობულაშვილი (ქობულაშვილი) იოთარ 62, 88

ლათაროვი 45

შანიძე ა. 229

ჩაჩიაშვილი ნ. 8

წერეთელი გ. 16

ჯიქია ს. 13  
ქათელი 50

Март О. 66  
Март Ю. Н. 236  
Махджун М. 235  
Миклухо-Маклай Н. Д. 50.

Нёльдеке Т. 73, 236  
Nöldeke H., 19, 20, 75, 77

Орбели Р. Р. 86  
Османов М.-Н. 18  
Оуфи М. 236

Панахи 71, 237, 238, 239  
Парникель Б. Б. 7

Вурка J. 15, 18  
Розенберг Ф. А. 74  
Ромаскевич А. А. 50  
Руденко М. Б. 51

Салимов Ю. 4, 6  
Салье М. А. 16, 71  
Сафа З. 236, 238  
Сулханашвили А. 238  
Soukhanof A. 87.  
Юсуф 238

صفا ذبيح الله 11	انوش احمد 19
على صفى 88	افشار ايرج 12
عمو كلان تر 54	اوزلى وليم 22
انظييري انمر قندى 19	بهار ملك اشعرا 10
كمال 54	پرهام سيروس 5
گاجچين معانى احمد 88	پناهى 50, 67
محبوب محمد جعفر 5	تربيت تبريزى 19
محمد 67	خانلرى پرويزناتل 5
مصطفى رحى 13	دقايقى مروزى 11, 12
يوسف 54	

ბ) კ ა რ ს ო ნ ე ბ ე თ ა

ბბარჩა 116, 117, 118, 119, 120	212, 213, 219, 220, 223, 224, 226, 227, 228
ბბუ-თამამი (ბბუ-თამამი) 17, 22, 25, 28, 29, 55, 72, 76, 77, 80, 89, 137, 138, 139, 140, 200, 207, 208, 209, 210, 211	ბაპლავანი 79
ბბუ-ლ-ხაირო 79	ბაპანი 72
ბბუ-საბირო (ბბუსაბირო, ბბუსაბირო) : 17, 22, 25, 28, 29, 32, 33, 68, 72, 76, 77, 84, 89, 110, 111, 112, 113, 114, 115	ბაპრაქური 72
ბბაღბაბი (ბბაღბაბი, ბბაღბაბი, ბბაღბაბი) 16, 20, 21, 24, 27, 28, 29, 40, 54, 55, 56, 68, 72, 73, 75, 90, 94, 95, 149, 151, 152, 153, 154, 157, 163, 173, 174, 182, 183, 186, 193, 205, 211, 212, 219, 224, 225, 226, 228.	ბეკარლი 22, 55, 68, 200, 201, 202, 203, 204
ბბარშაი 73	ბეჭადი (ბეჭადი, ბეჭადი, ბეჭადი) 55, 68, 84, 105, 106, 107, 108, 109, 182, 183
ბბარინი 72, 73, 173	ბეჭოზი (ბეჭოზი) 46, 134, 135, 136, 137
ბბბაბა (ბბბა. ბბბაბანი, ბბბაბა, ბბბაბა, ბბბაბა) 17, 55, 68, 76, 194, 195, 196, 197, 198, 199	ბეჭენი (ბეჭენი) 72
ბბბადი 16, 17, 72	ბორჰინ-შაპი 56
ბბბბა (ბბბბა) 10, 13, 16, 18, 19, 21, 22, 24, 25, 28, 39, 40, 43, 48, 51, 55, 56, 64, 72, 73, 74, 75, 77, 89, 96, 97, 98, 99, 100, 104, 105, 109, 110, 115, 120, 126, 127, 133, 137, 138, 140, 141, 144, 145, 155, 156, 157, 158, 163, 164, 173, 174, 182, 183, 186, 193, 194, 199, 200, 204, 205, 206, 211,	ბბბბი (ბბბბი) 17, 20, 22, 24, 29, 55, 68, 69, 77, 187, 189, 191, 192, 193
	ბბბბი 24, 25, 29
	ბბბბი 101
	ბბბბი 79
	ბბბბი 47, 79
	ბბბბი 16, 72
	ბბბბბ (ბბბბბ) 77
	ბბბბი 46
	ბბბბბბი 73
	ბბბბ 224
	ბბბბბ 69
	ბბბბბ 69
	ბბბბბ 72

იაკობი (ბიბლ.) 145, 167, 202, 218  
ილანი 68, 205, 206, 207, 209, 210, 211  
იოსებ (ბიბლ.) 65, 145, 148, 167, 202,  
218  
ისფაჰანდი 16, 72

ლეონი 43

მელიქ შაჰი 73, 79

მირანშაჰი 73

შოაბარი 30, 31, 72, 90

შობარეზი 31

მუხრეჟშაჰი 73

ნაერუზშაჰი 73

ნიგარანი (ნიგარინი) 84, 106, 108, 109

ნოუფალშაჰი 73

რამინი 47

როზბეჰი 134, 135, 136, 137

როსტომი 10, 197

რუზბახთი 69

რუზგარი (რუზიგარი) 69, 70, 78, 187

რუინი 196

საბირი 55, 68, 69, 174, 175, 176, 177,

178, 179, 180, 181, 182

სინდბადი 18, 19

სულეიმან-შაჰი 79

შარკინი 56, 63, 220

ფაროსხავარი (ფარო-ხოსრო, ფარო-  
ხოსროვი, ფარო-ხოსროვი, ფაროვი-  
ხოსროვი) 21, 22, 40, 72, 75, 84, 95,  
96, 144, 145

Азадбахт 278

Афарин 73

Ахмед Хан 51

Бахтиар 237, 238

Бижан 4

Бихран 73

ფაროსხავა (ფაროსხავი) 27, 33, 34, 35,  
36, 37, 79, 130, 132, 133

ფირეზი 58, 182

ფურდანი 72

შადარი 29, 37, 120, 121, 122, 124, 125,  
126

ქამგარი (ქამგარი) 28, 29, 37, 38, 89

ქარდანი (ქარდანი) 70, 78, 187, 189,  
193

ქარდარი (ქარდარი) 29, 37, 38, 47, 78,  
120, 121, 122, 123, 124, 126

ქარდულშაჰი 73

ქარმან-შა 99

ქიშეარი, ქიშეარდი 196, 197, 198

ლეორშაჰი 73

შაქრეზი (ფირეზი) 72, 73

შაჰ-ხათუნი 79

შირინი 80

ჩაქრა 73, 186

ხოდადლი (ხედადლი) 21, 54, 84, 95,  
153, 155

ხოსრო (ქოსრა) ანუშირვანი (ხოსროვი  
ფარეზ ბენ ჰორმუზ ბენ ანუშირვანი)  
10, 16, 17, 73, 78

ხოსროვი (ხოსროვი ხოსროვანი) 55, 68,  
78, 156, 195, 196, 197, 213, 214, 215,  
216, 218, 219

ხოჯა ჰოსეინი 55

ჯაქრბეჯი 72

Дадбин 239

Маниже 4

Пурдан 73

Фадан 13

Шахран 73

- 56 خواجه حسین  
 دادبین 56  
 رستم 10  
 رور بخت 69  
 روزگار 70  
 شاه حبش 79  
 شهروز 58  
 صابر 56  
 فرخزاد 37  
 کاردار 38, 39  
 کاردان 69, 70  
 کامکار 29, 39  
 کوردار 29  
 نگارین 84
- ابو تمام 29  
 ابو صابر 29, 33, 84  
 آزادبخت 27, 31, 84  
 آفرین 58  
 ایلان شاه 56  
 بخت آزما 56  
 بختیار 10, 22, 29, 54, 75, 83  
 برهین شه 56  
 بهزاد 56, 84  
 به گرد 56  
 چهره 58  
 خداداد 84  
 خسرو 56  
 خسرو پرویز 10.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . . . . .	3
შესავალი . . . . .	10
„ბახთიარ-ნამეს“ სპარსული ვერსიები . . . . .	15
„ბახთიარ-ნამეს“ ხალხური პროზაული ვერსიის ქართული თარგმანი	25
„ბახთიარ-ნამეს“ ასპარსული პოეტური ვერსია . . . . .	50
„ბახთიარ-ნამეს“ სპარსული პოეტური ვერსიის ქართული თარგმანი	60
დასკვნა . . . . .	71
ქართული ტექსტისათვის . . . . .	81
[ბახთიარ-ნამე] . . . . .	89
ბახთიარ-ნამეჰ . . . . .	146
ლექსიკონი . . . . .	229
Грузинские версии персидских народных дастанов — Бахтиар-наме (резюме) . . . . .	235
სამძიებელი . . . . .	240

## СОДЕРЖАНИЕ

Предисловие . . . . .	3
Введение . . . . .	10
Персидские прозаические версии «Бахтиар-наме» . . . . .	15
Грузинский перевод народной прозаической версии «Бахтиар-наме» . . . . .	26
Персидская поэтическая версия «Бахтиар-наме» . . . . .	50
Грузинский перевод персидской поэтической версии «Бахтиар-наме» . . . . .	61
Выводы . . . . .	71
К грузинскому тексту . . . . .	81
[Бахтиар-наме] (анонимный перевод XVII в.) . . . . .	89
Бахтиар-намех (пер. А. Сулханашвили, XIX в.) . . . . .	146
Словарь . . . . .	229
Грузинские версии персидских народных дастанов — Бахтиар-наме (резюме) . . . . .	235
Указатель . . . . .	240

ლაიბეკლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი მ. თოდუა  
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლევაია  
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია

გაზეთა წარმოებას 24.IV.68; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.XII.68;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 14.88 სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 13.75 უე 01431; ტირაჟი 800; შეკვეთა № 1192;  
ფასი 1 მან. 14 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15